


გ. კახიანი ა. თხილაძე



გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი—1964

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო გ ა

მ. ვანილიშისა და ა. თანდილაეას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“ მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ლაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია. ამ მხრივ აღნიშნული ნარკვევი პირველ ცდას წარმოადგენს და ქართულ საისტორიო მწერლობაში წინ გადადგმული ნაბიჯია. ამავე დროს მისასაღმებელია ის მოვლენაც, რომ ნარკვევის ავტორები ლაზები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოხ ლაზებმა ხელი მოჰკიდეს თავიანთი მშობლიური მხარის შესწავლასა და გაცნობას, რათა ერთგვარი წვლილი შეიტანონ ლაზების გათვითცნობიერებაში.

ორივე ავტორი სარფელია. ორივენი საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობითა და ხელისშეწყობით აღიზარდნენ. დღეს ლაზებს სწამთ, რომ მხოლოდ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებით შეიძლება ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და ერთა თანასწორუფლებიანობის დამყარება.

ნარკვევის ისტორიულ მიმოხილვაში მკაფიოდ არის მოცემული ლაზების სახელმწიფოებრივი ნიჭი და პოლიტიკური გამჭრიახობა წარსულში, აგრეთვე მათი გულადობა და სამშობლოსათვის თავდადება.

ეთნოგრაფიულ ნაწილში საყურადღებოა ლაზურ-მეგრული ადათ-ჩვევების მსგავსება, მიუხედავად მათი საუკუნეობრივი გათიშვისა. ლაზური ტექსტის პარალელურად ქართულად მოცემულია ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, რაც საშუალებას იძლევა გავაცნოს ლაზურ ხალხურ შემოქმედებას.

პროფ. სერგი მაკალათია

ა ვ ტ ო რ ე ბ ი ს ა გ ა ნ

საქართველოს ისტორია მდიდარია გმირული ბრძოლის ეპიზოდებით. საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობასთან ერთად აწ ბრძოლაში ლაზებიც იღებდნენ მონაწილეობას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი სამშობლოს მიწაწყალა არა ერთ დამპყრობელს გაუთელია, მაგრამ მათ შორის ყველაზე ულმობელი იყო ოსმალეთი, რომელმაც მცირე აზიაში გაბატონებისთანავე დაიწყო საქართველოს ნაწილების დაპყრობა და ხალხის ძალდატანებით გამუსლიმანება-გადაგვარება.

ლაზების ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე მეტად მცირე ცნობებ მოგვეპოვება არალაზი ავტორებისაგან, რომლებიც ნაკლებად იცნობდნენ ლაზურ ენას, ლაზების ყოფაცხოვრებას და უნებლიე შეცდომებსაც უშვებდნენ.

ლაზების ისტორიისა და ყოფაცხოვრების შესწავლის დროს ჩვენ, ლაზი ავტორები, დაკვირვებას ვაწარმოებდით საქართველოს სხვა მხარეების, კერძოდ, სამეგრელოს რაიონების მოსახლეობაზე (ზუგდიდის, ცხაკაიას, გალის და სხვ.). მათ შორის ზუგდიდისა და გალის მეგრულ სიტყვებსა და ლაზურს შორის საგულისხმოდ მსგავსებაა და თითქმის მთლიანად გვესმოდა მათი ენა.

მადლობას მოვახსენებთ ამ შრომის რედაქტორს პროფ. ს. ი. მაკალათიას, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ნაშრომის დამუშავება-რედაქტირებაში.

მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ აგრეთვე აქარის ასსრ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, აწ განსვენებული ო. ა. ხალვაში, რომლის ინიციატივამ და დახმარებამ საშუალება მოგვცა დაგვეწერა ეს შრომა.

მ. შანილიში, ა. თანდილაშა

ისტორიული მიმოხილვა

1. ლაზეთის სამეფოს წარმოშობა

ლაზების ანუ ქანების ისტორიული წარსული მჭიდროდაა დაკავშირებული ძველი კოლხეთის ისტორიასთან.¹ როგორც ვიციით, ძველი კოლხეთის სამეფოში ძირითადად მოსახლეობდა ქართველთა მოდგმის ორი მონათესავე ტომი ლაზ-ქანები და მანრალ-მეგრელები (ეგრისელები), რომლებიც მეტყველებდნენ ზანურად წოდებულ ერთ ენაზე.²

ქანები ქართული ტომის ერთ-ერთი წარმომადგენლები არიან.

სახელწოდება ქანი შემდგომში „ლაზად“ შეიცვალა, მაგრამ მთლიანად არასოდეს არ გამქრალა. „ქანი“ და „ქანეთი“, — წერდა აკად. ს. ჯანაშია, — უკანასკნელ დრომდე შეინახა ქართულმა მწერლობამ და ხალხურმა თქმამ.³

ელინისტურ ხანაში (V-I საუკუნეში ძვ. წ.) ქან-ლაზებსა და მათ მონათესავე მეგრელებს ეკირათ შავი ზღვის სანაპიროს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, ტრაპიზონიდან დაწყებული აბაზგიამდე (აფხაზეთი).

ენობრივი ერთიანობის მიუხედავად, ისინი ორ თემად იყვნენ გაყოფილი. ქან-ლაზებს მთელი კოროხის ხეობა ეკირათ, მანრალ-მეგრელებს კი — რიონის ხეობა. მათ შორის საზღვარი დღევანდელი გურია უნდა ყოფილიყო.

ამ ორ თემში თავდაპირველად მანრალ-მეგრელები დაწინაურდნენ და საკმაოდ ძლიერი სამეფო შექმნეს, რომელსაც ბერძნები და რომაელები კოლხეთის სამეფოს უწოდებდნენ.

1 ს. მ ა ყ ა ლ ა თ ი ა, ძველი კოლხეთი (სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941 წ., გვ. 6-33).

2 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურისა და მეგრულის ადგილისათვის ქართველურ ენათა ჯგუფში (ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ), თბ., 1936 წ., გვ. 31.

3 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თბალი, ტიბარენი, იბერი, ენიშვიის შოაშბე, ტ. 1, თბ., 1937 წ., გვ. 208.

ძველი კოლხეთის სამეფოს საზღვარი ტრაპიზონამდე აღწევდა. აქ მოსახლე ქან-ლაზებიც კოლხეთის სამეფოში შედიოდნენ. მხოლოდ სამეფო ხელისუფლება კოლხებს ჰქონდათ და მეფეებსაც კოლხების (მანრალ-მეგრელების) თემიდან ირჩევდნენ.

კოლხეთის სამეფო არსებობდა რომაელების შემოსევამდე -- (I საუკ. ძვ. წ.). რომაელების შემოსევის შემდეგ კი მათ პოლიტიკური ნდობა დაჰკარგეს რომის წინაშე და სამეფოს ხელისუფლების ჰეგემონია კოლხების მონათესავე ტომის — ლაზების ხელში გადავიდა, რომელნიც რომის ბატონობის პერიოდში დაწინაურდნენ, და მეფეებსაც ამ ტომიდან ირჩევდნენ.

პოლიტიკური მესვეურობის კოლხებიდან ლაზების ხელში გადასვლას თვით სახელმწიფოებრივი სახელწოდების შეცვლაც მოჰყვა. და ამიერიდან რომაელებმა მას, ნაცვლად კოლხეთისა, ლ ა ზ ი კ ა ა ნ ლ ა ზ ი კ ე უწოდეს.

ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო არქეოპოლისი¹. (ნაქალაქევი). ეს ქალაქი მდებარეობდა მდინარე ტეხურის პირას და მაღალი გალავნით და ციხე-კოშკებით იყო შემოზღუდული. ამაზე პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: „არქეოპოლისი არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“¹-ო (გეორგიკა, გვ. 152).

ლაზიკის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში იდგა მეფე, რომელსაც ირჩევდნენ მემკვიდრეობით. ლაზიკის მეფეები ბიზანტიის კეისარი ამტკიცებდა, რომლისაგანაც იგი სამეფო ნიშნებსა და საჩუქრებს იღებდა. ლაზიკა ბიზანტიას არც ხარკს უხდიდა და არც ჭარს უგზავნიდა. მხოლოდ ვალდებული იყო ჩრდილოეთის საზღვრები გაემარგებინა, არ გადმოემევა იქიდან ბარბაროსი ტომები, და მათგან დაეცვა ბიზანტიის სამფლობელო.

პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების მიზნით ლაზთა მეფეები ბიზანტიის კეისარებს უნათესავდებოდნენ და ცოლად ირთავდნენ მათ ქალებს. „ლაზთა მეფეები, — ამბობს პროკოპი კესარიელი, — ბიზანტიონში გზავნიდნენ ელჩებს და მეფის თანხმობით უნათესავდებოდნენ დარბაზისაგანთ და მოჰყავდათ იქიდან ქალები ცოლებად“².

1 არქეოპოლისი დადგენილია დღევანდელ ნაქალაქევად, რომელიც მდებარეობს ცხაკაიას (ახალ-სენაკის) რაიონში.

2 ბიზანტიის მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (გეორგიკა), ტ. III-თბ., 1936, გვ. 126.

ამასთან ლაზებსა და მათ მესვეურებს არ აკლდათ პოლიტიკური ნიჭი, გამჭირახობა და გულადობა, რასაც აღნიშნავენ თვით რომაელი მწერლებიც.¹

ლაზიკას ეჭირა შავი ზღვის სანაპირო, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან ლაზიკიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იბერია-ალბანიით გადიოდა სპარსეთ-ინდოეთში მიმავალი გზა. ლაზიკის ჩრდილოეთი საზღვრებიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიას ჰუნებისა და ჩრდილოეთში მობინადრე სხვა ტომების შემოსევის საფრთხე მოელოდა, მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე მოსალოდნელი იყო სპარსეთის მხრივ, რომელიც ვერ ურიგდებოდა რომაელების ბატონობას ამიერკავკასიასა და მცირე აზიის ქვეყნებში და მათ დასაპყრობად ემზადებოდა. სპარსეთის შემოტევის შიშით რომაელებმა ხელი მიკუყვეს საზღვრების გამაგრებას — ციხე-სიმაგრეებით შემოზღულდას.

ლაზთა ციხე-სიმაგრეებს პროკოპი კესარიელი ასე აგვიწერს: „ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა.“²

სპარსეთსა და რომს შორის პოლიტიკური ურთიერთობა უფრო გამწვავდა, როდესაც სპარსეთის სათავეში მოექცნენ სასანიანთა საგვარეულოს მეთევები. ამ დინასტიის პირველი ძლიერი შაჰი იყო არტაშირი, რომელმაც განახორციელა მთელი რიგი რეფორმები: შექმნა ძლიერი მხედრობა, განავითარა აღებ-მიცემობა და სხვა. გაძლიერებული სპარსეთი მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში რომის იმპერიის წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკის გზას დაადგა. სასანიანთ მეთევების მიზანი იყო რომის ბატონობის განდევნა ლაზიკიდან და შავი ზღვის სანაპიროების შემომტკიცება, რათა აქედან გადასულიყვნენ შერტევაზე თვით რომაელთა წინააღმდეგ.

პოლიტიკურ ბრძოლას დაერთო რელიგიური ანტაგონიზმი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ლაზიკის სამეფოში მასწავლებლასა და ქრისტიანულ მოძღვრებას შორის გაჩაღდა პირველობისათვის ბრძოლა. ირანი ცდილობდა თავის პოლიტიკურ-რელიგიურ გავლენ-

1 ბიზანტიის მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (გეორგიკა), ტ. III, თბ., 1936, გვ. 50-51.

2 პეტრად დღეს მიჩნეულია ციხისძირი, რომელიც მდებარეობს ბათუმის მახლობლად (ს. ჭანაშვილი, პეტრას ადგილმდებარეობა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ., 1925 წ., გვ. 27-34).

ნაში მოუქცია ლაზიკა; ამიტომ იგი მტკიცედ იცავდა და ავრცელებდა მაზღეანურ სარწმუნოებას, რადგანაც მისი მიღებით თუ უარყოფით განისაზღვრებოდა ლაზიკის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც.

ამის საწინააღმდეგოდ, რომ-ბიზანტია¹ ლაზიკასა და იბერიაში ქრისტიანულ მოძღვრებას ავრცელებდა, რაც საფრთხეს უმზადებდა მაზღეანობის განმტკიცებას. ამ ბრძოლაში რომმა გაიმარჯვა და 337 წელს იბერიაში ქრისტიანობა აღიარებულ იქნა ოფიციალურ რელიგიად.² ქრისტიანობის განმტკიცება ნიშნავდა რომის პოლიტიკური ძალაუფლების გამარჯვებას იბერიაში და აგრეთვე ლაზიკაშიც.

სპარსეთის მეფეები ამას კარგად ხედავდნენ: ამიტომ ისინი ყოველგვარ ხერხს იყენებდნენ, რომ როგორმე შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა იბერიასა და ლაზიკაზე, ცდილობდნენ რომაელების მიერ დანიშნული მეფეების ტახტიდან გადაგდებას და თავიანთი წარმომადგენლების დასმას, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ.

მაშინ სპარსეთმა გადაწყვიტა იარაღის საშუალებით განესორციელებინა თავისი პოლიტიკური მიზანი. სპარსეთის შაჰმა იეზიდგერდ II (438-457 წწ.) დიდი ბრძოლის შემდეგ შეძლო ჯერ სომხეთის დაპყრობა, შემდეგ იბერიის მეფის ვახტანგ გორგასალის (446-499 წ. წ.) დამარცხება და იბერიის სამეფოს ხელში ჩაგდება.³

ამის შემდეგ ირანის მეფეები შეუდგნენ ლაზიკის გადმობირებას თავიანთ მხარეზე. აწარმოებდნენ რა საიდუმლო მოლაპარაკებას ლაზთა მეფეებთან, ურჩევდნენ მაზღეანობის მიღებას და ამ გზით რომაელთა ბატონობისაგან თავის დაღწევას.

ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა მეფე კოვადი (488-531 წწ.), იგი რომს ლაზიკაზე თავის უფლებებს ედავებოდა. ამ საკითხის გარშემო მალე დაიწყო მოლაპარაკება რომაელებსა და სპარსეთს შორის. რომაელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თქმით სპარსეთის წარმომადგენელმა სეოსმა თქვა, რომ კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკე ეწოდება, ძველითგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ. უსამართლოდ. რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ედავებოდნენო“.⁴

1 ამ პერიოდის საისტორიო წყაროებში აღმოს. რომი და ბიზანტია ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება; ჩვენც მას ისეთივე მნიშვნ. ვხმარობთ.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., ტ. I, თბ., 1928 წ., გვ. 163.

3 იქვე, გვ. 216.

4 გეორგიკა, ტ. II, გვ. 21.

ამგვარად, V საუკუნეში ლაზიკა შეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოექცა. ლაზიკის ხელისუფლებას დიდი წინდახედულება და პოლიტიკური სიფხიზლე მართებდა, რომ თავი დაედნია ორი მოქიშპე აგრესორისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ლაზთა მეფეებმა ამ შემთხვევაში მართლაც დიდი თავდადება და გამჭირახობა გამოიჩინეს უცხოელი დამპყრობლებისაგან სამშობლოს დასაცავად.

ასეთი იყო, სხვათა შორის, ლაზთა მეფე წათე I, რომელიც რომსა და სპარსეთს შორის ორქოფულ პოლიტიკას ეწეოდა. მისი მიზანი იყო გაეთავისუფლებია ლაზიკა ორთავე მოდავე აგრესორ-მფარველებისაგან, რომელთაც ლაზიკის დაპყრობა, მისი დამოუკიდებლობის მოსპობა სურდათ. წათე ხელსაყრელი მომენტით სარგებლობდა და ხან ერთის მხარეზე გადადიოდა, ხან მეორის. მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გამსდარა ერთ-ერთი მხარის პოლიტიკური ორიენტაცია მიეღო. 515 წელს წათე ბიზანტიაში გაემგზავრა და კეისარ იუსტინიანეს წარუდგა თხოვნით, რომ თავის მფარველობაში მიეღო, ლაზთა მეფედ დაემტკიცებინა, და აღუთქვა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა. კეისარმა სიამოვნებით შეუსრულა ეს თხოვნა და მონათლა წათეც და მისი შვილიც. წათე სამეფო გვირგვინითა და ძვირფასი საჩუქრებით დაბრუნდა ლაზიკაში.

ამის შესახებ იოანე მალალა ასე მოგვითხრობს:

„იუსტინიანეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათე გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს (ირანს). სპარსთა მეფე იყო კოვადი. რომელიც ოდესღაც თვით წათეს, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და კოვადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომ იყო, რომ როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვალა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათე) გადავიდა ბარბაროსთა სარწმუნოებაზე, რადგანაც ეშინოდა — ვაითუ, სპარსთა მეფემ კოვადმა მეფედ არ დამნიშნოსო; მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა. ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, ის მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიაში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო და აკურთხა. გაქრისტიანებულმა წათემ შეირთო რომაელი ქალი. პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე. მან თან წაიყვანა ის საკუთარ ქვეყანაში რომაელთა მეფის იუსტინიანეს მიერ დაგვირგვინებულნი; მას ემოსა რომაული სამეფო გვირგვინი და თეთრი, წმინდა აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც ძოწეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინიანეს გამო-

ხატულებით; წაღები, რომელსაც ატარებდა, თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული“.¹

ლაზიკის მეფის გადაბირებით შეურაცხყოფილმა კოვადმა რომის კეისარს უსაყვედურა — ქვეშევრდომს მართმევთო.

ამაზე რომაელთა მეფემ იუსტინიანემ ელჩის პირით შემდეგი შეუთვალა: „ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არც არავინ მიგვიღია და არც გადმოგვიბირებია. ჩვენთან მოვიდა ერთი კაცი, სახელად წათე, და მუდარით მოგვმართა გაგვექრისტიანებინა. ჩვენ იგი გავაქრისტიანეთ და მის ქვეყანაში გავისტუმრეთ“.²

ამის შემდეგ სპარსეთსა და რომს შორის დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება, დესპანების მიმოსვლა. სპარსეთის მეფის დესპანები რომაელებს უმტკიცებდნენ, რომ თქვენ ლაზიკა ძალმომრეობით გიჭირავთ, იგი სპარსეთის მეფეს ეკუთვნისო. რომაელები კი თავისას გაიძახოდნენ, ლაზიკა მუდამ ჩვენს მფლობელობაში შედიოდაო.

მშვიდობიანი გზით რომ ვერას გახდა, სპარსეთის მეფემ 520 წელს ლაზთა მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომ წათე სასტიკად დაესაჯა ორგულობისათვის. წათეს ბიზანტიის კეისარი მიეშველა; ლაზ-რომაელთა შეერთებულმა მხედრობამ სპარსეთის ლაშქარი დაამარცხა და უკუაქცია.

531 წელს გარდაიცვალა სპარსეთის მეფე კოვადი. კოვადის მემკვიდრემ ხოსრო I (531-539 წწ.) და რომის კეისარმა იუსტინიანემ დაიწყეს საზავო მოლაპარაკება, და 532 წელს დასდეს ე. წ. „საუკუნო ზავი“ (უვადო ხელშეკრულება).

ამ ხელშეკრულებით ლაზიკა რომაელებს დარჩათ, იბერია კი სპარსეთს. ირანელებმა იბერიაში მეფობა მოსპეს და შეუდგნენ საზღვრების გამაგრებას. თავის მხრივ რომაელებმაც მოჰკიდეს ხელი ლაზიკის საზღვრების გამაგრებას და მოსალოდნელი შემოსევებისაგან თავდასაცავად ლაზიკის ციხეებში თავიანთი ჯარები ჩააყენეს. ლაზთა მეფეს რომაელების ასეთი მოქცევა არ მოსწონდა, რადგან ყოველივე ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო რომაელების მხრივ ლაზიკის მთლიანად დაპყრობა. ამასთან ბიზანტიის ჯარის უფროსები მეტად უდიერად იქცეოდნენ, მოსახლეობას აწუხებდნენ სხვადასხვა მოთხოვნილებებით, აყენებდნენ შეურაცხყოფას და სხვა.

¹ გეორგია. ტ. III, გვ. 263-265.

² იქვე, გვ. 266-267.

მათში ყველაზე უდიერი იყო სარდალი იოანე ციბე. მისი თანამედროვე ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი მას ასე ახასიათებს:

„ხოლო შემდეგ იუსტინიანემ სხვა მთავრები გააგზავნა ლაზიკეში, მათ შორის იოანეც, რომელსაც ციბეს უწოდებდნენ, კაცი არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით. გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო, რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არივდარია.

ვაკრებს ხომ უკვე ნება აღარ ქონდათ კოლხილაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქიდან შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე. ი. იოანემ) შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქცა მეწვრიმალედ და მთელი, ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომად: ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო. გარდა ამისა ბარბაროსები იმითაც იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მათ რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია“.¹

ამ დროს ლაზიკაში მეფობდა გულადი მეფე გუბაზი. რომაელმა სარდალმა იგი ისე შეზღუდა, რომ შეიძლება ითქვას, მას მხოლოდ მეფის სახელი-და ჰქონდა შერჩენილი, ფაქტიურად კი ლაზიკის ყველა საშინაო და საგარეო საქმეებს იოანე განაგებდა. როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს — სამეფო ძალაუფლების მითვისებასთან ერთად იოანე, პირადი გამდიდრების მიზნით, ცდილობდა ხელში ჩაეგდო სავაჭრო ადგილები (ფაზისი, ბიკვინტა (პიტიუნტი), სებასტოპოლისი და სხვ.), ვაკრებს ნებას არ აძლევდა საქონელი შეესყიდათ, ჯერ თვითონ ყიდულობდა, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, უფრო ძვირად მათ მიყიდდა ხოლმე. ასეთი ხრიკებით იოანე ციბე გამდიდრდა, გაძლიერდა და ქონებრივ-ეკონომიურადაც დაეპატრონა ლაზთა სამეფოს.

პროკოპი კესარიელის სიტყვით, იოანეს ასეთმა უხეშმა პოლიტიკამ და ხალხის ყვლეფამ მეტად შეაწუხა ლაზიკის მოსახლეობა; მოთმინებიდან გამოსულმა მეფე გუბაზმა ამაზე არა ერთხელ მიმართა საჩივრით ბიზანტიის კეისარს, მაგრამ შედეგი ყოველთვის ის იყო, რომ საჩივრითა და დასმენით გაბოროტებული იოანე ციბე

¹ გეორგია. ტ. II, 1934 წ., გვ. 47-48.

კიდევ უფრო მკაცრად ეკიდებოდა ლაზიკის მმართველ წრეებსა და მათ ქვეშევრდომთ.

ასეთ პირობებში ძნელი იყო პირდაპირი შებრძოლება ან ამბოხების მოწყობა ისეთი ძლიერი აგრესორის წინააღმდეგ, როგორც იყო აღმ. რომი. ლაზიკის პატარა სამეფოსათვის ეს მიზანშეუწონელი და პოლიტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. საჭირო იყო რომაელთა მოწინააღმდეგე ძალის, სახელდობრ სპარსეთის გამოყენება, რომ ამ ორ აგრესორთა დაპირისპირებით ლაზიკას თავი დაეღწია უცხოელ დამპყრობთა ძალმომრეობისაგან. ამ შემთხვევაში გუბაზმა ჩვეულებრივი დიპლომატიური ხერხი გამოიყენა: გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა ირანის მეფე ხოსროსათვის და მას საიდუმლოდ გაუგზავნა კაცები.

პროკოპი კესარიელის ცნობით, ხოსროს ლაზების მოციქულები მიუღია და მათგან მოუსმენია შემდეგი სიტყვები: „კოლხები ხომ ძველთაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ეხლაც არის დაცული. ხოლო შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა — მოხდა კი ეს ან თქვენი უზრუნველობით იმათზე, ან სხვა მიზეზის გამო (ჩვენ ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით). ეხლა-კი ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენონ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ. მხოლოდ გთხოვთ თქვენ განსაჯოთ ჩვენს შესახებ... საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიღინეს ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს. მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ. იმ აზრით, რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფეც, რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: საჭირო საგნებიდან რაც-კი ზედმეტი აღმოჩნდება მათთვის, მის ყიდვას აიძულებდნენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც ლაზიკეს შეუძლია მისცეს მათთვის საჭირო საგნებიდან, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ

სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში მმართველთა აზრის-
და მიხედვით წესდება. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი
გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილ-
შობილ სახეს, საქმით კი ისინი გემძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო
მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრიძალე. რომელიც ჩვენს სი-
ლარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი,
ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა.

იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ
მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ესლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძა-
ლას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით
თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვე-
ყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით; აქ თუ ხომალდებს
ააგებ, მეფევე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიო-
ნის პალატს მიაღწიო, გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შე-
გზვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებუ-
ლი, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რო-
მაელთა მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ. იცით. რომ
ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარ-
მოადგენდა.“¹

როგორც ვხედავთ, ლაზთა მეფის ელჩების ამ დიპლომატიურ
სიტყვაში გარკვევით არის გადმოცემული ლაზიკის დუხჭირი მდგო-
მარეობა, აგრეთვე მთელი ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა
ლაზიკაში რომის ხელისუფლება. საყურადღებოა აგრეთვე ელჩების
მითითება იმის შესახებ, თუ რა დიდი სტრატეგიულ-პოლიტიკური
მნიშვნელობა ექნებოდა ლაზიკის შეერთებას სპარსეთისათვის, რო-
მელსაც აქედან შეეძლო მთელი შავი ზღვის სანაპიროების ხელში
ჩაგდება და შემდეგ კი თვით რომაელთა სატახტო ქალაქის დაპყრო-
ბაც.

სპარსეთის მეფეს თურმე ძალიან მოეწონა ლაზიკის მოციქუ-
ლების წინადადება და დახმარებას შეჰპირდა. დესპანებმა შაჰს ალუ-
თქვეს, გზებისა ნუ გეშინიათ, ჩვენ თვითონ გავუძღვებით თქვენს-
ჯარს და კარგი გზით ვატარებთო. ხოსრომ ამასთანავე ელჩები გააფ-
რთხილა, რომ ეს მათი შეთანხმება ჯერ საიდუმლოდ შეენახათ და
არავისათვის არ გაემჟღავნებიათ. ამავე დროს ხოსრო ლაშქრის შეგ-
როვების თადარიგს შეუდგა და განგებ ავრცელებდა ხმებს, რომ ვი-
თომც ქართლში მიდიოდა იქაური საქმეების მოსაგვარებლად.

¹ გეორგიკა, ტ. 11, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამო-
ცემა, თბილისი, 1934 წ., გვ. 49-53.

542 წელს ხოსრო მეფე გასალაშქრებლად მზად იყო და დიდი ჯარით შევიდა ქართლში, აქედან კი ლაზიკისაკენ დაიძრა. სპარსეთის ლაშქარს ლაზი ელჩების მეთაურები მიუძღოდნენ. სპარსეთის ჯარს ძნელი გასავლელი გზების გადალახვა უხდებოდა. როდესაც ხოსრო ლაზიკის შუაგულს მიუახლოვდა, მას ლაზთა მეფე გუბაზი მიეგება და მიესალმა, როგორც თავის მფარველს.¹

სპარსეთის ლაშქარმა ციხე-ქალაქ პეტრას ალყა შემოარტყა. რომაელები მას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ხოსრომ დიდი ზარალის შემდეგ ქალაქი მაინც აიღო. მეციხოვნე ლაშქრის სარდალი იოანე ციხე ჭრილობისაგან მალე გარდაიცვალა; ამით ისარგებლეს სპარსელებმა და პეტრას ციხის ზღუდის ქვეშ თხრილის გაყვანა დაიწყეს, რომ ხოსროს ლაშქარი ამ გზით შესულიყო ციხეში. რომაელთა მეციხოვნე ჯარი შეშინდა და შერიგება ითხოვა. ხოსრო შეპირდა მეციხოვნეებს, რომ მათ ქონებას ხელს არ ახლებდა და ყველას სიოცხლეს შეუწარჩუნებდა. მაშინ მეციხოვნეებმა ციხის კარები გაუღეს ხოსროს და ამრიგად მან ხელში ჩაიგდო იოანეს დიდძალი ქონება.

ხოსრო ამ გამარჯვებით ნასიამოვნები დარჩა; იგი დარწმუნებული იყო, რომ პეტრას ციხის ხელში ჩაგდებით საფრთხე აღარ მოელოდა დასავლეთის მხრიდან. პირიქით, აქედან ახლა თვითონ მას შეეძლო შეტევაზე გადასულიყო რომაელების წინააღმდეგ, ხელში ჩაეგდო შავი ზღვის სანაპირო, გაეძლიერებინა ვაჭრობა, ნაოსნობა და, ამგვარად, გაბატონებულიყო შავ ზღვაზე. ამასთან ხოსროს კარგად ესმოდა, რომ რომის იმპერიისაგან ლაზიკის მოწყვეტის შემდეგ ამბოხების საშუალება ესპობოდა თვით იბერიასაც (ქართლს), რადგან ლაზები მუდამ აქტიურ დახმარებას უწევდნენ მემამოხე იბერიელებს, საიმედო თავშესაფარს აძლევდნენ ლაზიკაში.

სპარსეთის ეს დაპყრობითი პოლიტიკა დიდ საფრთხეს უმზადებდა ლაზიკის დამოუკიდებელ არსებობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანელებმა ხელთ იგდეს შავი ზღვის სანაპიროს სავაჭრო ქალაქები და ინდოეთის სატრანზიტო გზა, რომელიც გადიოდა ლაზიკა-იბერიაზე.

ამან დასავლეთის ვაჭრობას მოსწყვიტა ლაზიკა, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა თავისი ალბ-მიცემობა ეწარმოებინა. ეს ქვეყნის ეკონომიურად დაქვეითებას იწვევდა და ლაზიკის სამეფოს მო-

¹ გეორგიკა, ტ. II, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1934 წ., გვ. 54.

სპობის გზაზე აყენებდა. ამავე დროს, ლაზიკაში სპარსეთის პოლიტიკა რომაელებთან შედარებით უფრო დესპოტური აღმოჩნდა. სპარსეთი გუბაზ მეფის შინაურ საქმეებში ერეოდა. მისი მოხელეები მოსახლეობას აწუხებდნენ სხვადასხვა გადასახადებით. მეციხოვნე ჯარი მცხოვრებლებს უდიერად ეპყრობოდა, ხშირად სარჩოსაც სტაცებდა და სხვ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქრისტიანებისათვის. სპარსელები სდევნიდნენ და ავიწროებდნენ ლაზიკის გაქრისტიანებულ მოსახლეობას და ძალდატანებით ავრცელებდნენ მათ დევანობას.

ცხადია, ლაზიკის ხელისუფლებას რომაელების წინააღმდეგ სპარსეთის გამოყენების იმედი გაუტრუვედა. გუბაზი ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დაეღწია თავი სპარსთა ბატონობისაგან.

ხოსრომ ყველაფერი ეს კარგად იცოდა და უნდობლად ეპყრობოდა ლაზიკის მეფეს. მან გადაწყვიტა საბოლოოდ დაეპყრო ლაზიკა, რომ ამით მოესპო ლაზიკაში აჯანყების ყოველგვარი ცდა. ამ მიზნით ხოსრომ განიზრახა მოეკვლევინებინა ლაზთა მეფე გუბაზი, აეყარა და სპარსეთში გადაესახლებინა ლაზიკის მოსახლეობა, მის ნაცვლად კი სპარსთა ტომები გადმოესახლებინა ლაზიკაში.

ამის შესახებ აი რას მოგვითხრობს პროკოპი კესარიელი: „მას ხომ ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა, რომ კოლხიდის ქვეყანა ჰქონოდა მტკიცე საკუთრებად მითვისებული, რადგან, მისი აზრით. სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდს სარგებლობას მოუტანდა... ყველაზე უფრო-კი, მას იმედი ჰქონდა, ლაზიკეს მხრით გაძლიერება სპარსელებისათვის იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ იქიდან შეტევით ადვილად შესძლებდნენ თავს დასხმოდნენ ხმელეთითაც და ზღვითაც... და მოულოდნელად დაეპყროთ ბიზანტიელები... ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკეს შემოერთება, ხოლო ლაზებისადმი ნდობა მას ძალიან ნაკლებად ჰქონდა, ვინაიდან, როდესაც რომაელები ლაზიკედან წავიდნენ, ლაზთა უმეტესობა სპარსელების ხელისუფლების ქვეშ საგრძნობლად შეწუხდა: სპარსელები ცხოვრებაში ზომავზე მეტად მკაცრი არიან და მათი დადგენილებანი სრულებით მიუღებელია. ლაზების მიმართ მაინც განსაკუთრებით ძლიერ იჩენს თავს განსხვავება მსოფლმხედველობისა, რადგან ლაზები ქრისტიანენი არიან...“

ამის გარდა, ლაზიკაში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავეებით რომაელთა სანაპიროებიდან, და ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მომწოდებ-

ლებს, არამედ ტყავეულს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებოდა. ცხადია, ეს რომ დაქვარგეს, გამწარებული იყვნენ. ხოსრომ ეს იცოდა, და ამიტომ იმის ცდაში იყო, რომ, ვიდრე ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ, წინასწარ უზრუნველყო თავისი მდგომარეობა. და მას, ამის განმზრახველს, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თავიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი, და ლაზები იქიდან სრულიად გადაესახლებინა და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც.¹

ეს საიდუმლო ხოსრომ ეთ დაახლოებულ პირს — ფავრიზს გაანდო, იგი ლაზიკაში გაგზავნა და თან 300 მეომარი გააყოლა. ფავრიზმა იქ გუბაზის უკმაყოფილო პირები დარაზმა. მათი დახმარებით სურდა გუბაზის მოკვლა, მაგრამ გუბაზმა ფავრიზის განზრახვა დროზე შეიტყო. ამან აღაშფოთა ისედაც გამდგარი მეფე და ლაზიკის აწარჩინებულები.

ამგვარად, ლაზიკის სამეფო დიდი საფრთხის წინაშე იდგა. მას მოელოდა არამცთუ დამოუკიდებლობის დაკარგვა, არამედ ეროვნული განადგურება — გადასახლებაც.

საჭირო იყო ამ დიდი უბედურებისაგან ქვეყნის დახსნა. მაგრამ ლაზიკის პატარა სამეფოს განა შეეძლო საკუთარი ძალებით შინ შემოჭრილი ძლიერი მტრის მოგერიება? — რა თქმა უნდა, არა. ამიტომ საჭირო შეიქნა ისევ ძველი ნაცადი დიპლომატიური მეთოდის მომარჩევა, და გუბაზმა დახმარებისათვის ისევ სპარსეთის მტერს, ბიზანტიას მიმართა. ამ მისიით წარგზავნილმა გუბაზის მოციქულებმა ბიზანტიის კეისარს იუსტინიანეს აუხსნეს მდგომარეობა და სთხოვეს, რომ ეპატიებინა ლაზებისათვის ის, რაც წინათ ჩაიდინეს და ყოველი ღონით ხელი შეეწყო მათთვის, რომ განთავისუფლებულიყვნენ მიდთა (სპარსელების) ძალაუფლებისაგან.²

ამგვარად სამშობლოს სიყვარულმა გუბაზ მეფე იძულებული გახადა კვლავ ქედი მოეხარა ბიზანტიის კეისრის წინაშე.

ბიზანტიის კეისარი ამას ასეც ელოდა. იგი მხოლოდ მოხერხებულ დროს უტეხდა, რომ ლაზიკიდან განედევნა თავისი მოქიშვე და ლაზიკა კვლავ თავის მფარველობაში მოექცია. ამიტომ იუსტინიანე კეისარმა გუბაზის თხოვნა შეიწყნარა და ლაზიკიდან სპარსეთის

1 გეორგია, ტ. 11, გვ. 65-68.

2 იქვე, გვ. 70-71.

გასადევნად გამოგზავნა 7.000 ჯარისკაცი და 1.000 ქანი ლაგისტს მეთაურობით.

ხოლო, გაიგო თუ არა ლაზიკის განდგომის ამბავი, მაშინვე გამოგზავნა მაშველი ჯარი სარდალ მერმეროეს მეთაურობით.

ამრიგად, ლაზიკა ომის ასპარეზად გადაიქცა. მთავარი ბრძოლა წარმოებდა პეტრას ციხის გარშემო, სადაც გამაგრებული იყვნენ სპარსეთის მეციხოვნენი. ეს ბრძოლა რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა. 549 წელს მათ შეძლეს განედევნათ ლაზიკიდან სპარსთა ჯარი.

მაგრამ სპარსეთის შაჰი მინც არ ჰყრიდა იარაღს. 550 წელს ლაზიკას კვლავ მოადგა სპარსთა დიდძალი ჯარი სარდალ ხურიანეს მეთაურობით და დაბანაკდა ცხენისწყლის პირას. დიდი ბრძოლის შემდეგ სპარსელები აქაც დამარცხდნენ. გამარჯვებულმა მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს მათი ბანაკი.

ამ ბრძოლის შემდეგ ლაზები უკმაყოფილონი იყვნენ ლაგისტის მოქმედებით და იგი კეისართან დაასმინეს სპარსელების მოსყიდულიათ. კეისარმა ლაგისტე კონსტანტინოპოლში დაეხარა და ციხეში ჩააგდო, მის ნაცვლად კი სარდალი ბესა გამოგზავნა.

ლაზიკიდან სპარსელების გასადევნად მთავარი იყო პეტრას ციხის აღება, სადაც სპარსთა ჯარი იყო გამაგრებული.

551 წელს ბესა თავისი ჯარით პეტრას ციხისაკენ დაიძრა და ალყა შემოარტყა. მეციხოვნე ჯარი დიდ წინააღმდეგობას უწევდა, რადგანაც ამ ციხის აღებით წყდებოდა ლაზიკაში სპარსეთის ბატონობის საკითხი. დიდი ბრძოლის შემდეგ ბესამ პეტრა აიღო და ციხის კედლები დაანგრია.

სპარსეთიდან მომავალმა მერმეროემ, შეიტყო რა ეს ამბავი, დიდძალი ჯარით გაემართა რომაელების ბანაკისაკენ, ლაზიკის სატახტო ქალაქ არქეოპოლისის (ნაქალაქევი) ალყა შემოარტყა და დაიწყო ბრძოლა, მაგრამ მერმეროე მალე იძულებული გახდა დაეხია არქეოპოლისიდან მუხურისის სანახებში ქუთაისისაკენ.

ლაზიკის ცალკეული წრეები, განსაკუთრებით სარდლები, უკმაყოფილო იყვნენ ბიზანტიის ჯარის მოქმედებით. ისინი უხეშად ეპყრობოდნენ, ძარცვავდნენ მოსახლეობას, აწუხებდნენ ზედმეტი გადასახადებით. ამიტომ ბიზანტიის მოწინააღმდეგე ეს უკმაყოფილო ჯგუფი ახლა სპარსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა; მათ ჩუმად დასცეს სპარსელებს ქუთაისის პირდაპირ მდებარე უჩიმერო ხე, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

მეფე გუბაზი ამ ჯგუფს არ თანაუგრძნობდა; პირიქით, იგი მტკიცედ იდგა ბიზანტიის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ამაგრებდა საზღვრებს და საომრად ემზადებოდა, რომ როგორმე გაეთავისუფლებინა ლაზიკა სპარსელებისაგან.

551 წელს, გაზაფხულდა თუ არა, განახლდა ბრძოლა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. რამდენიმე შეტაკების შემდეგ, მუხურისში, ქუთაისში, არქეოპოლისში და სხვა ადგილებში სპარსელებმა გაიმარჯვეს. მერმეროემ ბიზანტიელების მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდო. აღებულ ციხეებში მან სპარსეთის ჯარი ჩააყენა. ამის შემდეგ მერმეროეს დიდხანს აღარ უცოცხლია. 554 წელს გარდაიცვალა და მის მოადგილედ სპარსეთის მეფემ ნახორაგანი გამოგზავნა.¹

მეფე გუბაზი ამ მდგომარეობამ საგონებელში ჩააგდო; სპარსელების გამარჯვებას იგი ბიზანტიელი სარდლების უმოქმედობითა და უნიჭობით ხსნიდა, მათ ბრალს სდებდა ხალხის ყვლეფაში. სარდლები — მარტინე, ბესა და რუსტიკე — ლაზიკის დაცვით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი, ამიტომ გუბაზი არც ერთ მათგანს არ ენდობოდა, მათდამი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ბოლოს ბიზანტიის კეისარსაც შესჩივლა: შენი მოხელეები საქმეს მიფუჭებენო.

კეისარმა ყურადყო გუბაზის ჩივილი, ბესა გადააყენა, დანარჩენებს კი სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ამის შესახებ აგათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს:

„როდესაც რომაელები დამარცხდნენ (ირანელებთან ბრძოლაში), სამარცხვინოდ გაიქცნენ და თავიანთი ბარგის ერთი ნაწილიც მტერს მიუტოვეს, ლაზთა მეფემ გუბაზმა, რომელსაც ასეთი სასიროცხვილო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა — ვაითუ ამის მეტი კიდევ რამე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი, ბრალს სდებდა სტრატეგოსებს, და ყველაფერს, რაც მოხდა, მათ უგზურებას მიაწერდა. განსაკუთრებით ამტყუნებდა ბესას, მის შემდეგ მარტინეს და რუსტიკეს“.²

ამაზე გუბაზს ბიზანტიის სარდლები გადაეკიდნენ და იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე შური ეძიათ მასზე — მოეკლათ. ამ მიზნით სარდლებმა გუბაზი არაერთხელ დააბეზლეს კეისართან, რომ ვითომც გუბაზს ირანთან საიდუმლო კავშირი აქვს, კეისარს დალატობსო. ბოლოს ბიზანტიონში კეისართან გაგზავნეს რუსტიკეს ძმა იოა-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, მეხუთე გამოცემა, 1960 წ., გვ. 255.

2 გეორგიკა, ტ. III, გვ. 42-44.

ნე, რომელსაც დავალებული ჰქონდა გუბაზის მოლაღატეობაში დაერწმუნებინა კეისარი და მიეღო მისი მოკვლის სანქცია.

„როდესაც იოანე — მოგვიტხრობს აგათია სქოლასტიკოსი — ფარულად მივიდა მეფესთან სალაპარაკოდ, დააბეზლა გუბაზი: გადაგვიდგა, სპარსელებს მოუძღვება და საცაა მთელ ქვეყანას მათ გადასცემს, თუ სასწრაფოდ რაიმე ზომას არ მივიღებთო. მეფე გაშტერდა ამ დაუჭერებელი ამბით და უთხრა:

— მაშ, მიიღეთ ზომები, რომ ის აქ მოვიდეს.

იოანეს შეეშინდა, ის რომ აქ მოვიდეს, ვაი, თუ ჩვენი ვერაგობა გამოძეღვენდესო და მოახსენა:

— როგორ მოვიტყუთ, ბატონო, თავისი ნებით რომ არ ირჩიოს აქ გამოცხადება?

— ძალა დაატანეთ, — უპასუხა მეფემ, — ქვეშევრდომია, ყოველივე ღონე იხმარეთ და გამოგზავნეთ.

იოანემ მაშინვე ჩამოართვა სიტყვა:

— ძალას დავატანთ, მაგრამ წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს, რა ვუყოთ?

— სხვა რა უნდა უყოთ, — უთხრა მეფემ, — ტირანული საქციელი უნდა დაისაჯოს, სასტიკად უნდა მოისრას.

— მაშ, — თქვა იოანემ, — არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეს იმას, ვინც მას მოკლავს?

— რასაკვირველია, არა, — უთხრა მეფემ, — თუ ის წინააღმდეგობას გასწევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა მოისპოს, როგორც შტერი“.

ასეთი სანქციის მიღების შემდეგ, ბიზანტიის სარდლები გუბაზის მოკვლის თადარიგს შეუდგნენ, მხოლოდ ამისათვის მოხერხებულ შემთხვევას ეძებდნენ.

გუბაზმა კარგად იცოდა ბიზანტიელი სარდლების მისდამი მტრული განწყობილება და ფრთხილად ადევნებდა თვალს მათ მოქმედებას.

შეთქმულებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს მიეწვიათ გუბაზი სალაშქროდ ონოგურისიდან სპარსელების გასარეკად და იქ მოეკლათ.

გუბაზ მეფე სარდლებს უმცველოდ და უიარაღოდ ხობის წყალთან შეეგება. ყველანი ცხენებზე ისხდნენ. რუსტიკემ უთხრა მეფეს: „აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივიღივართ, რომლებიც ონოგურისში ჩამჯდარან, გამოგვეყვი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაშიო.“

„ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ, — მიუგო გუბაზმა, — რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი იმა-ში, რაც მოხდა. თქვენ რომ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენ წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ჭულმოგლეჯილი გაიქცევოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან. ახლაკი, ძვირფასო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დიდება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმალლეზე დგახართ, თქვენი შეცდომა უნდა გამოასწოროთ. რაც შეეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენს მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ“. როგორც კი ეს თქვა, იოანემ, რომელიც იმ ვერაგთა შიკრიკი იყო, მაშინვე იშიშვლა ჩუმად ხანჯალი და მკერდში ჩასცა გუბაზს, მაგრამ არა სასიკვდილოდ. გუბაზს თურმე ცხენის კისერზე ჰქონდა ფეხები შემოკეცილი და ერთბაშად დაეცა ძირს. გუბაზმა ფორთხვა დაიწყო და ცდილობდა ამდგარიყო; ამ დროს ზედ წაადგა რუსტიკეს მეშუბე, რომელსაც დავალებული ჰქონდა მახვილით გაეჩეხა თავი და ბოლო მოუღო მის სიცოცხლეს.¹

ასე ვერაგულად მოკლეს ლაზიკის თავისუფლებისათვის მებრძოლი გუბაზი. გულადი მეფის ვერაგულად მოკვლამ მთელი ლაზიკა აღაშფოთა. მოსალოდნელი იყო დიდი ამბოხება.

აგათია სქოლასტიკოსის თქმით, „ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრნათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა“.²

ლაზები მოითხოვდნენ მკვლელების გასამართლებას და დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში შურისძიებით იმუქრებოდნენ. აღელვებული ხალხი გაიყო ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად. ერთი მათგანი მოითხოვდა ბიზანტიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას და სპარსეთის მხარეზე გადასვლას. ეს ჯგუფი გუბაზის მკვლელობაში ბრალს სდებდა იუსტინიანე კეისარს და ამტკიცებდა, რომ ბერძნები ვერაგი ხალხია, ამიტომ სჯობია სპარსელებს მივემხროთ და ბიზანტიაზე შური ვიძიოთ. ამ ჯგუფის მეთაური იყო ლაზიკაში გონებამახვილობით განთქმული კაცი არეტი.

¹ გეორგიკა, ტ. III, გვ. 46-50.

² იქვე.

ჩვენ აქ მოვიტანთ ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილს აიეტის სიტყვიდან, რომელიც ვრცლად აქვს მოყვანილი აგათია სქოლასტიკოსს: „საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქნა მოსპობილი, გაქრა კოლხთა (ლაზების) ძველი ღირსება, და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ვსხედვართ და ვმსჯელობთ — მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად. უნდა ვიცოდეთ, რომ მათი (ბიზანტიელების) თავხედობა ამაზე არ შეჩერდება. მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა. და ეს ბოროტება რომ ასე ერთბაშად იქნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს. სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავის მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული, ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება. მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ. ვინც უფრო კეთილმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას მოკავშირეთა მიმართ“.¹

აიეტის გამოსვლამ ხალხი აღაფრთოვანა. მაგრამ ამ დროს გამოვიდა ბიზანტიის მომხრეთა ჯგუფის მეთაური ფარტაზე და აღელვებულ ხალხს მოუწოდა მეტი გონიერება და წინდახედულება გამოეჩინა ამ საქმეში. იგი ამტკიცებდა, კეისარი ამ სამარცხვინო მკვლელობაში მონაწილე არ შეიძლება იყოსო. საკმარისია იუსტინიანეს აუხსნათ საქმის ნამდვილი ვითარება, მოვთხოვოთ მას დამნაშავეთა დასჯა, და იგი ყველაფერს აგვისრულებსო. „წყეულნი და შეჩვენებულნი არიან ისინი, — ამბობდა ფარტაზე, — რომელთაც განგმირეს გუბაზი, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო. ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების (ქრისტიანულის) შესრულებას და თავიანთ წესზე (მაზდეანობაზე) გადაგვიყვანენ. ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ? რას მოვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სული კი წავიწყმიდოთ. მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და არა საიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული. ჰოდა, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ სპარ-

¹ გეორგიკა, ტ. III, გვ. 64-71.

სელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ისლა გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან“.¹

ხანგრძლივი უთანხმოებისა და დავის შემდეგ გაიმარჯვა ფარტახის ჯგუფმა. მოხდა ის, რომ ლაზებმა აირჩიეს წარმომადგენლები და გაგზავნეს კონსტანტინეპოლში — იუსტინიანე კეისართან. წარგზავნილებმა: კეისარს აუხსნეს საქმის ვითარება და მოსთხოვეს დამნაშავეთა სასტიკი დასჯა და ლაზიკის მეფედ გუბაზის ძმის წათე II-ის დამტკიცება. კეისარმა ლაზების ეს მოთხოვნა მაშინვე შეასრულა. ლაზიკის მეფედ დაამტკიცა წათე II, უბოძა მას სამეფო ნიშნები და დიდად დასაჩუქრებული გაისტუმრა ლაზიკაში. ამასთან ერთად გამოგზავნა სენატორი ათანასე, რომელიც მაშინვე შეუდგა გუბაზის მკვლელობის საქმის გამოძიებას. ორივე ბრალდებული რუსტიკე და იოანე დააპატიმრა. მათი გასამართლება მოაწყო ლაზიკის დედაქალაქში — არქეოპოლისში, საქმის გარჩევას დაესწრნენ ლაზიკის დიდებულებიც. გასამართლების პროცესს ვრცლად აგვიწერს აგათია სქოლასტიკოსი; ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ნაწყვეტს:

„რუსტიკე და იოანე სატუსალოდან მოიყვანეს და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელნი (კოლხები), რომელთა ბრალმდებლად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოაცხადა, თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ, თუ გსურთ და რადგანაც: საბრალდებო ბევრი ქონდათ სათქმელი, თქვეს: ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზლოთ“.²

სენატორმა ათანასემ ორივე სარდალი ბრალდებულად ცნო და სიკვდილით დასაჯა.

ლაზიკის შინაური საქმეების ცოტად თუ ბევრად მოწესრიგების შემდეგ, მეფე წათე და ბიზანტიის სარდლები სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრების სამზადისს შეუდგნენ. დაიწყო ბრძოლები. თავ-

¹ გეორგიკა, ტ. III, გვ. 72-81.

² იქვე, გვ. 129.

დაპირველი გამარჯვების შემდეგ ირანელებმა ორი დიდი დამარცხება განიცადეს: ქ. ფაზისტან (ფოთი) და არქეოპოლისთან. ირანი იძულებული გახდა ბიზანტიისათვის დაეთმო აგრეთვე ქ. როდოპოლისი (ვარდციხე). ყოველივე ამის შემდეგ ხოსრო მეფემ ლაზიკის დაპყრობის საქმე წაგებულად მიიჩნია და ზავის შეკვრა არჩია, მით უმეტეს, რომ ირანელების ლაშქრობას ლაზიკაში მრავალი დაბრკოლება ელოდებოდა: ადგილის სიშორე, სიძნელე გზებისა, რომლებიც იბერიიდან ლაზიკაში სურამის უღელტეხილის ვიწრო და ძნელ გასასვლელ ხეობაში გადადიოდა; უღრანი ტყეების გაჩხვება, ხიდების აგება და სხვა აბრკოლებდა ირანიდან ჯარის გადაყვანას ლაზიკაში; განსაკუთრებით ძნელი იყო ჯარისათვის სურსათის მიწოდება.

562 წელს ლაზიკაში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის საომარი მოქმედება შეწყდა. ზავი დაიდო 50 წლის ვადით.

თანახმად ზავისა, ხოსრომ ლაზიკის ტერიტორია დასცალა, ჯარი გაიყვანა. ამგვარად, ლაზიკა გათავისუფლდა სპარსი დამპყრობლებისაგან. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, თითქოს 562 წლის ხელშეკრულების შემდეგ სპარსეთ-ბიზანტიას შორის ბრძოლა არ გაგრძელებულიყოს თუნდაც ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების დასაპყრობად. პირიქით, ლაზიკის ხელში ჩაგდებით ბიზანტიელები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექციათ ქართლიც (იბერია), მით უმეტეს, რომ ქართლი ქრისტიანი ქვეყანა იყო და სარწმუნოებრივი კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან.

თვით ქართლის დიდებულებიც ცდილობდნენ ლაზების მეშვეობით კულტურული კავშირი გაემათ ერთმორწმუნე ბიზანტიასთან, რადგან სპარსელები ხელს არ იღებდნენ ქრისტიანი იბერიელების პოლიტიკურ დევნასა და შევიწროებაზე.

572 წელს იბერია სპარსეთს აუჯანყდა და ბიზანტიის მხარეზე გადავიდა.

მეამბოხეებს გამოესარჩლა ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე, რომელმაც დიდი ჯარით დაიწყო შეტევა სპარსეთზე. ჰერაკლეს ამ ბრძოლაში მოემხრნენ ლაზები, აბასგები,¹ და იბერიის მოსახლეობის ერთი ნაწილი. ჰერაკლემ მაშველად მოიწვია აგრეთვე ხაზარები, რომელნიც ხაკანის მეთაურობით გადმოსულან. ხაკანი მათიანეში ცნობილია „ჯიბლუს“ სახელით.

¹ აბასგები — იგივე აფხაზები.

ჰერაკლე კეისარმა თავის მოკავშირეებთან ერთად ალყა შემო-
არტყა თბილისს, სადაც გამაგრებული იყო სპარსეთის ჯარი. დიდი
ბრძოლის შემდეგ 626 წელს ჰერაკლემ თბილისი აიღო და აღმოსავ-
ლეთ საქართველოდანაც განდევნა სპარსელები.¹

ამგვარად, ბრძოლა, რომელიც ლაზიკის დასაპყრობად ბიზანტი-
ასა და სპარსეთს შორის მეშვიდე საუკუნემდე გაგრძელდა, ბიზანტი-
ის გამარჯვებით დამთავრდა.

ამ ბრძოლაში ერთმანეთს ეცილებოდა ორი დიდი სახელმწიფო—
რომი (ბიზანტია) და სპარსეთი (ირანი). თვითეული მათგანი ცდი-
ლობდა დაეპყრო ლაზიკა, თავისი აგრესიული მიზნისათვის გამოეყე-
ნებინა და ამ გზით მოეპოვებინა პოლიტიკურ-ეკონომიური უპირატე-
სობა აღმოსავლეთსა და მცირე აზიის ქვეყნებში. ლაზიკამ, რომე-
ლიც ბრძოლის ასპარეზად იყო ქცეული, არაერთხელ განიცადა ორ-
თავეს შხრიდან შემოსევა, იგი არაერთხელ ააოხრა რომმაც და სპარ-
სეთმაც. ლაზები მუდამ მედგრად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცა-
ვად, მაგრამ ვინაიდან მოწინააღმდეგის დასაძლევად საკუთარი ძალა
და საშუალებანი არ გააჩნდათ, ლაზთა მეფეები იძულებულნი ხდე-
ბოდნენ ორჭოფული პოლიტიკისათვის მიემართათ და ძალთა განწ-
ყობილების მიხედვით გადასულიყვნენ ხან ერთ, ხან მეორე მოწინაა-
ღმდეგე მხარეს.

რასაკვირველია, ბიზანტიის კეისრებსა და სპარსეთის შაჰებს არ
სჯეროდათ ლაზთა მეფეების გულწრფელობა. ამიტომ ხელშეკრუ-
ლების დადებისთანავე ლაზებისაგან მოითხოვდნენ მძევლებს, რომ-
ლებიც მათ კარზე იზრდებოდნენ, სწავლობდნენ იქაურ ენას, ითვის-
ებდნენ მათ ზნე-ჩვეულებებს.

მეორე ძლიერი იარაღი, რომლებსაც დამპყრობელი მხარეები
იყენებდნენ, რელიგია იყო. სპარსეთი მოგვების დახმარებით ავრცე-
ლებდა ლაზიკაში მაზდეანობას, რომ ლაზებში განემტკიცებინა თა-
ვისი პოლიტიკური ბატონობა. ბიზანტია კი ქრისტიანული სარწმუ-
ნოების გავრცელებითა და სეკლესიო-სამონასტრო მშენებლობით
ცდილობდა განედევნა ლაზიკიდან სპარსეთის გავლენა. კულტურუ-
ლი ურთიერთობის მხრივ ლაზიკა უფრო დაკავშირებული იყო ბიზა-
ნტიასთან, ტერიტორიულადაც რომის მოსაზღვრე იყო და ბუნებრი-
ვია, განათლება და კულტურა იქედან უფრო ადვილად შემოდრიოდა,

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნაწ. I, თბილისი,
1928 წ., გვ. 241-248.

ვიდრე შორეული სპარსეთიდან. ცხადია, ლაზიკაში ქრისტიანობაც ადრევე გავრცელებულა.

ლაზიკის სამღვდლოება განაგებდა მეზობელი ქანების საეკლესიო საქმეებსაც. პროკოპი კესარიელის ცნობით: „ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელ მსახურებს“.¹

ლაზებს ქრისტიანული მონასტრები უცხოეთშიც ქონდათ, სასელდობრ იერუსალიმის უდაბნოში. ლაზებს სცოდნიათ ბერძნული ენაც. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, „კოლხებს“ (ლაზებს) უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“.²

ამასვე მოწმობს ბერძენი მწერალი თემისტი (317-338 წწ.), რომელიც ამბობს რომ კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და კულტურა. კოლხები მონაწილეობას იღებდნენ თურმე ელინთა დღესასწაულებში, რომელშიაც არა ერთ კოლხიდელს უსახელებია თავი მკერმეტყველებითა და რიტორიკით. მისივე სიტყვიდან ჩანს, რომ IV საუკ. შუა წლებში კოლხეთში (ლაზიკაში). ფოთის მახლობლად, არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც განათლებას იღებდნენ ბიზანტიიდან მივლინებული ახალგაზრდები, და პირადად მასაც იქ მიუღია რიტორიკული განათლება: „მეც, ჩემო კარგებო, — ამბობს თემისტი, — რიტორიკის ნაყოფი მოეწყვიტე ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ.“³

მიუხედავად ბერძნული კულტურის გავლენისა, ლაზეთს მკიდრო კულტურულ-სარწმუნოებრივი კავშირი ჰქონდა ქართლთანაც (იბერია). განსაკუთრებით ლაზების გაქრისტიანების შემდეგ, მარჯვედ ვრცელდება ჭართული ენა, რომელიც უფრო ადვილად შესათვისებელი იყო მოძმე ქართველი ტომებისათვის. ქართულ ენასთან ერთად ვრცელდებოდა ქართული მწერლობა. ამ კულტურულ დაახლოებას თან სდევდა მოძმე ტომთა ერთიანობის შეგნების ზრდაც.⁴ ჭან-ლაზები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული საეკლესიო მწერლობის დაწინაურებაში.

1 გეორგიკა, ტ. II, გვ. 995.

2 გეორგიკა, ტ. III, გვ. 127.

3 ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, საქ. მუხ. მოამბე, ტ. 10. თბ., 1940 წ., გვ. 337-338.

4 საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო), აკად. ს. ჭანაშვიას რედაქციით, თბ., 1943 წ., გვ. 117-118.

ნ. მარის აზრით, ქანებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ბერძნულიდან ქართულ ენაზე საეკლესიო ხასიათის ლიტერატურის გადათარგმნაში, და მართლაც, რომ ძველ ქართულ ტექსტებში ქანური სიტყვები -- „ქანიზმი“ ბევრია.¹

როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, ლაზთა მეფეები დიპლომატიურ მიმოწერებს და სხვადასხვა მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ თურმე. სხვათაშორის, როდესაც გუბაზ მეფის დესპანები სპარსეთში მივიდნენ, ხოსრო I მოახსენეს, რომ მათ შენახული აქვთ ყველა ის ზავის წიგნები და ხელშეკრულებანი, რომლებიც მათ წინაპრებს სპარსეთის მეფეებთან ქონდათ დადებული.²

ამ პერიოდში (V-VI საუკ.) ლაზიკაში სამეფო საქმეებს განაგებდა გაბატონებული წოდება, რომლის სათავეში იდგა მეფე. მისი უფლებები შემკვიდრეობით გადადიოდა სამეფო გვარში, უფროსობის მიხედვით. მაგალითად, ლაზიკაში წათე I-ის შემდეგ გამეფდა არა მისი შვილი გუბაზი, არამედ წათეს მომდევნო ძმა ოფსითე.

ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის პერიოდში ლაზთა მეფეები ბიზანტიის კეისრისაგან მხოლოდ სამეფო ნიშნებსა და საჩუქრებს იღებდნენ, სამეფო საქმეებს კი თვითონვე განაგებდნენ.

2. ლაზეთის სამეფოს დაშლა

თბილისის აღებისა და ლაზიკა-იბერიიდან სპარსელების განდევნის შემდეგ კეისარი პერაკლე ორივე ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობას ცდილობდა. ეს, მით უმეტეს, საჭირო იყო მისთვის, რადგან სწორედ ამ დროს დაიწყო ძღვევამოსილი ლაშქრობა არაბებისა, რომლებიც უახლოვდებოდნენ ამიერკავკასიის საზღვრებს. მოსალოდნელი საფრთხის ასაცდენად აუცილებელი იყო ქართლისა და ლაზიკის საზღვრების გამაგრება.

ამასთან, ბიზანტიის პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა ლაზიკის მთლიანი სამეფოს წვრილ საერისთავოებად დაშლა-დაქუცმაცებას, რომ ამით უზრუნველყოთ თავისი ბატონობა შავი ზღვის სანაპიროზე; მით უფრო, რომ წარსულის მაგალითებიდან მან კარგად იცოდა ლაზიკის მეფეების მერყეობა და განდგომის მრავალი შემთხვევა. ლაზთა მეფეები ასეთ ურჩობას თვით პერაკლესაც უწევდნენ.

1 Н. Марр, Из поездки в турецкий Лазистан, стр. 549.

2 გეორგია, ტ. II, გვ. 491.

და, როგორც ბიზანტიელი მემატიანეები გადმოგვცემენ, ლაზებმა პერაკლე კეისარს შორეულ ლაშქრობაზე უარი განუცხადეს.

თეოფანეს სიტყვით, „ერთი წლის შემდეგ პერაკლეს სურდა თვით სპარსთა ლაშქარს შეებოდა, მაგრამ ჯარმა, მეტადრე კი ლაზებმა, არ მოინდომეს; ხოლო როდესაც პერაკლეს სპარსთა ლაშქარი მოეწია, ლაზებმა მოკავშირეობაზე კეისარს უაოი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრენ.“¹

ამგვარი შემთხვევა ბიზანტიის კეისარს საბაბს აძლევდა ბოლო მოეღო ლაზიკის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობისათვის, აქაც, როგორც იბერიაში, გაუქმებინა მეფობა და ხელი შეეწყო ცალკე, პატარა საერისთავოების წარმოქმნისათვის.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის და როგორ მოხდა ერთმეფობის გაუქმება ლაზიკაში. მხოლოდ მემატიანე თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, რომ 689 წელს ლაზიკაში მეფობა უკვე აღარ იყო. ქვეყანას მართავდა ლაზიკის პატრიკიოსი (ერისთავი) სერგი ბარნუკის ძე, რომელიც ბიზანტიელებს აჯანყებია და თავისი სამფლობელო არაბებისათვის გადაუტია.²

აქედან ცხადია, რომ ბიზანტიის კეისარს VII საუკუნის მიწურულში განუხორციელებია თავისი აგრესიული ზრახვები ლაზიკის სამეფოს მიმართ, მოუსპია აქ მეფობა და მის ნაცვლად განუწესებია ერისთავები. ერთი მათგანი სერგი ბარნუკის ძე პატრიკიოსის ბიზანტიის საკარისკაცო წოდებას ატარებდა.

ასეთი ძალდატანებითი აქტი, ცხადია, უბრძოლველად არ ჩაივლიდა, მაგრამ ლაზიკის პატარა სამეფოს არ შეეძლო გამკლავებოდა ძლიერ ბიზანტიას და იძულებული გამხდარა ქედი მოეხარა მის წინაშე.

მართლაც, ამ პერიოდში ლაზიკის სამეფო დასუსტებული და დაუძღურებული იყო ხანგრძლივი ომებით.

ლაზიკის სამეფოს დაშლას ხელს უწყობდა აგრეთვე გართულებული საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო არაბთა შემოსევის საშიშროებით. არაბებმა 643 წელს დაიპყრეს აღმოსავლეთ საქართველო. ამის შემდეგ ისინი ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ლაზიკა და ამით მოესპოთ ბიზანტიის პოლიტიკური

1 Theophanis chronographia, I, გვ. 309-310.

2 იქვე, გვ. 370.

და ეკონომიური გავლენა შავი ზღვის სანაპიროებზე და მთელ ამიერკავკასიაზე.

ბიზანტიის კეისარი კარგად გრძნობდა რა საფრთხესაც უშხადებდნენ არაბები. 730 წელს საქართველოზე ხელმეორედ გამოილაშქრა არაბთა ძლიერმა ლაშქარმა მურვანის მეთაურობით.¹ ქართლის აღების შემდეგ, 735 წელს, მურვანი ჯერ სამცხეში გადავიდა, ხოლო იქედან — ლაზიკაში (ეგრისში).²

მურვანმა შეძლო ლაზიკის თითქმის მთელი შავი ზღვის სანაპიროების დალაშქრა.

ეს გარემოება დიდ პოლიტიკურ სიფხიზლეს მოითხოვდა. ლაზიკისა და სამცხის საზღვრების გამაგრებასთან ერთად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ბიზანტიის ერთგული პირების ჩაყენება ლაზიკის საერისთავოებში. ბიზანტიას, რასაკვირველია, არ გამოადგებოდა ისეთი მთავარი, როგორც იყო ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე, რომელსაც კეისრის მტრობით თავისი საერისთავო არაბებისათვის გადაუცია.

ასეთი ერისთავების იმედით ბიზანტიის კეისარს, რასაკვირველია, არ შეეძლო თავისი აგრესიული მიზნების განხორციელება. ამის გამო ის ლაზებსა და მათ ერისთავებს უნდობლად ეპყრობოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბიზანტიის კეისარი ამ პერიოდში აწინაურებს აფხაზეთის ერისთავს, რომელიც უნდა ყოფილიყო მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში.

ასეთი იყო ლეონ I, რომელიც კეისრისაგან დამკვიდრებული იყო აფხაზეთის ერისთავად და რომლის საერისთავოს ტერიტორია ვრცელდებოდა კელასურიდან მცირე ხაზარეთის მდინარემდე.³ ბიზანტია ამ შემთხვევაში აფხაზეთის სამეფოს მფარველობითა და გაძლიერებით ცდილობდა, ერთი მხრივ, ლაზიკის სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლას, ხოლო მეორე მხრივ არაბების შემოსევის წი-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 2, გვ. 350-352; ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, თბ., 1936 წ., გვ. 34-35.

2 ლაზურ-მეგრული სამეფოს რომაულ-ბიზანტიური სახელწოდება „ლაზიკა“ ქართულ საისტორიო მწერლობაში ცნობილია „ეგრისის“ სამეფოს სახელწოდებით. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1906 წ., გვ. 2-3, 10, 19-21), ვახუშტი, აღწერა ეგრისის ქვეყნისა, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904 წ., გვ. 225; ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, თბ., სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936 წ., გვ. 226-227.

3 ექ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალა „მეფეთა დივანი“, ძველი საქართველო, ტ. II, თბ., 1913 წ., განყ. III, გვ. 54; მატიაწე ქართლისა, გვ. 208-209; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბ., 1886 წ., გვ. 274.

ნალმდეგ ერთგვარ საფარად და ციხე-სიმაგრედ გადაექცია აფხაზეთი.

ამ ხელსაყრელი პოლიტიკური შემთხვევით სარგებლობდნენ აფხაზთა ერისთავები, რომლებმაც, ბიზანტიის დახმარებით, შედარებით ადვილად დაიპყრეს ლაზიკის (ეგრისის) სამეფო, და ამ მხარესაც თანდათანობით ლაზიკის ნაცვლად აფხაზეთის სამეფო ეწოდა.¹

ამგვარად, VII-VIII საუკუნის მიჯნაზე ლაზეთმა დაკარგა პოლიტიკური ძალაუფლება და აფხაზთა ერისთავების ხელში გადავიდა.

პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ერთად ლაზიკამ ტერიტორიული ერთიანობაც დაკარგა. იგი ორ ნაწილად გაიყო: სამხრეთ-დასავლეთით მოექცნენ დასავლეთის ქართული მოდგმის ტომები — ჭანლაზები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით — ჩრდილოეთის ქართული მოდგმის ტომები — მეგრელები.

ლაზიკის ტერიტორიის შუა ნაწილი, ქოროხისა და რიონის ხეობა, თანდათან დაიკავეს ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომებმა.

ლაზიკაში ქართველი ტომების გადმოსახლება (ქართლიდან) გამოწვეული იყო უმთავრესად არაბთა შემოსევით, რომლებიც მკაცრად ეპყრობოდნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას, ავიწროებდნენ მათ ქონებრივად, უფლებრივად და სარწმუნოებრივად.

აბასიანთ გვარის ხალიფების მეფობაში არაბებმა მკაცრი სარწმუნოებრივი — მუსლიმანური მიმართულება შემოიღეს პოლიტიკაში და თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად ქვეშევრდომებისაგან მოითხოვდნენ გამუსლიმებას.²

არაბები ქრისტიანებს უნდობლად ეკიდებოდნენ; ამის გამო, ქართლის მოსახლეობა დიდ გასაჭირში იყო. განსაკუთრებით კი შალაღი წოდება, რომლებსაც არაბები აიძულებდნენ სჯულის შეცვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებასა და ქონებას ართმევდნენ.

არაბებისაგან დევნილი ქართლის მოსახლეობა ლაზიკაში (ეგრი-სში) იხიზნებოდა, რომელიც იმ ხანად ბიზანტიის მფარველობაში იყო და სადაც შედარებით მშვიდობიანობაც სუფევდა. მაგალითად,

1 ვ ა ხ უ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904 წ., გვ. 255-256; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, თბ., 1889 წ., გვ. 270; ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941 წ., გვ. 73-76.

2 Из соч. Б а л а д з о р и, Книга завоевания стран, текст и перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927 г. стр. 30-32; Я к у с и, „История“ текст и перевод с арабского проф. Жузе, Баку, 1927 г. стр. 13-64.

ქართლის ერისთავი ნერსე ლაზიკაში რომ განიზნულა, მას გაჰყო-
ლია 300 მამაკაცი, დიდებულთა მრავალი ოჯახი თავიანთი უძებითა
და მსახურებით. განიზნენ აგრეთვე თავიანთი ამალით ქართლის
ერისთავები: არჩილ, იოანე, ჯუანშერი და სხვანი.¹

ლაზიკაში რიონის სამხრეთით მდებარე მხარე, V-VI საუკ. ირანს
და რომს შორის ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, თითქმის უკაც-
რიელი იყო.

3. ლაზეთი ბიზანტიის (საბერძნეთის)

მფლობელობაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიამ ჰან-ლაზები ტერიტორი-
ულადაც მოსწყვიტა საქართველოს და თავის მფლობელობაში მოაქ-
ცია. ეს ტერიტორია საკმაოდ ვრცელი იყო. ის ჭოროხის ხეობიდან
ტრაპიზონამდე აღწევდა. მხოლოდ მისი მცირე ნაწილი — ეიწყე-ხო-
ფა-გონიოს ფარგლებში შერჩა საქართველოს და შედიოდა სამცხის
საერისთავოში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლაზეთის ამ ნაწი-
ლმა შედარებით კარგად შემოინახა ლაზური ენა და ეროვნული შე-
გნება.

ლაზეთის უდიდესი ნაწილი კი, ტრაპიზონის ჩათვლით, ბიზანტი-
ის მფლობელობაში მოექცა. რის შედეგადაც შეირყვნა ლაზური მე-
ტყველებაც და მათი ეროვნული შეგნებაც.

ლაზეთს ეკავა შავი ზღვის სანაპირო, რომელსაც დიდი სტრატე-
გიული და სანაოსნო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ბიზანტიის კეი-
სარი ცდილობდა ამ ტერიტორიის დასაკუთრებას, მის გამაგრებას და
იქ მცხოვრები ქართველი ტომების — ლაზ-ჰანების საბოლოოდ და-
მორჩილება-გადაგვარებას. ამ მიზნით ავრცელებდა ბერძნულ ენას,
რომ ამით მოესპო ქართველური (ლაზური) ენა.

IX-X საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებისათვის სამთავ-
რო-საერისთავოებს შორის გამართულ ბრძოლაში ჰან-ლაზები არ მო-
ნაწილეობდნენ. მათთან — საქართველოს სამთავროებთან და სამე-
ფოსთან, არც პოლიტიკურ-კულტურული კავშირი ქონდათ. ამის სა-
შუალებას მათ აგრესიული ბიზანტია არ აძლევდა.

ამან განაპირობა ის გარემოებაც, რომ X-XII საუკუნეებში, რო-
დესაც ფეოდალურ საქართველოში დიდი კულტურული მშენებლობა

¹ ქართლის ცხოვრება, გვ. 208-216.

მიმდინარეობდა, საქართველოს მიწა-წყალზე აგებული იქნა ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ძეგლი, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, — ჭან-ლაზეთის ტერიტორიაზე ასეთი რამ არ ხდებოდა.

ბიზანტიამ ეს მხარე ქართული კულტურის განვითარების ცენტრებს მოსწყვიტა, თავის გავლენაში მოაქცია.

ნ. მარი აღნიშნავს, რომ ქართულ ეკლესიაში ბერძნული გავლენის გამტარებელნი იყვნენ ჭანები, რომლებიც ბიზანტია-სამხრეთის უშუალო გავლენაში იმყოფებოდნენ.¹

პ. აქარიანის ცნობით, ლაზებში მოიპოვებინა ქრისტიანი ლაზებიც, რომლებიც ექვემდებარებინა ბერძენ პატრიარქს სტამბოლში, ლაპარაკობენ ბერძნულად და თავის თავს ბერძნებად თვლიან. ამის მიუხედავად, მათ მაინც ცნობენ მათი გამოთქმის (აქცენტის) მიხედვით. მათ უქირავთ ლაზისტანის დასავლეთი ნაწილი, პლატანადან აღმოსავლეთისაკენ ვიდრე ტრაპიზონამდის და ტრაპიზონის სამხრეთით ვიდრე გიუმშიზანამდის. მთავარი ქალაქები, სადაც მათ ეხვდებით, არის პლატანა, ტრაპიზონი და გიუმშიზანა.²

ბიზანტიის მფლობელობაში მოქცეულ ლაზ-ჭანებს არ ქონდათ ხელშემწყობი პირობები, რომ ბერძნული გავლენისაგან დაეცვათ მშობლიური ენა და ეროვნული თვითშეგნება. მათ გარედან დახმარების იმედიც არ ჰქონდათ. სამეგრელოს სამთავრო, ტერიტორიულად მისგან მოწყვეტილი, სუსტი და უძლური იყო.

საქართველოს სამეფო-სამთავროები ერთმანეთს ებრძოდნენ და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ლაზ-ჭანეთის საკითხით. მით უმეტეს, აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროები ბიზანტიის მფარველობაში იმყოფებოდნენ და ამ უკანასკნელის შიშით მათ არ შეეძლოთ ასეთი განზრახვის განხორციელება. ამავე დროს ბიზანტია საქართველოს გაძლიერება-გაერთიანებას ებრძოდა და ცდილობდა საქართველოს სამხრეთ ნაწილის საეხებით მოწყვეტასა და დასაკუთრებას.³

ამის გამო გაერთიანებულ საქართველოს მეფეებს ბაგრატ III, გიორგი I და განსაკუთრებით ბაგრატ IV (1027-1072 წ.წ.) ბიზანტიასთან ხანგრძლივი და მდგარი ბრძოლის წარმოება უხდებოდათ სამეფოს სამხრეთი ნაწილის დასაცავად.⁴

1 Н. Я. Марр, Из поездки в турецкий Лазистан, стр. 549.

2 Ajarian, Etude sur la lagvelaze (Mémoires de la société de linguistique de Paris, т. X. Paris, 1897, გვ. 154.

3 ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1914 წ., გვ. 423-465.

4 იქვე, გვ. 409-430.

ასეთ პირობებში საქართველოს ამ პერიოდის მეფეებს არ შეეძლოთ ეზრუნათ ლაზ-ჭანების განთავისუფლება-შემოერთებაზე. ისინი მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში იყვნენ, რომ სამშობლოს მოწყვეტილი ლაზ-ჭანებისათვის დახმარება აღმოეჩინათ და გაეთავისუფლებინათ დამპყრობლებისაგან.

ასეთი ცდა იყო თამარის მეფობის დროს. საქართველოს ფეოდალურმა მონარქიამ თამარ მეფის დროს საკმაო ძლიერებას მიაღწია. მისი პოლიტიკური გავლენა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ვრცელდებოდა. ამიტომ არ შეიძლებოდა თამარ მეფის მფარველობისა და პოლიტიკური გავლენის გარეშე დარჩენილიყო საქართველოს ისეთი მნიშვნელოვანი კუთხე, როგორც იყო ჭანეთ-ლაზეთი, რომელიც ძალმომრეობით ეჭირა ბიზანტიას.

ამ შემთხვევაში თამარ მეფემ ჯვაროსანთა ლაშქრობით და ბიზანტიის მემკვიდრეთა შორის ატეხილი დინასტიური ბრძოლით ისარგებლა. ამ ხელსაყრელ ხანაში მან განიზარახა ლაზეთის განთავისუფლება.

ამის საბაზად თამარ მეფემ გამოიყენა უდიერი მოქცევა ბიზანტიის კეისრისა, რომელმაც ქართველ ბერებს მეფის ნაჩუქარი ოქრო ჩამოართვა.

1204 წ. ქართველი მემკვიდრის სიტყვით, თამარ მეფემ, ბერძენთა მეფის ასეთი ანგარებითა და მტაცებლობით განრისხებულმა, რაკი მან ბერებს თამარ მეფის ბოძებული ოქრო წაართვა, გადაწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა კეისარი. ამ მიზნით მან „წარგზავნა მცირედი ვინმე ლიხთა იქითნი და წარუღეს ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმაანი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია, ერაკლია, და ყოველნი ადგილნი პონტოსიანი“-ო.¹

მთელი ეს დაპყრობილი შავი ზღვის სანაპირო მხარე, თამარმა ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე სამეფო, ე. წ. ტრაპიზონის სამეფო შექმენა. თამარმა აქ მეფედ დასვა თავისი ახლობელი ნათესავი, ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი, რომელიც საქართველოში განიზარდა და თამარის მომხრე და მორჩილი იყო.² ქართველი მემკვიდრის ამ ცნობას ბიზანტიელი მემკვიდრე მიხეილ პანარეტოც ადასტურებს. იგი ამბობს, 6 აპრილს 1204 წ., როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლს ალყა შემოარტყეს, დიდმა კომნენოსმა ალექსიმ თა-

¹ ქართლის ცხოვრება. ზ. კვიციანიძის გამოცემა, ტ. I, თბ., 1897 წ., გვ. 473; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1914 წ., გვ. 610.

² ქართლის ცხოვრება. გამოცემა ზ. კვიციანიძის, გვ. 473; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 610.

ვის მამის ძალუას (თამარის) დასმარებით და ქართველთა შემწეობით ტრაპიზონი დაიპყრო. მისმა უმცროსმა ძმამ დავითმა ლაზებისა და ქართველი ჯარის დახმარებით ხელში ჩაიგდო ბითინიაო.¹

ამგვარად, თამარმა შესძლო ლაზ-ჭანების განთავისუფლება ბიზანტიის ბატონობისაგან და მთელ ტრაპიზონის სამეფოშიც საქართველოს პოლიტიკური გავლენა განამტკიცა.

თამარის მიერ ტრაპიზონის საკეისროს დაარსების შესახებ აკად. უსპენსკი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „შავი ზღვის სანაპიროზე კომნენოსის ძალაუფლების გამტკიცება თამარ მეფის საქმე იყო და ალექსიცი მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო. კომნენოსების საკეისროს დაარსება ერთ-ერთი ეპიზოდია იმ ბრძოლისა, რომელიც საქართველოს და ბიზანტიას შორის სწარმოებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის.“²

სხვათა შორის, ტრაპიზონის საკეისროში თამარის პოლიტიკურ ძლიერებაზე ლაპარაკობს აგრეთვე ჟან-ლაზებში დაცული საინტერესო ისტორიული ხასიათის თქმულებები თამარ მეფეზე.

ბუჯაღელი ლაზის, მემედ-ალი-ჩეფ-ოღლის გადმოცემით, ლაზების ძველები მეგრელები იყვნენ და ძველ ტრაპიზონამდის ქართველთა მეფის, თამარის („ფადიშაჰის“) ხელში ყოფილა. ამიტომ არის, რომ ბუჯაღური წყაროს „მაფა წკარი“ („მეფის წკარი“) ეწოდებოდა.

გარდა ამისა, ათინას იქით, ზღვაში, დიდ ქვაზე ერთი ორსართულიანი ძველი ოთხკუთხი ციხე დგას. ამასაც „კიზ-კულე“ („ქალიშვილის ციხე“) ჰქვია. ესეც თამარ მეფისა ყოფილა.³

ხალხური თქმულებით: „ლაზისტანში ბევრი ისტორიული ძეგლი ყოფილა. თამარ მეფეს ერთხელ დასჭირდა ნაშთების შეკეთება. ამიტომ მას თავის თავიდან ერთი ღერი თმა გამოუძვრია, ლაზებისათვის მიუცია, მერე ამ თმის საშუალებით ლაზებს ოქროს ხაზინა თუ მადანი უპოვნიათ და ამით დაუმთავრებიათ ძეგლების შეკეთება.

ამ ნაშთების შეკეთების შემდეგ თამარ მეფემ ლაზები დალოცა და მათი ხელოსნობაც კურთხეულ იქმნა. ამ დღიდან ლაზებში დიდი წარმატებით გავრცელდა ხელოსნობაო.

თამარ მეფის დალოცვა-კურთხევისაგან ლაზ ხელოსნებს ისე კარ-

1 Трапезундская хроника, Михаил Панарети, изд. А. Хаханов, Труды по Востоковедению, изд. Лазарев. Инст. Вост. Язык. Вып. XXIII, Москва 1905 г., стр. 1.

2 Акад. Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, М., 1918 г., стр. 601.

3 ი. ყიფშიძე, ქართული ტექსტები, თბ., 1939 წ., გვ. XXXIII.

გად წაუვიდათ საქმე, რომ მთელი ლაზისტანის ხალხი სულ ხელოსნობის სწავლას გაჰყვაო. მალე ისიც მოხდა, რომ მთელ საქართველოში სულ ლაზი ხელოსნები მოეფინენ. ყველგან სახლებს, ხიდებს, კოშკებს, გალავნებს, ეკლესიებს და სხვასაც სულ ლაზი ხელოსნები აკეთებდნენ“-ო.¹

ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს მეფის გავლენას და ამასთან დაკავშირებით ლაზების პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებას ბიზანტიელები ვერ ურიგდებოდნენ. განსაკუთრებით მმართველი არისტოკრატია იყო ამხედრებული, რომელიც გაბატონებულ წოდებას წარმოადგენდა.

ამ ვითარებამ ტრაპიზონის საკეისროში განაპირობა ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფის შექმნა: საქართველოს მომხრე ჰან-ლაზებისა და ბიზანტიის კეისრის მომხრეთა ჯგუფი. თვითეული ამ ჯგუფთაგანი ცდილობდა თავისი კანდიდატი აეყვანა კეისრის ტახტზე, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მოეპოვებინა.

საქართველოს ძლიერების ხანაში ლაზ-ჰანები კეისრად საქართველოს მომხრე პირებს სვამდნენ, რომლებიც ცოლად ირთავდნენ საქართველოს მეფის ქალებს. მაგრამ მონღოლ-თათართა შემოსევის შემდეგ ბიზანტიის კეისრის ჯგუფმა საქართველოს დასუსტებით ისარგებლა და აშკარა ბრძოლა გააჩაღა ქართველთა მომხრე დასის -- ლაზ-ჰანების წინააღმდეგ.

ამ მიზნით, ამ ჯგუფმა იოანე II მოტყუებით აიძულა ცოლად შეერთო ბიზანტიელი ქალი და მიეღო ბიზანტიის კეისრის მფარველობა. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ბიზანტიის კეისარი გაბატონდებოდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ხელში ჩაიგდებდა და საქართველოს მოსწყვეტდა ლაზეთს. საქართველოს სამეფოს არ შეეძლო გარეშე მაყურებლად დარჩენილიყო ამგვარ პოლიტიკურ ვითარებაში. უბრძოლველად დათმობა არ შეიძლებოდა, მით უფრო, რომ ეს ეხებოდა ლაზეთის არსებობის საკითხს. 1282 წელს, აპრილს, საქართველოს მეფე დავით VI ნარინმა კიდეც გაილაშქრა ტრაპიზონში, მაგრამ ეს ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.²

1285 წელს იოანე II-ის და თეოდორა, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი, ლაზ-ქართველთა ჯარით შეიჭრა ტრაპიზონის საკეისროში და თვითონ დაჯდა ტახტზე. ამგვარად, ქართველთა მომხრე სამხედრო დასმა გაიმარჯვა. ამის შემდეგ აკად. ი. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ საქართველო XIII საუკ. მეორე ნახევრიდან მოყო-

1 ზ. კიკინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 51.

2 М. Панарет, Трапезундская хроника, стр. 21.

ლებული, ტრაპიზონის საციისროს, რომელიც მისი წყალობით იყო შექმნილი და რომლის მოსახლეობაც უმთავრესად ქართველთა მოძმე ტომის — ლაზების ან ქანებისაგან შედგებოდა და ამიტომ მის ბედ-იღბალს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს და იქ თავისი წინანდელი უპირატესი უფლების დაცვას ცდილობდა.¹

ლაზ-ქართველთა დასის ამ გამარჯვებას ვერ ურიგდებოდა ბიზანტიის ხელისუფლება. ქართველი პოლიტიკოსებიც არაფერს თმობდნენ, თავგამოდებით იბრძოდნენ, რომ შეენარჩუნებინათ მოძმე ლაზებით დასახლებული მეზობელი სამეფო, დაეცვათ იგი უცხოელთა ბატონობისაგან.

როდესაც ტრაპიზონის სამეფოს ტახტზე ალექსი II ავიდა, საქართველოს პოლიტიკური დასი იმდენს ეცადა, რომ მას ცოლად შერთო მესხეთის მთავრის, საქართველოს მანდატურთ-უხუცესის, ბექას ასული.

როგორც ქართველი მემკვიდრე გადმოგვცემს, ათაბაგ ბექას ბერძენთა მეფისაგან მიუღია ქანეთი (ლაზეთი): „ხოლო ქანეთი სრულიად მისცა ბერძენმან მეფემან კომნიანოს-მან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა“.²

ამგვარად, ტრაპიზონის სამეფოში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა გაიმარჯვა და ქართული პოლიტიკური გავლენაც გაძლიერდა.

ამ ამბავმა ბიზანტიის კეისარი განარისხა, მაგრამ ალექსის სიცოცხლეში ვერაფერს გახდა. ალექსის გარდაცვალების შემდეგ კი 1330 წელს, მის მემკვიდრეს ვასილს, ცოლად შერთო ბიზანტიის კეისრის ქალიშვილი ირინე. ამან კეისრის მომხრე დასი კვლავ ფეხზე დააყენა, კვლავ დაიწყო ლაზ-ქართველების ხოცვა-ჟლეტა. დიდი ბრძოლის შემდეგ ლაზები დამარცხდნენ. ამ დასის ორი დიდი თანამდებობის პირი სიკვდილით დასაჯეს: ერთი იყო დიდი ღუკა ლეკი ქანჭიძე, რომელიც საქვეყნო გამრიგე მოხელედ ითვლებოდა. მეორე დიდი დომესტიკოსი ჯაბა, ტრაპიზონის ჯარის უფროსი.³

ამ დამარცხებამ ვერ შეარყია ლაზების ნებისყოფა და სიმტკიცე. ისინი ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

იმ ხანებში ბიზანტიის სამეფოსაც დიდი საფრთხე მოელოდა. მის სატახტო ქალაქს — კონსტანტინოპოლს თურქ-ოსმალები უახლოვ-

1 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1941 წ., გვ. 96-97.

2 ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, 1849 წ., ნაწ. I, გვ. 4-33.

3 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, წ. III, გვ. 145-146.

დებოდნენ, (ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს მთელი მცირე აზიის ქვეყნები და ახლა კონსტანტინოპოლის წართმევით ემუქრებოდნენ ბიზანტიას).

ამ დროს საქართველოში მეფობდა ძლიერი მეფე გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346 წწ.), რომელიც ამ დასს სამხედრო დახმარებას აძლევდა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უწევდა.

1341 წელს თურქებმა ტრაპიზონის სამეფო ააოხრეს და გადასწვეს. ამ შემთხვევით ისარგებლეს ლაზებმა, რომლებიც წინასწარ შეუთანხმდნენ კეისარ ვასილ I-ის დას ანას, ჩვეულებრივ ანა-ხუტლულ წოდებულს, და მეფობა შესთავაზეს. ამავე წლის ივლისში, როცა ოსმალებმა ტრაპიზონი დატოვეს, ანა-ხუტლუმ ლაზების ჯარის დახმარებით დედოფალი ირინე, ბიზანტიის კეისრის ასული, ტახტიდან ჩამოაგდო და ტრაპიზონის მეფობა ხელში ჩაიგდო.¹

ამგვარად, საქართველოს მომხრე ტრაპიზონელმა ჯგუფმა ქართველთა ჯარის დახმარებით ირინე დედოფალი გადააყენა და ტრაპიზონის კეისრად ანა-ხუტლუ აიყვანა.

ლაზების გამარჯვებას ვერ შეურიგდა ბიზანტიის კეისარი. იმავე წლის 30 ივლისს ის ტრაპიზონის ნავსადგურს მოადგა სამი ხომალდი ჯარით. ერთ ხომალდში იყო უფლისწული მიხეილ კომნენი, რომელიც კეისარს უნდოდა გაემეფებინა ტრაპიზონში.

ლაზებმა და საქართველოს ჯარმა ტაქტიკური მოსაზრებით პირველ ხანებში წინააღმდეგობა არ გაუწიეს.

მეფობის მაძიებელმა მიხეილმა და მისმა ბიზანტიელმა ჯგუფებმა ამით ისარგებლეს და მიხეილი სამეფო სასახლეში შეიყვანეს, სადაც იგი მხოლოდ ერთი ღამე დარჩა. მეორე დილას საქართველოს მომხრე ჯგუფმა იგი კვლავ განდევნა სასახლიდან. ხომალდებით მომდგარი ჯარი ლაზებმა დაამარცხეს და მათი ხომალდებიც ხელში ჩაიგდეს.

მიხეილ კომნენი ტრაპიზონიდან გააძევეს და გადაყენებული დედოფალი ირინე თავის სამშობლოში, კონსტანტინოპოლში გაისტუმრეს.²

ამრიგად, ლაზებმა ბიზანტიის მომხრე ჯგუფზე გაიმარჯვეს და ტრაპიზონში აღდგენილ იქნა საქართველოს პოლიტიკური გავლენა.

ლაზ-ქართველთა ამ ხანგრძლივ ბრძოლას ბიზანტიასთან, ბოლო

1 М. Панарет, Трапезундская хроника, гл. 26; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 177.

2 М. Панарет, Трапезундская хроника, гл. 26; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 177-178.

მოელო 1453 წელს, როდესაც ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის საეისროში თურქ-ოსმალების ბატონობა დაამყარეს.¹

ოსმალებმა მალე ტრაპიზონიც დაიპყრეს: მისი უკანასკნელი მეფე დავითი ოსმალებისაგან თავდასაცავად ამაოდ ეძებდა დახმარებას საქართველოს მეფე-მთავართა შორის. 1461 წელს დიდი ჭარით მიადგა ტრაპიზონს მუჰამედ II. დავითმა ვერ გაბედა ძლიერ სულთანთან შებრძოლება და უბრძოლველად გადასცა მას ტრაპიზონი. სულთანმა დავითი და მისი რვა შვილი ჩამოახრჩობინა.

4. ლაზეთი ოსმალების მფლობელობაში

როგორც ზემოთ ითქვა, 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი დაიკავეს და აქ თავიანთი ბატონობის განმტკიცებას შეუდგნენ.

ლაზ-ჰანებს ახლა საფრთხე მოელოდა ოსმალებისაგან, რომელიც ადრე თუ გვიან შეტევას დაიწყებდა ლაზეთზე.

ამ დროს, როგორც ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, ლაზეთის ერთი ნაწილი, დაწყებული ეიწყე-ხოფიდან გონიომდე, კახაბერ გურიელს ჰკუთვნებია. იგი გურიელისათვის გადაუცია სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ლაზეთის ეს ნაწილი. (სამცხის ათაბაგი ებრძოდა ქართლის მეფე გიორგი VIII, (1446-1469 წ.წ.). ამ ბრძოლაში გურიელი რომ არ მიმხრობოდა გიორგი VIII-ს, ყვარყვარე ათაბაგი კახაბერ გურიელს უთმობს ლაზეთის ნაწილს.

ამის შესახებ ქართველი მემატრიანე მოგვითხრობს: „რამეთუ ეშინოდა ყვარყვარეს ერისთავთა-გან ამ ქვეყნისათა, რათა არ მიერთნენ კვლავ გიორგი მეფესავე. ამისათვის ეზრახა გურიელს კახაბერს და მისცა აჰარა, ჰანეთი, რათა მწე-ეჰმნას ერისთავთა ზედა ამის ქვეყნისათა: ესე განიხარა გურიელმან და მიიღო ქვეყანანი იგინი“-ო.²

ამგვარად, 1465 წელს ყვარყვარე ათაბაგს გურიელისათვის გადაუცია ლაზეთის ნაწილი.

ამას მოწმობს ლაზებში დაცული ისტორიული გადმოცემა კახაბრის გმირობაზე — ოსმალებთან ბრძოლაში, აგრეთვე მამია გუ-

1 А. А. Васильев, Падение Византии, Лен., 1925 г.

2 ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოცემა ჩუბანაშვილისა, სანკტ. პეტერბურგი, 1854 წ., გვ. 154.

რიელის განცხადება მთავარმართებელ ციციანოვისადმი გურიის საზღვრების შესახებ,¹ რაზედაც ქვემოთ ვექნება საუბარი.

ლაზეთს ახლა ოსმალეთის ბატონობა ემუქრებოდა, რომელსაც ისეთივე აგრესიული ხასიათი ჰქონდა, როგორც საბერძნეთ-ბიზანტიისას. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ლაზ-ქანები, როგორც ქრისტიანები, ბიზანტია-საბერძნეთთან უფრო ახლო კავშირში იყვნენ. ამ მხრივ მათ შორის ერთგვარი იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივი ერთობაც არსებობდა.

ამის გამო ბიზანტიასთან ბრძოლას უფრო ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათი ეძლეოდა და ლაზ-ქანებიც იბრძოდნენ, რათა დაეცვათ მშობლიური ენა და კულტურა.

ოსმალეთი კი ამ მხრივ ლაზ-ქანებისათვის სრულიად უცნოსა და უცნობ ძალას წარმოადგენდა. ამასთანავე, ოსმალეთის, როგორც კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნის ბატონობას მკაცრი და ულმობელი ხასიათი ჰქონდა.

თურქებმა ლაზეთში თავიანთ ნაცად პოლიტიკას მიმართეს. ისინი პირველ ყოვლისა, ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ ლაზ-ქანები სამშობლო საქართველოსათვის, აღმოეთხვრათ ქრისტიანობა და გავერცელებინათ მაკმადის სჯული.

ამის განხორციელებას ოსმალები სულთან სელიმ II (1512-1520 წწ.) დროს შეუდგნენ. სელიმ II ულმობელი ადამიანი და ამასთანავე დიდი ფანატიკოსი იყო. იგი ძალდატანების მეთოდით ცდილობდა გავერცელებინა მუსლიმანური სარწმუნოება.

შექმნილ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა გურიელის ხელში ლაზეთის გადასვლის ამბავი. ამას ვერ ურიგდებოდნენ სამცხის ათაბაგები. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ პროვინციის დაკარგვით სამცხე-საათაბაგოს ზღვის სანაპირო მხარე ეკარგებოდა და ზღვაზე გადასასვლელი გზა ეხშობოდა. ათაბაგსა და გურიელს შორის ამიტომაც დაიწყო ბრძოლა. როდესაც ათაბაგად მზექაბუჯი დაჯდა (1505-1516 წწ.) გურიაზე ოსმალების შემოტევით ისარგებლა, შეუთანხმდა ოსმალებს და ისევ წაართვა გურიელს ლაზეთი.

ამის შესახებ მემატიანე შემდეგს მოგვითხრობს: „არამედ გურიელს კნინლა თუ მიუღეს ოსმალთა ქანეთი: ხოლო ესე მზე-ქაბუჯი.

1 Акты Кавказской Археографической Комиссии, т. II, Тб. 1968, გვ. 539, კახაბრის შესახებ. Д. В а к р а ж е, Археологическое путешествие по Гурам и Адчаре, СПб, 1878 г., стр. 335-358.

დაეზავა ოსმალთა მორჩილებისა პირსა ზედა. ამით მიუხუნა გური-
ელსა ბრძოლითა აჰარა და ჭანეთი და დაიპყრო თვით“.¹

მზეკაბუქმა ამასთანავე ოსმალებს დახმარება გაუწია; იმერეთის
დასარბევად მიმავალ ოსმალებს სურსათი მისცა დ გზირებიც გაა-
ყოლა.

ამის გამო იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1548 წ.წ.) განრის-
ხებული იყო საათაბაგოზე. მან ისარგებლა სპარსელების მიერ სამც-
ხის აოხრებით, შეუერთდა დადიანსა და გურიელს და დაეცა ათაბაგს.
ომი მოხდა მურჯახეთში, სადაც ათაბაგი ყვარყვარე II (1516-
1535 წწ.) დამარცხდა და ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგეებმა.

ბაგრატმა საათაბაგო დაიპყრო და, დაპირების თანახმად, გუ-
რიელს მისცა აჰარა და ლაზეთი: „და ბაგრატმა მეფემან დაიპყრა სამ-
ცხე თავისად და იმყოფებოდა სამცხეს. მაშინ მისცა გურიელს აღ-
თქმულნი აჰარა და ჭანეთი. წარვიდა გურიელი და დაიპყრო იგინი“.²

სელიმისაგან ლაზ-ჭანებსაც ცუდი დღე დაადგათ. მისმა რაზმებ-
მა დალაშქრეს და მაჰმადიანობის გავრცელება დაიწყეს.

სელიმის (სულეიმანი) ამ გალაშქრებაზე ქართლის ცხოვრება შე-
მდეგს მოგვითხრობს:

„ხოლო შემდგომად მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა, რათა
შურ-აგონ, ვინაიდან მიჰყვა ბაგრატ მეფისა და მოსწყვიტნა სპანი
ოსმალთა, მიუღეს გურიელს ჭანეთი, დაუწყეს შენება ციხისა ბათომს;
ესე აცნობა გურიელმან ლევან დადიანსა და მეფესა ბაგრატს: „უკე-
თუ მძღონ მე, მოიწვიან თქვენზედაც, ამისათვის შემეწიენით“... ხო-
ლო მისვლამდე ამათსა ეწყო გურიელი ოსმალთა და თავდასხმით
აოტნა ოსმალნი ხმელეთსა ზედა და მოსრნა იგინი და სხვანი შევიდ-
ნენ კატარღებთა შინა და განვიდნენ ჭოროხს იქით: მაშინ მდინარე
ჭოროხნი მდიდრდებოდა, რამეთუ მდინარენი განდიდებულ იყუნენ.
ამისათვის ვერღა-რა განვიდა გურიელი, მოვიდნენ ოსმალნი, დაუწყ-
ეს შენება უმეტესად ციხესა გონიას“.³

შეშფოთებული გურიელი მოუთმენლად ელოდა ბაგრატ მეფისა
და დადიანის დახმარებას. იმერეთის მეფემ ბაგრატ III ამ შემთხვე-
ვაში სულმდაბლობა გამოიჩინა და დახმარების ნაცვლად ცდილობდა
დადიანისა და გურიელის ერთმანეთზე გადაკიდებას. გურიელმა მა-
რტო ვერ შეძლო მტერთან გამკლავება და თურქებმა ჭანეთი დაიპყ-
რეს:

1 ქართლის ცხოვრება, წ. II, გვ. 158.

2 იქვე, გვ. 160.

3 ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, წ. II, გვ. 176.

„არამედ გურიელს აღუძნდა უკუნქცევა დადიანისა, — მოგვი-
თხრობს მემათიანე, — რამეთუ ნავებითა თვისითა არა ძალ-ედვა
განსვლა გონიას და ბრძოლა ოსმალთა და განმაგრება გურიისა. ხო-
ლო ოსმალთა ააშენეს ციხე გონია და შემოვიდნენ, მოსწყვიტნეს და
მოსტყვევნენ ქანეთი და აქარა, და დაიპყრეს თავისად, რამეთუ ეპყ-
რა იგინი გურიელსა“.¹

ამრიგად, XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალებმა ისარგებლეს
იმერეთის მეფე ბაგრატ III და მამია გურიელს შორის არსებული
შინაური შუღლითა და მტრობით და მთელი ქანეთი სელში ჩაიგდეს.

ხალხური გადმოცემით, ოსმალებთან ბრძოლაში თავი ისახელა
კახაბერ გურიელმა, რომელიც ლაზთა ლაშქარს ხელმძღვანელობდა.
კახაბერმა რამდენჯერმე დაამარცხა თურმე ლაზეთში შემოჭრილი
ოსმალები და უკანვე განდევნა.

ბოლოს ოსმალები დიდი ჯარით ხელახლა შემოესივნენ ლაზეთს,
მძიმე ბრძოლების შემდეგ მათ მოახერხეს კახაბრის მოკვლა და ლა-
ზეთის დაპყრობაც.

კახაბრის გმირობაზე ლაზებში დღემდე შემონახულია სხვადა-
სხვა თქმულებები. ოსმალთა მოხელეები კახაბერზე თქმულებას სდე-
ვნიდნენ, მაგრამ ხალხი კახაბერს დღესაც დიდი პატივით იგონებს
და ხშირად ამბობს: ყველა კაცი კაცია და კახაბერი სხვა კაციაო.

საყურადღებოა სელიმის ამ გამოლაშქრებაზე ლაზებში დღემდე
შემონახული ისტორიული გადმოცემაც: „მეფე (ფადიშაჰი) თავის ჯა-
რისკაცებით ტრაპიზონიდან მელოში მოვიდა. მელოდან ბრძოლა-
ბრძოლით გონიის ციხეში ჩავიდა და ბლოკადა უყო არხავეს (არქაბს),
ვიწეს, ათინას, ხოფას, გონიას, ბათომს, ჩხალას, ბელღევანს, ნოღედს
(მაკრიალს), სარფს. ომი გრძელდებოდა სამ თვეს.

საქმელი გაუთავდათ [ქანებს], ხალხი („კაცი“) გაწყდა, ასი კაცი-
დან ოცდახუთი დარჩა. მერე ერთ ადგილას შეიკრიბნენ [ქანები] და
თქვეს: „რა ვქნათ ჩვენ? კაცი არ დარჩა, საქმელი არა გვაქვს...“ ფა-
შამ უთხრა პეტროს, რომ „საქმელს მოგცემთ, და ვაჟები [შვილები,
ბავშვები] რაც დაიხოცნენ („მოკლულ იქნენ“) დაიხოცნენ და,
რაც დარჩნენ, ის ბავშვებიც ათ წელიწადში დაიხრდებიან, წინანდე-
ლებსავეთ ვაჟკაცები იქნებიან. ერთ რამეს გეტყვი და იმის უარი არ
თქვა“. პეტრომ უთხრა: „რას მეტყვიო“? ფაშამ უთხრა: სუყველანი
მუსლიმანი გახდითო!“ პეტრომ—„მე ქრისტიანი ვარო. თუ ასე გინ-

¹ ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, წ. II, გვ. 190-191.

დათ. ყაბული გამხადეთ და ჩვენ მუსლიმანები არ გავსდებითო!" „კარგიო“, — უთხრა — „ქრისტიანი იყავითო!“ ქალღმერთი მი'ცა: „ქანეთის („ლაზისტანის“) ძროხას, ცხეარს, ქათამს, რაც კი რამ არის, არაფერი ცუდი არ შეემთხვას“. მოვიდა პეტრო შინ.

სამი წლის განმავლობაში იყვნენ კარგად თავიანთ ეკლესიებში, სასწავლებლებში („საკითხავში“) სამი წლის შემდეგ მღვდლებს ორი წელი, სამი წელი სასჯელი მისცეს. მღვდლების რიცხვი შემცირდა. ამასიიდან ორმოცდახუთი ზოჯა მოიყვანეს. თურქული სკოლები გახსნეს. ყველამ ბავშვები მიაბარა სკოლებში“.¹

ამასვე ადასტურებს მისიონერ ლუი გრანჯერიოს ცნობები, რომელიც ეკუთვნის 1615 წელს, ე. ი. თითქმის სრული ერთი საუკუნით არის დაშორებული სულთან სელიმის ხსენებულ ლაშქრობასთან.

ამ წერილში ლაზეთის შესახებ ვკითხულობთ: „დაბა რიზე... ეკუთვნის ლაზისტანს, რომელიც გადაკიმულია ტრაპიზონიდან დაწყებული ვიდრე საქართველომდე. იმ ნაწილში, რომელიც ტრაპიზონზე ახლოა, ბერძნულს ლაპარაკობენ, საქართველოს მახლობლად კი საზოგადო ენა მეგრულია. რიზე, ლაზეთის ახალშენია. ლაზეთი მეგრულ ერს ეკუთვნიან. თანდათანობით ისინი (ქანები) გადადიან მუსლიმანობაში; ჩვეულებრივ ხანშესულნი იმისათვის, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ აუტანელ ჩაგვრას განიცდიან და იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ გადასახადებს, რომლებითაც მათ აწუხებენ, თურქების მხარეზე გადადიან. რაც შეეხება ბავშვებს, შშობლები წინადაცვეთენ ხოლმე მათ, რათა ისინი განთავისუფლებულ იქნენ ყველა გადასახადისა და ბეგარისაგან; ისინი ცდილობენ, რომ ქრისტიანი ქალიშვილები იანიჩარებზე გათხოვდნენ, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნონ თავიანთ დედებსა და მამებს. იმ მცირეოდენ ნაწილს, რომელიც დარჩა წინანდელ მცხოვრებთაგან (ქრისტიანებად), შერჩენილი აქვთ მხოლოდ ქრისტიანული სახელი“.²

ლ. გრანჯერიოს ამ ცნობებიდან ნათელი ხდება, თუ რა ხერხებსა და საშუალებებს იყენებდნენ ოსმალები ლაზ-ქანების გასამაჰმადიანებლად. XVI საუკუნეში მათ წინააღმდეგ გამოყენებული იყო რეპრესიები და ამიტომ იყო რომ ხანში შესულებიც მუსლიმანობდნენ. ბავშვებს წინდაცვეთით ათავისუფლებდნენ ბეგარისაგან, ქალიშვი-

1 ი. ყ. ი. ფ. შ. ი. ქ. ქანური ტექსტები, თბ., 1939 წ., გვ. XXXIV-XXXV.

2 ლ. გრანჯერიოს წერილი იეზუიტების საზ-ის უფროსს კლაუდიო აქვავას, მიწერილი სამეგრელოს სოფ. მოქვიდან, 1615 წ. 2 მარტს. ამ წერილის ქართული თარგმანი ეკუთვნის მ. თამარაშვილს. იხ. მისი შრომა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902 წ., გვ. 135.

ლებს კი იმისათვის, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებიათ მათთვის. იანი-
ჩრებზე ათხოვებდნენ.

ოსმალები ლაზებში შემდეგ საუკუნეებშიაც (XVII-XVIII
საუკ.) გათურქების ასეთსავე პოლიტიკას ეწეოდნენ. ვისაც ქრისტი-
ანობის დათმობა არ სურდა და ვერ უძლებდა თურქების ეკონომიურ
რეპრესიებს, საქართველოში გარბოდა. ვისაც ამის საშუალება არ
ჰქონდა და სამშობლოში რჩებოდა, მაგრამ ქრისტიანული რწმენის
შენარჩუნება სურდა, ბერძნებში გადადიოდა, ნაწილი კი ლათინთა
(კათოლიკთა) ეკლესიას უკავშირდებოდა.

ამგვარად, დაიწყო ლაზების დენაციონალიზაცია და მათი გათქ-
ვეფა სხვადასხვა ეროვნებათა შორის: თურქებში (მაჰმადიანები). ბე-
რძნებში (ქრისტიანები) და სხვა.

საქართველოსაგან ლაზ-ქანების სარწმუნოებრივად ჩამოშორე-
ბასთან ერთად, თურქი მოლები და ხოჯები მათ უქადაგებდნენ თქვენ
ქართველების ნათესავეები არა ხართ, თქვენი ენა ლაზურია და არა
ქართულიო. თქვენ მუსლიმანები ხართ და თქვენი წიგნი არაბულია
და არა ქართულიო.

ამის გამო ლაზეთიდან ყველაფერი ქართული იდევნებოდა. ოს-
მალები ლაზებს საშუალებას არ აძლევდნენ რაიმე ურთიერთობა
ჰქონოდათ მოძმე ქართველებთან. ოსმალების რეპრესიების შიშით
ლაზებმაც იმედი დაკარგეს საქართველოდან რაიმე დახმარების მი-
ღებისა, მით უმეტეს, რომ გაძლიერებული ოსმალეთი საქართველოს
დანარჩენ კუთხეებს დაპყრობით ემუქრებოდა. 1545 წელს ბასია-
ნის მახლობლად სოხოისტაში ოსმალებმა ქართველთა შეერთებული
ლაშქარი დაამარცხეს და ხელში ჩაიგდეს მთელი სამცხე-საათაბაგო;
ამას მოყვა ამ კუთხის გამაჰმადიანება და თურქების მიერ მთლად
დაპყრობა.¹

ამის შემდეგ თურქეთი აშკარა შეტევას აწარმოებდა სამცხე-სა-
ათაბაგოდან ქართლ-კახეთზე, აგრეთვე იმერეთ-ოდიშზე.

ოსმალეთი ამავე დროს დიდ ბრძოლას აწარმოებდა ირანთან
ამიერკავკასიის სრულიად დაპყრობის მიზნით, და ამიტომ საქართვე-
ლოს ტერიტორია საომარ ასპარეზად იყო გადაქცეული.

ასეთ რთულ პოლიტიკურ პირობებში ლაზ-ქანებს იმედი დაე-
კარგათ საქართველოდან რაიმე რეალური დახმარების მიღებისა. პა-
ტარა ლაზისტანი ოსმალეთის სულთნის კლანჭებში დიდ ეროვნულ
ტრაგედიას განიცდიდა და უიმედოდ შესცქეროდა მომავალს.

¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938 წ., „ოსმალების შემოსევა
და სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა-გამაჰმადიანება“, გვ. 54-61.

მაგრამ XVIII საუკუნეში პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. ოსმალეთს ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა დიდი რუსეთის სახით, რომელმაც შეარყია ოსმალეთის ძლიერება და გავლენა ამიერკავკასიაში.

1723 წელს ოსმალებმა თბილისი აიღეს და ქართლის შემოტყეობას შეუდგნენ. ქართლის მმართველად დანიშნეს გამაჰმადიანებული ბაგრატიონთაგანი — იესე ბატონიშვილი (მუსტაფა-ფაშა). ქართლის საქმეებს ფაქტიურად ახალციხის ფაშა ისაყი განაგებდა. მას სულთანისაგან დავალებული ჰქონდა ქართლში მუსლიმანური რელიგიის გავრცელება. ახალციხის ფაშები ამასთანავე ხელს უწყობდნენ ლეკების თარეშს, ქართლ-კახეთში, ტყვეების მოტაცება-გაყიდვასა და სხვა.

ამ გარემოებას XVIII საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ერეკლე მეორემ და იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა. ისინი კარგად ხედავდნენ, თუ რა საფრთხეც მოელოდა საქართველოს დამოუკიდებლობას ახალციხის საფაშოდან. საქართველოს ეს ნაწილი, რომელიც შეიცავდა სამცხეს, შავშეთ-კლარჯეთს, აჭარასა და ლაზეთს, აშკარად ადგა გამუსლიმანებისა და ეროვნული გადაგვარების გზას. ამიტომ ახალციხის საფაშოს შეერთების საკითხი ერეკლესათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გადაიქცა, მაგრამ საამისოდ საკუთარი ძალა არ გააჩნდა და იგი იძულებული იყო 1768 წელს თხოვნით მიემართა რუსეთისათვის, რომ მას დახმარება გაეწია ახალციხის საფაშოდან ოსმალების განდევნასა და ამ კუთხის შემოერთებაში.

რუსეთის თვითმპყრობელობა ხმელთაშუა ზღვის გასაღების ხელში ჩაგდების მიზნით შავ ზღვაზე გასავალს ეძებდა, შავი ზღვის სრუტეებისაკენ — ბოსფორ-დარდანელისაკენ მოისწრაფოდა. ამის შესახებ მარქსი წერდა: „ვისაც ბოსფორ-დარდანელი უჭირავს ხელში, მას შეუძლია თვითნებურად გახსნას და დაკეტოს ხმელთაშუა ზღვის მისადგომი ამ უკიდურეს კუთხისაკენ“.¹

ახლა რუსეთისათვის საჭირო შეიქნა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა და იქიდან ოსმალების განდევნა. 1768 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი გამოცხადდა. მეფე ერეკლემ განიზრახა ამ მომენტით ესარგებლა და შემოეერთებინა ახალციხის საფაშო. ამ მიზნით 1770 წელს ერეკლე II და რუსმა გენერალმა ტოტლებენმა ახალციხის საფაშოზე გაილაშქრეს, მაგრამ მათ შორის ჩამო-

1 К. Маркс и Ф. Энгельс. соч., т. IX, 1933 г., стр. 382-383.

ვარდნილი უთანხმოების გამო მეფე ერეკლე II იძულებული შეიქნა მტერს მარტო შებრძოლებოდა: 1770 წელს ბრძოლა მოხდა ასპინძასთან, სადაც ერეკლემ გაიმარჯვა. მაგრამ ჭარის სიმცირის გამო შეტევაზე ვერ გადავიდა და უკანვე გაბრუნდა.

ამგვარად, ერეკლემ ვერ შეძლო იარაღით ახალციხის სათაშოს შემოერთება და ახლა იგი შეეცადა ეკატერინე II-თან დიპლომატიური მოლაპარაკებით მოეგვარებინა ეს საკითხი. 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლე ამის თაობაზე ეკატერინეს სწერდა: „კულად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალეებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობილად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თ. დ. სულტანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოსა შინა არს და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედო“.¹

იგივე სურვილს გამოთქვამს ერეკლე მეორე ეკატერინესადმი 1773 წლის 27 აპრილს გაგზავნილ წერილშიც: „არ დაშთეს ამის უფრო გრძლად დაუპყრობლად ქვეყანა ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო. და თუ შერიგება იქნება, მაშინაც თურქის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოართვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრობით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“.²

ერთი სიტყვით, ერეკლე მეფე კარგად ხედავდა, თუ რა დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის სამცხე-საათაბაგოს მხარეების შემოერთებას. მაგრამ ამის განხორციელება სიცოცხლეში ვერ შეძლო და ანდერძად დაუტოვა თავის მემკვიდრეებს.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) პირველ ყოვლისა საჭირო იყო შავი ზღვის სანაპიროდან ოსმალების განდევნა, რომლებიც გამაგრებული იყვნენ ფოთის ციხეში; მით უმეტეს, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II არ თანხმდებოდა რუსეთთან შეერთების პირობებზე და მოსალოდნელი იყო მისი დაკავშირება ოსმალეთთან.

ამიტომ საჭირო შეიქნა პირველ რიგში ფოთის ციხის აღება და სოლომონისათვის გზის გადაჭრა.

1 А. А. Шагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII стол., относящиеся к Грузии, т. II, 1898., стр. 84.

2 იქვე, стр. 92.

1809 წლის 24 ნოემბერს რუსის ჯარმა ფოთის ციხე აიღო და ოსმალები განდევნა: 1810 წელს კი იმერეთის სამეფოც შემოიერთა.

იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II ამალითურთ ლაზეთში გადავიდა. აქ იგი გულთბილად მიიღო ქართველ მუსლიმანთა გავლენიანმა წრემ. სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილმა იმერეთის ტახტის დაბრუნებაში დახმარებაც კი აღუთქვა.¹

სოლომონმა ტრაპიზონში ხუთი წელი იცხოვრა. გარდაიცვალა 1815 წელს და დაასაფლავეს წმ. გრიგოლის ეკლესიის გალავანში, სადაც დღემდე დაცულია მისი საფლავი. სოლომონის ამაღლს შთამომავალნი ტრაპიზონში ცნობილნი არიან „ივერპულოს“ გვარიით.

ამრიგად, ქალაქი ტრაპიზონი საქართველოდან გასიზნული პოლიტიკური მოღვაწეების თავშესაფრად გადაიქცა.

თურქების მიერ ლაზეთის დაპყრობის შემდეგ თანდათანობით შემოღებულ იქნა ოსმალური მმართველობის წესები. მართვა-გამგეობის მხრივ მთელი ლაზეთი გაყოფილი იყო თერთმეტ ხეობად, რომელსაც განაგებდნენ ბეგები, ე. წ. „დერე-ბეგები“ (დერ ხეობა, ბეი — უფროსი).²

ბეგი თავისუფლად განაგებდა თავის სამფლობელოს, მხოლოდ ვალდებული იყო თავისი ლაშქრით ჰსლებოდა სულთანს და გადაეხადა განსაზღვრული ხარკი. სხვა მხრივ იგი თავისუფალი და თავისი სამფლობელოს ბატონ-პატრონი იყო.

თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ბეგი თავისი ამალით თავისუფლად დათარეშობდა, რაც სურდა იმას ჩადიოდა და ხალხიც ყმურ მორჩილებაში ჰყავდა.

ამასთანავე, ლაზეთის ბეგები უფრო მეტი ძალა-უფლების მოპოვებისა და თავიანთი სამფლობელოების გაფართოების მიზნით ერთმანეთსაც ებრძოდნენ. ეს უკანასკნელი კი გლეხობაში იწვევდა შფოტსა და ამბოხებებს.

ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაეტეხა ბეგების ურჩობა, მათი მთელი შემოსავალი სულთნის ხაზინაში შესულიყო და მოსახლეობაც უშუალო მორჩილებაში ჰყოლოდა.

1820-იან წლებში ოსმალეთის მთავრობამ ბეგების წინააღმდეგობა გასტეხა და მოსპო მათი ბატონობა.

ახლა საჭირო იყო ამის გატარება ლაზეთში, მაგრამ სულთანის

1 ე. ი. ა შ ე ი ლ ი, აჰარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი. 1948 წ., 83-105-113.

2 ტერმინი „დერე-ბეი“ თავისი გაგებით უდრის ქართულ „ხელისუფალს“.

მთავრობა ფრთხილობდა, მან იცოდა ლაზი ბეგების ურჩობა და გულადობა და ამიტომ მოხერხებულ დროს უტყდიდა.

მალე ლაზეთში ბრძოლა დაიწყო ბეგებს შორის და მთელი ლაზეთი საშინაო ომის ასპარეზად გადაიქცა.

ამით ისარგებლა ტრაპიზონის ფაშამ ოსმანმა და განიზრახა აქაც მოესპო ბეგების ბატონობა და განემტკიცებინა სულთანის ძალა-უფლება. მაგრამ ამისათვის სულთანის ლაშქარი საიმედო არ იყო და ოსმან ფაშამ დახმარება სთხოვა აქარელ ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილს.

ახმედ-ბეგმა აქარლები შეკრიბა და ლაზეთში შეიჭრა. ტყვია-წამალსა და სურსათს მას ოსმან-ფაშა აწვდიდა. ახმედ-ბეგის რაზმებმა მთელი მხარე ააოხრეს. ლაზებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, განსაკუთრებით კაპისტროს მცხოვრებლებმა და ლაზის ქალებმა, მაგრამ ორივე მხრივ. ახმედ-ბეგისა და ოსმან-ფაშას, შემოტევას ვერ გაუძლეს და დამორჩილდნენ. ახმედ-ბეგი ლაზეთში ექვსი თვე დარჩა, ერთგულად შეასრულა სულთანის დავალება და ოსმალეთის ხელისუფლებას. საშუალება მისცა თურქული მმართველობის წესები დაემყარებინა ლაზეთში.¹

ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი დიდი გავლენით სარგებლობდა აქარა-ფოცხოვის მხარეში და ასეთი პიროვნების გადმობირება ცხადია, სასურველი იყო რუსეთისათვის; მით უმეტეს, როცა ახალციხის მხარის დასაპყრობად ემზადებოდა. ამ მიზნით გენერალი ბებუთოვი აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას. ახმედ-ბეგი ჯერ დათანხმდა ამაზე; მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა.²

1828-1829 წლებში რუსეთი საომარ მოქმედებას აწარმოებდა ახალციხის საფაშოს დასაპყრობად.³ ახალციხის დასაცავად ოსმალელებმა. სხვათა შორის, ლაზებიც, როგორც სუკეთესო მეომრები, გამოიყვანეს.

როგორც გენერალ პასკევიჩისადმი წარდგენილი მონხსენებიდან ჩანს, ლაზებს დიდი მამაცობა გამოუჩენიათ.⁴

გამუსლიმანებული ლაზები ოსმალეთს, რასაკვირველია, ძალდატანებით გამოჰყავდა თავისი მოძმე ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ; საგულისხმოა, რომ ფანატიკოსი მოლები და ხოჯები ლაზებს

1 Г. Казбек. Три месяца в турецкой Грузии, зап. Кавк. отд. Р.Г. О-ва, т. X. 1, Тб. 1875 г.

2 Сношение с Аджарским Ахмед-пашею. О переговорах с ними, Акты, т. VII, Тб. 1878 г., стр. 815-816.

3 Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, ч. II.

4 Акты, т. VII, стр. 764.

რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ – არწმუნებდნენ მათ რუსები ყველას გაგაქრისტიანებთო. ეროვნულ თვითშეგნებას მოკლებულ ლაზებსაც სჯეროდათ ეს მონაქორი, თავდადებით იბრძოდნენ მუსლიმანობის დასაცავად და, ამრიგად, გამოდიოდნენ თურქ-ოსმალთა პოლიტიკური ინტერესების დამცველის როლში.

1828 წლის 15 აგვისტოს პასკევიჩმა დაამარცხა ოსმალების ჯარი ახალციხის მახლობლად, სოფ. კლდესთან. და ამის შემდეგ რუსეთის ჯარმა დაიწყო ახალციხის საფაშოს ანუ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის თანდათანობით განთავისუფლება: 1829 წელს ადრიაანოპოლის ხელშეკრულებით ოსმალეთმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა რუსეთს დაუთმო.

ამ ხელშეკრულებას მარქსი და ენგელსი ასე ახასიათებენ: „იმ სიძნელეთა შემწეობით, რომელთაც თავი იჩინეს სიცრუისა და მოტყუების მთელი ქსელიდან, რუსეთმა ბოლოს იპოვა საბაბი 1828-1829 წლის ომისათვის. ეს ომი ადრიაანოპოლის ხელშეკრულებით დამთავრდა. რომლის მეოხებითაც რუსეთი დაეუფლა ანაპასა და ფოთს — შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან ნაწილს; შემდეგ ახალციხის საფაშოს ნაწილს ახალქალაქისა და ახალციხის ციხე-სიმაგრეებით.“¹

ეს იყო დასაწყისი ოსმალების მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს ნაწილების (აქარა, შავშეთ-კლარჯეთი, ლაზისტანი) განთავისუფლებისა ოსმალთა ბატონობისაგან.

რუსეთის მხედრობა ლაშქრობას განაგრძობდა. ლაზებისაგან შემდგარი რაზმები მონაწილეობდნენ ყარსის ბრძოლაში. მათი გამბედაობის შესახებ რუსთა ჯარის სარდალი თავის მოხსენებაში 1855 წლის 19 ოქტომბერს წერდა: „ლაზებმა განიზრახეს ყარსთან ჩვენი ხაზის გარღვევა. კაზაკებთან შეტაკებისას მეღვარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. მოკლულ იქნა 23 ლაზი.“²

შემდეგ ლაზების დახასიათებისას იგი წერდა, ლაზები გულადი ხალხია და მათი შიშით ოსმალთა ლაშქარიც ვერ ბედავს იმათ სოფლებში შესვლასო.

შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის გაძლიერება ევროპის სახელმწიფოთა შორის ძალთა წონასწორობას არღვევდა; ამის გამო ოსმალეთს გვერდით ამოუდგნენ ინგლისი და საფრანგეთი, და 1854-1856 წწ. დაიწყო ე. წ. ყირიმის კამპანია.

1 К. Маркс и Ф. Энгельс, собр. соч., т. IX, стр. 498. М., 1932 г. Партиздат.

2 Акты, т. XI, Тб., 1888 г. стр. 409, 415, 471; Акты, т. III, Тб., 1869 г. стр. 610-615.

ამ ომში რუსეთს სურდა დაუფლებოდა ბათუმს, რომ მერე უკროხის შესართავიდან ოსმალები განედევნა და გაეთავისუფლებინა აჭარა და ლაზეთი. ამაზე ნიკოლოზ I მთავარმართებელ ვორონცოვს სწერდა: „მსურს და ვიმედოვნებ, რომ შენ არა მარტო განდევნი თურქებს, არამედ შეტევაზეც გადახვალ ყარსის მიმართულებით... კარგი იქნება თუ ყარსის შემდეგ ბათუმს დაეიპყრობით“.¹

მაშინდელი ბათუმის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე კ. მარქსი აღნიშნავდა: ამ ომში ორი უმთავრესი საოპერაციო ბაზაა: თურქეთისათვის — არზრუმის და რუსეთისათვის — თბილისი. მაგრამ საომარი მოქმედების ასპარეზის გასაღებს ორივე მხრიდან ბათუმი წარმოადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ ამას, აგრეთვე მის მნიშვნელობას ვაჭრობისათვის, გასაკვირველი არ არის, რომ რუსეთის მეფე მუდამ ცდილობდა მის დაპყრობას.

ბათუმი საომარი მოქმედების გასაღებია მთელი აზიური თურქეთისათვის, რადგანაც ის გაბატონებულია ერთადერთ სავალ გზაზე ნაპირიდან ქვეყნის შიგნით, — გზაზე, რომლითაც შეიძლება თურქეთის ყველა პოზიციას შემოუღარო ზურგიდან არზრუმს. ზღვაზე ორ ფლოტს შორის ბათუმს დაეუფლება ის ფლოტი, რომელიც მოწინააღმდეგეს უკან განდევნის თავის ნავსადგურში.²

ოსმალებს ახლა საფრანგეთ-ინგლისის დახმარებით სურდა გადასულიყო კონტრშეტევაზე რუსეთის წინააღმდეგ — ხელში ჩაეგდო აფხაზეთი, ოდიში და 1855 წელს ჯარები გადმოსხა სოხუმსა და ზუგდიდში. მაგრამ იგი ამ ბრძოლაში დამარცხდა: 1856 წლის პარიზის ზავით ოსმალებმა აფხაზეთი და ოდიში დასცალეს და საზღვრად ისევ ჩოლოქი დარჩა.

ამგვარად, ამ შემთხვევაში ოსმალებმა ვერ მიაღწიეს მიზანს. რომ ხელში ჩაეგდოთ ოდიში და მეგრელებიც მათი მოძმე ლაზებივით გაემუსლიმანებიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაზთა გულადი რაზმები, რომლებიც აქტიურობდნენ ბაიბურთისა და ყარსის ბრძოლებში, ოდიშის დაღამქერაში არ მონაწილეობდნენ. ოსმალებმა, ალბათ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ვერ გაბედეს გამოეყვანათ ლაზები მოძმე მეგრელების წინააღმდეგ.

ლაზებს ჯერ ერთი, კიდევ კჰონდათ ურთიერთობა სამეგრელოსთან, რომელიც უკვე რუსეთის ხელში იყო მოქცეული. ამიტომ ოსმა-

1 Акта, т. X, стр. 769

2 К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, М., Партиздат, 1932 г. стр. 554-555.

ლები ცდილობდნენ ლაზებში აღმოეფხვრათ ყოველივე ქართველური და მოესპოთ ლაზური ენაც, რომელიც მათ მეგრელებთან აერთიანებდა. ამ მიზნით ლაზეთის მიწა-წყალზე ასახლებდნენ უცხო ტომის ხალხს. გონიაში და კახაბერში ჩაასახლეს ქურთები, მასთან თურქი ტომის ეშიარები, ჰემშილები და სხვ. რიზესა და მაფავრეს (მეფური) მიდამოებში დაასახლეს გამუსლიმანებული ბერძნები და სხვა. ლაზ მოსახლეობას კი გზავნიდნენ ოსმალეთის შორეულ მხარეებში. ლაზეთში რომ ქართული მოსახლეობის კვალი მოესპოთ, ოსმალები ლაზების ციხე-კოშკებს, ეკლესიებსა და მონასტრებს ანგრევდნენ და აოხრებდნენ. ზოგი მათგანი მეჩეთებად და მედრესეებად გადააკეთეს, სადაც მოლები ლაზებს უქადაგებდნენ ქართველებისადმი სიძულვილს, „გიაურებს“ (უჩულოებს) უწოდებდნენ მათს მოძმე ქართველებს და ურჩევდნენ ჩამოშორებოდნენ, რის შემდეგ ისინი „წმინდანები“ გახდებოდნენ და სამოთხეში მოხვდებოდნენ.

ამგვარად, მუსლიმანური სარწმუნოების საშუალებით მოლები ცდილობდნენ გაეთურქებინათ ლაზები და ხელს უწყობდნენ ლაზების კულტურულად დაქვეითებას.

ამის შესახებ ფრ. ენგელსი სამართლიანად შენიშნავს, რომ „მაჰმადის სარწმუნოებრივი რევოლუცია, როგორც ყოველგვარი სარწმუნოებრივი მოძრაობა, ფორმალურად რეაქცია, ძველისაყენ დაბრუნება იყო“.¹

ეს თქმა სწორედ ლაზეთზეა ზედგამოჭრილი. ძველი ლაზიკა, რომელიც ისტორიაში ცნობილი იყო თავისი ძლიერებითა და მაღალი კულტურით, გამაჰმადიანების შემდეგ დაცემისა და დაქვეითების გზას დაადგა.

საინტერესოა გავეცნოთ ლაზეთის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას XVIII საუკუნის მიწურულში, ბერლინის ხელშეკრულებამდე, როდესაც ლაზეთის ნაწილი რუსეთმა შემოიერთა.

ამ პერიოდის ლაზეთის გასაცნობად, სამწუხაროდ, ძალიან მცირე მასალა მოიპოვება საყურადღებოა სამი შრომა: ოსმან-ბეის,² გ. ყაზბეგის³ და ვ. პალგრევის,⁴ რომლებიც ზოგად წარმოდგენას იძლევიან იმდროინდელ ლაზეთზე.

1 ს. ყუბანეიშვილი, მარქსი და ენგელსი რელიგიის შესახებ, თბ., 1933 წ., გვ. 37.

2 Осман-бей, Лазистан (Изв. ИРГО-ва, 1874 г., т., X, № 8).

3 Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии (Зап. КОРГО т. X, I Тб. 1875 г.)

4 В. Пальгрев, Отчет, (1872 г.) о береге Лазистана (Изв. Р.Г.О-ва т. VII, Тб. 1882 г., стр. 41-48).

ოსმან-ბეიმ ლაზეთში 1864 წელს იმოგზაურა. თავის პატალა ნარკვევში მას კარგად აქვს აღწერილი ლაზეთის ბუნება. პავა, გზები, შრომა-საქმიანობა და სხვა.

ლაზეთი ამბობს იგი ეწოდება შავი ზღვის სანაპიროს ნაწილს, რომელიც მდებარეობს მცირე აზიასა და კავკასიას შორის.



ლაზი (ტიპი).

ლაზეთმა თავისი სახელწოდება მიიღო ლაზებისაგან, რომლებიც ქართველთა წარმოშობისანი არიან. მისი საზღვარია: ჩრდილოეთით შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით მდინარე ქორხი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდინარე სამანსუ. მისი ტერიტორიის ფართობი მოიცავს 7.000 კვ. კილომეტრს.

მთავარი ქალაქია ტრაპიზონი, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ლაზეთის სატახტო ქალაქს წარმოადგენს.

ტრაპიზონის მოსახლეობა შერეულია: მუსლიმანური მოსახ-

ლეობა ლაზებისაგან შედგება, ხოლო ნაწილობრივ ბერძნებისაგანაც, რომლებსაც მუსლიმანობა მიუღიათ.

დღეს სხვადასხვა ეროვნების მუსლიმანები, ერთიანი რწმენისა და ენის წყალობით. გაერთიანებული არიან და ერთ კასტას წარმოადგენენ, რომელიც პოლიტიკური და საზოგადოებრივი უპირატესობით სარგებლობს.

ლაზებს აქვთ თავიანთი ენა (განსაკუთრებული დიალექტი), რომელიც ქართულის მონათესავეა. თავისი ტიპიურობით ლაზი ქართველს ემსგავსება.

ლაზები შრომისმოყვარენი არიან და მისდევენ სოფლის მეურნეობას, უმთავრესად მოჰყავთ: სიმინდი, ხორბალი, ქერი, თხილი და თამბაქო. აქ თაფლი და ტყავიც ბევრია. ლაზური სელი მაღალი ხარისხისაა და იქაურები იმისაგან ქსოვენ ტილოს, რომელიც სახელმძღვანელოა აღმოსავლეთში.

ისინი დახელოვნებულნი არიან მიწათმოქმედებაშიც. გველურებული მთები ბაღებად და ვენახებად გადააქციეს. როგორც ვაჭრები და მეზღვაურები, ლაზები. დიდ მეტოქეობას უწევენ ყველა სხვა ტომებს და მათი ხომალდებიც ყველა მიმართულებით დაცურავენ შავ ზღვაში.

ლაზების ეკონომიურ კეთილდღეობას უმაჯორესად ვაჭრობა და ნაოსნობა უწყობს ხელს.

ლანი მეზღვაურები კარგი გემთმშენებლებიც არიან.

ლაზეთის მოსახლეობა ოსმალეთის ხელისუფლებას ყოველწლიურად უგზავნის მეზღვაურთა გარკვეულ კონტინგენტს. რომლებმაც შვიდი წელიწადი უნდა იმსახურონ ოსმალეთის ფლოტში. ამდენად, მეზღვაურების სამ მეოთხედს ლაზები შეადგენენ.

ლაზები დახელოვნებულნი არიან აგრეთვე სპილენძისა და თითბრის კურკლის კეთებაში. ამდენად, კურკლით ვაჭრობა მთელ ოსმალეთში მათ ხელშია. ტყავით ვაჭრობას ეწევიან კავკასიასთან. რაც შეეხება ფეიქრობას, ამაში დახელოვნებული არიან ქალები, რომლებიც ქსოვენ ნახსა და ლამაზად შეხამებულ ქსოვილებს.

უკანასკნელ წლებში ვაჭრობისა და წარმოების განვითარებამ ლაზების გულადობა შეასუსტა. რითაც ისინი ცნობილნი იყვნენ უწინ. ამ ორმოცი წლის წინათ ფეოდალური სისტემა სრულიად მოიშპო ლაზეთში. მანამდე კი გაბატონებული დერე-ბეგები. რომელთაც თან ახლდათ ასეული და ათასეული ვასალები, მუდამ ებრძოდნენ ერთმანეთს მთაში თუ ზღვაში.

მათი კოშკებისა და ციხეების ნანგრევები გაფანტულია ზღვის პირას და მალალ ბორცვებზე. მათი შვილები და შვილიშვილები ახლაც ამაყად დადიან მხარზე თოფგადადებული. თუმცა სრულიად დაკარგეს წინაპართა გმირული ხასიათი. მაგრამ იარაღის ტარება ლაზებს ახლაც უყვართ. ომიანობის დროს ლაზები მედროშეებად არიან. მსახურობენ აგრეთვე ბაში-ბუზუკში (პოლიცია). რომელიც ლაზებს უფრო იზიდავს, ვინაიდან მათ თავისებური ბრძოლა უყვართ.

დასასრულ, ოსმან-ბეი იძლევა ლაზების ტანთაცმულოცის აღწერას, რომელიც თითქმის არ განსხვავდება აჭარულ-კურულსაგან:

ლაზურ ჩაცმულობას, — ამბობს იგი, — შენარჩუნებული აქვს მხედრული ხასიათი: ფეხებზე მჭიდროდ გაწყობილი მუქი ფერის შალისაგან შეკერილი შარვალი, მოკლე და ვიწრო ზედატანი იმავე ქსოვილისა, ზედატანს წინა მხარეზე აქვს ორი საქილე (ვაზნებისათვის), წელზე შემოხვეული აქვთ აბრეშუმის სარტყელი, ზოლო თაევზი — ყაბალახი.

მხარზე ატარებენ გრძელ თოფს, რომლის კონდახი შემკულია მოსევადებული ვერცხლით, ხანჯალი ჩერქეზულის მაგვარი ჰკიდი-ათ.¹

ლაზეთის შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება აგრეთვე ინგლისელ კონსულს ვ. ჯიფორდ პალგრევს, რომელსაც ვრცლად აქვს აღწერილი ლაზისტანის ვილაიეთი. მისი სიტყვით, ტრაპიზონის ვილაიეთის (პროვინციის) მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური ცნობებით 850.000 აღწევს. მათში 56.000 ქრისტიანია. მუსლიმანური მოსახლეობის უმრავლესობას ლაზები შეადგენენ; ეს მშვენიერი რასაა, ისინი არიან კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღვაურები.²

არქაბეში უმრავლესობას მეთევზეები შეადგენენ. ამ უბანში 51 სოფელია და 19.551 მცხოვრები, მათ შორის 18.115 მუსლიმანია და 1.436 ბერძენი. უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ე. წ. „ბერძენები“ იგივე ლაზები არიან, რომლებსაც ბიზანტიის ბატონობის პერიოდში ქრისტიანობა მიუღიათ. არქაბი ამარაგებს თურქეთის ფლოტს საუკეთესო მეზღვაურებით,³ რომლებსაც თავიანთი ხეობების შესასვლელი გამაგრებული ჰქონდათ ციხე-კოშკებით. აქაური დერე-ბეგები ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენებურ საშუალო საუკუნეების ფეოდალ ლორდებს ემსგავსებოდნენ. ზოგ მათგანს სულთნისაგან რაიმე სამსახურისათვის ბოძებული მამული ჰქონდა, უმრავლესობას კი მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თურქები დაიპყრობდნენ მათ ქვეყანას.

ყველანი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ. მართვა-გამგეობაში ბატონებიც იყვნენ და მემამულეებიც; მათი მსახურნი და მიმღევრები მათგან იღებდნენ მიწის ნაკვეთებს სხვადასხვა პირობით (უფრო კი მონური პირობით).

დერე-ბეგი კონსტანტინეპოლთან დაკავშირებული იყო ორნაირი ვალდებულებით: ჯერ ერთი, უნდა გადაეხადა წლიური გადასახადი, ე. წ. „უშური“, რომელსაც თვითონ აგროვებდა და სულთნის ხაზინაში შეჰქონდა; მეორე, სულთნის მოთხოვნისამებრ უნდა გამოეყვანა მოლაშქრეები თავისი ცხენ-იარაღით და ხარჯით. ამ ლაშქარის მეთაურიც თვითონ უნდა ყოფილიყო ან მისი ახლობელი ნათესავი. ასეთ მეთაურებს გულადობისათვის სულთანი ზოგჯერ აჯილდოებდა.⁴ დღეს

1 Осман - бей, Лазистан, стр. 361.

2 Палгрев, Отчет о береге Лазистана, стр. 17.

3 იქვე, გვ. 60.

4 იქვე, გვ. 79.

ყველაფერი ეს შეიცვალა, დერე-ბეგებს ყველა მიწა — დიდი თუ მცირე, სახელმწიფომ კონფისკაციისა თუ გამოსყიდვის სახით ჩამოართვა. მამულებთან ერთად მათ დაჰკარგეს სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებაც, და დერე-ბეგის ადგილი ფაშამ დაიკირა.¹

დაახლოებით ასეთსავე ხასიათის ცნობებს იძლევა გ. ყაზბეგი, რომელმაც ლაზეთში 70-იან წლებში იმოგზაურა სამხედრო-სტრატეგიული დავალებით.

გეოგრაფიულად, — ამბობს ყაზბეგი, — ლაზეთს უჭირავს მეტად ვიწრო ზოლი შავი ზღვის სანაპიროზე ქემერის კონცხიდან (რკინის პალო) მაკრიელამდე. ლაზეთის მოსახლეობა ბუნებას ზღვის მეტად ვიწრო ნაკვეთზე მოუძწყვდევია, რომელსაც მოსახლეობის მეოთხედის გამოკვებაც არ შეუძლია, მაგრამ ლაზებს გამოსავალი უპოვნიათ, თავიანთი ბედი ზღვისათვის მიუხდევიათ; მთელი მათი წარსული და აწმყო დაკავშირებულია ზღვის ტალღებთან. ამის გამო ლაზეთი უმთავრესად ვაჭრობასა და ნაოსნობას ეწევიან.²

ლაზეთის ენა მცირედ განსხვავდება მეგრულისაგან და დღეს არსებობს ლაზურის სამი კილო: ხოფური, არქაბული და ათინური. პირველი მათგანი თითქმის ეტოლება მეგრულს, მეორე, რომელზედაც აბუს ხეობა ლაპარაკობს, საშუალოა ხოფურსა და ათინურს შორის, მესამე კი ბერძნულისა და თურქულის გავლენით დაშორებულია საერთო ძირიდან.³

ხოფელ ლაზებს ყაზბეგი ასე ახასიათებს: ესენი წმინდა სისხლის ლაზები არიან, ლაპარაკობენ ლაზურად: მათი ტანსაცმელი გურულსა და აჭარულს ემსგავსება. ყველანი გამაჰმადიანებული არიან.

ხოფას, განსაკუთრებით ორთა-ხოფას მიდამო, ულამაზესი კუთხეა. აქაური მოსახლეობაც სილამაზითა და კოხტა ტანსაცმლით გამოირჩევა.

ზღვის პირა ლაზეთის სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა; ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან.

ჩვენი შთაბეჭდილების შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ ზღვისპირა ლაზეთის მოსახლეობა გონებრივად და ზნეობრივად უფრო მაღლა დგას თურქეთის ქართულ მოსახლეობაზე.³

1 Па хъ грев, Отчет о береге Лазистана, გვ. 80.

2 Г. Казбек, Три месяца в турецкой Грузии (зап. КОРГО т. X, I, 1878 г).

3 იქვე, გვ. 133.

4 იქვე, გვ. 101.

გ. ყაზბეგი აქაურ ქალებს ასე აგვიწერს: ჩვენ გვხვდებოდნენ ბაზარში მიმავალი ქალები. კრელი საღღესასწაულო ტანსაცმელით გამოწყობილნი. ქალებს ტვირთი კალათებით მიჰქონდათ. თხელ პირბადეში (ჩაღრი) გამოკოთოდა აქაური ქალების ცნობისმოყვარე თვალები; ზოგი განგებ გააწევდა პირბაღეს. ვითომც შემთხვევით. და ამით საშუალება გვეძლეოდა დაგვენახა მათი ლამაზი პირისახე. აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან. და ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირისახე აქვთ.



შეიარაღებული ლაზები.

ამასთანავე ლაზი ქალები არა-ჩვეულებრივი ენერგიით, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან.¹

ადმინისტრაციულად ამ დროს ლაზეთი ხუთ მაზრად იყოფოდა: ხანა, გონიო, არქავა, ათინა და ქემშინი, ლაზეთი ერთ საგუბერნიოს შეადგენდა. რომელსაც მართავდა ბათუმის გუბერნატორი და ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა.

1873 წლის სტატისტიკური ცნობის² მიხედვით ლაზეთის მოსახლეობა შეადგენდა: კომლობრივად — 9.205 კომლს, ხოლო სულადობრივად — 55.350 კაცს.

ამასთანავე საყურადღებოა. რომ ამ დროს, მიუხედავად ოსმალების ხანგრძლივი ბატონობისა. ლაზების მოწინავე პირებს ჯერ კიდევ ხსომებიან თავიანთი ქვეყნის ისტორიული წარსული, საქართველოსთან, სახელდობრ. მეგობრებთან თავიანთი ენობრივი და ტომობრივი ნათესაობა.

ასეთ პირთა შორის აღსანიშნავია წარჩინებული ლაზი ხასან ალა მურად-ოღლი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ისტორიკოს დ. ბაქრაძესთან.

დ. ბაქრაძემ 1873 წელს იმოგზაურა გურიასა და აკარაში არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიზნით. მას ბათუმში შეხვედრია ხასან-ალა, რომელსაც იგი 1860 წლიდან იცნობდა. ამ ხასან-ალას

1 Г. К а з б е к, Три месяца в турецкой Грузии (зап. КОРГО) т. X, I, 1878 г. стр. 107.

2 Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского Санджака, составленное подполковником Каабеком, Тб., 1876., стр. 86.

დ. ბაქრაძისათვის გადმოუცია ლაზეთის შესახებ საინტერესო ცნობები. „იგი, — ამბობს ბაქრაძე, — ჩამომავლობით ლაზია. ორთა-ხოფიდან, თავის თავს საქართველოდან გადმოსასლებულად თელის, ქართულ გვარსაც ატარებს. მოურავიშვილს (მურად-ოღლი) და მიეკუთვნება ლაზეთის მაღალ წოდებას. იგი ქართულად თავისუფლად საუბრობს და კარგად იცნობს ლაზების წარსულსა და აწმყო ყოფაცხოვრებას. რაც შეეხება ჭანეთს (ლაზეთს), — თქვა ხასან-ალამ, — მისი საზღვარი ასეთია: ერთ მხარეს მდ. ჭოროხია. მეორე მხარეს — ქედიანი მთები, მესამე მხარეს — ზღვა, მეოთხე მხარეს კი ქემერი რიზესა და მეფურს შორის, რაც ლაზურ ენაზე „გამოკვეთილ ქვას“ ნიშნავს. ეს ქემერი ძველად საზღვარი იყო საბერძნეთსა და ლაზეთს შორის. ამ საზღვრებში გავრცელებულია ჩვენი ენა. იგი შერყვნილია მხოლოდ გონიოსა და რიზეში, პირველში თურქულით, მეორეში კი — ბერძნული ენით.

ლაზური ენა წმინდად დაცულია მხოლოდ სოფლებში. იგი შეტად ახლოა მეგრულთან. ლაზებსა და მეგრელებს ერთმანეთის ენა კარგად ესმით.

საერთოდ. ჩვენებური გადმოცემით, ჩვენ — ლაზები და მეგრელები — ერთ ტომს შევადგენდით. ამბობენ, რომ ამ ტომს ძველად ეკავა მთელი შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული ქემერიდან ბიჭვინთამდე; მაგრამ საქართველოს ერთ-ერთ მეფეს გამოუღაშქრებია ლაზეთზე, ეს ტომი ორად გაუყვია და მათ შორის ქართველები დაუსახლებია.

ტრახანით არ ვიტყვი, განაგრძო ხასან-ალამ, რომ ჩვენ ამ მხარეში ყველაზე მამაცი ხალხი ვართ. ჩვენში ყველანი შეიარაღებულები არიან. ნიშანში კარგად ვისვრით და სირცხვილად მიგვაჩნია, მტერს ზურგი შევაქციოთ, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი. განსაკუთრებით მამაცები არიან ჩვენი ბეგები (თავადები). წინათ ისინი შეძლებულები იყვნენ: მიწა ბევრი ჰქონდათ და გლეხობაც ბევრი ჰყავდათ. სამფლობელო გამაგრებული ჰქონდათ ციხე-კოშკებით და ზარბაზნებით. თავიანთი ხომალდებით თავისუფლად დატურავდნენ შავ ზღვაზე და შიშის ზარსა სცემდნენ ყველას. ზოგჯერ მათ ეკავათ ბათუმი და ფოთი. ახლა ისინი დასუსტდნენ, ამ 30 წლის წინათ სულთანმა მათ მამულები ჩამოართვა, რომ ბეგები უბრალო წოდებასთან გაეთანასწორებინა.

თითქმის ყველა ჩვენმა ბეგმა იცის ქართული ენა; ქართულად

კითხულობენ და წერენ უმთავრესად მათი ცოლები იმიტომ, რომ ისინი ნათესავეურ კავშირში არიან ჩურუკ-სუისა და სამეგრელოს მაღალ წოდებასთან.

ლაზეთის ბეგების საგვარეულონი არიან: ზუმბაია და მანელი-შვილი მაკრიელასა და ლიმანში; მურად-ოღლი ანუ მოურავიშვილი ბუჯაღში, ორთა-ხოფაში, დიმიტრეტსა და სუნდურაში; სუნდურაშივე ცხოვრობს შალ-ოღლი ანუ შალიკაშვილი; ყორდანია ქისეში, პერონონთში და არქაბეში; პოტური ან პოტურია — კაპისარში; ბალთა-შვილი ბელეგსა და ათენას შორის.

ლაზეთში საკმაოდ ბევრია ძველი ეკლესიები, თუმცა უმეტესი მათგანი დანგრეულია. სარფის ტყეში არის თლილი ქვით ნაგები ერთი ტაძარი. მაკრიალში, ზუმბაიას სახლთან ერთ დაბლობზე დაცულია გუმბათიანი დიდი ტაძარი, გარშემო აქვს მაღალი გალავანი. ტაძარს არა აქვს არც წარწერა და არც მხატვრობა. მასთანვე არის ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც გამოყენებული იყო საჯინიბედ.

აბუ-ისლაჰში ტაძარი აგებულია მაღალ მთაზე და მას უწოდებენ „ოხვამე“-ს (სამლოცველო, ეკლესია). იგი უნდა ყოფილიყო მონასტერი. ძველი ადათით გვალვის დროს იქ იკრიბებიან ლაზები და ავდარს შესთხოვენ.

ქვემოთ კიდევ იყო ერთი ეკლესია მხატვრობით; ერთ დროს იგი დუქნად ჰქონდათ გამოყენებული და დიდი ხანი არ არის, რაც დაანგრიეს. პერონითში ყორდანიას მამულში არის გუმბათმორღვეული ეკლესია, მისი ყველას ეშინია და ვერავინ ბედავს ახლო მისვლას.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ლაზეთის ზოგიერთ ეკლესიაში მოთავსებულია ქვის საწნახელები და დიდი ქვევრები, რომლებიც ჩაფლულია მიწაში. საფლავებიც არის, საიდანაც იღებდნენ ქურჭელს, ფულებს და სხვ.

ერთი სიტყვით, აქ მოყვანილი ოსმან-ბეის, გ. ყაზბეგისა და ხასან-ალა მურად-ოღლის ცნობები წარმოდგენას იძლევიან იმდროინდელი ლაზეთის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ ვითარებაზე.

1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ამ ომში მონაწილე ქართველი რაზმები მამაცურად იბრძოდნენ, რომ სამშობლოს მიწა-წყალი გაეთავისუფლებიათ მოძალადეებისაგან.

ბრძოლის მთავარ ცენტრში მოექცა ბათუმი, სადაც გამაგრებული იყო ოსმალთა ლაშქარი და ოკუპანტთა ხელისუფლება.¹ დიდი

1 Потто, Три прошлых компании в связи с военными действиями в районе Батумской области“. (См. Батум и его окрестности, сбор. статей, Батум, 1906 г.)

ბრძოლის შემდეგ ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. ამას მოჰყვა 1878 წელს ბერლინის ტრაქტატი. რომლის ძალითაც რუსეთს გადაეცა ყარსი, არტანი და ბათუმი.¹ ამგვარად, სამაჰმადიანო საქართველოს დიდი ნაწილი საქართველოს შემოუერთდა.

ამ ტრაქტატით რუსებს ლაზეთის მხოლოდ მცირე ნაწილი ერგო, სახელდობრ ჩხალის ხეობა, რომელიც მარადიდის საბოქაულოში შედიოდა. ლაზეთის ეს ნაწილი სულ 16 სოფლისაგან შედგებოდა და მას ეჭირა ზღვის სანაპირო სოფ. სარფიდან კოფშიშამდე (ლიმანთან).

ამგვარად, რუსეთმა ბერლინის ზავითაც ვერ შესძლო მთლიანად შემოეერთებინა ლაზეთი, მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ერგო და ამით დაარღვია ლაზეთის ტერიტორიული და ეთნიური მთლიანობა. ლაზეთი ორ აგრესორთა შორის — ოსმალეთისა და მეფის რუსეთის ხელში მოექცა. რასაკვირველია, არც ერთი მათგანი არ იყო დაინტერესებული ლაზეთის ეროვნულ-პოლიტიკური საკითხით: პირიქით, ორივენი ცდილობდნენ ლაზეთის საქართველოსაგან გამოთიშვას და გადაგვარებას.

ამის შემდეგ რუსეთის შიშით ოსმალეთმა უფრო გააძლიერა ლაზეთში გათურქების პოლიტიკა; რუსეთმა კი ამ შემთხვევაში ვერ გამოიჩინა პოლიტიკური სიფხიზლე, რომ ლაზეთის თავის ნაწილში თურქული ენა და ჩვევები აღმოეფხვრა.

ამის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს ვ. ლოზენი, რომელიც ამბობს, რომ თურქეთის მთელ საზღვარზე, ბათუმისა და ართვინის ოლქების ჩათვლით, რუსეთის ადმინისტრაცია თვალ-ყურს არ ადევნებს მუსლიმანური სამღვდელოების საიდუმლო აგიტაციას რუსეთის წინააღმდეგ. ეს სამღვდელოება კი მზად არის თავიდან მოიშოროს მისთვის საძულველი „გიაურის“ ბატონობა.

მეორე პოლიტიკურ შეცდომას ჩადის სასწავლო ოლქი. აქაურ მასწავლებლებს აიძულებენ ასწავლონ რუსულად და სასტიკად უკრძალავენ ადგილობრივ ქართულ ენაზე სწავლებას.

ამის გარდა, ზოჯებს აქ ნება ეძლევათ ასწავლონ თურქულ ენაზე და ისინიც ანტირუსულ იდეებს ნერგავენ. ამის შედეგი ასეთია: რუსულმა ენამ აქ ფეხი ვერ მოიკიდა, ქართული ენა თანდათანობით ეცემა და ადგილს უთმობს დამახინჯებულ თურქულს.²

1 И. Ст о б н и ц к и й, Русско-Турецкая граница в Малой Азии по Берлинскому трактату 1878 г. (с картой), Изв. Кав. Отд. ИРГО, т. VII, Тб. 1882 г., стр. 148-153.

2 Л и о з е н, „Берег русского Лазистана“, изв. КОИРГ об-ва, т. XVIII, 3, Тб. 1905 г., стр. 25.

იმდროინდელ მოწინავე ქართველ საზოგადოებას ძალიან არ შესწევდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა თავისი მოძმე ლაზებისათვის, ვინაიდან თვითონ მას უხდებოდა ბრძოლა ცარიზმის გამარჯვებელი პოლიტიკის წინააღმდეგ შიგ საქართველოში, სადაც აშკარად იღვევებოდა ქართული ენა. ამის გამო ლაზეთის ჩვენი ნაწილიც ისევ თურქოსმალების სარწმუნოებრივ-კულტურულ გავლენაში რჩებოდა და, ცარიზმის უხეირო პოლიტიკის წყალობით, ენობრივად, კულტურულ-იდეოლოგიურად ისევე მოწყვეტილი და დაშორებული იყო საქართველოსაგან.

ამრიგად, გათურქების პოლიტიკას ლაზეთში ახლა გარუსების პოლიტიკაც დაემატა და საქართველოს ამ მრავალტანჯულ პატარა მხარეს საშუალება არ მიეცა ენობრივად და კულტურულად მჭიდროდ დაკავშირებოდა დედა-სამშობლოს და ეროვნული აღორძინების გზას დასდგომოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბათუმის შემოერთების შემდეგ გაცხოველდა ურთიერთობა ლაზებსა და საქართველოს სხვა კუთხეებს შორის: მით უმეტეს, რომ ლაზეთის ნაწილი ადმინისტრაციულად და პოლიტიკურ-ეკონომიურად რუსეთის ფარგლებში შედიოდა და ლაზებსაც ფართო გასაქანი ეძლეოდათ საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა მხარეში ვაჭრობისა და ხელოსნობისათვის, რაც ხელს უწყობდა ლაზებისა და ქართველების დაახლოებას.

1890-იანი წლებიდან ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში ხშირად კორესპონდენციებიც თავსდებოდა ლაზების ვინაობასა და საქმიანობაზე. იწერებოდა ნარკვევები ლაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე და სხვა.

ლაზების მდგომარეობის დასახასიათებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას. ქართველ მოღვაწეთაგან რუსეთის ლაზეთში იმოგზაურა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელიც ლაზეთის ზოგადსა და საინტერესო აღწერას იძლევა.

ლაზისტანი, — ამბობს ზ. ჭიჭინაძე, — ემორჩილება ტრაპიზონის ფაშას (გუბერნატორს). ტრაპიზონი საგუბერნიო ქალაქია, სადაც ირჩევა ლაზთა ყველა საქმეები. იშვიათია, რომ რომელიმე საქმემ მიადწიოს სტამბოლამდე. ორივე სქესის ლაზთა რიცხვი არ აღემატება 150.000 (ასორმოცდაათი ათასი) სულს. ლაზური ენა მტკიცედ არის დაცული ლაზისტანში. ყველა ლაზი სახლობაში ლაზურად ლაპარაკობს, განსაკუთრებით ქალებმა იციან სუფთა ლაზური. რუსეთის ხელში ლაზისტანისა დღეს მხოლოდ ერთი სამამასახლისოა, სახელდობრ ჩხალის ხეობა, და მიწერილია ლივანის, ანუ მარადიდის საბოქაულოზე.

აი, სოფლები, სადაც ლაზები ცხოვრობენ;

დაკვარა — 15 კომლი (წინათ მეტნი იყვნენ, მაგრამ რუსეთთან შეერთების დროს ბევრი გადასახლდა ოსმალეთის ლაზისტანში),
ონორდია — 20 კომლი, კორტანეთი — 25, ბელღევანი — 40, პანჩურეთი — 25, სუჯუნა — 45, მამანათი — 30, სკური — 15, მაკრეთი — 45, მადრავეთი — 29, მაჭათი — 20, გაბრიელა — 15, დუსქოი — 60, სარფი — 40, ლიმანი — 30, მაქრიალნი (ნოღედი) — 80 კომლი. არის სხვა პატარა სოფლებიც, რომლებსაც არ ვასახელებთ, რადგან იქ მცხოვრებთა რიცხი ორ-სამ კომლს არ აღემატება. ჩხალის ხეობიდან ოსმალს ლაზისტანში მშვენიერი გზები გადის. ლაზებს გადააქვთ და გადმოაქვთ ლიმონი, ფორთოხალი, ზეთისხილი, ლეღვი და სხვა ხილი.¹

ლაზურ ან ქართულ სახელს თითქმის არც ერთი ლაზი არ ატარებს, გვარებიც გადაკეთებული აქვთ ოსმალურად, მაგალითად, ქურდიანი გადაკეთებულია ქურდოლლი, მარგიანი — მარგოლლი, მარიაშიძე — მაიროლლი და სხვ.

ლაზებმა კარგად იციან, რომ მეგრელები და ქართველები იმათი მკვიდრი მონათესავენი არიან, ამიტომ ოსმალელი ლაზები ხშირად გადმოდიან ჩვენსკენ და აქ ცხოვრობენ.

ლაზებს გადმოცემით სცოდნიათ თავიანთი ისტორიული წარსულიც, რომლის შესახებ მოხუც ლაზ ხოჯებს 1895 წელს ზ. ჭიკინაძისათვის უამბიათ შემდეგი:

„ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთი ვყოფილვართ, აფხაზეთის შემდეგ მთელი შავი ზღვის ნაპირები სულ ლაზებით და მეგრელებით ყოფილა დასახლებული. მაშინ თურმე მთელი ამ ხალხის ქვეყანა გაიყოფოდა სამ ნაწილად: ერთ ნაწილს ეწოდებოდა ლაზისტანი, მეორეს ჭანეთი, მესამეს — სამეგრელო. სამივე ამ სახელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი ლაზური, ანუ მეგრული, რომელიც მაშინ გავრცელებული იყო მთელი შავი ზღვის სანაპიროზე. ეს ენა, ლაზებს გარდა, მაშინ ქართველებსაც კარგად ესმოდათ. ყოველი ლაზი თავისუფლად ელაპარაკებოდა იმერელს, ქართლელს და სხვებსაც.

მერე კი როცა დაეშლილვართ, ერთმანეთი მიგვივიწყებია და სიტყვების გაგებაც ვეღარ შეგვიძლებია, ერთმანეთი დაგვივიწყებია“.²

როგორც აღვნიშნეთ, ლაზები იყვნენ კარგი ხელოსნები, ღურგალ-კალატოზები, ხუროები, ოქრომკედლები, მეჩუქურთმენი და

1 ზ. ჭიკინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 31-32.

2 იქვე, გვ. 9.

სხვა. სამუშაოდ ლაზი ოსტატები უმთავრესად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოდრიოდნენ: სამეგრელოში, იმერეთში, გურია-აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში და სხვა. ეს გარემოება ხელს უწყობდა ლაზებისა და ქართველების ერთმანეთთან დაახლოებასა და ლაზების გათვითცნობიერებას. ამის გამო ოსმალეთის მთავრობას ლაზების საქართველოში სამუშაოდ მოგზაურობა არ მოსწონდა და უკრძალავდა საქართველოში სამუშაოზე წასვლას.

ამის შესახებ ზ. ჭიჭინაძე ამბობს: „ოსმალეთის მთავრობამ ლაზი ხელოსნები აიძულა სახელოსნო საქმეებისათვის ოსმალეთის ქვეყანაში ევლოთ, იქ უფრო მეტ მოგებას მიიღებთო. ლაზებმაც იქით დაიწყეს მოგზაურობა და ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში იფანტებოდნენ.

ასეთი საქმიანობის წყალობით ლაზები თავის სამშობლოს ტოვებდნენ და საქართველოს ნაცვლად ოსმალეთის ქალაქებში სახლდებოდნენ, სადაც თურქ ქალებს ირთავდნენ და თავიანთ ქვეყანას ადვილად ეკარგებოდნენ, სადაც მათ გადაგვარებაც ელოდა“.¹

ამასვე ადასტურებს მარადილელი მოხუცის ახმედ ეფენდი ხალვაშის გადმოცემაც: „ერთ დროს ლაზებს და მეგრელებს რაღაც მიზეზით ქართული ენა დაავიწყდათ: ამის მიზეზი მგონი ის ყოფილა, რომ ლაზ ხელოსნებს ქართლსა და იმერეთში მოგზაურობა მოუსპიათ, სამუშაოდ იქით არ მიდიოდნენ თურმე და თვით ჩვენშიც არ გადმოდრიოდნენ, მაგალითად, აჭარასა და ლივანში. ამიტომაც დროის განმავლობაში ენაც მივიწყებიათ ისე, რომ ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ“.²

ამას გარდა, სამშობლოდან უცხო მხარეში ლაზების გასახლებას ხელს უწყობდა მეზღვაურობა და გემთმშენებლობა, რითაც ლაზები განთქმულნი იყვნენ, და შავი ზღვის სანაპიროებიც საესე იყო ლაზი მეზღვაურებით.

ამის შესახებ ზ. ჭიჭინაძე ამბობს: „ნაოსნობა ათასობით ლაზს აკლიდა საშობლოს, ვაჭრობა და სილამაზეც ხელს უწყობდა მათ გადასახლებას სამშობლოდან. ლაზები ლამაზი ხალხია: ოსმალნი ძალიან მისდევენ მათ ნათესაობას. ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობენ“.³

ლაზეტში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის სხვადასხ-

1 ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 62-63.

2 იქვე, გვ. 10.

3 იქვე, გვ. 63.

ვა დარგი და ლაზებიც კარგ მეურნეებად იყვნენ ცნობილი. მაგრამ ოსმალეთის ხელში აქ მეურნეობა დაეცა, ხოლო ზოგი დარგი, როგორც მეურნეობა მთლად მოისპო.

ზ. ჭიჭინაძის აღწერით, ლაზები მისდევენ მებაღეობას, ლედვის ჩირის გაკეთებას, ზეთისხილის დამზადებას, რაც მუდამ ქებულია ყველგან. ლაზური ზეთისხილი ბევრად სჯობია ართვინისას. ფუტკრის მოვლა-მოშენებაშიც დიდად არიან დახელოვნებულნი. ამიტომ ლაზისტანში დიდებული თაფლი მოდიოდა და უცხოეთშიც გაჰქონდათ. ლაზისტანი ძველთაგანვე თაფლის ქვეყანა იყო. წმინდა სანთელსაც ბევრს ამზადებდნენ. გაჰქონდათ საბერძნეთში, საქართველოში და რუსეთში. სანთლისაგან ლაზებს არაყიც უხდიათ, რაც გურულებსაც გადაუღიათ.

ღვინის დაყენებაშიც ოსტატები ყოფილან. ტყე სავსე იყო ვაზით, ყურძენიც ბევრი მოდიოდა, ლაზები თეთრსა და წითელ ღვინოსაც მრავლად აყენებდნენ. სახედამედ ღვინო აქედან ბიზანტიაში გაჰქონდათ.

გამუსლიმანების შემდეგ ლაზეთში ღვინის დაყენება და მელდინეობა ამოვარდნილა. ოსმალებმა ლაზებს სასტიკად აუკრძალეს ღვინის სმა, მთავრობის ბრძანებით ლაზისტანის ტყეებში ვაზი გაკაფეს.¹

ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით ლაზური ენა აკრძალეს არა მარტო სახელმწიფო-საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არამედ ოჯახებშიც, სადაც ლაზებს აიძულებდნენ თურქულად ესაუბრათ. ამით სურდათ ლაზების გულიდან აღმოეკვეთათ ყოველივე ეროვნული გრძნობა და შეგნება და სამაგიეროდ ჩაენერგათ თურქოფილობა.

ასეთ პირობებში ლაზებისათვის ძნელი იყო მშობლიური ენის დასაცავად ბრძოლა ძლიერ ოსმალეთთან, რომლის უხეში ბატონობის ქვეშ გმინავდა სახელოვანი წარსულისა და კულტურის მქონე ლაზეთი.

მაგრამ მკაცრი და ბარბაროსული ზომების მიუხედავად, ოსმალეთი მაინც ვერ აღწევდა მიზანს და ლაზების მოწინავე პირები თუ წრეები მაინც არ ივიწყებდნენ თავიანთ მშობლიურ ენასა და ისტორიულ წარსულს. ამის შესახებ ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს ერთ საინტერესო ეპიზოდს, რომელიც მისთვის გრიგოლ გურიელს უამბია.

ტრაპიზონის საბეითლო სასწავლებელში სწავლობდნენ ლაზები, რომლებსაც, თურქულთან ერთად, ფრანგულსა და ინგლისურ ენას ასწავლიდნენ. ამ ლაზ მოწაფეებთან ვილაცას შემთხვევით მიუტანია

1 ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 50.

მარი ბროსეს ფრანგულ ენაზე გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“.

ლაზებს წაუყოთხიათ ეს წიგნი და გაუგიათ, რომ ლაზისტანი საქართველოა, ლაზები კი - ქართველებისა და მეგრელების ნათესავეები არიან. ამან მოწაფეები დააინტერესა. დაიწყეს ძიება და ლაპარაკი თუ როგორ დაიპყრო ლაზისტანი და გადააგვარა ლაზები ოსმალეთმა.

1892 წელს სამი მათგანი, ფრანგული ენის კარგი მცოდნე, ბათომში ჩამოსულა. აქ ეძებდნენ ისინი ქართულ ენაზე მ. ბროსეს მიერ 1848 წ. გამოცემულ ქართლის ცხოვრებას და ვახუშტის გეოგრაფიას. ქობულეთში მათთვის გულო-აღა კაიკაციშვილს უთქვამს, რომ ამ წიგნებს ისინი გრიგოლ გურიელთან იშოვნიან, რომელიც მაშინ ბათუმში ცხოვრობდა.

ლაზი ახალგაზრდები გრიგოლ გურიელთან მისულან, ისინი გურიელს დიდი მოწიწებით შეხვდნენ თურმე: პირველი ნახვისთანავე ლაზებმა გრიგოლ გურიელს ფრანგულად მისცეს სალამი. მერე უკითხავთ, თუ გნებავთ თურქულად ვილაპარაკოთო.

— მე მივუგე, — სთქვა გრიგოლ გურიელმა, — ორივე ენაზე ვისაუბროთ, მე ფრანგული კარგად არ ვიცი, მაგრამ ძლიერ მიხარია, რომ თქვენთან, ლაზებთან ამ ენაზე მექნება საუბარი. ფრანგული ენით თქვენთან საუბარი იმას ნიშნავს, რომ თქვენ ლაზების ხსოვნა ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ და თქვენი დამღუპველი ოსმალეთის ენის მაგიერ ფრანგულად, ევროპულად ლაპარაკობთ. ამით მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც ლაზები და ქართველი ტომისა და ენის მონათესავენი, დღეის შემდეგ დაწინაურდებით ლაზურ-ქართული ნაციის შეგნებით და თქვენ თქვენი სამშობლოს ლაზისტან-საქართველოს ისტორიასაც შეისწავლით.

მე რომ ამ უკანასკნელ სიტყვებს ვეუბნებოდი, ერთ ლაზს თვალეზში ცრემლები მოერია და ამიტომ მეც სიტყვა აღარ განვაგრძე. ორმა მათგანმა დიდი მადლობა გამომიცხადა და მითხრა: — დიახ, გენერალო, ჩვენ მიტომ მოვედით თქვენთან, რომ ეგება თქვენ დაგვეხმაროთ და ისეთი წიგნები გვიშოვნოთ, რითაც ჩვენ ჩვენის ქვეყნის ისტორიას შევისწავლით. მხოლოდ ჩვენი უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა არ ვიცით, რადგანაც ოსმალოს მხარეში ლაზებსა და მთლად ქართველებს სკოლებში ქართულ ენას არ ასწავლიან. არ სწავლების გარდა, ისინი მოტყუებით გვარწმუნებენ, თქვენ თურქების ტომისაგან ხართო და თქვენი ენა და

წიგნიც თურქული და არაბულია, რადგანაც ლაზური ანბანი არ არსებობს.

ჩვენ წაიკითხეთ ბროსესაგან დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ფრანგულ ენაზე და იქიდან გავიგეთ, რომ ჩვენ, ლაზები, თურქები კი არა, ქართველი ტომისანი ვართ და ჩვენი ქვეყანა ლაზისტანიც საქართველო ყოფილა და არა თურქეთი. ამიტომ მოგმართავთ, გენერალო, და გთხოვთ, ეგებ სიკეთე გეყოთ და ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები გვიშოვნო, ამით თქვენ დაუფასებელ სიკეთეს გვიხამთო.

გრიგოლ გურიელს ასეთი საუბარი დიდად გაუხარდა და გადასცა მათ ბროსეს შიერ ფრანგულ-ქართულ ენაზე დაბეჭდილი ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია. ფრანგულადვე დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს შესახებ ფრანგულად დაბეჭდილი ზოგი სხვა წიგნები.

ლაზებს ამ წიგნების შოვნა დიდად გაეხარდათ, და დიდი მადლობა გადაუხადეს გრიგოლ გურიელს.¹

ლაზებმა შემდეგ გრიგოლს უამბეს ლაზისტანის საზღვრების შესახებ. ოსმალთაგან ლაზური ენის დენის ამბავი, ლაზების გადასახლება ლაზისტანიდან და რომ ამჟამად ოსმალეთში დაფანტულია 400.000-ზე მეტი ლაზი.

მთელ ლაზისტანში ლაზთა რიცხვი 1810 წელს 600.000-ზე მეტი ყოფილა. ეს ცნობა მათ ოსმალეთის მთავრობის სტატისტიკური ცნობებიდან ამოუღიათ. ლაზისტანში ოსმალთა მთავრობის მოხარჯე ლაზთა რიცხვი 200.000 სული იყო, გაფანტულია 400.000 მეტი სული. ლაზებს უთქვამთ, ჩვენი აყრის მიზანი იყო, რომ ამის შედეგად ენას, სახეს, ვინაობას დაკარგავდით და გავთურქდებოდითო.

გრიგოლ გურიელმა თქვა: როცა ერთმა ლაზმა ეს სიტყვა დაამთავრა. იმ დროს მეორე ლაზს თვალეში ცრემლები მოუვიდა, და მე დამიწყეს პირში ყურება, თუ მათ რა იმედს მიცემდითო.

უამბნიათ კიდევ, რომ ოსმალებმა ლაზებს აუკრძალეს ლაზური გვარის ტარება და ოსმალურად გადაუქეთეს“.

ლაზები, რომ თავიანთი ვინაობითა და ისტორიული წარსულით დაინტერესებული იყვნენ და არიან, ამას მოწმობს ზ. ჰიკინაძის შეხვედრა და საუბარი ლაზებთან: „ამ დღეებში ბათუმში ვნახე, -- ამბობს ზ. ჰიკინაძე, -- რამდენიმე ლაზი; ერთი მათგანი თავისუფლად მოლაპარაკე ქართული ენისა. გაცნობის შემდეგ ვესაუბრე ლაზებს

1 ზ. ჰიკინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 45-46.

ნათესაობაზე ქართველებსა და მეგრელებთან. მათ ეს ამბავი დიდად მოეწონათ, მაღლობა მითხრეს და დამავალეს შემდეგ მოახერხეთ და ოსმალურ ენაზედაც დაბეჭდეთ, რომ ჩვენმა ხალხმაც გაიგოს. რომ ჩვენ ქართველ-მეგრელების ნათესავეები ვართ და არა თურქებისა და ქურთებისა. ამ საქმეში ფულით ჩვენ დაგეხმარებითო, თორემ ოსმალებმა ჩვენ ისე გარდაგვქმნეს, რომ ჩვენ ჩაგვინერგეს ის ყალბი ცნობები, რომ ჩვენ თურქები ვართ, ჩვენი ანბანიც არაბულია და არა ქართული“.¹

„დიდის გულმოდგინეთ დამავალეს და მთხოვეს კიდევ შეძღვეო კითხვები: თუ შეიძლება შეგვატყობინეთ, თუ როცა ოსმალნი მოსულან ლაზისტანში, მაშინ როგორ მოხდა ეს, რომ ჩვენ და მეგრელები ერთმანეთს დაეცილებივართ, ოსმალებს ჩვენ გამოურეკივართ აქეთ, თუ მეგრელები გაურეკიათ იქით? ამის გაგება დიდად გვინდოდა ჩვენ და იმედი გვაქვს, რომ ამ დავალებას შეგვისრულებთ, მობრძანდებით ჩვენსას და გვიამბობთ ამ ამბავს“.²

ანალოგიური შემთხვევა მოჰყავს აკად. ნ. მარსაც, რომელმაც ქანური ენის შესწავლის მიზნით 1910 წელს იმოგზაურა ოსმალეთის ლაზეთში. მას ლაზები სთხოვდნენ გამოეგზავნათ მათი ენის გრამატიკა, თუ გინდ რუსულ ენაზე და ჩვენ მას ვათარგმნიებთ კონსტანტინეპოლშიო.³

1910 წლიდან, როგორც ზ. კიკინაძე მოგვითხრობს, ლაზების გათვითცნობიერებულმა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ქადაგება, რომ ლაზები ქართველების ნათესავეები არიან და მათი ანბანიც ქართული ანბანი არისო.

ამიტომ, სოფ. აბუისლაჰში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა გაუგზავნიათ მინისტრებთან და უთხოვნიათ ნებართვა, „რომ ჩვენ ნება მოგვეცეს ჩვენს სკოლებში ჩვენი ენის, გურჯული (ქართული) წიგნი ვასწავლოთ ჩვენს შვილებსო.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ლაზი აბდულა აშიკ ჰასან ოღლი. მინისტრებს თხოვნა მიუღიათ და ქართული ენის მასწავლებლები უნდა მოეწვიათ და სწავლა დაეწყოთ, მაგრამ ომიანობამ (1914 წ.) ხელი შეუშალაო“.³

ლაზების ასეთ ცდას ნ. მარიც ადასტურებს. იგი წერს: ხოფაში

1 ზ. კიკინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 45-46-47.

2 იქვე, გვ. 6.

3 М а р р, Из поездки в Турецкий Лазистан, стр. 626.

4 ზ. კიკინაძე, ლაზისტანი, თბ., 1927 წ., გვ. 21-42.

მე გავეცანი ფაიკ-ფენდის, რომელსაც ჰამიდის რეჟიმის დროს განუზრახავს ჭანური (ლაზური) ანბანის შედგენა. ამისათვის იგი გადაუსახლებიათ და ციხეში ჩაუსვამთ, მისი სახლი გაუჩხრეკიათ და ყველა მისი ნამუშევარნი და წიგნები დაუწვეავთ“.¹

ასეთი იყო XIX საუკუნეში ლაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იმ მცირე ცნობების მიხედვით, რომლებიც აქ იყო მოტანილი და გამოყენებული.

ახლა საჭიროა გავეცნოთ ჩვენი დროის (XX ს.) ლაზეთის საკითხს და მის კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობას.

ეს პერიოდი იწყება ლაზურ-ჭანური ენის შესწავლისადმი ინტერესით, რასაც უღარესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. ენა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ეროვნებისა და გვარ-ტომობის დასადგენად და ამ მხრივ სადაო საკითხის გადაჭრა შესაძლებელია უმთავრესად ენობრივი ნათესაობის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურ-ჭანური ენის შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აკად. ნ. მარს, რომელმაც ამ მიზნით იმოგზაურა თურქეთის ლაზეთში 1910 წელს და მოგვცა თურქეთის ლაზისტანის პირველი მეცნიერული ხასიათის გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობაც. ამ მხრივ ნ. მარის ღვაწლი დაუფასებელია.

როგორც ნ. მარი აღმოგვცემს, ოსმალეთის ლაზეთში მისი მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო ლაზური ენის შესწავლა და ლაზურისა და ქართულის ნათესაობის დადგენა, აგრეთვე შესაძლებლობის ფარგლებში ლაზების ყოფაცხოვრების გაცნობა.

ნ. მარის ამ მოგზაურობას ოსმალეთის მთავრობა ექვის თვალთ უყურებდა; ოსმალეთის აგენტები ყოველმხრივ ავიწროებდნენ მას და ხელს უშლიდნენ მუშაობაში, ჩხრეკდნენ მის ბინასა და ქალაქებს.

„ყველანი მეკითხებოდნენ, — ამბობს ნ. მარი, — ჩემი მოგზაურობის მიზანს და იშვიათად თუ ვინმეს სჯეროდა, რომ ლაზური ენის შესასწავლად ჩამოვედი, და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ჩვენ არ ვიყავით რაიმე სამხედრო დავალებით ჩამოსული, მაინც ფიქრობდნენ, რომ მე ლაზური მოსახლეობის ასაღლეველად ჩამოსული ვიყავი.

მიუხედავად ამგვარი დაბრკოლებებისა, ნ. მარმა მდიდარ ლინგვისტიკურ მასალებთან ერთად, ლაზეთის მშვენიერი ეთნოგრაფიული

¹ Н. Марр, Из поездки в Турецкую Лазистан, ст. 626.

აღწერა მოგვცა, რომელსაც დართული აქვს დამახასიათებელი ფოტოსურათები. ამ მუშაობაში ნ. მარს დახმარებას უწევდა არქაველი ლაზი ფევზი-ბეი, განათლებული და შეგნებული პირი, მშობლიური ენის კარგი მცოდნე.

ფევზი-ბეის სიტყვით, ქანები თავიანთ თავს ლაზებს უწოდებენ. კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ თურქების მთელ მოსახლეობას, რომელიც შავი ზღვის პირას არის მოქცეული, თვით სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი; სინოპელები ლაზებს უწოდებენ სამსუნელებს. სამსუნელები — ტრაპიზონელებს, ტრაპიზონელები — რიზელებს, რიზელები ჩვენს მხარეს.

ქანების სამხრეთით ცხოვრობენ ხემშილები, გამუსლიმანებული სომხები, სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით — თურქები; სინამდვილეში ესენი არიან გათურქებული ქანები. აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ქართველი მუსლიმანები, რომელთა შორის ბევრი არიან გაქართველებული ქანები, ანუ ლაზები.

ლაზეთი (თურქეთისა) ორი მაზრისაგან შედგებოდა და ეკუთვნოდა ტრაპიზონის ვილაეთს. ქემერიდან გურუფამდე ათინის მაზრაა, გურუფიდან კოფმიშამდე — ხოფის მაზრა.

ათინეს¹ მაზრაში ლაზურად ლაპარაკობენ შემდეგი სოფლები: კუკულათი, დუდათხევი, მელიათი, სურმენე, ლაროსი, კელენჯუკი, ქემერი, ჯაბათი, ტორდოვათი, ზელექი, ვენექი, ხუნარი, არანამი, ჯიჯავათი, კითითი, საჩკუნი, ნოხალაპ-სუ, სულეთი, ნოლა-დიხა, ხულისა, ხუზიკა, ტალვათი, აფსო, ზალნათი, ბაშ-კეი (წინათ ერქვა პეტრე-ნიკოლა), ბულეფი, ხოტრი, ილასტას, პაპათი, საპუ, პაპილათი, ჯიგეთურა, დადევათი, მამაკივათი, წუყითა, კოსტანევათი, ხაკო, ესკი-ტრაპეზონ² (ძველი ტრაპიზონი), ქუა-ნქარერი (იქვეა), ბაკოს, ფილანგივათი, თოლი-ჩქეთი, მეკალისკირითი, აფიმხო, ქომილო, არტაშენი, სიფათი, ამგვანი, თი-მსივათი, ღუანთი, ნანო, ჯიბისტას, ოკორდულე, ციათი, სალინ-ქლი, იანივათი, შანგული, ძღემი, ღერე, ოჯე, ორთა-ქოი, მუტაფი, ღუთხე. ამის გარდა ათინის ხეობაში ბევრია ნასახლარი ადგილებიც: ღება, კატოი, ჩალული-სირტი, ველინა-ირმადი, დედუვათი, ქუაქჩე, გლობონი, ქუა-ორანწინონი.

1 ათინეს ამჟამად ფაზარი ეწოდება.

2 ამ ძველ ტრაპიზონს ლაზები უწოდებენ „კუწუმს“, ანუ „კუწუმბრის“, ნამდვილ ქალ. ტრაპიზონს კი ლაზურად ეწოდება — „ტრამტრა“. ქართველები ამ ქალაქს ძველად „ხალდეს“ უწოდებდნენ.

ვიწეს! მახრამში ლაზური სოფლებია (ლაპარაკობენ ლაზურად):
ღავრა, მანასტური. ქურჭავა, ფიცხელა-სუფლა (ქვემო), ფიცხელა-სუფლა (ზემო), ჭამფეთი, ხარა, ზებელეთი, ფაჩვა, ენი-ქოი, ან-
დრაავათი, მზულე სუფლა (ქვემო). მზულე სუფლა (ზემო).

აბუ-წყარის ხეობაშია:

აბუ-ქოი სუფლა (ქვემო), აბუ-ქოი სუფლა (ზემო). სუმლე, ხაზარე, ტრევენდი.

ხოფის ხეობის სოფლები:

ზურბიჯი, წყარის-თი, პერონითი. კისა, სუნდურა. კულე დიბი, ბუჩე. ორთა-ხოფა, ბუჯალი, მხიგი, აზლადა.

ხოფის ხეობაში არის ნამოსახლარი ადგილები:

ნადირათი, ქილისე, ლიმიტითი, დულიათი, მაფა-წყარი.²

ყველა ამ სოფლებში ლაზები ცხოვრობენ და ლაზურადაც მეტყველებენ, მაგრამ ენის სიწმინდე ყველგან ერთნაირად არ არის დაცული. ლაზური მეტყველება შედარებით უკეთ დაცულია არქაბის ხეობაში, ვიდრე ათინაში, სადაც ლაზურმა ენამ ოსმალურის გავლენა განიცადა.

შემდეგ ნ. მარი ეხება ლაზების ეკონომიურ მდგომარეობას და ამბობს, რომ ლაზები სიღარიბეს არ განიცდიან; მათში ბევრია შეძლებულიც, რასაც ხელს უწყობს ქალების მუყაითი შრომა და მამაკაცების სამუშაოდ გასვლა.

ლაზები უმთავრესად სიმინდის თესვა-მოყვანას მისდევენ, მაგრამ თავიანთი სიმინდი წლის ბოლომდე არ ყოფნით და რუსეთიდან შემოაქვთ.

საყურადღებოა ლაზური ბრინჯი. ეს ბრინჯი მუქი ფერისაა, მაგრამ ძლიერ გემრიელია. მთებზე და მშრალ ადგილებზე მოჰყავთ ურწყავად.

ლაზეთიდან უცხოეთის ბაზარზე უმთავრესად ხილი და თხილი გააქვთ. ხელოსნები ყველგან ლაზები არიან: ქვისმთლელები, კალატროზები, დურგლები, მკვდლები და სხვა. ლაზები ქებული არიან დანების კეთებაში, მათი დანები სწრაფად საღდება.

ლაზები მეთევზეობას ეწევიან, კარგად არიან შეიარაღებულები და ბევრ თევზსაც იჭერენ.

ლაზები ფულის საშოვნელად სხვადასხვა მხარეში მიდიან. ლაზი

1 ვიწეს ლაზები ბლეთს უწოდებენ, ვიწე ანუ ბლეთი. ვიწე მდებარეობს ორ წყალს შუა, რომელსაც ლაზები ნოღას უწოდებენ. აღმ. მდინარეს ეწ. ვიწე-წყარი. დასავლეთისას კი — აბუ-წყარი.

2 Н. М а р р, Из поездки в турецкий Лазистан, стр. 608-615.

მეხერხეები ცნობილი არიან რუსეთის საზღვაო სანაპიროზე. ათინის ხეობის ლაზები უფრო მეფურნეებად მიდიან და არც ერთი ქალაქი არ არის სამხრეთ რუსეთში, რომ ლაზი მეფურნეები არ იყვნენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ათინელმა ლაზებმა რუსული ენა იციან და ათინის ქუჩებში ხშირად გესმის რუსული საუბარი.

ვიწელი ლაზები უფრო მეთამბაქოეობას მისდევენ და თამბაქოთივე ვაჭრობენ შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებთან. ვიწე იმით არის ცნობილი, რომ იგი მოხელეებს აწვდის თურქეთის ბიუროკრატიას. აქედან 300 კაცზე მეტი მსახურობს სხვადასხვა დაწესებულებაში. წერა-კითხვის მკოდნე ლაზებს დიდი თანამდებობა უჭირავთ სასამართლოში, ტელეგრაფში და სხვა. ვიწეში არის ყველაზე მეტი ინტელიგენცია; აქედან 50 ლაზი სტუდენტია კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში. უმეტესი მათგანი პროგრესულად არის განწყობილი, მაგრამ თურქეთის გავლენით მათში მიჩქმალულია პატრიოტული გრძნობა. ენასთან ერთად იღვენება ლაზური ნაციონალური გადმოცემები. მუსლიმან მასწავლებლებს ჩაუგონებიათ, რომ ვითომ ლაზები ჯმ ქვეყნად სამასი წლის წინათ გაჩენილან. აქაურ ქრისტიანულ ძეგლებს მეგრელებს მიაწერენ. ასეთი დევნის პირობებში ძნელია ხალხური სიტყვიერების მასალების შემონახვა; ამით აიხსნება, რომ ოსმალეთის ლაზეთში თითქმის არ მოიპოვება ხალხური შემოქმედების ნიმუშები...

ადგილობრივი ხალხური გართობებიდან შემონახულია ჭგუფური ცეკვა გაშიარებით; ლაზურად ამას „ობირუს“ უწოდებენ.

მოთამაშენი ორ ჭგუფად დადგებიან: ჭგუფში 5-6 კაცია, რომელნიც ხელჩაკიდებულნი დგანან. ჭგუფები ფეხების ათამაშებით ერთმანეთს უახლოვდებიან და ისევ შორდებიან. ამავე დროს ორივე ჭგუფიდან ერთი ვინმე შაირობს, ორივე მოშიარე ერთმანეთს კილაეს. საქმე ჯობნაზეა.¹ ქალები ამ ფერხულში მონაწილეობას არ იღებენ. ისინი ფერხულს ცალკე აწყობენ. ქალების ფერხულს მამაკაცები მალულად ყურს უგდებენ, რომ მოისმინონ მათი შაირობა, რადგანაც ქალები ჭანურ ენაზე საუკეთესო პოეტები არიან.² შემდეგ ნ. მარი იძლევა ლაზების ჩაცმულობისა და სადგომების მოკლე აღწერას. იგი ამბობს, ლაზები დღესაც ყაბალახს ატარებენ, წინათ გარდა ყაბალახისა ქუდსაც იხურავდნენ, რომელსაც ლაზურად უწოდებენ „ქუდს“.

1 საყურადღებოა, რომ ეს ლაზური ფერხული „ობირუს“ თითქმის იგივეა, რაც მეგრული „ოხოხოია“ ლაზურად „ვახახაია“. იხ. ს. მკვალთია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 280.

2 ნ. მარი, იქვე, გვ. 627-629.

ლაზები კარგი ოსტატები და დურგლები არიან. წინათ ხის სახლებს აგებდნენ, ახლა კი ქვისას აშენებენ. ოთახებს ჩუქურთმიანი არშიებით ამკობენ, რომელთა ამოკრა-გაფორმებაში ლაზები დახელოვნებული არიან. ამ ჩუქურთმების ორნამენტაცია ქართულს წააგავს. ლაზები მთელი ხისაგან აკეთებენ დაბალ და მრგვალ მაგიდას, რომელსაც „ტეფური“ ეწოდება. ლაზები აგრეთვე წნავენ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების კალათებს.¹

1. Н. М а р р, Из поездки в турецкий Лазистан, стр. 627-632.

ღაზეთის ეთნოგრაფია

ღაზეთის ეთნოგრაფია ჯერ არ ყოფილა სპეციალური შესწავლი-
სა და კვლევის საგანი. მით უმეტეს, დღემდე არავის მოუცია ღაზების
ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-ჩვევების სრული აღწერა, თუ მხედვე-
ლობაში არ მივიღებთ აკად. ნ. მარის მოკლე გეოგრაფიულ-ეთნო-
გრაფიულ აღწერას თურქეთის ღაზისტანისა და ზ. კიკინაძის მცირე
ცნობებს რუსეთის ღაზების ყოფა-ცხოვრებაზე.

ღაზების ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-ჩვევების აღწერა და გაც-
ნობა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ისინი მათივე მოძმეების
— მეგრელების, იმერლების, ქართლელების, კახელების ყოფა-ცხო-
ვრებასა და ადათ-ჩვევებს, განვსაზღვროთ მათ შორის ნათესაური
ურთიერთობა და დავადგინოთ ქართველური ტომებისათვის საერთო-
დამახასიათებელი ნიშნები, რაც ქართული ეთნოგრაფიის მორიგ ამო-
ცანას შეადგენს.

ამ მოსაზრებით პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს
ენათმეცნიერებმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს ქანური ენის შეს-
წავლა და ქართულთან მისი ახლო ნათესაური ურთიერთობის დად-
გენა.

როგორც ცნობილია, ენა არის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნი-
შანი ეროვნების განსაზღვრისათვის, ამიტომ საჭიროა ვიზრუნოთ,
რომ ჩვენმა მოძმე ღაზებმა არ დაკარგონ ეროვნული ერთობის გა-
მომსახველი ნიშანი. აკად. ნ. მარი პირველი მეცნიერი იყო, რომელ-
მაც ამ მიზნით იმოგზაურა თურქეთის ღაზეთში და მოგვცა (ქანური)
მეცნიერული გრამატიკა.

დაწყებული მუშაობა წარმატებით განაგრძეს პროფ. ი. ყიფში-
ძემ, აკად. ა. ჩიქობავამ და პროფ. ს. ჟღენტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქანური ენის შესწავლამ ენათმეცნიერე-
ბას დიდი დახმარება გაუწია ქანურისა და ქართულის ნათესაურო-
ბის დადგენა-განმტკიცებაში.

ამ მუშაობის შედეგად გამოქვეყნდა ქანური (ღაზური) ტექსტე-
ბი, რომლებშიც მოთავსებულია ხალხური შემოქმედებისა და მეტყ-

ველები საინტერესო ნიმუშები. მხოლოდ, სამწუხაროდ, ტექსტებს თან არ ახლავს ქართული თარგმანი, რომ მისი შინაარსი გასაგები იყოს ლაზურის არმცოდნე ქართველი მკითხველისათვისაც.

ჩვენი მიზანია ქართველ მკითხველს გავაცნოთ ლაზების ყოფაცხოვრება. როგორც ჰანური ენის შესწავლამ და ტექსტების ანალიზმა ლაზურისა და მეგრულის ერთიანობა დაადასტურა, ასევე ლაზების ეთნოგრაფიული მასალის გაცნობა და მეგრულთან მათი ისტორიული ურთიერთობის შესწავლა ჩვენს ეთნოგრაფებს საშუალებას მისცემს დაადგინონ ლაზებისა და მათი მკვიდრი მეგრელების საყოფაცხოვრებო ერთობა წარსულში.

ეთნოგრაფიული ლაზეთი შეიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას სოფ. სარფიდან ქემერამდე. ვახუშტის აღწერით, „ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჰანეთის მთას იქით, არს ჰანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავ ზღვის კიდის წადევნებით, გონიილამ ტრაპიზონის საზღვრამდე“. ¹ ამ ტერიტორიაზე მოსახლეობენ ლაზები, რომლებიც ჰანურ ენაზე მეტყველებენ, ოღონდ თურქულის გავლენით მშობლიური ენის სიწმინდე ყველგან არ არის თანაბრად დაცული. ამის შესახებ ნ. მარი ამბობს: ჰანური ენა უკეთესად იცინა სოფლის ქალებმა, რომლებიც იცავენ აგრეთვე ძველ ჩვევებსაც. საერთოდ, სოფლური მეტყველება უფრო წმინდაა, ვიდრე ქალაქური. ლაზური მეტყველება უკეთესად ფორტუნის ხეობაშია დაცული. აქაური სოფლები უფრო სუფთა ლაზურით ლაპარაკობენ, ვიდრე ათინაში, სადაც ჰანურში შესულია ოსმალური სიტყვები. ამის გამო ოსმალურის დაუხმარებლად ძნელია თურქეთის ლაზებთან მშობლიურ ენაზე საუბარი. ²

გარდა თურქულისა, — ამბობს ნ. მარი — ჰანურმა ბერძნულის გავლენაც განიცადა. ამის გამო თანამედროვე ლაზეთში ერთ ლაზურ ენაზე კი არ მეტყველებენ, არამედ ლაზი ლაპარაკობს ლაზურის რომელიმე კილოკავზე. ეს იმით აიხსნება, რომ ლაზურ ენას საკუთარი ლიტერატურა, საერთო მშობლიური კულტურა და პოლიტიკური თავისუფლება არ გააჩნია და ასეთ პირობებში, ცხადია, საერთო ლაზური ენაც არ არის.

ამის გამო ლაზური ენა გაყოფილია ორ ძირითად კილოდ, რომ-

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 142.

² Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1910 г., ст. XIII.

ლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, და ხშირად ამ კილოზე მოლაპარაკე ლაზებს ერთმანეთისა არ ესმით.¹ X

ლაზური ენის ეს ორი კილო გეოგრაფიულად ასეა გავრცელებული: ერთი — აღმოსავლეთით, სარფიდან ხოფა-ვიწემდე, მეორე — დასავლეთით, ვიწედან ქემერამდე და ათინის დასავლეთით.² X

დასასრულ, ლაზურისა და მეგრული ენის შედარებითმა შესწავლამ ნ. მარი იმ მცდარ დასკვნამდე მიიყვანა, თითქოს ლაზური და მეგრული ცალკე ენები იყოს. უდავოა, — ამბობს ნ. მარი, — რომ ლაზური და მეგრული ერთმანეთს ენათესავეებიან და ძლიერ ახლოსაც დგანან, მით უმეტეს ლაზური და მეგრული ერთი ენის ორი კილო-კავი კი არ არის, არამედ ორი ენააო.

ეს მცდარი დებულება მხოლოდ შემდეგში გააბათილა ამ ორი მონათესავე ენის საფუძვლიანმა შესწავლამ და ღრმა გრამატიკულმა ანალიზმა. ამის თაობაზე აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „გრამატიკულ მოვლენათა ანალიზის შედეგად ქანური და მეგრული უფრო ახლოს აღმოჩნდა ერთმანეთთან, ვინემ ეს სპეციალური ლიტერატურიდან იყო დღემდის ცნობილი: მხოლოდ საჭირო ფაქტიური მონაცემების სიმცირეს შეიძლება მივაწეროთ ის, რომ ლაზური და მეგრული ერთმანეთის მიმართ ორ ენად მიაჩნდათ.

დიფერენციაციის პროცესმა მეგრული და ლაზური დააშორა ერთმანეთს; ამიტომ არის, რომ რაც უფრო მეტად მოხერხდება მათი წარსულის სიღრმეში ჩახედვა, მით უფრო ახლოს აღმოჩნდებიან ისინი ერთმანეთთან“.³ ამას ნათლად ადასტურებს ზუგდიდისა და გალის რაიონებში მოხუც ადამიანებთან საუბარი.

ლაზურისა და მეგრული ენის ურთიერთობის შესახებ აკად. არნ. ჩიქობავა ასეთ დასკვნას იძლევა: „ქანური და მეგრული ორი კილოა ერთი ენისა, ზანურისა; ეს ორი კილო ერთმანეთთან ისევე ახლოს დგას, როგორც გურული და ხევსურული კილო ქართულისა, და კიდევ უფრო ახლოს, ვინემ ლენტეხური და ბალ-ქვემოური კილოები სვანურისა. ლაზური და მეგრული ორ ენად ისევე ვერ მიიჩნევა, როგორც ხევსურული და გურული ქართული ენის მიმართ ან და ლენტეხური და ბეჩოური სვანურის მიმართ.“⁴

1 Н. Я. Марр, „О чапском языке“. Этапы развития яфетической теории, Ленинград, 1913 г., стр. 41.

2 იქვე, გვ. 16.

3 არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, იბ. მისი წინასიტყვაობა, გვ. 17.

4 იქვე, გვ. 205.

ამგვარად, თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში ლაზური და მეგრული მიჩნეულია ერთ ენად, ე. წ. ზანურად, რომლის კილო-დაც ითვლება ლაზური და მეგრული.

ერთი სიტყვით, ეთნოგრაფიული ლაზეთი ენობრივად ენათესავენ სამეგრელოს და ორივენი, ლაზები და მეგრელები, ერთ ქართველურ ენაზე — ზანურზე მეტყველებენ.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ლაზური	მეგრული	ქართული
კოჩი	კოჩი	კაცი
თოლი	თოლი	თვალი
თომა	თომა	თმა
ხე	ხე	ხელი
პიჯი	პიჯი	პირი
ცხენი	ცხენი	ცხენი
ხორცი	ხორცი	ხორცი
აშო მოხთი	აშო მორთი	აქეთ მოდი
წყარი	წყარი	წყალი
ტყები	ტყები	ტყავი
ოწყერტუ	ორწყედუ	ხედავდა
მწყირი	წყირი	რწყილი
კვარი	კვერა	კვერი
ყონა	ყვანა	ყანა
ყინერი	ყინი	ყინული
კყონი	კყონი	მუხა

დედამ რა თქვა¹

ერთ დღეს დედასთან ერთად ყანაში წავედით; იქ კარგი სიმინდი ესხა, მე ჭყინტის ტეხა დავიწყე და ბლის ქერქისაგან დაწნულ კალათაში ვყრიდი: დედაც კალათით ჭყინტ ლობიოს კრეფდა. ორი საათის შემდეგ ჩემი პატარა ძმა ალიოშა სირბილით სულშეხუთული ჩვენთან მოვიდა და გვითხრა:

— ძროხამ ჭრელი ხბო მოიგო!

— მოზვერია თუ ფური? — ჰკითხა დედამ.

— მოზვერი, — უპასუხა ალიოშამ.

— კარგი დაგემართოს, წვერი მიწამდე გაგეზარდოს. ფური ყოფილიყო კარგი იქნებოდა.

¹ „დედამ რა თქვა“, ტექსტი შედგენილია ლაზურ-მეგრული დიალექტების შედარებისათვის: I—ქართული, II—ლაზური, III—მეგრული.

მე გამიცვირდა და დედას ვკითხე:

— აბა, ბიკოლას რომ გოგო ეყოლა. რატომ გეწყონა? მაშინ რა თქვა დედამ?

ნანაძ მუ თქუ

ლაზური

არ დღას ნანაკალა ყონაში მენდაფთით; ექ კაი ლაზუტი ჩანტუ, მა ჰყინტიშ ოტახუს ქოგევოჰკი დო ბულიშ ქერქითენოშვე ცანცას დოლოვობლაფტი; ნანაქთი კალათითე ჰყინტი ლობია წილუფტუ. ჟურ საათიშკულე ჩქიმი ჰიტა ჟუმა ალიოშა კაპინერი, შურ დოლო-ლაფერი ჩქინდა ქომოხთუ დო მიწვეს:

— ფუჯიქ ჰერელი გენი ჰლდორინუია.

— ხოჯიი ვანა მოზარი? — კითხუ ნანაქ.

— ხოჯია, — უწუ ალიოშაქ.

— პოტე კაი ძირა დო ფინფილი დიხაშა გეგიხთას, მოზარი ტუ-კონნა კაი ტუია.

მა გომაკვირდუ დო ნანას ბკითხი:

— მორო დადის კულანი — ნა აყუ მუშენი პატი გაწონენა?

ემ ორას მუ თქუ ნანაქ?

ნანაძ მუ თქუ

მეგრული

ართი დღას ნანაწყუმა ჰვანაშა მიდაბრთით; თექ ჰგირი ლაიტი ჩანდუ, მა ჰყინტიში ტახუა ჰიდიბჰკი დო ბულიშ ქერქით ნაშუა კალათს დინმუვორღევანდი; ნანა კალათით ჰყინტი ლეზიას წილუნდუ. ჟირი საათიშ უკული ჩქიმი ჰიჰე ჰიმა — ალიოშაქ რულათ შულადირ-ქი ჩქინდა ჰუმორათუ. მიწუეს: ფუჯიაქ ჰარგა გინი ჰოდაბადუა.

— ხოჯირე დო ფუჯირე? — კითხუ ნანაქ.

— ხოჯირე, — უწუ ალიოშაქ.

— ირნერი ჰგირიქ ვალოლუ, ფრიმული დიხაშახ მორდუდას. ფუჯი ჰოოფენდუკონ, ჰგირი იყუაფუდუ.

მა გამაკვირუ დო ნანას ვკითხი:

— აბა, ბიკოს (დადი) ძლაბიქ აშენი. მუშენი გეწყინუ?

თიწყუმა მუთქუ ნანაქ?

ქანურის (ლაზურის) კილოკავებია: ათინური, ვიწურ-არქაბუ-
ლი და ხოფური. ათინურში გამოიყოფა ბულეფურ-ართაშენული,
ხოფურის თქმას წარმოადგენს ჩხალური, ვიწურ-არქაბული კილო-
კავიცი ვიწურისა და არქაბული თქმების შენაერთია.¹

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
წყარი(წყალი)	წარი	წარი
ტყები(ტყავი)	ტები	ტები
უჭი(ყური)	უჭი	უჭი
მკონი(მუხა)	მკონი	მკონი
მაწყუნენ(მეტყინება)	მაწყუნენ	მაწუნენ
ტყობაშა(საიდუმლოდ)	ტყობაშა	ტობაშე
ყვაოჯი(ყვავი)	უაოჯი	ყვაოჯი
ყვალი(ყველი)	ყვალი	ყვალი

გეოგრაფიულ-პოლიტიკური გათიშვის გამო ლაზური და მეგრული ერთმანეთს შორდებიან, მეგრული ქართულის გავლენაში მოექცა, ქანური კი — ბერძნულისა და თურქულის.

მაგალითისათვის:

ქართული	ლაზური	მეგრული
კვერციხი	მარქვალი	ახლა — კვერციხი წინათ — მარქვალი
დედა	ნანა	ახლა — დიდა წინათ — ნანა
ქალაქი	ნოლა	ახლა — ქალაქი წინათ — ნოლა
შარვალი	ძიქვა	ახლა — შარვალი წინათ — ძიქვა

ამჟამად თურქეთის მფლობელობაში მყოფი ლაზური მოსახლეობა არ აღემატება 240.000 სულს; მათ შორის ლაზურ ენაზე მეტყველებს არა უმეტეს 160.000 სულისა. ეს იმით აიხსნება, რომ მშობლიურ ენას მოწყვეტილია ქალაქის მოსახლეობა, აქ საქმიანობა სწარმოებს მხოლოდ თურქულ ენაზე. ლაზურ ენას შორდება მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც იძულებით გადასახლებულია თურქეთის შიდა რაიონებში. ლაზურ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ იმ ოჯახებში, სადაც ქალებმა თურქული არ იციან.

როგორც აღვნიშნეთ, ლაზეთის ტერიტორია მდინარე ჭოროხიდან ქ. ტრაპიზონამდე (ამ ქალაქის ჩათვლით) აღწევდა. 1925 წლამდე ამ ტერიტორიას თურქეთის რუკაზე ლაზისტანად წერდნენ.

1 არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 9-10.

ამის მიხედვით, შავი ზღვის სანაპიროზე ლაზურ ქალაქებს წარმოადგენენ: ტრაპიზონი (ლაზურად ტამტრა), რიზე (რიზინი), მათეარე (მეფეური), ფაზარი (ათინე), სურმენე, ვიწე, ხოფა და სხვ., რომლებსაც მრავალი სოფელი და დაბა აკრავთ. მათი სახელწოდებანი ბოლო ხანამდე ქართულ-ლაზური იყო;

გარდა სოფ. სარფისა, საბჭოთა საქართველოში ლაზები მოსახლეობენ ბათუმში, გონიოს სას. საბჭოს სოფლებში — თხილნარსა, მახოსა და სიმონეთში.

აფხაზეთშიც არის ლაზური მოსახლეობა; გუდაუთს, ოჩამჩირესა და სოხუმს გარდა, სოფლად ლაზები მოსახლეობენ გულრიპის მიდამოებში. მათი საერთო რიცხვი 2.500 სულს აღემატება. საკოლმეურნეო მშენებლობის დონის ამაღლებასთან ერთად მათი სოციალ-ეკონომიური პირობები ძალზე გაიზარდა და საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობის თანაბრად შექმლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. საბჭოთა საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი ახალგაზრდა ლაზი, რომ საშუალო ან უმაღლესი განათლება არა ჰქონდეს მიღებული, მაშინ როდესაც თურქეთის ბატონობაში მყოფ ლაზებს შორის, როგორც საერთოდ თურქეთში, 98 პროცენტი წერაკითხვის უცოდინარია.

ლაზები ნიჭითა და უნარით გამოირჩევიან. თურქეთის სახელმწიფო სამსახურში შედარებით ბევრი არიან ლაზი ინტელიგენტები, თუმცა მათ, როგორც „გურჯებს“, უფლებრივად აეიწროებენ.

1. მეურნეობა და მატერიალური კულტურა

ლაზეთი შავი ზღვის პირას მდებარეობს და მდინარე კოროხსა და ტრაპიზონს შუა მოქცეული ადგილები უკავია. ეს მიდამო შემოსილია როგორც მთებით, ისე დიდი ტყეებით, რითაც ყველაზე უფრო განთქმულია ლიმანის, აზლადას, ხოფა-ბუჯალისა და სხვა ზღვის სანაპირო მაღლობები, ასევე სოფ. ბელლოვანისა (ბელლევანი) და ჯიფოკას გასწვრივ მდებარე ტყეები (ამჟამად თურქეთშია).

ლამაზი ზღვის სანაპიროები, წიწვიანი ტყე, მთის საღი ჰაერი და ცივი ანკარა წყლები მნახველს საქართველოს სხვა სააგარაკო ადგილებს მოაგონებს.

ლაზეთის ბუნებას ამშვენებენ აგრეთვე ციტრუსოვანი მცენარეების — ფორთოხალის, ლიმონის, მანდარინის, ნარინჯის და სხვა ბაღები, ამასთან ლეღვის, თხილის და სხვა ნარგავები.

ბუნების ამგვარი სიმშვენიერისა და სიუხვის მიუხედავად, ლაზეთი ჯერ კიდევ ეკონომიურად ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენს.¹

ლაზები უმთავრესად მეთევზეობასა და ხელოსნობას მისდევენ.

სოფელი სარფი მთავორიანი ადგილია, აქაურ მცხოვრებთ წლიდან წლამდე არ ჰყოფნიდათ თავიანთი ქირნახული. რადგან წინათ მიწის ფართობს ხელით, პატარა თოხებით (ბერგი) ამუშავებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფლები ძირითადად მეთევზეობა-მენავეობას და მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ბალის გაშენებას კი ნაკლებად. სარფის მეთევზეების სათევზაო ადგილები იყო მდინარე ქოროხიდან დაწყებული ლიმანის სანაპირომდე.

ლაზეთში არის სოფლები: ორჭა, თალოქეთი, ვიწე და სხვა, სადაც მხოლოდ ხელოსნობას მისდევენ.

ვაჭრობას მისდევენ აზლას, ორთახოფას, არქაბის და სხვა სოფლების მოსახლეობა.

ლაზი მეთევზეები „ფელუკებით“ მიდიოდნენ გარდა თავიანთი სანაპიროებისა „ტრამტრა“-ში (ტრაპიზონი), სინოპში, პოლიში (კონსტანტინოპოლი) და სხვა სანაპიროზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კი „ფაში“-ში (ფოთი), ანაკლიაში, სოხუმში, ოჩამჩირეში და აგრეთვე ქერჩის ნაპირებზეც გადიოდნენ.

აპრილის 15-დან იწყება ბრინჯის თესვა, რაც ძირითადში ქალებს ევალებათ. ბრინჯისათვის ნიადაგი შემოდგომაზე მზადდება. ლაზების მთავარი საკვები სიმინდია, ლაზურად „ლაზუტი“.

ზოგი მკვლევარის აზრით ანატოლიის რაიონებში სიმინდის კულტურა ლაზეთიდან უნდა იყოს შეთვისებული და გავრცელებული. მკადს აქ უწოდებენ ლაზურ პურს. ყოველ შემთხვევაში ანატოლიის მხარეში სიმინდის კულტურასა და შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობის სხვა დარგების გავრცელება-გაუმჯობესებაში ლაზებს დიდი აქტიურობა უნდა გამოეჩინოს.²

დადგება თუ არა მისი, სიმინდის თესვა იწყება; ეს დიდ სიხარულს იწვევს ლაზ ახალგაზრდობაში, იწვევენ ნადებს, რასაც სიმღერები და სხვ. გართობანი მოსდევს.

ამ დროს ახალგაზრდებს შეუძლიათ აირჩიონ ის, ვინც მათ მოსწონთ. ეს უკანასკნელი სიმღერის საშუალებით ხდება.

1 მხედველობაში ვეჭვს რეჟოლუციამდელი ლაზეთი.

2 ს. ჭიჭია. „ლაზუტი“ სატყვის წარმოშობისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 5, 12, 1944 წ., გვ. 327-335.

აი სიმღერა, რომელიც დაკავშირებულია ერთი ამგვარი ნაღურის თესვის ჩატარებასთან.

ლაზურად

იაზი მულუნ ნოდერფე ივასენ,
ქიმიქ იაზმა ქიმიქ ვალა გოთუასენ,
გიული ჩქიმი სივარედო მუივასენ,
სი ქომოხთა ირიხლო დივასენ.
იაზი მულუნ ნოდერფე ივასენ,
სივარტაში გიული მუთუ ვაივასენ,

მიქ იაზმა დო მიქთი კაზიზ გოთსავენ,
ფუქირი რენ მინდორის დადიჩქიმი,

ბაზი ონჯლორონი დიდო ნეზული
გიარი ვარ აქკომენ ქორენ იაზული
გოწაიკირუშ პოდის ულუნ აზული,
აშო ბოზოფე რენან დადი ჩქიმი
ბაზი თემბელი რენ ბელიაპ გიკაპბენ,
ონდლენერ გიარიშა მეფერ დეკაპბენ.
კინონ კითეფეს ბურელი ქონაპაპბენ,

პანტა სარმა იენეი დადიჩქიმი. |
ბაზი ქესქინი რენ ეიხორონს ბელის,

ვართი ელუდგიტუნ ეშო თენბელის,
დირდუთა გაჩქინენ გედგიტაშ ბელის,

სუმ წანაჩქა უნონ ედადიჩქიმი 5

ქართულად

გაზაფხული მოდის, ნადები იქნება,
ზოგი ვალს მოიხურავს
რა იქნება ჩემო ვარდო, უშენოდ,
შენ რომ იყო ყველაფერი იქნება.
გაზაფხული მოდის, არაფერიც
იქნება.

შენ რომ არ იქნები, ვარდო როგორ
იქნება,

ზოგი დოლბანდს. ზოგიც ვალს
იხურავს,

ყვავილია მინდორში. დეიდაჩემო,
ზოგი მორცხეობს, და ნაზობს,
საქმელს რომ ქაშს არის ცოდვა
წინსაფარით დაატარებს საქმელსა.
ასეთი ქალიშვილებია. დეიდაჩემო.
ზოგი ზარმაცია. ბელს ეწებება,
შუადღის საქმელისთვის როგორ
ირბენს.

ინიან თითებზე ბურელი მიეწებება.
ყოველთვის ტოლმა იქნება

დეიდაჩემო.
ზოგი მარჯვე არის, დაახტება ბელს,
არც გაჩერდება, ისეთ ზარმაცთან,
გაიზარდაო, გეგონება. ბელზე
დგომის დრო.

სამი წელი კიდევ უნდა დეიდაჩემო.

ამგვარი სიმღერებითა და სინარულით ხედებიან ლაზები საგაზაფხულო თესვას. ჯერ ნიადაგის ზედა ნაწილს წმენდენ ბალახისაგან, შემდეგ თოხის წვერით 5 სმ სიღრმის ორმოებს ამოთხრიან და შივ სიმინდის მარცვალს აგდებენ. საყანე მიწის ხელოვნური განაყოფიერება არ იციან. მიწას მხოლოდ 4-5 წლით ასვენებენ. ამ ხნის განმავლობაში სოფლის ერთი მხარის მიწა მუშავდება, მეორე კი დატოვებულია საქონლის საბალახოდ. იმ მიწას, რომელიც 4-5 წლით და-

1 ვალა — დედოფლები იხურავენ.

2 კაზი — იგივე ვალა.

3 ბელი — საბარავია, ჩანგლისებური ორკბილა.

4 ბურელი — ლაზური საქმელია.

5 ჩაწერილია სოფ. სარფში. 1937 წ. მთქმელი ბაიარამლ ხინალოლი, გლეხი,

სვენებულია „აღრემი“ (ყამირი) ეწოდება, ორი-სამი წლის დაძუშა-
ვების შემდეგ კი „მოდული“. როგორც აღვნიშნეთ ბრინჯს ქალები
თესავენ, „აღრემი“ ადგილზე ბრინჯის თესვა არ შეიძლება. პირველ
წელს აქ სიმინდი დაითესება, მეორე წელს კი — ბრინჯი; აპრილი-
დან იწყება ბრინჯის თესვა. ამ დროს მამაკაცები საყანე ადგილებს
წმენდენ. მაისში კი ბრინჯის თესვა გათავებულია და ქალი და კაცი
ყველანი სიმინდს თესავენ ნაღური წესით. ნათესს ორი დღის შემდეგ
ფოცხავენ. ფოცხი ხისაგან კეთდება და კბილებიც ხისა აქვს.

სიმინდის დათესვის შემდეგ ქალები ბრინჯის მარგვლას იწყებენ,
შემდეგ სიმინდის თოხნას და ამ თანმიმდევრობით ამთავრებენ საგა-
ზაფხულო მუშაობას. ამა თუ იმ მიწის ნაკვეთზე აღებულ სიმინდის
მოსავალს „ფსუმარით“ (ფსუმარი — 30 ოყაა) ზომავენ. მაგალითად,
გლეხი იტყვის: 20 ფსუმარი ადგილი დავთესეო.

დადგება თუ ათა შემოდგომა, ბრინჯის მკა იწყება. მოძვილ
ბრინჯს კონებად კრავენ. მამაკაცები მხოლოდ მკისა და შემოზიდვის
დროს ეხმარებიან დედაკაცებს და გოდრების საშუალებით. ჭერში
აზიდავენ. თუ ბევრია, ზვინს დგამენ. დროდადრო გამხმარ კონებს მი-
ნდორში შლიან და სარს ურტყამენ; ქარიან ამინდში აბაით (ჩანგლით)
ანიავებენ, რასაც „ონინწუ“ ეწოდება. ზამთარში ჭერიდანაც ჩამო-
ყრიან და ხარით ან ცხენით ლეწავენ.

ბრინჯის აღების შემდეგ სიმინდის ტეხა იწყება. მოტეხილი სი-
მინდი შინ მიაქვთ და ინახავენ „ბაგენში“ (სასიმინდე); ჩალასა და თი-
ვას ზამთარში საქონლის გამოსაკვებად ხმარობენ.

სიმინდის გარჩევაც ხშირად ნადის საშუალებით ხდება; ამ ნად-
ში უმთავრესად ბავშვებს იწვევენ. „ბაგენში“ (სასიმინდე) უკვე გამ-
ხმარ სიმინდს ჯოხების დარტყმით ფშვნიან. ამაზე ორი-სამი კაცი მუ-
შაობს. დაფშვნილი სიმინდის მარცვალი „მსქიბუში“ (წისქვილი) მი-
აქვთ და ფქვავენ. წისქვილი სახლის ახლო მდებარე დღეულებზეა გა-
მართული. თითოეულ გვარს თავისი წისქვილი აქვს. ზოგიერთ შემთხ-
ვევაში სამი-ოთხი გვარი ერთდება და ერთი წისქვილით სარგებლობენ
რიგრიგობით.

ლომს მომკის („ონგიმუ“) შემდეგ ჭერზე აზიდავენ. ღომის თავ-
თავებს გასახმობად „ოვლეში“ (მოწნული) ჰყრიან და ერთი-ორი
დღით ჰკიდებენ კერიის ცეცხლზე.

ლომს საცეხველში („ონჩამურე“) ცეხვავენ („ონჩხვარე“), ასე-
ვე ბრინჯსაც.

უხვი მოსავლის შემთხვევაში კი წყლის საცხეველით (დინგი), რომელიც ერთ მხარეზე წყლის მექანიკური შევსებით და დაკლით მოძრაობს.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაღურ შრომას; მაგალითად სიმინდსა და ბრინჯს ხშირად ნაღური წესით თესავენ (ოთასუ ანუ ოხაჩქუ), ნაღური წესითვე თოხნიან („გომალუ“), ხილავენ (ოკინუ) ბრინჯს, მცირე ფართობის კულტურებს და ბოსტნეულს უნადოდ უვლიან.

ლაზური ნადი იმით ხასიათდება, რომ მთელი შრომითი პროცესის მანძილზე ხალხურ სიმღერებთან ერთად ასრულებენ შაირებს. აქ ორი ჯგუფი ერთმანეთს ეჯიბრება. ხალხური შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ამგვარ გამოვლინებას ვხვდებით აგრეთვე სიმინდის გარჩევის, საბადე ძაფის რთვისა და სხვა ნაღებშიც.

ნადს სოფელში რიგრიგობით აწყობენ. ამიტომ ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი მუშახელის მოსაგებად ჯერ სხვა ნაღებში მონაწილეობს და 10-12 კაცის მოგების (კოჩი მოგაფერი) შემდეგ თვითონ აწყობს ნადს, მოგებულთა გარდა მოსულების წინაშე დავალიანებული რჩება (კოჩიმ გედვალერი), რასაც შემდეგ ანაზღაურებენ.

ლაზები ნადს ორ ჯგუფად ყოფენ: გედვალერი (სავალდებულო გადასახდელი) და უგედვალუ (არა სავალდებულო გადასახდელი).

გედვალერი ეს ის ნადია, როცა ოჯახს დაედება ვალად იმდენი კაცისა, რამდენიც მოიწვია. ასეთი ნადია: ოხაჩქუმ ნოდერი (ყანის თესვის ნადი), გომალუმ ნოდერი (მარგვლის ნადი), ოკინუმ ნოდერი (ხილვის ნადი), ოწილუმ ნოდერი (ჯრეფის ნადი), ოტახუმ ნოდერი (ყანის ტეხვის) და სხვა. ასეთ ნაღებში მონაწილეობენ მამაკაცებიც და ქალებიც.

უგედვალუ (არა სავალდებულო გადახდის) ნაღებია: სახლის მასალის მოზიდვის, ახლად გაკეთებული ნავის ზღვის პირამდე მიტანის. (ფელუკამ გელანქუში), ბადის ძაფის დართვის (მოსაშ ნოკეფემ ოთხუ) და სხვ.

სახლის მასალის მოზიდვისა და ნავის გადატანის ნაღებში უმთავრესად მამაკაცები მონაწილეობენ, ხოლო ბადის საქსოვი ძაფის რთვის ნადში მხოლოდ ქალები.

ერთ სოფელში შეიძლება მოეწყოს დღეში ორი-სამი ნადი. ეს დამოკიდებულია მცხოვრებთა რაოდენობაზე და სამუშაოს ხასიათზე.

ნადისათვის წინასწარ ემზადებიან. ოჯახს ეცოდინება მონაწილეთა რაოდენობა და ამისდამრხედვით ამზადებს საკმელს, სოლო ნადის

დღეს ადრე დილით ოჯახის ერთ-ერთი წევრი მივა სოფლის ამაღლებულ ადგილზე და ჰაიდე, ჰაიდეეს იძახის.

ნადს იწვევს აგრეთვე „ნოლამისა“ (დანიშნული ქალიშვილი) საქმროს ოჯახის სასარგებლოდ. ასევე სიძის მხრიდან საცოლეს ოჯახის სასარგებლოდ. ასეთი ნადიჯ ხშირად ოჯახისთვის სავალდებულო გადახდას არ ექვემდებარება.

ნადის მოწვევა ხდება აგრეთვე სასახლე ადგილის გამოთხრისათვის. ამას ხელს უწყობს ლაზეთის გეოგრაფიული მდებარეობაც. ვაკე ადგილებში ლაზური მოსახლეობა ძალზე იშვიათია.

ნადის მუშაობის ხანგრძლიობა საშუალოდ 8 საათია. ნადის ხასიათის მიხედვით მუშაობის პროცესში ხდება სიმღერების თქმაც.

შრომის იარაღები: თურქეთის მმართველობაში მყოფი ლაზი მოსახლეობა, თავისი ეკონომიური და კულტურული დონის ჩამორჩენილობის გამო, თავიდანვე ხმარობდა და ახლაც ხმარობს სოფლის მეურნეობის პრიმიტიულ იარაღებს, როგორც არის ხოჯიკოკარი (გუთანის), ამ იარაღს მოღუნული ხისგან ამზადებენ და ზედ რკინას წამოაცვამენ, რომელსაც უღლის მეშვეობით შეაბამენ ხარებს. ლაზეთში სიმინდის თესვის დროს ჩაფა ბერგს (ვიწრო პირიან თოხს) ხმარობენ, ხოლო თოხნისათვის ფალაბერგს (ფართოპირიან თოხს).

გარდა ამისა, ნიადაგის მოსამზადებლად ობელუს (გადაბარვა) მიმართავენ. ამ სამუშაოს სპეციალური ბარით (ბელი) ასრულებენ, რომელიც რკინისაგან არის დამზადებული და მოგაგონებთ ორთითს.

მიწის ბელტების დაფშვნისათვის მინდვრებში იყენებენ ფარცხს, ხოლო მთაგორიან ადგილებში კი ფოცხს. ასევე მომკისათვის — ნამგალს (ნამგალი).

ლაზებს ბოსტნებიც აქვთ. მოჰყავთ ფხალი, ლობიო, პრასა, ქინძი, ოხრახუში, ხახვი, კიტრი და სხვა. ბოსტანი სახლიდან ნახევარი კილომეტრით მაინც უნდა იყოს დაშორებული, რომ შინაურმა ფრინველმა არ დააზიანოს. ზამთრისათვის ფხალს, ლობიოს, კიტრს, მწვანე პამიდორს ამყავებენ.

ლაზები მისდევენ მეხილეობასაც. განსაკუთრებით გავრცელებულია ატამი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ტყემალი, წყავი, თხილი, ბროწეული, კომში, ლეღვი, ყოლა და სხვა. ზამთრობით აკეთებენ ლეღვისა და მსხლის ჩირს. ყურძნისაგან „ჯუმორს“ (ძმარს), ადულებენ მურაბას (ლეღვის) და პეტმეზს (ბაქმეზი). პეტმეზი შემდეგნაირად მზადდება: მწიფე ყურძენს მოკრეფენ და სუფთა ტომრებში ყრიან, (ყურძნის კრეფა მამაკაცების საქმეა, გამოხდა კი — დედაკაცებისა), რომელსაც წინდაწინ გამზადებულ ფიცრის ყუთებში ჩადგა-

მენ. ყუთი თავისთავად დადგმულია სკამზე ან მაგლავკარ მყარ რაიმეზე. ზედ გავლისას რომ არ ჩატყდეს. ყუთს დაბლა ჰქურკი (დიდი ქვაბი) უდგია. ყურძნით სავსე ტომრებზე ფეხით დგებიან და წნეხავენ (ფეხებს კარგად იბანენ). წნეხვის შედეგად გამოსული ყურძნის წვენი ქვაბში ჩადის. ტომრებში დარჩენილი ქაქა თუ არ უნდათ, გადაყრიან, თუ არადა წყალს დაასხამენ და ძმარს აკეთებენ. შიგ ჩაყრიან მარილს. პურის ნატეხს ან ცომს. ჩაადებენ ლურსმანსაც. რომ ლურსმანივით მაგარი გახდეს. მარილს იმიტომ ყრიან, რომ „შერაბი“ (ღვინო) არ დადგეს, იმის დალევა დიდი ცოდვაა. პურის ნატეხს კი იმიტომ ადებენ, რომ საჭმელად გამოდგეს.

ქვაბში ჩარჩენილ ყურძნის წვენს ადგამენ ცეცხლზე და აღულებენ. დუდილის დროს შიგ „მტვერს“ (ნაცარს) ყრიან. რომ ბეთმეზი მკავე არ გამოვიდეს. აღულებენ მანამ, სანამ არ გასქელდება, გასქელების შემდეგ ინახავენ. ზამთარში ბეთმეზისაგან აკეთებენ სხვადასხვა საჭმელებს, როგორიც არის „თერმონი“ (ფელამეში). რომელშიც ურევია ბურღული და ლობიო „მაჭენი“ (მურაბის მავვარი საჭმელია) ბეთმეზი დიდხანს ინახება.

დადგება თუ არა მარტი, ლაზები ციტრუსებს ძირებს შემოუბარავენ და ნაკელს დააყრიან, ეკლებსა და გამხმარ ტოტებს შემოაცლიან. ზამთარში თუ თოვლია, ტოტებს რამდენიმეჯერ ბერტყავენ. ზამთრის მოახლოებისას პატარა ნერგებს შეფუთავენ, რომ ყინვამ არ დააზიანოს. ფორთოხლის მოშენება შემდეგნაირად ხდება: ფორთოხლის ხეზე ამოარჩევენ ნორჩ ტოტს („ფილისი“). ამ „ფილისის“ ძირს 5 სმ სიგრძეზე შემოაცლიან კანს და დანით ფხეკავენ, რომ შემდეგ კანი ხელახლა არ შეერთდეს. შემოჭრილი ადგილის ზემოთა ნაწილს დანის წვერით დაძაბავენ, შემდეგ წაბლის კანს (ქერქს) შემოახვევენ და შიგ მიწას ჩაყრიან. ამას აკეთებენ მაისში, ხოლო შემოდგომაზე გახსნიან, დაძაბულ ადგილზე „ფილისს“ ფესვი ექნება გამოტანილი, ასეთ მცნობას ლაზურად დოლოკიდუ (ე. ი. დაკიდვა) ეწოდება. რაც შეეხება ლიმონისა და მანდარინის გამრავლება-გაშენებას. იგი ჩვეულებრივი მცნობით წარმოებს. ფორთოხლის ჩვეულებრივი მცნობა (ტრიფოლიატზე) ლაზ მოსახლეობაში იშვიათია.

ლაზეთის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მეთევზეობა და ჭელოსნობა. იგი დაკავშირებულია სამუშაოდ სხვა მხარეში გამგ-

ზვერებასთან. ამას ლაზები „კურბეთს“ საშოვარს უწოდებენ, რაც ნიშნავს შორეულ მგზავრობას მოგებისათვის.

ამ მიზნით ლაზები ყოველწლიურად აწყობდნენ ჯგუფურ მგზავრობას, რომელშიც შედიოდნენ: მეთევზეები, მენავეები (ნავის მშენებლები) და სახლის ოსტატები.

პირველი ორი ჯგუფი ზღვის პირს ეტანებოდა. წინათ ფოთიდან დაწყებული ქერჩის სანაპირომდე ყველგან შეხვდებოდით ლაზ მეთევზეებსა და მენავეებს.

მესამე ჯგუფი — სახლის ოსტატები და დურგლები უფრო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიდიოდნენ, მაგალითად, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში, სადაც აშენებდნენ კოხტა სახლებს (ოღებს).

ხშირი იყო შემთხვევა, რომ ახალ დაქორწინებული ვაჟი იძულებული ხდებოდა ფულის საშოვნელად წასულიყო კურბეთში და ერთი ან ორი წლით მიეტოვებინა ოჯახი.

სოფელსა და ცოლ-შვილს მოშორებულს, „კურბეთში“ წასულ ლაზებს თავისებური სიმღერა შეუქმნიათ.

ლაზურად

1. ირი კურბეთის ვორჯედო ფქოფუფ კიფალი იარი ბძირაშინონი გოვონწყაფარე ფალი.
2. ელაბარუ კალაში იარი დილილუ ფაში! ნოსის ვულუ, მოველუ ია გომაშინაში.
3. წანა მოთ ვარ გულიქთერ შური მოხთუ ყალიშა, ნისა ოხორის. იქთენ, თოლი ულუნ მზოლაშა.
4. სანდალი იელქენონი აშო მოთ ვარ გოლიწყერ ნოლაშე სო იყონი პანტა გურის მემაქთენ.

ქართულად

1. ყოველთვის კურბეთში ვარ, და ვიქერ კეფალსა, სატრფოს ნახეა თუ მომელის მარჩიელს უნდა ვარჩევირო.
2. ჩამოუქროლა ნიავმა, ქმარი გასცილდა ფოთსაო. როგორ ვიქნები კეკიანი, როცა გამახსენდებო...
3. წელიწადო არ ბრუნდები, სული მომადგა ყელშიო, პატარძალი სახლში ტრიალეს სულ ზღვისკენ იხედებო.
4. ნავო იალქანიანო, აქ რატომ არ იხედებო, ქმარი რად არა მომგვარა, და გული უწუხდებო... და სხვ..

1 ფაში — ფოთი.

მეთევზის ცოლი კი, რომლის ქმარი წასული იყო სათევზაოდ და
კარგა ხანია შინ არ დაბრუნებულა, მღეროდა:

ლაზურად

ფელქა, იალქნონი,
გეხთო. მენდა მიყონი,
კურბეთიშა ნულუნა,
ქიმოჯი მომიყონი,
ჰეჰთო დიჩილერენა,
ლურელი მომიყონი,
ეურის თოკი ქოგიუდვი,
გოჰირი გუიყონი.

ქართულად

ნავო, იალქნიანო,
ჩამოდი წამიყვანე,
კურბეთში თუ მიღისარ,
ქმარი წამიოიყვანე.
თუ იქაც ცოლი შეურთავს,
მკედარი ჩამოიტანე,
ორივეს თოკი შეაბი,
თრევითა შემოატარე.

დადგება თუ არა შემოდგომა, ლაზი მეთევზეები ბადეებს ამზადებენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სარფში მეთევზეობა პრიმიტიული ხელსაწყოებით წარმოებდა. 75 წლის მეთევზე ალირე-იზ ნუმანიში, რომელსაც 60 წლის თევზაობის გამოცდილება აქვს, ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: ათი წლისა ვიყავი, როცა თევზაობა დავიწყე. ბაბუაჩემისაგან ვიცი, რომ სულ წინათ ლაზებს ნავის ნაცვლად ნუში ჰქონდათ, რომელსაც შემდეგნაირად აკეთებდნენ: მოჭრიდნენ დიდ კუნძს, მის შუა გულს ამოიღებდნენ და ამით დადიოდნენ ზღვაზე. ხელსაწყოებად შემდეგ ბადეებს ხმარობდნენ: სასროლ ბადეს „სუაკიშ მოსას“ (კამბულას ბადე), აგრეთვე „ანკეცებს“ (ანკესები). ამ ბადეებს თვითონ ქსოვდნენ, ანკეცებს კი მჭედლები აკეთებდნენ. შემდეგ „ნუში“ თანდათან გადაკეთდა და შეიცვალა სახელწოდება „ჭირნილით“. ჩვენ კი უფრო განვავითარეთ და ამჟამად ფელქას ვეძახით. ანკესით ვიჭერდით და ამჟამადაც ანკესითვე ვიჭერთ მურუნას (თორუჯი). ახლა ანკესები გაუმჯობესებულა, ქარხნებში მზადდება. „სუაკიშ მოსათი“-თ კი ვიჭერთ „სუაკს“ (კამბალას); „კამანგით“ (ეს ჩანგლის მსგავსია, რომელსაც 4 ჰანგი აქვს გალესილი) ვიჭერდით „სფაროს“ (ესეც თევზის სახელია). „მანთაი“ (მედუზა) ხომ იცით, იმას დავიჭერდით და დავაბამდით ზღვის პირას ქვათან ადგილებში, აგერ ჩვენთან, ქვამოახზი (ეს დიდი ქვა სარფშია შიგ ზღვაში, ამ ადგილებზე სხვა ლოდებიც არის ზღვის პირზე) რომ არის, იმის იქით. ჩვენ ქვაზე გაჩერდებოდით... „სფარო“ გამოვიდოდა და წოვას დაუწყებდა „მანთაის“, მაშინ ზევიდან ჩავცემდით „კამანგს“, და ზედ წამოეცმებოდა.

გარდა ამისა, სარგანსაც (იგლა) იჭერენ ჰინოთი (გრძელი ჯოხია), რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება და სიგრძით 5 მეტრია. პირველ ნაწილს „თუდენი“ ეწოდება. მეორე ნაწილს — „შქაში“. მესამეს — „ყომურიში“. ეს ნაწილები თავიდან დაწყებული თანდათან წვრილდება. „თუდენს“, სადაც ხელს კიდებენ, 5 სანტიმეტრი დამეტრი აქვს, „შქაშის“ — 2 ან 3 სმ, ხოლო „ყომურიშს“ — ნახევარი სანტიმეტრი და უფრო ნაკლებიც. წვერზე 12 მეტრამდე სიგრძის ტონოს¹ აბამენ (ძაფს). რომლის ბოლოზე აბრეშუმია მიბმული, მხოლოდ შეღებილი. აი როგორ აკეთებენ ამ აბრეშუმს: ჩვეულებრივ აბრეშუმს მოხარშავენ, რომ ცოტა დარბილდეს, შემდეგ შაბიან წყალში ჩააგდებენ, ამზადებენ მის შესაღებად წყალს. ამისათვის კი „მტკუი უშქირს“ (გარეული ვაშლი) რომ ეძახიან, იმის ტოტის კანს გათლიან და მოხარშავენ. „მეტაქსის“ საპნით გარეცხავენ და მერე ჩადებენ „შემპის“ (შაბიანი) წყალში. შემდეგ „მეტაქსის“ (აბრეშუმს) ჩადებენ ამ ქერქის წყალში და ღია წითელ ფერად შეიღებება.

ეს მაშინ არის საჭირო, როცა პირველად იწყება ჰინოთი თევზობა. ერთი თვის შემდეგ კი ღებავენ ყვითლად, მხოლოდ მუქი ყვითელი უნდა იყოს. ამისათვის არის ერთგვარი მცენარე „ცქიბილი“. მცენარეს მოჭრიან, წვრილ-წვრილად დაჭრიან, თუნგში ჩაყრიან და ხახვის კანს შეუტრევენ, მოხარშვის შემდეგ „მეტაქსის“ ზემოაღნიშნული წესის შესრულებით შეღებავენ. რომ გაშრება, თითო-თითოდ გამოიღებენ ძაფებს და „ტკომილას“ გააკეთებენ. „ტკომილას“ 12 მეტრამდე სიგრძის ძაფის წვერზე მიაბამენ და ჰინოს ჩაქნევით გადაისვრიან ზღვაში, ნაპირიდან ნელ-ნელა მოასრიალებენ. ამ დროს სარგანს ნახავს და ეგონება ქაფშია (ხამსა), რისთვისაც ეტაკება და ჩაყლაპავს. მაგრამ მას წვრილი კბილები აქვს და ეს რბილი აბრეშუმის ბუსუსებუ კბილებზე წამოედება და თევზი დაეკიდება. ნაპირისაკენ წამოიყვანენ მას ნელ-ნელა და ნაპირს რომ მოუახლოვდება, ჰინოს ამოიქნევენ — თევზსაც ამოაგდებენ. ამჟამად ამ თევზს ასეთი ხერხით მხოლოდ ბავშვები იჭერენ, წინათ კი 30-35 წლის კაცებიც ასეთი ხერხით იჭერდნენ სარგანს. ახლა ისინი ასე არ იჭერენ იმიტომ, რომ თევზობა განვითარებულია. არის პარაპატი, ნავი, გირგირი, რომელიც ქარხანაში დამზადებულია, ანკესები, მეზგითიშ მოსა (ბადეთა სახელებია) და სხვა.

წინათ, როდესაც ზამთრის დამეში სათევზაოდ მივდიოდით,

¹ ტონო — კენაფისაგან დამზადებული ძაფია.

ზღვის კენჭები გაყინული იყო, ჩვენც ფენშიშველა ვიყავით და კენჭები ფეხზე გვეკროდა. ახლა კი თევზაობის დროს სპეციალური ჩექმები გვატვია და სპეცტანსაცმელიც გვაქვს, ასე რომ სიცივე როგორია არც კი ვიცით — ამბობს ალირვიზ ნუმანიში.

წინათ, საბჭოთა ხელისუფლებამდე შემოსავალს ასე ანაწილებდნენ: ნავი და მისი მოწყობილობა ითვლებოდა ორი პაი, პარაპატი — 4 პაი, დამხმარენი (მატროსები) — თითოს თითო პაი, თვითონ ხელმძღვანელი — ერთი პაი, სულ 11 პაი, აქედან 7 პაი ხელმძღვანელს მიჰქონდა, რადგანაც პარაპატი და ნავი მისი იყო. ამჟამად ასე არ არის, ყველა თანასწორად ღებულობს, მხოლოდ სპეციალისტებს მეტი ეძლევა. გარდა ამისა, წინათ დეფინას (დელფინს) „რუკებით“ (ჩახმახიანი თოფია) ჰკლავდნენ, მათ ნავით დასდევდნენ. ამჟამად კი დელფინს მოტორიანი ნავით დასდევენ და აქვთ ორლულიანი თოფი. წინათ საათში ხუთჯერ თუ გაისროდნენ თოფს და ოთხ დელფინს მოჰკლავდნენ. ახლა საათში 25-ჯერ გაისვრიან და 23 მოჰკლავენ, რადგანაც ამ თოფის ვაზნები მზად არის და 2-3 წუთში ერთხელ შეიძლება გასროლა.

გარდა ამისა თევზს ღელეშიც იჭერენ. ასეთ ხელსაწყოს კალათი (გოდორი) ეწოდება. გოდორი ღარის მსგავსია და დაწნულია თხილის ხის წნელით. არის კიდევ მეორე იარაღი, მას სახელად ხოლუხი ეწოდება. იგი ბადეა და ორ მეტრიან ჯოხზეა დამაგრებული.

ქაფშიას მხოლოდ პარაპატისა და გირგირის საშუალებით იჭერენ. პარაპატით ჰერა ნაპირიდან წარმოებს. პარაპატის ორ მხარეზე 100-100 მეტრი თოკია მიბმული. როცა ქაფშიას ზღვაში შეამჩნევენ, თოკის ერთ მხარეს ზღვის ნაპირზე დატოვებენ. პარაპატი ნავზე დევს. ნაპირს რომ 100-150 მეტრით გაშორდებიან, პარაპატს დაწყობილად ჰყრიან. პარაპატის ერთი მხარე იძირება, რადგანაც მას ტყვია ან ქვები აბია. ასე მოუვლიან და თოკის მეორე ბოლოს პირველის დაშორებით ნაპირზე გამოიტანენ, ასე რომ ქაფშიას შუაში მოაქცევენ. ეკიპაჟიდან ორი კაცი ერთ მხარეზეა, ორი — მეორე მხარეზე და ბადეს ეწევიან ნაპირისაკენ. მმართველი ბადის კუკუნს (ბადის ტომარა) ათვალიერებს, აგრეთვე ყურადღებას აქცევს, თუ საით არის უფრო მეტი გასაწევი, წონასწორობას იცავს და ბადეს ყარაულობს, რომ ზღვის ფსკერზე ქვას ან სხვა რაიმეს არ მოედოს და არ დაიხვს. ნაპირზე რომ გამოიტანენ, თევზები კუკუნისაკენ გაიწევიან. ბოლოს ნაპირზე გამოიტანენ და ნავში ჩაყრიან. პარაპატით იჭერენ სხვადასხვა თევზებს: „ქათალას“, „ლორჯოს“, „ფორწოს“, „ქვაჩხომს“, „ლაბუს“, „სარგანას“, „გიულარს“, „სფაროს“, „ლევერდს“, „ქიოთელს“, „მაროშქილს“ და სხვა.

ანკესით იჭერენ მურუნას და ზუთხს. მურუნას და ზუთხის ხორცი იჭმება. თოფით კლავენ დელფინს, მუთიკას და შიპს. დელფინზე ჩახმახიანი თოფით (ჩუჭა) ნადირობენ, რომელშიაც ერთ ცალ მრგვალ ტყვიას¹ სდებენ. დელფინზე ნადირობა იმით განსხვავდება, რომ ეს ნადირობა ზღვაზე ხდება და ზღვის ტალღები აქანავებს როგორც მსროლელს, ისე ნადირს. ორივე მხარის ასეთი მოძრაობის დროს სროლა დიდ დახელოვნებას მოითხოვს. მსროლელი ელოდება, როდის ამოვა დელფინი ზღვის ზედაპირზე, მან არ იცის, თუ სად ამოყოფს დელფინი თავს. ამიტომ დელფინს სწრაფად უნდა დაუმიზნოს თოფი და გაისროლოს, რადგან დელფინი ზღვის ზედაპირზე მხოლოდ ჰაერის ჩასასუნთქავად ამოდის და წამსვე იძირება. ტყვიის მოხვედრისთანავე იგი გადაბრუნდება. დაჭრილს წვეტიანი რკინის ჯოხით ამოიყვანენ და ნავში ჩააგდებენ.

ხშირია შემთხვევა, რომ დელფინი თავის შვილთან ერთად დაეცურავს და, როცა გასროლილი ტყვია დედის ნაცვლად შეიღს მოხედება, რომელსაც ნავში ამოიყვანენ. დედა ნავს როდი შორდება. მან იცის, რომ შვილი ნავში იმყოფება, და მანამდე სდევს ნავს, სანამ ნაპირს არ მიადგება.

ხშირად, „ცოდვის“ თავიდან ასაცილებლად, მეთევზეები დედას არ კლავენ, თუმცა შვილის მოკვლის შემდეგ მისი მოკვლა ძალზე ადვილია. სასიკვდილოდ დაჭრილი დელფინი, რომელსაც ნავში ჩააგდებენ, ტყვიის მოხვედრისთანავე ტირილს იწყებს, ცრემლების ღვრასთან ერთად ხმამაღალ კვნესას იწყებს ხოლმე.

გარდა დელფინისა, „მუთიკაზეც“ (დელფინის მსგავსი. თევზიჟ, რომელიც მისგან მოკლე ნისკარტით განსხვავდება) ნადირობენ, უკანასკნელის ზეთს უფრო ნაკლები სუნი აქვს და უფრო ადვილი დასალევიც არის. ამ თევზსაც იმავე წესით კლავენ, მხოლოდ ერთი ტყვიის ნაცვლად თოფს საფანტით (9 ან 12 ცალი) ტენიან.

დელფინის და „მუთიკას“ კანს 4-დან 6 სანტიმეტრამდე სისქის ქონი აკრავს. 7-8 დღეში დაგროვილ კანს წვრილად დაჭრილს ჩაყრიან სპეციალურ რკინის დიდ ქვაბში და აღულებენ მანამდე, სანამ ზეთი არ გამოიხდება. ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილ კანს ჰინიკი ეწოდება. მისი კვამა შეიძლება და სასარგებლოც არის, სანამ ცხე-

¹ ტყვიის დიამეტრი 12 მილიმეტრს უდრის, ამ ტყვიას მისკეტი ეწოდება.

ლია. ამიტომ, ზღვიდან დაშორებული სოფლის მცხოვრები ლაზები ზღვის პირას მცხოვრებ ლაზებს დასცილიან ხოლმე:

სარფული არ თანაფე:
ჭიხიკიშ მკომალაფე,
ან კიდე:

სარფული ტამბალაღი
მთელი დელფინაშ იალი.
მოხვეწანა ვარ მეგჩაფ.
არ კანდელიში იალი...

სარფული ერთ ცაღა
ჭიხიკის მკამელაღი.

სარფული გასუქებელი
დელფინის ზეთისაგან.
შემგზეწო არ მოგკემ
ერთი კანდელისათვის.

დელფინს ტყავს აძრობენ და ზეთს ხდიან. რომელიც წინათ ნავთის მაგივრად იხმარებოდა.¹ ამ ზეთს ლაზურად ეწოდება „დელფინაშ იალი“. რომელსაც კანდელში ასხამდნენ. კანდელი ლამპის მაგივრია, ეესტს ნაპირები ამოკეცილი აქვს, თავი კი ღია. აქვს ნაჭრისაგან გაკეთებული პატრუქი. კანდელის ერთი კუთხე ცოტა ამოწეულია და შიგ მოთავსებულია პატრუქი. კანდელში ზეთია. ამოწეულ ნაწილს რომ მოუკიდებენ, ინთება და სინათლეს იძლევა. ეს ძალიან საშიში სახმარია, რადგანაც თუ პატრუქი დროზე არ ამოუწიე, ცეცხლი ჩაჰყვება, მოეკიდება ზეთს და ხანძარი გაჩნდება.

ამჟამად მას ჩვენში აღარ ხმარობენ. რადგანაც ჩვენში ერთი ფუთი ნავთი უფრო იაფია, და უკეთესიც, ვიდრე ერთი ფუთი დელფინის ზეთი. ზეთს აგრეთვე მუთიკის ტყავისაგან ხდიან. მას ქალაქში ჰყიდიან. ამ ზეთის ნაწილს შინ იტოვებენ და ხშირად სვამენ. იგი სამკურნალო საშუალებად მიაჩნიათ.

თევზაობის დაწყებასთან დაკავშირებულია სხვადასხვა ცრუმორწმუნობა. თევზის ჰერის დაწყების პირველ დღედ არჩეულია „საპატონი“ (შაბათი). გააკეთებინებდნენ „ნუსკას“ (ნუსხა) და ნავში დამალავდნენ ისე, რომ არავის არ ენახა. ამით ვითომ ბევრ თევზს დაიჭერდნენ. თუ რამდენიმე დღეს ზედიზედ თევზს ვერ მოკლავდნენ, ამას იმით ხსნიდნენ, რომ თოფს თვალი ეცა და ამიტომ შეალოცვინებდნენ „ჯინჯის“ (ჯინდარჯი).

გარდა ამისა, თოფზე დაიკიდებდნენ ნახშირს, რომელიც ნაჭრებით შეხვეული და აგრეთვე შელოცვილი იყო ჯინჯის მიერ. ამგვარად მიმდინარეობდა მეთევზეობა ლაზებში.

ამჟამად ასეთ ძველ წესებს აღარ ასრულებენ. ლაზი მეთევზის ოჯახში თევზაობის ერთი სეზონიდან მეორე სეზონამდე უნდა იყოს შენახული დამარილებული თევზი. თევზს შემდეგნაირად ამარილებენ: აქვთ განსაკუთრებული კასრები ან ქვევრები, რომლებსაც მიწა-

1 დელფინის ზეთს თურქეთში ახლაც იყენებენ განათებაზე.

ში ჩამარხავენ. ქაფშიას თავს მოსწყვეტენ, გაასუფთავენ შიგნულს, გარეცხავენ. ამ ქურქელში ჩაყრიან და ზედ თანდათანობით აყრიან მარილს, რომ არ გაფუჭდეს. ასევე ამარილებენ სარგანას და სხვა მის მსგავს თევზებს. „სუაკს“ და ასეთ მსხვილ თევზებს კარგად გაასუფთავენ. კერასთან დაკიდებენ „კრემულზე“ (ჯაჭვზე) და ახმობენ, შემდეგ ხარშავენ ან შეწვავენ.

მწყერზე ნადირობა (ოტრიკეშ ოკოფუ). მწყერზე ნადირობა არანაკლებ ინტერესს იწვევს ლაზი მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც ზღვის სანაპიროზე ცხოვრობს. ნადირობისათვის სამზადისს იწყებენ ივლისში.

მარყუჩისებურ შეკრულ 7-10 ცალ ცხენის ძუას მიამაგრებენ თხილის გაუთლელ ჯოხზე და მიწაში ჩაასობენ ნახევრად წაქცეულად. ჯოხის ორთავე მხარეს მიიბამენ კალიას. როგორც კი შეამჩნევს ლაქოს ჯიშის ჩიტი (ლაქო) კალიას, ჯოხს დააჯდება, ძუა გაინასკება და ჩიტი შიგ გაებმება.

დაქერილ ლაქოს თვალეზე ტყავისაგან გამზადებულ თხელ საფარს მიაწებებენ, რომლის გამო იგი ზევით ვერ იხედება და მარტო ძირს იყურება. ამგვარად, ჰაერში მფრინავ მტაცებელ ჩიტს ვერ დაინახავს და თავს ვერ დაიცავს.

ჯოხზე ფრენას შეჩვეულ ლაქოს აგვისტოს დასაწყისში ქოხში (მიმინოს დასაქერად ხის ფოთლებიანი ტოტებისაგან გაკეთებული კარავი) წაიყვანენ და მის გვერდით სამკუთხედ ბადეს გაშლიან. დამალული მონადირე მიმინოს გამოჩენის მოლოდინში ცას გაჰყურებს. მიმინოს გამოჩენისთანავე (8-10 კილომეტრზე) ბადის უკან ჯოხზე აათამაშებს ლაქოს. მტაცებელი როგორც კი შეამჩნევს ლაქოს, მთელი სისწრაფით ეშვება ძირს და ბადეს ეცემა. მონადირე ჯოხზე მიბმულ ლაქოს უცბად გამოსწევს უკან და მიმინო ბადეში ემწყვდევა.

კმაყოფილი მონადირე ნელი სტვენით აიყვანს ხელში მიმინოს, (თუმცა იგი კლანჭებით მრავალ ადგილას დაკაწრავს ხელებს, სისხლს ადენს), თვალებსა და გულმკერდზე აკვირდება. თუ თვალებსა და გულმკერდზე მოყვითალო ფერი დაჰკრავს და მიმინო შედარებით დიდია, ასეთი მიმინო უკეთეს ჯიშად ითვლება და ასეთ შემთხვევაში მონადირე ამბობს: როგორიც მინდოდა, ისეთი მიმინო დაეიჭირეო. ლაზების აზრით, შვიდ აგვისტოს დაქერილი მიმინო საუკეთესოდ ითვლება.

გარდა ქოხისა, მიმინოს დასაქერად მანთას იყენებენ. ორ მაღალ

ხეს შუა ბადეს გააბამენ, რომელიც შუა ნაწილში მოშვევებულია. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მფრინავი დაღლილი მიმინო, როგორც კი შეამჩნევს ლამაზად გადებულ ხეს, დააჯდება. ბადეს ვერ ამჩნევს. რადგან წვრილი ძაფისაგან არის მოქსოვილი. მგზავრობის განსაგრძობად იგი აუცილებლად სამხრეთისაკენ გაფრენას მოინდომებს და კიდევაც გაებმება ბადეში.

დაჭერილ მიმინოს ორთავე ფეხსა და წელზე წვრილ ბაწარს მობამენ და სამსავე ბოლოს ნახევარ მეტრზე შესკვნან. ერთ ბაწარს თითზე მოიბამენ და მკლავზე ჯდომას აჩვენენ. პირველ ორ დღეს მისი კლანჭებისაგან დასაცავად მაჭასაც შეიხვევენ.

მალე მიმინოც გაიწვრთნება, მიეჩვევა ხორცისა და კვერცხის ჰამას (უმარილოს), სექტემბერში, მონადირეები როგორც კი შეამჩნევენ გაავდრებას (მეთევზე ლაზები 2-3 დღით ადრე ატყობენ მოსალოდნელ ამინდს), მიმინოს საკმელს მოუკლებენ ან სულ არ აკმევენ, რადგან მშვიერი მიმინო პირველადვე იწყებს „ოტრიკეს“ (მწყერი) ჰერას.

მწყერზე ნადირობის წინ მიმინოს დამატებით აბამენ 20-25 მეტრის სიგრძის მესქურონს (წვრილ ბაწარს). მწყერის აფრენისთანავე მიმინო დაედევნება მას. მონადირე ბაწარს მოუშვებს და თან გაყვება. რადგან ბაწარის სიგრძე ხშირად არა ყოფნის მიმინოს.

მიმინო ზოგჯერ ისეა დაჩვეული, რომ ბაწარი აღარც კი ჰპირდება. მწყერის დაჭერის შემდეგ მიწაზე ჯდება, მწყერი კლანჭებით უჭირავს და პატრონს ელოდება. მონადირე ცოტა კვერცხს ან ხორცს შეაკმევს და განაგრძობს ნადირობას. მწყერის საძებნად და ასაფრენად მონადირეს ძალი ახლავს. თუ ძალი არა ჰყავს, მაშინ გრძელი ჯოხით ეძებს და ააფრენს მწყერს. მწყერზე უმთავრესად ზღვის პირას ნადირობენ — მინდორ ადგილებში. სანადიროდ 15-20 კილომეტრზეც მიდიან.

არის შემთხვევები, როცა ერთი მონადირე დღეში 150-200 მწყერს იჭერს, ხოლო თვალი რომ არ ეცეს (ავი თვალი), დაჭერილ მწყერს მონადირე შინ ღამით, ფარულად მიიტანს ხოლმე. ძველი რწმენით, „თვალის ცემა“ ავნებს, როგორც მიმინოს, ისე მონადირელსაც.

ჩიტის საჭერი იარაღები. ლაზები მოხერხებულად იყენებენ სხვადასხვა ხელსაწყოებს. ჩიტის დაჭერა ხდება როგორც ბადით, ი.ე. ნეფრით, „ოკვინჩეთი“ (საჩიტე კარავი), „რაგით“ და „ქანდარით“. ეს საშუალებანი შემდეგია:

1. ნეფერი — ტყეში მალლობ ადგილზე ჭრიან ხეებს და აკეთებენ მოედანს — არეს, რომლის სიფართოე 5-6 მეტრია. მოედნის კიდეების სიფართოეზე დაასობენ თითო გასხლილ ხეს (შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთერთი მოუჭრელი ხეც), აქ დაკიდებენ სპეციალურად მოქსოვილ ბადეს, რომლის შუა ადგილი მოშვებულად დატოვებულია, ხოლო ბადის ქვედა მხარეზე მიაბამენ სარს. შემოდგომაზე ჭგუფურად მიმავალი ჩიტები როგორც კი დაინახვენ გაჭრილ ტყეს, მოინდომებენ იქედან გადაფრენას, აწყდებიან რა ბადეს, დამალული მონადირე მაშინვე აწევს ბადეზე მიმაგრებულ სარს და დაფარავს „ნეფერს“ (ბადეს). დაჭერილი ჩიტები „ტოროჯი“ (მტრედი) ან სხვა ჭიშის წვრილი ფრინველები თავს იყრიან ბადის მოშვებულ ადგილას. ასეთი წესით მზის ამოსვლამდე შეიძლება დაიჭირონ 100-150 მდე ჩიტი. ეს ხერხი ძალიან მომგებია, მაგრამ ამას მიმართავენ მხოლოდ შემოდგომის მიწურულში. „ნეფრით“ ჩიტის ჭერა შეიძლება აგრეთვე ზღვის პირდაც, სადაც ერთი მხარე კლდოვანი ან მთიანია.

2. ოკვინჩე. დაახლოებით სამი მეტრის სიგრძის ოთხ მლუნად სარს დაასობენ ეზოში იმ ანგარიშით, რომ ორი წინა და ორი უკანა სარების შეერთების შედეგად მივიღოთ ორი სამკუთხედი, წინა და უკანა სამკუთხედებს შორის გადებულ ლარტყებს ეწრით ან ჩალით გადახურვით მიიღებს კარავის ფორმას, ხოლო კარავის უკანა მხარეს ამოქსოვენ თხილის წნელით და დატოვებენ ფანჯარას დაახლოებით ხუთი კვ. დეციმეტრის სიფართით, ამ ფანჯარაზე გაუკეთებენ ბადეს ისე, რომ დაემსგავსოს კონუსისებურ ტომარას უკან დასობილ უბრალო კეტზე მიმაგრებით.

როცა მიწა თოვლით დაიფარება, „ოკვინჩეში“ (კარავში) დაყრიან ფქვილის ან ლომის კაკალს. ჩიტები დაესევნიან თუ არა მეთვალთვალე მიიბრუნს „ოკვინჩესთან“ და „ქმას“ ძახილით დააფრთხობს ჩიტებს. ჩიტები შეეცდებიან ფანჯრიდან გაქცევას, მაგრამ აღმოჩნდე-

ბიან ბადის ტომარაში, ასე გრძელდება პერიოდულად. არის შემთხვევა, როცა „მტკაშ ქოთუმესაც“ (ტყის ქათამი) — იჭერენ ხოლმე.

3. რაგი (რაგვი). ხმარობენ ნაღირის დასაქერადაც. მაგ., „მთუთიმ რაგი“ (დათვის რაგვი), „მკია ფუმ რაგი“ (ტურის რაგვი), „მუშჩქვიმ რაგი“ (ფოცხვერის რაგვი) და სხვა.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ჩიტის საჭერი რაგვი: აიღებენ ფიცრისაგან გაკეთებულ მრგვალ თაბალს, რომელსაც ლაზები უბრალო სკამზე დადებით სუფრადაც ხმარობენ, შეიძლება იყოს სპილენძისაც.

სუფრას კიდურები აქვს და ნახევრად ჩაზნექილია ისე, რომ ქვეშ მომწყვდელი ჩიტი უვნებელი რჩება.

თოვლით დაფარულ მიწას გაწმენდენ სუფრის მოცულობის მიხედვით, გაწმენდილ არეში ჩაყრიან ფქვილს ან ღომის მარცვალს „ნჩხვარს“ და ზედ დაახურავენ სუფრას ისე, რომ ერთი მხარე პატარა ჯოხის დაბიძგებით მიწიდან აწეული რჩება 20-25 სმ-ით. ჯოხზე მიბმულია თეთრი ბაწარი (თოვლთან შეხამებული) სუფრის ზემოდანაც დააყრიან თოვლს, სიმძიმისათვის კი ქვას ან ხეს.

როგორც კი შეამჩნევს მიწაზე დაყრილ საკმელს, ჩიტი მიფრინდება და დაიწყებს კენკვას, მას მიყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგ. როცა საკმარისად შეგროვდებიან, მეთვალყურე მოსწევს ბაწარს, სუფრა დაემხოება და ჩიტებიც ქვეშ მოექცევიან. გამოყვანისას რომ არ გაექცეთ გადაათარებენ ბადეს და ისე იჭერენ ჩიტებს.

4. ქანდარა — ჩიტის (უმთავრესად შაშვის) დასაქერ მარტივ იარაღს წარმოადგენს. „ცხენიმ წწარის“ (ცხენის ძუას) ფერის მიუხედავად აიღებენ, მოკეცავენ შუაში, მოათავსებენ ცერისა და საჩვენებელ თითებს შუა და ერთმანეთზე ხახუნით დაგრეხავენ, თუ „მზესკუ“-ს (შაშვი) ან „მაჯაჯლას“ (ჩხართვი) დასაქერად უნდათ, ორმაგ ძუას დაგრეხავენ, დაგრეხილ ძუას გამარყუჟავენ, ხოლო შეკოპილ ბოლოებს თხილის ჯოხზე დანით შექრილ ადგილებზე დაამაგრებენ, ერთ ჯოხზე შეიძლება ათამდე მარყუჯის დამაგრება.


გამზადებულ ჯოხებს მიასობენ „მსიჯონი ჯას“ (სუროიან ხეს) ან ფითრიან მსხლის ხეს.

ზამთრის პერიოდში სუროს ნაყოფს ეტანება „მზესკუ“ (შაშვი), ხოლო მსხლის ფითრს — მაჯაჯლა (ჩხართვი). ამ ნაყოფთან სის ტო-

ტებს მოკრიან და ნწარით ვაწყობილ ქანდარას (ჯოხს) ვაბუშ (ფით-რის) ახლოს მისობენ. ნაყოფის საკმელად მოსული ჩიტი ფეხით ან თავით გაებმება მარყუჭში.

ქინო იხმარება მხოლოდ სარგანა თევზის (იგლა) დასაქერად (მარტო ლაზები ხმარობენ). ქინო ანუ „ოსარგანე“ სამი ნაწილისაგან შედგება:

1. თუდენი თხილის ხის 3-5 მეტრის სიგრძეზე გათლილი ხე, რომლის ერთი ბოლო 5 სმ დიამეტრისაა, მეორე კი 3 სმ. უკანასკნელი მხარე ნახევრად გაბრტყელებულია 20-25 სმ-ზე, მეორე — ჯოხის მისამაგრებლად.



ქინო. 1. თუდენი, 2. შქაში, 3. ყომურიში, 4. ტონო, 5. მეტაქსი.

2. შქაში — თუდენი ჯოხზე ბაწრით დამაგრებული 2,5 მეტრი სიგრძის ნახევრად მლუნადი თხილის ჯოხი, რომლის მსხვილი მხარის დიამეტრი უდრის 3 სანტიმეტრს.

3. ყომურიში ახალგაზრდა ტყემლის შტო, რომლის სიგრძე უდრის 1,5 მეტრს, ბაწრითვე დამაგრებულია შქაში-ზე (შუა ჯოხზე).

ცხოველებისა და ფრინველების სახელწოდებანი. ლაზური ენა ქართული ენის მკვიდრია და მასთან დაკავშირებული, ამიტომ ჩვენ მოგვაქვს ზოგიერთი იშვიათი გამოთქმები.

ქართული

მახრა
 გომბეშო
 ბოხმეკო
 გველი
 გველგესლა
 ღამურა
 ყვაეი
 ოფოფი
 მეთოლია
 ყორანი
 ჩიტბატონა
 ბოლოქანქალა
 პინკრაქა
 გულწითელა
 სკლინჩა
 ბელურა
 მერცხალი
 მილადერი (შვილი გოგია)
 კვირიანი
 წყლის შაშვი

ლაზური

ღვაპა
 მქეაბე
 ყვეი
 წიწილა
 კანთხა (ჭიწი გველისა)
 ბურბუ
 ყვაოჯო
 ოფამფე (გოლა მამული)
 ალიონი
 ყუი
 თიასპირონი
 სიმსი კოჯაი
 ჭურჭა
 ტანა
 კეინქახი
 ბრინჯიშ კეინჩი
 მშირილონი
 შალი გოგოე
 მკირკე
 ღალიშ მზესკეუ.

გარეული ცხოველების და მცენარეების სახელები:**ქ ა რ თ უ ლ ი**

დათვი
 მგელი
 ტურა
 კვერნა
 ირემი
 გარეული ღორი
 ტყის ქათამი
 გარეული მტრედი
 გარეული კატა (ტყის)
 გარეული ღვღვი
 მსხალი
 პანტა მსხალი
 ვაშლი
 ზღვის ქალი (შვილი)

ლ ა ზ უ რ ი**ხოფერი კილოჯაეი**

მთეთი
 მგერი
 მკოაფუ
 მუმჩქეი
 მსკვერი
 მტკური ღეჭი
 მტკაშ ქოთუმე
 მტკური ტოროჯი
 მტკური კატუ
 მტკური ლული
 მცხელი
 პანტა მცხელი
 უშქირი
 მზოლა კულანი

**ვიწურ-არქაბული
კილოჯაეი**

თეთი
 მგერი
 ნკოაფუ
 კვარნა
 სკვერი
 ტკაშ ღეჭი
 ტკაშ ქოთუმე
 ტკაშ ტოროჯი
 ტკური კატუ
 ტკური ლული
 სხული
 პანტა სხელი
 უშქერა
 ზულა ბოზო

ჩაცმულობა. მოხუცები ჩვეულებრივ ბაშლულს ატარებდნენ, ახალგაზრდები კი — ფაფახს. 60-80 წლის წინათ შემოდებულ იქნა ფესი (მომადლო ქუდია). მაგრამ მალე ამოვარდა ხმარებიდან.



ლაზრა ჩაცმულობა კაცისა.

ქვევით კაბის წინა ნაწილის კალთა ცალკე ჰქონდათ დატანებულად. საჭიროების დროს (მაგ. მუშაობის დროს) წელზე ამოიკეცავდნენ. კაბა უმთავრესად ატლასისა იყო. წელზე შემოხვეული ჰქონდათ აბრეშუმის ორტყაფუ (სარტყელი). უბრალო ჩითის კაბას მხოლოდ სახლში იცვამდნენ.

ყელ-ყურის „ილანჯულითა“ და „ბოლა კისტით“ იმკობდნენ. ეს ვერცხლის ძეწვეზე გამართული ოქროს სამკაულია. თავზე იცეოებდ-

ამჟამად თურქეთის ტეოტორიაზე მცხოვრებ ლაზებსა აკრძალული აქვთ ბაშლულისა და ფაფახის ტარება. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზები კი ფაფახსაც იხურავენ და ბალახსაც.

ლაზები ფეხზე წვერაწეულ ფოსტალს იცვამდნენ (წულა). შარველს (ძიქვა) უბე სრული აქვს. ბარძაყს ზევით როგორც წინა. ისე უკანა ნაწილი შესბორილია. ჩოხის შიგნით წითელ-ყვითელი ფერის პერანგს იცვამდნენ. ღია გულსპირიდან წითელი ფერი კარგად მოჩანდა. ჩოხის იდაყვებზე, საბელოებსა და მხრებზე დაკეობებული ქონდათ ტყავის ნაჭრები, რომ მალე არ გაცვეთილიყო.

ლაზი ქალები მდიდრულად იყვნენ მორთული. უმთავრესად სხვადასხვა ფერის განიერ კაბებს იცვამდნენ. ზემოდან კი ხიკას (წელში გამოყვანილი გრძელი ხალათი) ატარებდნენ. გარდა ამისა, თეძოებს

ნენ ოქროთი გაწყობილ „თაბლას“ (ფესკა), შუბლზე — „გობლაფულეს“. რომელზედაც დაკერებული იყო ოქროს ფულები.

დღეს ლაზები ჩაცმულობის მხრივ საქართველოს სხვა კუთხის მოსახლეობისაგან არ განირჩევიან (ძველებური ტანსაცმელი შემორჩენილია მხოლოდ თურქეთის ზოგიერთ სოფელში: ორქაში, ჩხალაში და სხვ.). საბჭოთა სარფში სოციალისტური კულტურის განვითარების შესაბამისად შეიცვალა ჩაცმულობაც.

ს ე ლ ო ს ნ ო ბ ა. გეოგრაფიული მდებარეობის გამო ლაზი მოსახლეობის საქმიანობა უმთავრესად ზღვასთან არის დაკავშირებული. ამიტომ სელოსნობაშიც მთავარი ყურადღება ექცევა საზღვაო ინვენტარის დამზადებას. ამას ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში და ქანღაზების დახასიათებისას ამბობს: კაცნი არიან ხელოვანი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთათა.¹

ლაზები ნავის მშენებლობის კარგ ოსტატებად ითვლებიან.

ნავთმშენებლობაში მთავარი ყურადღება ექცევა საძირკვლის ჩონჩხის დაწყობას (ეგე), რაზედაც დიდად არის დამოკიდებული ნავისა და საერთოდ ზღვაზე მომუშავეთა ბედი.

ახლადაგებულ ნავს ზღვაზე ჩაშვებამდე კარგად გასინჯავენ და უკეთებენ „კალაფატს“ (ჭუჭრუტანების ამოვსება კანათის ძენსით), შემდეგ მღებავი ნავს სხვადასხვა ფერად ლებავს. ასევე შეღებავენ ნავის დამატებით ნაწილებს, როგორც არის: თალაზი (გვერდითი საცავი ფიცრები), ხოპე (ნიჩაბი), სკარმოზი (სანიჩზე ლერძი). ანძა, საჭე და სხვა. დანარჩენ მოწყობილობას — იალქნებს, თოკებს, ლუზასა და ა. შ. სხვა ხელოსნები ამზადებენ.



ლაზური ჩაცმულობა ქალისა.

1 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941 წ., გვ. 142.

ბადის ქსოვა. როგორც ცნობილია, ზღვაში მრავალი ჯიშისა და ზომის თევზია და, მამასადამე, თითოეული ჯიშის თევზის დასაქერად საჭიროა შესაფერისი ხელსაწყო და მზადება.

ლაზეთში უკანასკნელ ხანებამდე ბადეებს პრიმიტიული წესით ქსოვდნენ. ამისათვის საჭირო იყო ძაფის (ნოკეფე) დართვა-დამზადება, რისთვისაც წლის გარკვეულ თვეებში ქალების ნაღს აწყობდნენ ოჯახებში.

დამზადებული ძაფისაგან ბადის მოქსოვა მამაკაცთა საქმეა. მეთევზეთა უმრავლესობამ იცის ბადის ქსოვა. მოქსოვილ ბადეს კიდურების გასამაგრებლად თოქს გაუყრიან, რომლის ზედა მხარეზე ფილოსებს (მჩატე ხის ნაჭრები) ამაგრებენ, ხოლო ქვემო მხარეზე კიტყვიებს ან ქვებს კიდებენ.

ლაზები შემდეგი სახის ბადეებს ქსოვენ: სეიაკიში (კამბალასი), მეზგიითიში (მერლანკის), სარგანიში (იგლასი), მოლოზმა (წვრილი შერეული თევზებისა), თრიცაში (წვრილი თევზეულობისა), აპლადი (ზღვის ნაპირზე ქერისა). პარაპატი (სათრეველა), ოტკომილუში (სასროლი) და სხვა.

გარდა ამისა, ლაზები ქსოვენ ფრინველების დასაქერ სხვადასხვა სახისა და ზომის ბადეებს, როგორც არის სიფთერიში (მიმინოს), ფენერიში (წვრილი ჩიტებისა), ტოროჯიში (მტრედებისა) და სხვა.



ბადის გაწყობა


აგრეთვე აკეთებენ „მურუნაში“ (თორუჯინას) და „მერსინიში“ (ზუთხის) მსხვილ ანკეებს.

ბადის საქსოვი ხელსაწყოები: კანაფის (კეფი) ღერობისაგან გადატეხვის შედეგად მიღებულ სართავ მასალას (სულერი) პირველად დართავენ თითისტარით (ფხენი), შემდეგ დაძახავენ მოზრდილი

თითისტარით. რომელსაც უფრო დიდ კვირისთავს (გვერდანი) წამოაცობენ (ამ თითისტარს უწოდებენ „მწკუი“-ს). მიღებულ საკმაოდ მაგარ ძაფს (ნოკეფე) ფირფიტაზე დაახვევენ, ხოლო ფირფიტიდან

თანდათან ქსოვის პროცესში გადაახვევენ „მცხაჯზე“ (ჩანგლებიანი ვიწრო ფირფიტა).

ამასთან მოიმარჯვებენ ბადის თვლების ზომისათვის საჭირო 20-25 სანტიმეტრის სიგრძის სუფთად გათლილ ჯოხს (ოზიმალე კეტი), ბადის საწყისის მიაბამენ ორ მეტრიანი ჯოხის ზედა ბოლოზე და „მცხაჯის“ (ყაისნაღისებურა) ამოძრავებით იწყებენ ქსოვას, მოქსოვილ ბადეს ხელმეორედ დაამარჯვებენ ჯოხის ბოლოზე (ომარჯუჯუ) და ისევ გრძელდება ქსოვა. ბადის სახეებისა და თვლების სიდიდე დამოკიდებულია „ოზიმალე კეტის“ სისქეზე.



1. ფხენიშ კეტი, 2. გვერდანი, 3. ფირფიტა, 4. მცხაჯი, 5. ოზიმალე-კეტი.

ქსოვის დამთავრების შემდეგ ხდება ბადის მოწყობა (მოსაშმოწიფხუ).

ხენწკელი (კალათი), **კალათი** (გოდორი) და **გიდელი** — კალათი შეიძლება დაიწნას დანიშნულების მიხედვით: ფქვილის გოდორი (მჭირიშ კალათი), ყანის გოდორი (ყონაშ კალათი); კალათები განსხვავდებიან ტყეჩის გათლისა და ქსოვის სიმეჩხრით ან სიხშირით, სიფართით ან სივიწროვით.

ხენწკელი (სანოვაგის ან ჭადის კალათი), **თხილის კალათი** (მთხირიშ ხენწკელი), უკანასკნელად შემოდებულია აგრეთვე ჩაის კალათი (ჩაიშ ხენწკელი).

მოცულობით და ტყეჩის ვიწრო და ხშირი დაწნულობით ასევე განსხვავდება ყურძნისა და ფორთოხლის საკრეფი გიდელი (ყურძენიში დო ფორთოკალიში გიდელი). გოდრისა და მსგავსი ჭურჭლების დასაწნავად სხვადასხვა ნედლ მცენარეებს იყენებენ: მაგ., ტყეჩი (მტკეცი) მზადდება თხილისაგან (მთხირი), ძირი (დოდგიმალე)—წაბლისაგან, ქარა და ფეხი — წყაეისაგან (მწკო), ქარას და ფეხის დასამაგრებლად შესახვევი ტყეჩი კი — სუროსაგან (მსიჯი).

ჩანთისებურ ჭურჭელს (ცანცა) წნავენ ბლის ქერქისაგან, ხოლო სიმინდის ფუჩეჩისაგან „ზემბილს“ (ხელზე დასაკავებელი ჩანთა) ამზადებენ.



გორის (ალათის) დანა.

გათლილ ქვებს (ბინაში დოდვალუ) და შემდეგ იწყებენ ხის კედლების აგებას. ზედ გამართავენ თავხეებს, ყველაზე დიდ თავხეს გადებენ სამზარეულოში (ონგორე). თავხის მოსატანად აწყობენ ნადს (ნოდერი). თავზე „ონგორეზე“ ჩამოკიდებენ საკიდელს (კრემული) და აგრეთვე „ოვლეს“, რომელშიაც ღომის თავთავს აშრობენ.

სახლის სახურავის აწევისას ახლობლებს და მეზობლებს მოწვევენ პურ-მარილზე, რომლებიც დალოცავენ სახლის პატრონს.

ამ დროს ერთი ოსტატთაგანი ფიცარზე ხელეჩოთი განუწყვეტლივ აკაკუნებს, რაც საჩუქრის მოთხოვნის ნიშანია.

ახალ სახლში კერაზე ცეცხლი პირველად დედმამიანმა ქალიშვილმა ან ახლო ნათესავმა უნდა დაანთოს.

თანამედროვე ლაზეთში უმთავრესად ხის ლამაზ „ოდებს“ აგებენ, ქალაქად და დაბებში კი ქვის სახლები ჭარბობს. სახლის სარდაფის სამი კედელი ქვით არის აშენებული, რომელსაც „მესონი“ ეწოდება (რომელიც პირველი სართულის გამყოფი კედელია), მეორეს კი „კანადი“ ეწოდება (გვერდის კედლები), სადაც შუა ცეცხლი ინთება; ქერზე ხეებია გადებული; აქ ზამთარში ბრინჯის კონებს აწყობენ გასახმობად.

ლაზი ქალები ქსოვენ ჭილოფს და ქამარს (თორი), გაფორმებულ წინდებს და ჯემპერებს, ხოლო მამაკაცები აკეთებენ ხის კოვხებს. გობებსა და სკამებს.



ლაზები თიხის ჭურჭლებს არ ამზადებენ.

სახლის შენება. მეცხრამეტე საუკუნემდე ლაზეთში უმეტესად „ჩარგვალა“ (მრგვალი ბეების) სახლებს აშენებდნენ.

სახლის აგების წინ ლაზები ნიდაგს მოასუფთაებენ და საძირკველის ამოყვანას შეუდგებიან. ხის შენობას საძირკველად უწყობენ

სახლის სიდიდე: სიგრძე — 42 მეტრული, სიგანე — 36, სიმაღლე 12 მეტრული. როცა ახალ სახლს აგებენ, შეალოცვინებენ და ისე შედიან, ახლად შესულნი სახლში „მეველუდს“ (წინასწარმეტყველი მუწამედის დაბადების წიგნია) წააკითხებენ და კითხვის გათავების შემდეგ შერბეთს დაღვევენ.

ლაზი ოსტატების აგებულ სახლებს რთული და ლამაზი ჩუქურთმები ამშვენებენ, ეს ჩუქურთმები მცენარეებს გამოსახვენ (მაგალითად ვაზს) და ქართულ ორნამენტს ჰგვანან. ლაზები ჩუქურთმით ამკობენ როგორც ხის, ისე ქვის სახლების შიგნითა კედლებს, აგრეთვე ფასადსაც.



ლაზური ორნამენტი.

ლაზი ოსტატების ნაგებ სახლებს ვხვდებით საქართველოს სხვა კუთხეებშიაც; აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში. აღსანიშნავია, რომ ნაგებობებს აქაც ლაზური ორნამენტები ამშვენებენ, ზოგან ლაზი ოსტატების წარწერაც კი აქვს შერჩენილი. მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. სანში, ერთ-ერთ სახლს აქვს წარწერა ქართულ და თურქულ ენებზე.

გ. ჩიტაიას ცნობით, მაიაკოვსკის რაიონში სამი ძმა ლაზი ყოფილა: ომერ, ახმედ და მუსტაფა, რომლებსაც ხანისწყლის ხეობაში ლაზური სახლები უშენებიათ: მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ.¹

ლაზური საკმელები: მჰადი (მჰკილი)—წისქვილში სიმიინდს დაფქვავენ, შინ მიიტანენ, გაცრიან („ონცირუ“) საცერით, ცეცხლზე კეცს ადგამენ, მასთან ერთად ათბობენ წყალსაც. კეცი („კიცი“) რომ გახურდება, „გობზე“ ფქვილს მოზელენ, კეცს „კოკაით“ (მოლუნული რკინა, კაკვი) გადმოიღებენ ცეცხლიდან და ცომს დააკრავენ,

¹ გ. ჩ ი ტ ა ი ა, სიკოცხლის ხის მორტივი ლაზურ ორნამენტში, ენიშკი, 10, თბ., 1941 წ., გვ. 305.

ზედ „საჯს“ (თუნუქი) დაახურავენ და ნაკვერჩხლებს დააყრიან. მკადი მალე გამოცხვება.

ჩირბული—ჩირბულს ხუთი კვერცხისაგან აკეთებენ; ჯერ „მუხლამას“ (ორყურა თეფში) ცეცხლზე დადგამენ და „იასს“ (კარაქი) დაადებენ. იალი რომ დადნება, შიგ მრგვალად ჩატეხავენ „მარქვალს“ (კვერცხი). ზედ „საჯს“ დაახურავენ და ნაკვერჩხალს დააყრიან. კვერცხი რომ შეიწვეება, ზევიდანაც „იასს“ მოასხამენ.

ფილაი (ფლავი). ბრინჯს ონჩამურეში (საცეხველი) გაცეხავენ, გადაარჩევენ „ჩელთისს“. შემდეგ კარგად გარეცხავენ და ქვაბში ჩაყრიან. როცა მოიხარშება, გაწურავენ. ხელმეორედ ჩაყრიან ქვაბში და ზედ დამწვარ იასს მოასხამენ. სტუმარს ლაზები, ჩვეულებრივ ფლავით უმასპინძლებიან.

მაკარინა (მაკარონი). გობზე დაყრიან პურის ფქვილს, „გურიშმქირს“ შეურევენ, შემდეგ მარილს დააყრიან და მოზელენ ისე, რომ ცომი მაგარი იყოს. ამ ცომს ნაწილნაწილად დაქრიან, რასაც ლაზურად „კვარი“ ეწოდება. „კვარს“ წვრილად და სუფთად გათლილი ჯოხის საშუალებით გაათხელებენ და გააბრტყელებენ, შემდეგ მრგვალად ახვევენ და მაკარონისმაგვარად ქრიან. ბოლოს ჩაყრიან ქვაბში, მოხარშვის შემდეგ გაწურავენ და დამწვარ ერბოს მოასხამენ.

ყვალი კაიმალონი (ყველი ნალებით). ნალებში ყველს ჩაყრიან, რასაც ეწოდება „ყვალი კაიმალონი“. ეს სანაქებო საჭმელია და მას ლაზები სტუმრებს მიართმევენ, აგრეთვე ქორწილშიც იყენებენ.

ლუყუ (ფხალი). ფხალს ჯერ გადაარჩევენ, გარეცხავენ, წვრილწვრილად დაქრიან და ყრიან ადულებულ წყალში. ნახევრად რომ მოიხარშება, ხელმეორედ გაავლებენ წყალს და ისევ ხარშავენ. მოხარშულ ფხალს დანაყავენ. თან ცოტა ფქვილს, მარილს და ცხერის ღუმას შეურევენ. თუ ღუმა არ არის, მაშინ იასს ხმარობენ. წამოადულებენ და კერძიც მზადაა.

აღანი ლობია (ჰყინტი ლობიო). ახალ ლობიოს მოკრეფენ, გადაარჩევენ და გარეცხვის შემდეგ ქვაბით ცეცხლზე დაადგამენ. მოხარშვის შემდეგ ფქვილს გაურევენ და შეზელავენ, მარილით შეაზავენ და ერბოს მოასხამენ (ზოგ შემთხვევაში არ შეზელენ).

კუმხი ლობია (მარცვალი ლობიო). გარჩეულ ლობიოს ქვაბში ჩაყრიან, მოხარშავენ და ერბოს დაასხამენ, აგრეთვე დააქრიან პრასასაც. ეს წვნიანი ლობიაა და მას კოვზით ჰამენ.

ქოთუმეშ დოღმა (მოხარშული ქათამი). ქათამს შიგნეულს გამოაცლიან, მოხარშული ბრინჯით გატენავენ და მოხარშავენ. ასეთ

შემზადებულ ქათამს „ქოთუმეშ დოღმა“ ეწოდება. სიღებრი რომ სიძესთან მიდის, აუცილებლად უნდა წაიღოს იგი. მას ქორწილშიაც დიდი მოწონება აქვს.

ბრინჯონი (მოხრაკული ბრინჯი). ტაფაზე ბრინჯს დაყრიან და მოხალავენ. შემდეგ წყალს დაასხამენ და მოხარშავენ. მოხარშვის დროს პრასას და ნახევრად მოხარშულ ქათმის ხორცს ანდა სხვა ხორცს ჩაურევენ. უხორცოდაც აკეთებენ.

ფაფა. ფაფა კეთდება როგორც რძისაგან, ისე ყურძნის წვესისა და ბაქმანისაგან. რძით შემდეგნაირად კეთდება: რძეს აადულებენ და შიგ ცალკე გახსნილ შაქრით შეზავებულ პურის ფქვილს ჩაასხამენ, დააშუშებენ და ჩამოდგამენ. თუ რძე არ არის, მარტო შაქრით, ბაქმანით ან ყურძნის წვენითაც კეთდება.

ბურელი. პურის ფქვილს მოზელენ გობზე, სუფთა პირსახორცს გადაათარებენ, შემდეგ კი, როგორც მაკარინას, ამასაც „იოქლალით“ (გასაყვანი ჯოხია) ძალიან თხელ ფენად გაიყვანებენ, მერე თეფშზე (ტეფსი, ორყურა მრგვალი სპილენძის დიდი თეფშია) დაასხამენ ერბოს, ზედ 5 ფენამდე დააწყობენ და ზევიდან ჩვეულებრივ ფაფას მოასხამენ. ზოგ შემთხვევაში ფაფას კვერცხს ურევენ. კვერცხი რაც მეტი იქნება, მით უკეთესია. ასეთ ფაფას სახელად „ბურელიშ გური“ (ბურღულის გული) ქვია. ფაფის დასხმის შემდეგ კიდევ ათამდე ფენას დააწყობენ და კეცზე გამოაცხობენ.

ბაქლავა. ბურელის მსგავსად (გაბრტყელებული ცომით) კეთდება. „ტეფსზე“ ერბოს დასხმის შემდეგ, თითო-თითოდ აწყობენ ფენებს და ზევიდან ფოთლის საშუალებით ერბოს უსვამენ, თან აყრიან „ხოშმერს“, რომელიც მოხალულ და ტკბილ წყალში მოშუშული ფქვილია. შიგ ნიგოზიც ურევია. ბაქლავა 15 ფენისაგან შედგება, თვითეულ ფენას ირიბად დაჭრიან, ნაჭრებს (ლაზურად „დაგი“ ეწოდება) ცეცხლზე აცხობენ: გამომცხვარ ბაქლავას დასარბილებლად ცხელ შარბათს ასხამენ;

საერთოდ ბურელისა და ბაქლავას გაკეთება ქალიშვილებს ევალებათ. თუ ოჯახში ქალიშვილები არ არიან, მაშინ მეზობლიდან მოიწვევენ. ბურელსა და ბაქლავას უმთავრესად ქორწილის დროს აკეთებენ, ან დიდი ხნის უნახავი მოყვრის სტუმრობისას.

ფატიჯანი ტაღანერი. ფატიჯანს (ბადრიჯანი) შუაზე გაჭრიან, ზედ გათქვეფილ კვერცხს დაასხამენ და შეწვავენ. ამას ეძახიან „ფატიჯანი ტაღანერი“ — შემწვარი ბადრიჯანი.

ფატიჩანიშ დოღმა. ბადრიჯანს მთლიანად მოწალავენ, ციე წყალში გარეცხავენ, შემდეგ ბრინჯს, ხორცს, პრასას და ხახვს ერთმანეთში აურევენ, ამით გატენავენ და მოხარშავენ.

მტკუი ფატიჩანიშ გიაი (წითელი პამიდორის საქმელი). პამიდორს ლაზურად „მტკუი ფატიჩანი“ (გარეული ბადრიჯანი) ქვია. იგი ორგვარია: ერთი წითლდება, მეორე არა. ამ უკანასკნელს დასამყავებლად ინახავენ, წითელს კი საქმელში ხმარობენ. საქმელს შემდეგნაირად ამზადებენ: ბრინჯს, ხახვს, პრასას, ოხრახუშს ცალკე მოხარშავენ, შეურევენ „მტკუი ფატიჩანს“, დაუმატებენ ერბოს და ისევ ხარშავენ.

მესაქონლეობას ლაზები ნაკლებად მისდევენ. თითოეულ კომლს თითო-ოროლა ძროხა ჰყავს. რძისგან აკეთებენ მაწონს, დოს და ხაჭოს.

დო შემდეგნაირად მზადდება: აკრილ რძეს ან მაწონს ჩაასხამენ თიხის ქოთანში („დერგულა“), რომელსაც მრგვალი ფიცრის სახურავი აქვს („მოთვალე“). სახურავი შუაში გახვრეტილია, აქედან ჯოხს გაუყრიან, რომელზეც ისევე მრგვალი, ცოტა მოსქელო ფიცარია წამოცმული (ონჩხალე) და ამით დღებებენ („ონჩახუ“); ერთი საათის შემდეგ კარაქს ამოიღებენ და ქოთანში რჩება დო („ნჩახერი“). ლაზებს შინ დამზადებული კარაქი არ ყოფნით და ყიდულობენ. ყიდულობენ აგრეთვე ყველსა და მინჯისაც (ნადული).

მებაღეობა. სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია ლაზეთში. ლაზები აშენებენ მეტწილად ფორთოხალს, ლიმონს, ნარინჯს და სხვ. მანდარინის კულტურა ლაზეთში უფრო გვიან, მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში შემოდის. თითოეული მოსახლე ყოველწლიურად 15-20 ძირ სხვადასხვა ხეხილს რგავს. ციტრუსებს წელიწადში ორჯერ აძლევს სასუქს. სასუქად საქონლის ნაკელი და ხამსა იხმარება.

მატერიალური კულტურა. ისტორიული მასალების მიხედვით, ლაზეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (320 წ. ჩვ. წ. ა.) აშენდა სარწმუნოებრივი და თავდაცვითი შენობები. ამ მხრივ აღსანიშნავია ტრაპიზონის სოფიოს მონასტერი, რომელიც ქ. ტრაპიზონიდან 10-15 კმ-თაა დაშორებული. ეს მონასტერი ეკუთვნოდა კონსტანტინოპოლის ეპარქიას და ითვლებოდა კონსტანტინოპოლის სოფიოს ტაძრის ფილიალად. იგი სამლოცველოსთან ერთად თავდაცვის ობიექტსაც წარმოადგენდა.

1463 წელს თურქ-სელჩუკთა თავდასხმის შედეგად სოფიოს ტა-

ძარი აუოხრებიათ --- დაუნგრევიათ (ქვის სქელი კედლები ახლაც შერჩენილია). ქრისტიანული ტრადიციის გავლენით ტრაპიზონისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი (უმეტესად ლაზი ქალები) ყოველი წლის ადრე გაზაფხულზე იკრიბებიან ამ მონასტრის გარშემო და ღმერთს ავადმყოფთა განკურნებისა და მომავალი ბედ-იღბლისათვის ევედრებიან.

გარდა სოფიოს მონასტრისა, ლაზეთში კიდევ ბევრი ნანგრევებია შემორჩენილი, რომელთა კედლები აშკარად მოწმობენ, რომ ეს ნაგებობანი ოდესღაც სამლოცველოებს წარმოადგენდნენ.

სოფელ ნოღედის¹ მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ეკლესიას ოსმალთა დაპყრობის შემდეგ თუმცაღა გუმბათი მონგრეული აქვს, კედლები („წმიდანთა“ ნახატების ნაწილი) დღესაც შემორჩენილია. ამ სოფლის მცხოვრებმა 78 წლის მუსტაფა პაპასკირმა (პაპოღლი) 1931 წელს აი, რა გვიამბო ამის შესახებ: „ჩვენ წინათ მეგრელები ეყოფილვართ — ქრისტიანები, ღორმთს (ღმერთს) უბრძანებია და ჩვენთან მოუვლინებია მუსლიმანების ჯარი, რომელსაც გადაურჩენივართ გიაურებისაგან (ურჯულოებისაგან), ეს ეკლესია დაუნგრევიათ და კეკეკიბში ჯამე აუშენებიათ, ეს ამბავი მამაჩემისათვის უამბუნია მის ბაბუას, რომელსაც თვით ულოცნია ამ ეკლესიაში. ეკლესიის ფორმა მთლიანად შენარჩუნებულია, რადგან უზარმაზარი კედლები ვერ დაუნგრევიათ, ამასთან ამ ეკლესიის მთლიანი დანგრევის დროს ხელი შეუშლია ამ სოფლის თავადს — ზუმბაიას, რომელთა გვარის შთამომავალნი ახლაც ცხოვრობენ ნოღედიში“.

აღსანიშნავია სოფელ აზლაღას² თავზე (მალღობზე) მდებარე ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ლაზები „ოხვამეს“ უწოდებენ. ლაზი ქალები ადრე გაზაფხულზე აქ თავს იყრიან და ღმერთს ეხვეწებიან ავადმყოფის განკურნებაზე, კარგ ბედ-იღბალზე და სხვ.

მეზობელი სოფლელები დასცინიან ხოლმე აზლაღელ ლაზებს: „აზლაღური ოხვამე, არ შირას უურ ნოღამეო“. ანუ „აზლაღისა სამლოცველო, ერთ ქვრივსა ჰყავს ორი საქმრო“ და სხვ.

ეკლესიის ქვევით, ზღვის მახლობლად (ამ ადგილს „ისინას“ უწოდებენ), კლდეზე გამოსახულია ადამიანის სახეები, მათ შორის ორი

1 სოფ. ნოღედის 17-ე საუკუნეში ოსმალებმა მაკრი-იალი უწოდეს, ხოლო ამჟამად წოდებულია სოფელ ქემალ-ფაშად. ლაზები კი ყოველთვის ნოღედის უწოდებდნენ.


2 აზლაღას 17 საუკუნის დასასრულს დაარქვეს „აბუისლაჰ“, რაც არაბულად წმინდა წყალს ნიშნავს. ლაზები ახლაც აზლაღას უწოდებენ.

ქალისა; ხალხური გადმოცემით. აქ წმინდანები ყოფილან გამოსახულნი, ქალებიდან ერთი „ღვთისმშობელი“ (მერიემი) არისო. მეორე თამარ მეფეო.

არსებობს აგრეთვე თქმულება „ქვანოლამისა“-ზე (ქვადედოფალზე). ერთსელ სოფელ აზლადაში თურმე მოჰყავდათ პატარძალი, როცა მაყრებმა „ისინას“ მიღწიეს, პატარძალი შეჩერებულა და დედამთილისათვის შეუთვლია: ყველა გასაღები აქ გამომიგზავნე. თორემ შენი რძალი არ გავხდებიო. დედამთილს ეს სიტყვები ძალზე სწყენია და დაუწყევლია: „რაკი ოჯახში მოსვლამდე გასაღებებს მთხოვს, მე ის არ გამახარებს, ქვად იქცეს. ქვა პატარძლადო“. პატარძალთან ერთად მაყრებიც ქვად ქცეულან. „ისინას“ გამოსახულებებს ამ თქმულებით სსნიან.

„ოხვამეებს“ შეხედვებით აგრეთვე სხვა ადგილებშიც: ხოფაში, არქაბიში, მნიგიში, სარტში და სხვა.

მატერიალური კულტურის სახეობიდან ლაზეთში აღსანიშნავია აგრეთვე „კიი ხინჯი“ (თალიანი ხიდი). კერძოდ ნოღედის (მაკრიალი), ქოფრიჯის, ხენდეკის და სხვა სოფლებისა.



ნოღედის (მაკრიალის) ძველი ხიდი — „კიი ხინჯი“.

ოხორი¹ (სახლი). ლაზური სახლი თავისი არქიტექტურული აღნაგობით შეფარდებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სახლვაო-სამეურნეო პირობებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ სახლს აუცილებლად სათევზაო-სანაოსნო ინვენტარის შესანახი ადგილები უნდა ჰქონდეს.

¹ სახლს სამეგრელოში „ცღეს“ ეწოდებენ, ხოლო მოსახლეს „მახორუს“.

სახლის ძირითადი დანაყოფი შემდეგია:

„**ოხორშქაგური**“ — სამზარეულო ფართობი მიწური იატაკით, რომელიც მოიცავს შემდეგს: „**ოკრებულე**“ — ადგილი, სადაც შუა ცეცხლია; ზამთრის დამებში ცეცხლთან ნახევარწრისებურად მსხდომნი პარამეტებს (ზღაპრებს) ჰყევიან ხოლმე. „**ოდაჩხირე**“ — კერის შუა ადგილია, სადაც შემას ცეცხლი უკიდია, „**ოდაჩხირესთან**“ დებენ „**ომთუნალეს**“ (პოროზონტალურად დადებული მოკლე და მსხვილი შეშა. რომელზედაც ჩამოდებენ შეშის ცეცხლმოსაყიდ მხარეს). „**ოკიცე**“ — კერის მარცხენა ნახევარი: აქ დგამენ კეცს „**მქკიდიშ**“ (მქადის) გამოცხობისას.

„**ოწკარე ანუ ოჩხალე**“ — სამზარეულოს მარჯვენა კარებიდან შესასვლელთან ადგილი, სადაც დგამენ წყლის ჭურჭლებს „**კუკუმებს**“ (თუნგებს), აქვე მოწყობილია ჭურჭლის სარეცხი.

„**ხარო**“ — „**ოხორშქაგურის**“ მარცხენა შესასვლელთან გაკეთებულია „**მქკიდიშ მქირი**“-შ (მქადის ფქვილის) შესანახი ფიცრის ყუთი, რომლის ზემოდან გაკეთებულია სხვა პროდუქტის შესანახი თარო; ამ ადგილზე შეიძლება „**ხარო**“ არც იყოს, მაგრამ მაინც უწოდებენ „**ხარო კალას**“ (ხაროს ადგილი).

„**ოკიზალე**“ — კერიის მარცხნით მოპირდაპირე კედელზე მიჭედებულია ოთხკუთხედის ფორმის ჯოხებით გაკეთებული საკოვზე; შიგ კოვზებს აწყობენ ვერტიკალურად. „**ოკიზალეს**“ ზემოდან გაკეთებულია ღია თაროები, რომელსაც „**ოწუდეს**“ ეძახიან. „**ოწუდესში**“ აწყობენ გარეცხილ საინებს ჩამხობილი სახით.

როგორც წესი, სახლის სამზარეულო ნაწილში — **ოხორშქაგურის** კერზე ფიცარს არ აკრავენ, შუაში გადებულ „**ონგორე**“-დან¹ დაწყებული ორთავე მიმართულებით აწყობენ ჭარგვალებს (მრგვალ ხეებს) და ამით იფარება მთელი **ოხორშქაგურის** კერი. ჭარგვლები გამოყენებულია ჭყინტი სიმინდის, ქურუმის (ღომის თავთავი), კაკლის, ყოყორეს (გოგრა) და სხვ. გასაშრობად. „**ონგორეზე**“ გადებულ ერთ ჭარგვალს „**ოკრემულე**“ ეწოდება: ამაზე კიდებენ ჭაქვს კარდ-

¹ ონგორე — ოთხკუთხედად გათლილი ხე, რომლის ღიაპეტრი არანაკლებ 40 სანტიმეტრს უდრის.

ლის დასაკიდებლად, ამ ჯაჭვს „კრემული“ ეწოდება. „კრემულზე“ ხშირად კიდებენ ხოლმე „ოვლეს“ (თხილის წნელისაგან მოქსოვილი ხილის გასაშრობი).

ოთახები დანაწევრებულია შემდეგნაირად:



ლაზური მაგილა „ტეფური“

გვერდიშ ოლა (გვერდითი ოთახი). ჩვეულებრივ ეს ოთახი განკუთვნილია ცოლ-ქმრისათვის, ხოლო ვაჟიშვილის ქორწინების შემთხვევაში დედ-მამა ამ ოთახს უთმობს ახლადდაქორწინებულთ. გვერდითი ოთახი სახლს შეიძლება ჰქონდეს ორი — „მარბგვანი“ და „კვაზალი“ (მარჯვენა და მარცხენა).

„შქაშოლა“ — (შუა ოთახი), რომლის შესასვლელი აუცილებლად „ოხორშქაგურიდან“ უნდა იყოს. ისე, როგორც გვერდით ოთახებში.

„დიდიოლა“ (დიდი ოთახი) მას უწოდებენ აგრეთვე „პაპულიშ ოლას“ (ბაბუას ოთახი).

„კიბა ოლა“ (პატარა ოთახი) და კიდევ „იაზიშ ოლა“ (საზაფხულო ოთახი) და სხვა.

ამ ოთახების შესასვლელები გაკეთებულია „ხაიათზე“ (აივნის) გავლით. გარდა გვერდითი და შუა ოთახებისა (სასტუმრო ოთახს მეორე შესასვლელ კარებს გარედანაც უკეთებენ).

ტიპიური სახლები ერთსართულიანია, „თუდენი ოლა“ (ქვედა ოთახი) კეთდება სახლის აივნის ქვედა საძირკველთან მიწის გამოთხრით.


„ხაიათი“ (აივანი) და „თუდენი ოლა“ (ქვედა ოთახი), გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო და სათევზაო-სანაოსნო ინვენტარის შესანახად. მაგალითად, ქვედა ოთახში ინახვენ: მშრალ სასოფლო-სამეურნეო მოსავალს და ციტრუსების ნაყოფს, აგრეთვე სანაოსნო ინვენტარს, ესენია: „ხოპე“ (ნიჩაბი), „თალაზი“ (ნავის ბორტებზე

სპეციალურად მორგებული ფიცრები, რომელიც იხმარება ტვირთით შორეული ნაოსნობის დროს), ფილოსი (ტივები), უკეთებენ ბადეებს ერთი მხარის ვერტიკალურად ზღვაში გაჩერებისათვის, ხოლო მეორე მხარეს უბამენ ტყვიის სიმძიმეებს („მოლებს“), „არმა“ — ანძის მოწყობილობა — თოკები, ბერკეტები. ჭანგები: „ვე დაბოზი“ (მსხვილი თოკი) სიგრძით 25-26 მეტრი, ზღვიდან ნავის ამოსათრევად. კარმალი — „ანკესები“ (მსხვილი თევზეულის საქერი).

„მოსა“ (ბადე) სეზონურად იხმარება და თავის მხრივ დანაწევრებულია შემდეგნაირად:

„პარაპატი“ — სიგრძე საშუალოდ 45-50 მეტრია. სიგანე: კიდურებში 1,5-2 — შუაში 5-6 მეტრამდეა. შუა ადგილზე გაკეთებულია „კუკუნი“, რომელიც მოგავონებთ ბადის დიდ ტომარას, სადაც პარაპატზე მოხვედრილი თევზები თავს იყრიან. პარაპატით იჭერენ ქაფშიას, კეფალს, სარგანას (გველთევზა) და სხვ.

„მეზვითიმ მოსა“ (მერლანკის ბადე), „სუაკიმ მოსა“ (კამბალას ბადე) და სხვა.



გუბი (წყარო).

ლაზური სახლის გარეთა ნაწილის სახელწოდებებია:

„სთედო“ — „ოხორ შქა გურიში“ შესასვლელი აივანი ან ფართობი. „ოკოთუა“ — ადგილი, რომელიც წვიმისაგან დაცულია სახურავის გაგრძელებით, სახურავის გაგრძელება ხდება „სხვენის“ (სახურავის ქვემოთ გაგრძელებული ოთხკუთხედი ხეების — ხშირად წაბლის) მეშვეობით.

„ლოჯი“ — ეზოს ის ნაწილი, სადაც ერთმანეთს უერთდება სახლის ხის საფუძვლები.

„ჟიმოკა“ — სახლის სამზარეულო ნაწილის უკანა მხარე. აქ აწყობენ შეშასა და თოხებს.

„ოფ უტე“ — ეზოს ფართობი. წესისამებრ ეზოში ნარგავს არ რგავენ, იქ მხოლოდ გაბმულია „ხვანი“ (ტანსაცმლის დასაყიდი ბაწარი ან ხე).

„ჩერემე“ — საბოსტნე და ხეხილისათვის განკუთვნილი ადგილი. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ლაზურ სახლს გააჩნია დამხმარე შენობები, როგორცაა:

„ბალუ“ — ბელელი, სადაც ინახავენ პროდუქტებისა და ხილის საზამთრო მარაგს.

„ბაგენი“ — სასიმინდე.

„ოქოთუმალე“ — საქათმე.

„მსკიბუ“ — წისქვილი.¹

„ონჩამურე“ — საცეხველი და სხვ.

დიდი ოჯალი

(დიდი ოჯახი)

სოფელ სარფის მახლობლად, სადაც ამჟამად სახელმწიფო საზღვარი გადის, მდებარეობს ძველი ნასოფლარი, რომელსაც სარფელი ლაზები „დიდ ოჯალს“ უწოდებენ.

ამ მიდამოების შესახებ, ხალხური გადმოცემით, საკმაო ისტორიული მასალები არსებობს. მაგალითად, სოფ. სარფის მცხოვრებმა 78 წლის ალი ლუმანიშვილმა შემდეგი გადმოგვცა: „უწინ ჩვენ თურქე ქრისტიანები ვყოფილვართ, ჩვენი ძველები აი იქ სოფლის ზემოთ მდებარე მიდამოებში „დიდ ოჯახში“ ცხოვრობდნენ, სოფლის თავზე სამლოცველოს შენობა ყოფილა (ნანგრევი ახლაც არის — მ. ვ.) თურმე ჩვენი „ოხვამე“ (სამლოცველო) ყოფილა, ამ სოფელში კი (ახლანდელი სარფი) ლაზების თავადს ყმები ყოლია, ამ ყმების ნაწილი მეთევზეობას მისდევდა, ნაწილი კი თავადის ღორებს უვლიდა, მერე თურქის ასკერები მოსულან, თავადი გონიაში გაქცეულა და გონიის „ჯიხაში“ (ციხე) თავი შეუფარავს. იქაც მისულან თურქის ასკერები, თავადი იქიდანაც გაქცეულა და წასულა სამეგრელოში, ჩვენ კი გლეხები ადგილზე დავრჩით, ლაზი თავადის ადგილები თურქის ფაშას დაუკავებია, ფაშას „ოხვამე დაუნგრევია“ და ჩვენც მუსლიმანობა მიგვიღია. საერთოდ ეს ადგილები უწინ სამეგრელო ყოფილა, ამიტომ ჩვენი და მეგრელების ენა ერთი და იგივეა, ჩვენი მამა-პაპები ღორის ზორცსა სკამდნენ“.

„დიდ ოჯახში“, სადაც ამჟამად საკოლმეურნეო ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებია გაშენებული, ახლაც მრავლად მოიპოვება სახლის

1 წისქვილს ვიწელები „ქარმატეს“ უწოდებენ.

საძირკველი — ქვები, ქურები, თიხის, საოჯახო. ქურქელი და სხვა. იქვე არის ძველი სასაფლაო, „ნომსკიბენი“ (ნაწისქვილევი) და სხვა.

სოციალური ურთიერთობა. საბჭოთა საქართველოში ლაზები სარფში (ბათუმის რაიონი) ცხოვრობენ. ისინი თამამად ადგანან კულტურული განვითარების გზას, აქვთ სკოლა, კლუბი, სამკითხველო და საავადმყოფო.

ლაზები სწავლას ძლიერ ეტანებიან. აღსანიშნავია, რომ ასეთ პატარა სოფელს ჰყავს საშუალო განათლების 45 და უმაღლესი განათლების მქონე 16 მკვიდრი მცხოვრები; მათ შორის არიან მასწავლებლები, აკრო-ტექნიკოსები, ექიმები, ინჟინრები, იურისტები და სხვ. წერა-კითხვის უცოდინარი სოფელში არ არის.

მავენე გადმონაშთის გავლენა — შურისძიება (სისხლის აღება), ქალის მოტაცება და სხვ. ლაზებში დღეს თითქმის არ არსებობს; მტრობის შემთხვევაში ცდილობენ ორივე მხარე შეარიგონ და დაამოყვრონ (ამ მიზნით ქალსაც მიათხოვებენ ხოლმე).

ლაზური ოჯახი მცირერიცხოვანია. სადიასახლისო საქმეებს ოჯახში ბებია ხელმძღვანელობს, თუ ბებია ცოცხალი არ არის, მაშინ — უფროსი რძალი, ე. ი. ოჯახის უფროსად ქალებს შორის ითვლება ის, ვინც წლოვანებით ყველაზე უფროსია. ასეა მამაკაცებშიც. საერთოდ უფროსისადმი პატივისცემა დიდ მორალად ითვლება ლაზებში; ამაზე ნათქვამია: წყალი უმცროსისაა, სიტყვა კი უფროსისა.

სადიასახლისო საქმეებში უმცროსები არ ერევიან; მაგალითად, მეზობლებიდან თუ ვინმე მოვიდა და საოჯახო ნივთი ითხოვა, პატარძალი მას ვერ მისცემს ოჯახის უფროსი ქალის დაუკითხავად. ფინანსურ საკითხებს მამაკაცები განაგებენ. ქალს არა აქვს უფლება ფული შეინახოს, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, მაგალითად, როცა ქალს ქმარი მოუკვდება, იმ შემთხვევაში შეუძლია ცალკე შეინახოს მის მიერ ნაშოვნი ფული. არის ასეთი წესიც: სიბერის დროს მოხუცები ინახვენ ესკატის ფულს „შავი დღისათვის“ (გარდაცვალების შემთხვევაში მისი გამოწყობისა და დასაფლავებისათვის).

ერთ სოფელში ლაზთა რამდენიმე გვარი ცხოვრობს, ყოველსაგვარეულს თავისი უბანი უჭირავს. ერთი გვარი რამდენიმე კომლისაგან შესდგება; კომლში 10 წევრია. 12-ს თუ გადასცილდა, მაშინ შეთანხმებით (გაყრის საშუალებით) ისევ ჰქმნიან ახალ კომლს. საერთოდ, თუ ოჯახში ორი ძმაა, დაქორწინების შემთხვევაში იყრებიან, ხოლო თუ მესამე ძმაც ჰყავთ, მაშინ ეს ორი ძმა მანამდე არ გაეყრება ერთმანეთს, სანამ მესამეს არ დააქორწინებენ. წესით პირველად უფროსი ძმა უნდა გამოიყოს. გამოყოფის დროს ქონებას თანაბრად

ინაწილებენ. სახლი უმცროს ძმას რჩება, მხოლოდ საფასურიდან წილი უნდა გადაუხადოს იმას, ვინც გაეყარა, დედ-მამაც უმცროსთან რჩება. ეს წესად არის ლაზეზში, და ამიტომაც ამბობენ, დედ-მამას ყველაზე მეტად უმცროსი შვილი უყვარსო.

ქალებს წილი არ ეძლევათ, ზათ მხოლოდ მზითევს აძლევენ; თუმცა დას უფლება აქვს მოსთხოვოს ძმას თავისი წილი, ეს თვითონ მასზეა დამოკიდებული. თუ მათ შორის რაიმე უთანხმოებაა, მაშინ აუცილებლად გამოაყოფინებს ძმას თავის წილს.

ქალის დანიშვნა („ბთი ოხვენუ“)

შეუსრულდება თუ არა ბავშვს 12-13 წელი, მშობლებს ამოუდგება გვერდში — ეხმარება ხვანა-თესვაში. შეუძლია იმუშაოს მეთევზეცად. წავიდეს ტოლ-ამხანაგებთან ნაღში სხვადასხვა სამუშაოზე. ასე გრძელდება 17-18 წლამდე, შემდეგ დგება მისი დანიშვნის ჯერი. თუ ოჯახში დედისერთა შვილია, მისი დანიშვნა-დაქორწინება შესაძლებელია 13 წლიდანაც. დაქორწინება დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე. ამასთან ვაჟს თუ ჰყავს ორი-სამი წლით უფროსი და, მაშინ უპირატესობა დას ეძლევა. ჯერ ის უნდა გათხოვდეს და მერე თვითონ დაქორწინდეს.

ვაჟს 16 წლიდან უფლება ალარა აქვს ილაპარაკოს ქალიშვილთან. (ქალიშვილს ვაჟთან ლაპარაკის უფლება ეკრძალება 13 წლიდან); ამ ასაკიდან ჩადრი უნდა ატაროს, ერიდოს ვაჟს, თუნდაც იგი მეზობელი იყოს. არ ერიდება მხოლოდ ძმას, ბიძაშვილს და დეიდაშვილს. საერთოდ ლაზეზი უფრო ხშირად მეზობლის ქალიშვილებზე ინიშნებიან, იშვიათია შორეულზე დანიშვნა.

უკანასკნელ დრომდე ლაზეზში მიღებული იყო აკვანში დანიშვნაც. დანიშნული ბავშვების აკვანს ერთად დადგამდნენ („ონწელიშ ოკოდგიმუ“).¹

არ შეიძლება ერთი ძუძუთი ნაზარდის („ჩამერი“) დანიშვნა; საზოგადოდ ლაზეზი მტკიცედ იცავდნენ სისხლით ნათესაობას, მაგრამ

¹ ძველად სამეგრელოშიც იცოდნენ ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა, რასაც „ონწელიშ-ოკოდგიმუ“-ს უწოდებდნენ (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 260-261, ლ ა მ ბ ე რ თ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938 წ., გვ. 82).

აკვანში დანიშვნა ან დაწინდვა წინათ საქართველოში თითქმის ყველგან გავრცელებული იყო (იხ. 1103 წ. ძველის აღწერა რუის-ურბნისის კრებასა, თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა ს ქ რ ო ნ ი ე ბ ი, წ. 11, თბ. 1897 წ., გვ. 64, მუხ. ლ; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ო ლ ი. ქართული სამართლის ისტორია. 17, ნაკ. 1, 1927 წ., გვ. 364-366).

მუსლიმანური სარწმუნოების გავლენით აქა-იქ ფეხი მოიკიდა თურ-ქულმა ჩვეულებებმა, რომლის ძალით ნათესავის -- ბიძაშვილის შერთვაც კი შეიძლება. ამას ხელს უწყობდა სასულიერო წოდება: მოლები ქრთამს იღებდნენ და ნებას აძლევდნენ მდიდარი ნათესავის ქალები შეერთოთ. თურქების შეხედულებით დასაშვებია ბიცოლასა და ცოლის დის შერთვაც. ბიცოლას შერთვა ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში, კერძოდ, ბიძის გარდაცვალების შემდეგ. იმის შიშით, რომ რძალი არ გათხოვდეს და ქონება სხვას არ დარჩეს, ბიცოლას ძმისშვილს (თუ ასეთი ოჯახში არის) რთავენ — თუნდაც იგი სამი შვილის დედა იყოს.

არის შემთხვევები როცა ძმის გარდაცვალების შემდეგ ზემოაღნიშნული მოსაზრების გამო რძალს ახალგაზრდა მასლი ირთავს. ადგილი აქვს მრავალკოლიანობასაც.

ვაჟისა და ქალის შეუღლება შუამავლობით ხდება. თუ ვაჟს მოეწონა რომელიმე ქალიშვილი, თავის ბიძაშვილს ან დეიდაშვილს (ქალიშვილს) დაუახლოვებს მას, იგი მოწონებულ ქალიშვილს უქებს ვაჟს და ბოლოს ეტყვის: „შენ ჩვენს „მემედს“ უყვარსარო. ქალიშვილი დაფიქრდება და, თუ კვლავ დაუჭდება, თანხმობის ნიშნად ტკბილად დაუწყებს ლაპარაკს, თუ არა და, მაშინვე დააბარებს, რომ მეორედ არ გააგონოს ასეთი სიტყვები. შეთანხმების შემთხვევაში ქალვაჟი ერთმანეთს ხვდება.

დანიშვნა-დაქორწინებაში უპირატესობა მშობლებს ეძლევათ. ჯერ გაიგებენ ყავს თუ არა შეყვარებული ქალიშვილი, რომელიც მათმა ვაჟმა ინდობა (თუ იგი ახლო სოფლიდან არის), თვითონ აკეთებენ ყველაფერს, გამოცდილ პირს მიუგზავნიან. თუ ქალიშვილი მშობლებს არ მოეწონათ, საქმეს ჩაშლიან, სხვას შეარჩევენ.

შერჩევის დროს უპირატესობა გვარსა და წოდებას აქვს. ყოველი მშობელი ცდილობს კარგი გვარის ქალიშვილი მოიყვანოს რძლად. თავის მხრივ ქალიშვილის მშობლებიც ცდილობენ კარგ გვარიშვილს მიათხოვონ თავისი შვილი.

თუ ქალი ყოველმხრივ მოსაწონი იქნება, მაშინ მის მშობლებს შუამავალს — „ელჩს“ უგზავნიან. „ელჩად“ უფრო ხშირად ხნიერი პირი მიდის.

ასეთ საქმეზე „ელჩი“ ყოველთვის მზის ჩასვლის შემდეგ მიდის. ქალიშვილის ოჯახში „ბისმილლაპის“ თქმით პირველად მარჯვენა ფეხს შეადგამს და დამხვდურთ მიესალმება. მასპინძელიც თავს დაუკრავს და შეიპატიუებს. ჯერ სხვა რამეზე ისაუბრებენ, ასე 2-3 საათის შემდეგ ერთ-ერთი „ელჩი“ იტყვის: ჩვენ კარგ საქმეზე მოვედით,

შენი ქალიშვილი გვინდაო. თუ მასპინძელი სასიძოს ოჯახს კარგად იცნობს და ბიჭიც მოსაწონია, მაინც იტყვის: პირდაპირ პასუხს ვერ მოგცემთ, ჭერ ჩემს ნათესავენს შევეკითხებით. თუ არ სურს მიათხოვოს, მაშინ მიზეზად ან სახლის აშენებას ან სხვა რამეს დაასახელებს, ანდა პირდაპირ უარს ეტყვის.

თუ „ელჩს“ კარგი გვარიშვილისათვის უნდა ქალიშვილი, მაშინ მას დიდ პატივს სცემენ, ხოლო თუ ერთხელ უთხრეს უარი და მეორეჯერაა მოსული, პატივისცემაც აკლდება.

არის შემთხვევა, როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ან ვაჟის შშობლები არ არიან თანახმა, ან ქალისა. ან კიდევ, ან ქალს არ უნდა ან ვაჟს, მაგრამ მაინც დანიშნავენ. როდესაც ქალიც და ვაჟიც თანახმანი არიან, მაგრამ ქალის შშობლები უშლიან ხელს—ვაჟი იტაცებს ქალიშვილს.

ამ ხერხს მიმართავენ მაშინაც, როცა ვაჟს უყვარს ქალი, ქალს კი არა. მოტაცებულ ქალს ვაჟი ტყეში ან რომელიმე ნათესავისას წაიყვანს. რის შემდეგ ქალიც თანხმდება, რადგანაც მას სხვა გამოსავალი აღარ აქვს.

თუ, მაგალითად, ერთავე მხარე თანახმაა, ნიშნობის დღედ ხუთშაბათ საღამოს დანიშნავენ. დანიშნამდე „ელჩი“ ქალიშვილის მამას ჩააბარებს თავსახურს 1-2 ცალს (იაშმას), პუდრს და „შეციგალეს“ (ძვირფასი ქინძისთავია), რომელსაც ლაზურად „ფეი“ ეწოდება. ამის შემდეგ შესაძლებელია დანიშვნა გვიანაც მოეწყოს. თუ ამ ქალიშვილს სხვა მთხოვნელიც ჰყავს, დანიშვნას დააჩქარებენ. მოყვრები წინდაწინ მოილაპარაკებენ და ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს მოიყვანებენ „ხოჯას“, მასთან ერთად 20-30 კაცს (უფრო მეტად მოხუცებს დაჰპატიუებენ) და ამათგან დაასახელებენ ორ პიროვნებას, ერთს ქალის მხრიდან, მეორეს ვაჟის მხრიდან; პირველი არის ქალის „ბაბალული“ (მამობილი), მეორე კი ვაჟის „ბაბალული“. ხოჯა წერს აქტს (ლაზურად „ახტს“ უწოდებენ). პირველი სიტყვა დედოფლის მხარეს ეძლევა: თუ რამდენი სურს მას მისი ქალიშვილის „ნიქახისათვის“ (განსაზღვრული თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს კაცმა ცოლის გაშვების შემთხვევაში). ქალიშვილის „ბაბალული“ ათასი ლირიდან იწყებს (ათასი ოქრო), ვაჟის მხარე — ასი ლირიდან, დამსწრენი კი გაასაშვალებენ ამ თანხას (მინიმუმი 11 ლირაა). მხედველობაში ღებულობენ აგრეთვე ამ ოჯახიდან უკვე გათხოვილი დის, ანდა ბიძაშვილის „ნიქახის“ რაოდენობას. აქტში ჩაიწერება აგრეთვე სიძის მხარედან დედოფლისათვის მოტანილი ნასყიდობის — 2 ბეშლული, 50 მანეთი ოქროთი, ყელზე დასაყიდი ოქროს საათი, ოქროს ქა-

შარი და სხვა წვრილმანების ღირებულება. მსგავსი საჩუქრების მოტანა ახლაც შემორჩენილია, 50-60 წლის წინათ ვაეის მხარეს უნდა მიეტანა: ვერცხლის ქამარი, ილანჯული (ყელზე დასაყიდი ძეწკვი) და სხვა. აქტის შედგენის შემდეგ ხოჯა ორივე მხარეს სამჯერ ჩამოართმევს თანხმობის ჩვენებას და (ესეც აქტში შედის) ამის შემდეგ იწყებს ლოცვას. ხოლო დანარჩენები იძახიან „ამინს“, გათავდება თუ არა შელოცვა, შარბათს დალევენ, შემდეგ კი რამდენიმე კაცი თოფს გაისვრის იმის ნიშნად, რომ ამა და ამ კაცის ქალიშვილი მიათხოვეს ამა და ამ კაცსო.

დანიშნის შემდეგ დედოფალი ვაეის ნათესავეებს და თვითონ ვაესაც ერიდება, არც ერთ მათგანს არა სცემს ხმას. ვაეი ემალება დედოფლის ნათესავეებს, ხოლო დედოფალს კი არა. დანიშნიდან 2-3 თვის შემდეგ სიმამრი სიძეს დაჰპატიუებს; სიძე თან წაიყვანს თავის ტოლ-ამხანაგებს. სტუმრები სამ დღეს რჩებიან დედოფლის ოჯახში: მესამე დღეს სადილის შემდეგ სტუმრებს თეფშით მოუტანენ შაქარლამას; სტუმრები დედოფალს მოითხოვენ. ამ ოჯახის რძალი, ანდა ბიცილა დედოფალს შემოიყვანს, რომელიც სტუმრებს შუბლზე ხელის მიდებით მიესალმება (ამ სალამს „თემენნა“ ჰქვია) და გაჩერდება. ყველანი ამბობენ: „მაშალლა“, „მაშალლა“; ცოტა ხნის შემდეგ დედოფალს გაიყვანენ, სტუმრები თეფშზე საჩუქრად დაყრიან ფულს.

იმ დამეს სიძესა და დედოფალს ერთად ტოვებენ. დილით სტუმრები სიძესთან ერთად გაუდგებიან გზას.

ამ დღის შემდეგ სიძეს დედოფალთან მისვლა შეუძლია. სიდედარი სიძეს ყოველთვის ტკბილეულით უმასპინძლდება.

ქორწილი („ჰანდა“)

ქალის დანიშნის შემდეგ ორივე მხარე ემზადება ქორწილისათვის. ვაეის მხარე დედოფლისათვის ამზადებს მისატანს: ერთ აბრეშუმის, ორ ჩითის კაბას, საგარეო და საშინაო ფეხსაცმელებს და აბრეშუმის ჩარჩაბს (ჩადრი). დედოფლის მშობლებმა ქალიშვილს მზითვად უნდა გაატანონ: ორი ქვეშავებელი საბნით, კამოდი, სარკე, საწოლი, ათი სპილენძის თეფში თავსახურით, ხუთი უბრალო თეფში, სამი ქვაბი: დიდი, პატარა და შუათანა, ტაშტი დიდი და პატარა; აგრეთვე ქორწილის დღეს გაატანენ 300-500 ცალ შაქარლამას, 100-200 ჩურჩხელას, ჩირს, 5-6 ოყა მოხალულ თხილს.

ქორწილი, მათი რწმენით, არ შეიძლება მოეწყოს ახალი თვის 3, 5, 7, 16 და 21 რიცხვებში, აგრეთვე თვის მიწურულში მოსულ

ოთხშაბათს; ეს დღეები უკულმართად ითვლება. ქორწილისათვის დანიშნულ დღეს ორთავე მხარე ჰპატიუბს თავის ნათესავ-მეზობლებს. დედოფლის მხრიდან დაპატიებულთაგან ახალ ნათესაებს დედოფლისათვის მოაქვთ: საცვლები, ხალათი და 50-100 ცალი შაქარლამა-მეზობლებს კი — აბრეშუმის ცხვირსახოცი, ზოგს კი პირსახოცი: ვაჟის მხრით დაპატიებულთ — სურსათ-სანოვაგე (ბურელი, ბაქლავა, ქათამი და კვერცხი) მოაქვთ.

დანიშნულ დღეს დედოფლის ოჯახში ნეფის მხრიდან, თუ პატარა ქორწილია მიდის 15 კაცი, ხოლო თუ დიდია 40-50 კაცამდე. დედოფლის მხარე სტუმრებს ბაქლავით უმასპინძლდება; ამის შემდეგ დედოფალი გამოჰყავთ (დედოფალს ჩადრი მისმა ძმამ ან ბიძაშვილმა უნდა დაახუროს). გამოსვლის დროს კარებში გაჩერდება მისი ახლო ნათესავი, კედელზე დანებს მიაკრავს და არ უშვებს დედოფალს. მასთან მიდის ნეფის ბიძა და ეკითხება, რა უნდა მას. კარის დამჭერი „კაფხიარჯს“ (კარის ხარჯს) ნოითხოვს. ნეფის ბიძა ფულს ამოიღებს და ჭიბეში ჩაუდებს შეკარეს. კარის დამჭერს შეუძლია ამ დროს მოსთხოვოს მას, რაც სურს: საათი, რევოლვერი და სხვა და ეს უნდა შეუსრულდეს.

ამის შემდეგ დედოფალი ეთხოვება მშობლებს. დედა-შვილი ტირილით ემშვიდობებიან ერთმანეთს, რაც დიდ ცოდვად ითვლება. დედოფალთან ახლოს დგას მისი და, რძალი და ბიძაშვილი. ერთ-ერთი მათგანი მდადეა. დედოფალთან ერთად მიდიან მაყრები, რაოდენობით სამჭერ უფრო მეტი, ვიდრე ნეფის მხრიდან მოვიდნენ. თუ ნეფე შორეული სოფლიდანაა, მაშინ ნავით მიდიან, თუ არა და დედოფლისა და მდადესათვის ცხენი აუცილებელია. პირველ შემთხვევაში — ნავი დაიტვირთება და მენავეები წრისებურად ატრიალებენ მანამ, სანამ ნეფის მაყარი მათ ფულით არ დაასაჩუქრებს, შემდეგ კი სწრაფად გასრიალდებიან. ჩადრიან ქალებს შორის დედოფლის გამოცნობა სხვა ფერის ქოლგით შეიძლება. ის ქალებს შუა იქნება.

მაყრები გზაზე ცეკვავენ. მღერიან მაყრულს. სიძის სახლს 200 მეტრზე რომ მიუახლოვდებიან, გაჩერდებიან და გზის შეკეთებას მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით წესია, რომ დედოფალი მარჯვენა კარით შეიყვანონ ოჯახში. ვაჟის მშობლები იმის შიშით, რომ მათი რძალი და შვილი ვინმემ არ დაკოქოს,¹ ცდილობენ ნეფე-დედოფალი

1 „ჩაქეტვა ანუ შეკოქვა (ონკილუ-ოკიუ). ლაზების რწმენით, ასეთი მოქმედება დიდ „ცოდვად“ ითვლება, მაგრამ ზოგიერთი მაინც ჩადის. ტყვიას შუაზე გაკრის და ერთ ნაწილს გზის მარჯვნივ, სადაც ნეფე-დედოფალმა უნდა გაიაროს, დადებს. მარცხნივ კი მეორე ნაწილს. ნეფე-დედოფლის გავლის შემდეგ ამ ტყვიის ნაწილებს აიღებს, გაადნობს და ისევ შეაერთებს; ამით მისი შეხედულებით, მათ შორის

ჩვეულებრივი გზით არ გაატარონ. არამედ სხვა გზას გამოიხატონ ეზოში შემოსასვლელად და ასე მივლენ სახლის მარჯვენა კართან. შესვლისას კარის კედელზე მიაკრავენ დანებს.

მაყრები წყალს მოითხოვენ, წყლის მაგივრად მიუტანენ შარბათს. დაღვეის შემდეგ რამდენიმე ჰიქას ტეხენ. თუ ეზოში ღობე ან რაიმე შენობაა, დაანგრევენ; ვაყის შშობლები ცდილობენ, როგორმე შეიტყუონ ოჯახში, მაყრები მოითხოვენ მოსამსახურეებს, რომლებმაც უნდა მოემსახურონ ასანთის ანთებით (ცეცხლის მოპყიდებელს „ჩუბუქი“ ეწოდება), „სუჯი“ (წყლის დამსხმელებს). ბოლოს სახლში შეუშვებენ ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომელიც მაყრებისათვის არჩევს ოთახს.

მაყრები მოითხოვენ ძროხას ან ხარს; მასპინძელი მოუყვანს. ისინი შეათვალ-შემოათვალიერებენ და უკან უბრუნებენ. შემდეგ მოითხოვენ ორ ტყვეს, მოიყვანენ პატარა ბალებს — ამათაც უკან უბრუნებენ. დაბოლოს მოითხოვენ სიძეს; სიძე გამოჰყავს მასზე მალაკაცს, რომ წინ დაუდგეს და დაფაროს. სიძე მივსალმება მათ და მიიღის. ხელმეორედ მოითხოვენ — ჩვენმა სიძემ მხოლოდ სალამი მოგვცა, სახლში არ მიგვიპატიჟაო, შეიძლება მუნჯიყო. ამჯერად სიძე ესალმება და ეუბნება: „მობრძანდით“. ზოგიერთ სიძეს შერცხვება და ვერ ამბობს, ამიტომ რამდენიმეჯერ უხდება გამოსვლა.

მაყრები ხალიჩას ან ჰილოფს მოითხოვენ (აგებენ სახლის შესასვლელთან, კარებთან) ვაყის მაყრები ერთ მხარეზე გაიწევიან, ხალიჩაზე დადგება დედოფალი. დადე და მათი თანმხლები ქალები. ოჯახიდან დედამთილი გამოვა და დედოფალს დააყრის ღომის მარცვალში გარეულ ხურდა ფულს. ასევე იქცევა ვაყის მამა, ხოლო შემდეგ სიძეც. რომელმაც ღომის მარცვალში არეული წვრილი ფული — აბაზიანებიან ორშაურიანები უნდა მიაყაროს დედოფალს. ამ ფულს მექორწინებები სწრაფად აიტაცებენ, რადგანაც მათი წარმოდგენით ეს „თავის ტკივილის წამალია“. გარდა ამისა. ღომის მარცვალს და ფულს

ცოლ-ქმრული ურთიერთობა ირღვევა და არც შეიძლება მისი გახსნა. არის სხვა ხერხებიც. „ჩაკეტვა“ ხდება აგრეთვე დანიშნის დროსაც. „ახთის“ დაწერის დროს ხოჯა ჯერ თვითონ „ჩაკეტავს“ და შერე დიწყებს „ახთის“ წერას. ამისათვის ხელსახოცს ან კანაფს გამოიხატავენ, რის შემდეგ სხვას არ შეუძლია „ჩაკეტვა“. ნეფე-დედოფლის ბორბის მსურველი უთვალთვალებს ამ მდგომარეობას და „ახთის“ წერის წინ ხოჯამ თუ არ „ჩაკეტა“, მაშინ თვითონ ჩაკეტავს, ე. ი. გამოიხატავს ხელსახოცს ან კანაფს. ლაზებს ეს დღესაც სჯერათ და ამტკიცებენ ამის სინამდვილეს. არსებობს „დაკეტვის“ მესამე ხერხი; ვხაზე, სადაც ნეფე-დედოფალმა უნდა გაიაროს, ერთ მხარეზე დადებენ ბოქლომს, მეორეზე კი მის გასაღებს. დედოფლის გავლის შემდეგ ბოქლომს დაკეტავენ და ამით ბელ-ილალი უკვე „დაკეტილად“ ითვლება. ლაზები სრულიად დარწმუნებული არიან, რომ ჩაკეტვის შემდეგ ცოლ-ქმარს შორის ყოველგვარი დამოკიდებულება ირღვევა.

მიტომ აყრიან. რომ ვითომ ასე გამრავლდესო. შემდეგ მღერაინ და მოითხოვენ სიძის თოფს. დანას, საათს და სხვ.

რევოლვერის მოთხოვნისას ასე მღერაინ:

ირი იქით ნა ბჭვით სთერა,

სორენ სიჯაში ლივერი.

ირი ივას დო ხელერი

მულით სიჯაში ლივერი.

ყველაფერს ასრულებთ, მაგრამ

სადა სიძის ლევორველი.

ყოველივე ბენიერი

მოგვიტანეთ სიძის ლევორვერი.

ამის შემდეგ მამამთილი გამოვა, ხელს მოჰკიდებს რძალს და შინ შეიყვანს; შესვლისას ვაჟის მხრიდან თოფს ისვრიან; სროლას ასტენ მაყრებიც, კარებთან შეეგებებიან და დალოცავენ ნეფე-დედოფალს:

იკიბადათ დო იხინათ

იბრიალათ დიშკეს თერი.

გეხვამერი ტათ ირიშენ

მურუცხი დო თუთასთერი.

ხანში შეხვიდეთ, მოხუცდეთ,

იმრავლეთ კინჩველივითა,

ყველასგან დაილოცენით

ვარსკვლავ და შთვარესავითა.

დედოფალს ჯერ კერასთან მიიყვანენ და იქ დასვამენ. ერთ-ერთი დედ-მამიანი ბიჭი ფეხსაცმელს გახდის. დედოფალი ფულს ამოიღებს და ხელში ჩაუდებს. შემდეგ სიძე პატარძალს ქალების ოთახში მიაცილებს. ქალები სიმღერით ხვდებიან:

ირი ქორენ, სიჯა სორენ,

სიჯას უწვით დო ქომობთას

ნოლამისა კაზითე რენ

ქომობთხას და ქოელოწკას.

ყოველივე არის, სიძე სად არის

სიძეს უთხარით მოვიდეს,

პატარძალი მანდილითა

მოვიდეს და მოხადოს.

სიძეს დანას მისცემენ; ოთახში შესვლისთანავე სიძე დანის წვერით ახდის მანდილს და დანითვე მიაკრავს კედელზე.

მდადე პატარძალს გამოაწყობს, თავზე დაახურავს „კაზს“ (აბრეშუმის ნაქსოვი გამქვირვალე ქსოვილია) და ასე მორთულს გამოიყვანს. ქალები უყურებენ მას და ჩურჩულებენ: „აბა ამას დაშვენდა დედოფლობაო“. დედოფალი ფეხზე უნდა იდგეს დილაძე.

მასპინძლები მაყრის მოსვლამდე ახლო მეზობლებს უმასპინძლებიან, მაყრები ბოლოს მიუხსნდებიან სუფრას. სუფრაზე ჯერ ბურელს მიიტანენ, შემდეგ თანდათან მიაქვთ თხუთმეტნაირი საკმე-ლი. ბოლოს მოდის ფლავი. ერთ-ერთი მაყარი ფლავზე დაასობს კოვზს; „გიემდგინუ“ (კაცი, რომელიც სუფრას ემსახურება) ეკითხება, თუ რას მიირთმევს. ის მოითხოვს ბაქლავას რამდენიც სურს, 10-15 მოხარშულ ქათამს, 1-3 თიკანს, 1-5 ფუთამდე თუთუნს, ხილეულობას და სხვა, ერთი სიტყვით, რაც მათ სურთ. ამასთან ითვალისწინებენ ამ ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობას, შეუძლია თუ არა ყოველივე ამის გადახდა. აქედან ნაწილს, თითქმის 50% უკან უბრუნებენ.

ბოლოს სიძეს დაუძახებენ, რომელმაც სუფრა უნდა ასწიოს. სიძე ხელს მოჰკიდებს სუფრას და უკან გაბრუნდება, მაყრების მომსახურების შემდეგ სუფრასთან სხდებიან თვით მოსამსახურე კაცები. სხვადასხვა საკმელების შემდეგ ფლავს მიუტანენ. ფლავის თეფშზე დაასობენ კოვზს და მოითხოვენ შაქარლამას, 100-200 ცალ ჩურჩხელას, თხილს, ჩირს და სხვა ხილეულობას, რაც დედოფლის სოფელში მოიპოვება. აქედან ნახევარს დედოფალს უბრუნებენ უკან.

კაცების შემდეგ მაყარი ქალები სხდებიან, ხოლო მათ შემდეგ ის ქალები, რომლებმაც მაყარ ქალებს გაუწიეს მომსახურება. ამის შემდეგ იმართება ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვადასხვა გართობანი.

მეორე დღეს მაყრები უკან ბრუნდებიან. ამავე დღეს, თუ დედოფალს მამამთილი ჰყავს, ცეცხლთან დასვამენ და რძალს მიუყვანენ. მამამთილი ფულით ასაჩუქრებს პატარძალს. საღამოთი ამ სახლში მეზობლები, ნათესავი ვაჟები და ქალები იყრიან თავს და ბაასობენ, თამაშობენ. მათ თეფშით მოუტანენ ხილეულობას, შაქარლამას, ოთახში შემოიყვანენ დედოფალს. ვაჟები ხილეულობას მიირთმევენ და იმავე თეფშზე დებენ ფულს შეძლებისდაგვარად. დედოფალი თვითონ მათგანს უშობლზე ხელის მიდებით უხდის მადლობას. საჩუქარი განსაზღვრული არ არის, ვისაც რამდენი სურს. იმდენს დადებს. თუ რატომ აძლევენ საჩუქარს ფულის სახით, ამაზე შეიძლება ასეთი პასუხის გაცემა. თითოეული ნათესავი ვალდებულია ნახოს რძალი, ნახვის დროს კი საჩუქარია საჭირო; მაგრამ რაიმე ნივთი რომ უყიდოს, უნდა იცოდეს, რა აქვს მის რძალს და რა არ აქვს. ამიტომ ფულს აძლევენ, ამ ფულით რძალი იმას იყიდის, რაც სურს. სტუმრებს თავის მხრივ დედოფალიც ასაჩუქრებს აბრეშუმის ხელსახოცით, ჩურჩხელათი და შაქარლამით, ხოლო თუ ხნიერი კაცია პირსახოცით და ზემო აღნიშნული ტკბილეულით.

მაყრების წასვლის შემდეგ დაიწყებენ მზადებას ნეფე-დედოფლის დასაწვენად. ოთახს მზითევში მოტანილი ავეჯით რთავენ. ყოველივე ამას მდადე ხელმძღვანელობს.

ამ ოთახში პირველად ნეფეს შეუშვებენ, შემდეგ მდადეს შეჰყავს დედოფალი. ნეფე ამ დროს კარებთან მიიმალება, ან მდადეს ზურგს ამოეფარება, რომ დედოფალმა არ დამინახოსო.

მდადე დედოფალს საწოლზე დასვამს და გამობრუნდება, ხშირად დედოფალიც შეეცდება მასთან ერთად გამოპარვას, მაგრამ მდადე არ უშვებს. თუ ძალიან გაჰირვეულდა, მაშინ მდადეს ნეფეც მოეხმარება, კარებს ჩაკეტავს და დედოფალს შიგ მოაშფვცდევს. დედოფალი მორცხვობს და გასაქცევად იბრძვის, მაგრამ ქმარი არ უშ-

ვებს, ხელს მოკიდებს. გაშლილ ლოგინზე დაჯდება და გვერდით მოიხრება. დედოფალი ხმას არ სცემს, ქმარმა რომ პასუხი მიიღოს ცოლისაგან, ამისათვის რომელიმე თითს მოუღუნავს და ხელს მოუქერს, მაშინ დედოფალი იძულებული ხდება უთხრას გამიშვიო. ქმარი ეფერება და სთხოვს, დაეწვეთ უკვე დრო არისო, მაგრამ ქალი არ თანხმდება. ამ მდგომარეობას მეზობლის ქალები უქვერეტენ წინასწარ გამობურღული ნაქვერეტიდან — ეს წესია. ცოლ-ქმარმა ეს იცის და ამიტომ შუქს ჩაუწევენ. ქალების თქმით, ქმარი რომ თითებზე უქერს, ქალმა მაშინაც არ უნდა ამოიღოს ხმა. ასეთ შემთხვევაში დედოფალს აქებენ.

არის შემთხვევა, რომ ორივე მორცხვობს და ვერც ერთი ვერ კიდებს ხელს ერთმანეთს; ასეთი მდგომარეობა სიცილს იწვევს მქვერეტავ ქალებში. 2-3 საათის შემდეგ ისინი თავს ანებებენ ქვერეტას და სახლში მიდიან.

დედამთილი დაძინების წინ ცეცხლთან დადგამს წყლით სავსე თუნგს (ეს მხოლოდ პირველ ღამეს, შემდეგში კი თვითონ დედოფალი აკეთებს ამას), რომ ფიზიკური შეუღლების შემდეგ ნეფე-დედოფალმა ტანი დაიბანონ. დედამთილს თუ მეორე დღეს წყალი ხელუხლებელი დახვდა, იწყენს. იფიქრებს შეიძლება მათ შორის რაიმე უთანხმოება მოხდა, ანდა „შეკოჭილი“ არიანო.

მესამე დღეს, დილას, მული რძალს სახლში ე. ი. სამზარეულოში გამოიყვანს და მკაღს დააკრევიანებს. ამის შემდეგ ის ყოველთვის დილაადრიან უნდა ადგეს, დედამთილის ადგომამდე დააკრას მკაღი და მიაღაგ-მოაღაგოს სამზარეულო. ვერც საღამოს დაწვება აღრე. ჭერ ოჯახის ყველა წევრი უნდა დაწვეს და მერე თვითონ.

რძალი დედამთილსა და მამამთილს (ლაზურად „დამთირე“ და „მთირი“) ყოველგვარ ანგარიშს უწევს. მას არ შეუძლია ერთი წლის განმავლობაში ხმა გასცეს „დამთირეს“, ხოლო „მთირის“—ზოგჯერ 5 წელსაც. ერთ წლამდე ყოველთვის ფეხზე დგას, ვიდრე ოჯახის რომელიმე წევრი არ ეტყვის, დააჭეპო. სამი დღის შემდეგ, ე. ი. მოსვლიდან მეოთხე დღეს, მშობლებთან ბრუნდება, ამას „კუჩხეშ ქთალაში“ ქვია. თუ მისი სახლი ამავე სოფელშია, იმავე დღეს დაბრუნდება უკან, თუ არა და ერთ ღამეს მოიცდის. მეორე დღეს მაინც ბრუნდება. ამის შემდეგ სიდედრს შეუძლია ესტუმროს სიძეს. სიდედრი და სიმამრი ქორწილის დროს შვილს არ მიჰყვებიან. დედოფალს ერთი წლის განმავლობაში გარეშე საქმეზე არ დაისაქმებენ, ის მხოლოდ საოჯახო საქმეებს აკეთებს. ერთ წლამდე, მზე ჩავა თუ არა, რძლის ოთახში შუქს აანთებენ, რომ ყოველთვის განათებული იყოს.

ნათესაურ დამოკიდებულებათა სახელწოდებანი
ლაზურსა და მეგრულში

ქართულად	ლაზურად	მეგრულად
ძმა	ჭუმა	ჭინა
და	და	და
დედა	ნანა	ნანა, ღიღა
მამა	ბაბა	ბაბა, მუმა
ზაპუა	პაპული	პაბუ
ბებია	დიდი ნანა, ნანდიდი	ბებრი
ბიძა	ჭუმადი	ჭიმადი, ბიძი
კოლი	ჩილი	ჩილი
ქმარი	ქიმოჯი-ქომოჯი	ქომონჯი
სიძე	სიჯა	სინჯა
სასიძო	ნოლამე	სასინჯო
საცოლე	ნოლამისა	შანილი
პატარძალი	ჭიტა ნოსა, ქუტა ნუსა	მოწყედი
რძალი	ნისა, ნუსა	ნოსა
მამამთილი	მთირი	მუანთილი
დედამთილი	დამთირე	დიანთილი
ბიჭი	ბიჭი	ბოში
გოგო	კულანი, ბოზო	ძღაბი
ქალი	ოხორჯა, ოსური	ოსური
ქალიშვილი	ოსურსკირი	ოსურსკუა

კოლის ან ქმრის ძმა — ოხრასკირი (სახლისშვილი), ოხორასკირი
კოლის ან ქმრის და — ოხრასულე (სახლის ასული), ოხრასკირი

დობილი (დედის რძით) და მოგაფერი	მორდაი
ძმობილი	ძიძესკუა
ძმის ან დისშვილი	ჭიმასკუა, დასკუა
ბიძის ან მამიდაშვილები	ბიძისკუა, მამიდასკუა,
გერი	სკუე:ყ ნერი
დედინაცვალი	დიდაყნერი
მამინაცვალი	მუმაყნერი
ბავშვი	ბალანა
შვილი	სკუა
ქვრივი	ქერი
მეზობელი	მეზობელი
დადე	დადე
მაცარი	მაცარი
უფროსი	უნჩაში
უმცროსი	უკლაში
გათხოვილი	ვათხილი
ცოლიანი	ჩილამი

ლაზურში განმეორებით გამოთქმანი ეკუთვნის ვიწურ-არქაბულ-კილოს, როგორცაა „ქუტა ნუსა“, „ბოზო“, „ქომოჯი“ და სხვა.

ღარიბ, ჩამორჩენილ ოჯახში გათხოვილი ქალი მძიმე პირობებში ვარდება. 3-5 წელიწადს არ შეუძლია დაჯდეს უფროსებთან. თითქმის. სამ წლამდე ვერ დაელაპარაკება მამამთილს.¹ მამამთილისა და დედამთილის დასწრებით ვერც ქმარს გასცემს პასუხს, ვერც ქმართან ისაუბრებს. ცოლ-ქმარს არ შეუძლიათ ერთმანეთს სახელი დაუძახონ. ცოლი ქმარს 40 წლამდე „ებჩის“ ეძახის; მაგალითად: „ებჩი მოხთი აშო, ებჩი იგზალი“, ე. ი. ბიჭო, მოდი აქ, კაცო, წადი და სხვ. ქმარიც, ცოლს ეის ეძახის: „ეი, გულიწკედი, ეი, წკარი გიემიბი“, ე. ი. ეი, მოიხედე, ეი, წყალი დამისხი და სხვა.²

40 წელს რომ გადასცილდებიან, მაშინ ქმარი ცოლს „ხჩინის“ (ბებერ დედაკაცს) დაუძახებს, ცოლი ქმარს კი „ბადის“ (მოხუცს). გარდა ამისა, „ნისა“ (რძალი) მამამთილს ეძახის „ბაბას“ (მამას) და დედამთილს კი „ნანას“ (დედას). სამაგიეროდ მასაც მთელი ოჯახი „გელინს“³ ეძახის. თუ პატარძალი სხვა სოფლიდან არის, მაშინ მეზობლებიც „გელინს“ ეძახიან. პატარძალის ბედ-იღბალი დამოკიდებულია დედამთილზე. თუ გულკეთილი დედამთილი შეხვდა, ხომ კარგი და თუ ცუდი შეხვდა, მაშინ მის ტანჯვას საზღვარი არა აქვს და აქედან ერთადერთი გამოსავალია გამოყოფა.

გამოყოფას იწვევს აგრეთვე ოჯახში ორი რძლის ყოფნა. ესენი ერთმანეთს ხშირ შემთხვევაში ვერ ეგუებინან; დედამთილისათვის ხშირად უმცროსი რძალია კარგი. თუ პატარძლის ქმარი სუსტი ნებისყოფისაა და ცოლიც ნაკლებად უყვარს, მაშინ გამოყოფაზე უარს იტყვის და ამით ტანჯავს მეუღლეს. ლაზი ქალი ვალდებულია გააკეთოს საოჯახო საქმე, იმუშაოს ბოსტანში და მამაკაცთან ერთად წავიდეს ყანაში. შემის ზიდვაც ევალება.

მამაკაცი დედაკაცს არ უწევს ანგარიშს, ამასთან ქალს არა აქვს უფლება ჩაერიოს მამაკაცის საქმეში.

ქალს ოჯახში წილი არ აქვს. გაყრის შემთხვევაში ეკუთვნის მხოლოდ მოტანილი მზითევი.

1 ჯ. ნოლაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აპარელთა ყოფაცხოვრებინდან, თბ., 1935 წ., გვ. 32.

2 ასეთივე წესები იყო გავრცელებული სამეგრელოში (იხ. ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 271), თუშეთში (ს. შაკალათია, თუშეთი, გვ. 160), მოხევეებში (ს. შაკალათია, ხევი, 1951 წ., გვ. 164) და სხვა.

3 გელინი — თურქულია და ნიშნავს რძალს.

მშობიარობა (გერეზოზოფუზუ-დობადუ)

მშობიარე ქალი („ნუხუსა ოხორჯა“) ყოველთვის ერიდება მძიმე ტვირთის ტარებას, აგრეთვე მზის ჩასვლისას და მის მერე სიარულს. მას ოჯახშიც ერიდებიან, ხშირად არ დაასაქმებენ. მშობიარობის წინა დღეებში, ასე დაახლოებით ერთ კვირას, შინ დატოვებენ გარეშე საქმისაგან ათავისუფლებენ. ფეხმძიმე ქალისათვის ნიგვზისა და თხილის ქამა აკრძალულია, ბავშვს კორფლიანი სახე ექნებაო. მშობიარეს ურჩევენ არ ჭამოს გარჩეული ბრინჯი, არც ყოველნაირი ხორცის ქამა შეიძლება, მაგ. თირკმლის, ნაწლავის, გულ-ღვიძლის ქამა სრულიად ეკრძალება. ორსულობის მეცხრე თვეში ფეხმძიმე ქალი კალთაში სიმინდს ჩაიყრის და ცხენს აკმევს, შემდეგ ამ კალთას დაიბერტყავს და კერაზე ჩამოჯდება. ქალი, იგრძნობს თუ არა სამშობიარო ტკივილებს, მაშინვე შევა თავის ოთახში და დაწვება გაუშლელ ლოგინზე („ონჯირე“).

ამ დროს, თუ ღამეა, ქმარი („ქიმოლი“) შეიტყობს და შეატყობინებს ოჯახის რომელიმე წევრს, უფრო გაბედულად კი დას ან „ნისას“ (რძალს). თუ დღე არის, მაშინ ოჯახის რომელიმე წევრი მიხვდება ამ ამბავს და დაუძახებს ბებიაქალს, რომელსაც ლაზები „მამუნს“ ეძახიან. საერთოდ, თუ სოფელში რამდენიმე „მამუნი“ არის, იმ შემთხვევაში მიმართავენ იმას, ვინც ამ ოჯახის ბავშვებს იყვანდა; თუ შორს არის, მაინც იმას მოიყვანენ რამდენიმე დღით ადრე.

„მამუნი“ მშობიარეს მოსვლისთანავე გაუშლის ლოგინს „ონჯირეს“. „ბერე“ (ბავშვი) რომ ნორმალურად დაიბადოს, „მამუნი“ „ნუხუსას“ ზეწარზე დააწვენს და აქანაევს. ამით ქალებს ვითომ უადვილებენ მშობიარობას. თუ ბავშვი უკულმა მოდის, „ნუხუსას“ მაშინვე მუხლებზე დასვავენ და მუცელზე უსვავენ ხელს.

მძიმე მშობიარობის დროს მელოგინეს ქმარი მარჯვენა მუკით წყალს შეასმევს და სამჯერ გადაალაჭებს.¹ ბოლოს კერიდან ჩამოიღებენ თხმელას ხეს, რომელშიაც მონახავენ მატლს, დანაყავენ მას, გახსნიან წყალში და მშობიარეს შეასმევენ. („მუნტურიში წყარიშ უშუმუ“). ამასთანავე დაილოცებიან: „ლორმოთი კვინი-წყუნის ოშლეთინი“ (ღმერთო, ტკივილისა და კვნესისაგან ათავისუფლე) და სხვა.

¹ საყურადღებოა, რომ მშობიარობის დროს ასეთსავე წესს ასრულებენ მხევეები (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 166); რაკველები (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაქა, თბ., 1930 წ., გვ. 51) და სხვ.

მშობიარეს უხვად რომ მოუვიდეს რძე, თავზე დაკიდებენ „ლო-რიზმაში ქვას-ს“ (მოთეთრო ქვა).

დაიბადება თუ არა ბავშვი „მამუნი“ კიბის („უმპას“) მოსკრის, თუ შესაძლებელია ტუალეტის საპნით დაბანს, თუ არა და — სარეცხის საპნით, ნაჭერში შეახვევს და „ნანას“ (დედის) ლოგინზე დააწვენს. შემდეგ ამისა დედასაც დაჰბანს და დააწვენს თბილად. ბავშვის დაბადების დროს ოჯახის წევრები მშობიარეს ოთახში არ შედიან; აქ იმყოფება მხოლოდ „მამუნი“ და კიდევ ერთი ქალი.

დაიბადება თუ არა ბავშვი, თუ ბიჭია თოფს გაისვრიან (თუ ოჯახში მამაკაცი არ არის, დედაკაცები ისვრიან), ამასთან მახარობელს გააქცევენ მამასთან. ბავშვის მამა ასაჩუქრებს მას, შეძლებისდაგვარად.

ბიჭი დაიბადება თუ გოგო „ფილაის“ (ფლავს) გააკეთებენ. ბიჭის დაბადების შემთხვევაში ცოტა მეტს აკეთებენ. ამას ზოგიერთი ხნიერი აღამიანი იმით ხსნის, რომ ბავშვი „კიტმირი“ (წუწკი) არ გაიზრდებაო. მელოგინეს მოსაკითხად მოდიან „მანძაგერები“ (მეზობლები) და „გეზვამუფან“ — დალოცავენ: „ხელადოკარობათე, ღორმოთიქ მოთალეფეშა მოგიკიშინას“, ე. ი. ბედნიერებაში ღმერთმა შეილი-შვილებს მოგასწროს. მშობიარე ეტყვის „ამინ“. თუ მლოცავი თვითონაც არის ორსულად, მაშინ მშობიარე ეტყვის, ღმერთმა შენც მოგასწროს ასეთ ბედნიერებასო.

მშობიარეს ნახვა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ (მამაკაცებიდან შეუძლია ძმას, ისიც ორი-სამი დღის შემდეგ). სანახვად მოსულ ძმას, ან ნათესავს ბავშვს კალთაში ჩაუსვამენ და საჩუქარს სთხოვენ. მელოგინეს შემწვარ „მარქვალს“ (კვერცხს) აჭმევენ, რომ გული არ აერიოს და ამასთან ერთად — „ფლავსაც“. მშობიარობის შემდეგ ტკივილების დასაყუჩებლად მელოგინეს მუცელზე დაადებენ საცერს („ონცირუ გეჟადიგიმუ“); მელოგინე საცერის ბადურიდან იყურება და ბებიას შეკითხვაზე პასუხობს:

ბებია: „მონკარენი, ჩორჩი?“ (მძიმეა თუ მსუბუქი?).

მშობიარე: „ჩორჩირენ“ (მსუბუქია).

ამას სამჯერ იმეორებენ.

„მამუნი“ ბავშვს დღეში ორჯერ აბანავებს — „კუმანიში“ (დილას) და „ლიმჯიში“ (სალამოს): ასე გრძელდება ერთ „დოლონს“ (კვირას). მშობიარე ქალი ერთ კვირაში დგება, ზოგიერთი უფრო ადრეც. ასეთ შემთხვევაში მას „დამთირე“ მოიწონებს და აქებს ხალხში.

თუ პირველი მშობიარობაა, პუდრს წაისვამს და ისე გამოეწყო-

ბა, როგორც „ნოლამისობის“ (დედოფლობის) დროს: ეს იმიტომ, რომ ლაზების რწმენით მშობიარობის შემდეგ ქალი ორმოცი დღის განმავლობაში „ლურას“ (სიკედლილს) მოელის და ამისათვის ცდილობს გამოწყობილი წავიდეს „ემ ღუნიაში“ (იმ ქვეყანას).

ბავშვს „უმპას“ (ქიპს) მოსჭრიან და „ჭამეს“ (მეჩეთის) საძირკვლების ქვეშ დამარხავენ. სულერთია, ბიჭია თუ გოგო, იმიტომ რომ ბავშვი „ნოსერი“ (კვეიანი) იქნებაო.

ახალდაბადებული ბავშვი რომ ჯანმრთელი გამოვიდეს, ორმოც დღემდე სასწორის ცალ მხარეზე დასვამენ, მეორეზე კი ახალ დაქვრილ თევზებს დააწყობენ, ბავშვის წონის თევზს აიღებენ და მიწაში დამარხავენ, რომ ბავშვი დაზღვეული იყოს „ავი სულისაგან“.

საყურადღებოა, რომ მშობიარობის დროს გურიაშიც არსებობდა ასეთივე წესი, რომელსაც „მიწის გაჭერება“-ს¹ უწოდებდნენ. მხოლოდ, გურიაში თევზის ნაცვლად გოქის ძვლებს ფლავდნენ მიწაში.

სამეგრელოში ფეხმძიმე ქალს მშობიარობის შესამსუბუქებლად მუცელზე თევზის წებოს² კვიდებდნენ.

თრიალეთის ურუმებში თევზი გამანაყოფიერებელ საშუალებად ითვლებოდა და უშვილო ქალს გამხმარ კალმახს აკმევდნენ.

ახალშობილი ბავშვისათვის დამახასიათებელი ავადმყოფობაა „ოსახილო“, ყურის ძირში გამონაყარი (ასეთ შემთხვევაში დედა ტბილს, მკეავეს და მწარეს არ ჭამს) და „თათახანი“ (მუცლის ტკივილი). ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ლაზები მრავალ საშუალებას იყენებენ:

დაალევიანებენ წყალში გახსნილ „ნომჩქას“ (ფერფლს) ანდა „ბაროტს“ (თოფის წამალს), „თულულას“ (აგურს) გაახურებენ და „ქორბაზე“ (მუცელზე) დაადებენ; თუ ამანაც არ გასჭრა, მაშინ მკითხავს მიმართავენ. მკითხავი მას „ბაღს“ (შელოცვით შესკვნილი ძაფი) გაუკეთებს და წელზე შემოარტყამს.

არის კიდევ მეორე ხერხი: კვერცხზე დაწერენ შელოცვას, ლოცვითვე შემოაკრავენ ძაფს და კერზე დაკიდებენ.

თუ ბავშვი ხშირად ტირის, ფიქრობენ, რომ თვალი ეცა და შესალოცად მიმართავენ მოხუცებს, ბავშვს რომ თვალი არ (თოლი ვარ მატას) ეცეს, ამისათვის ყელზე ჩამოკიდებენ ფერად მძივებს (მონის),

1 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 1, 1927 წ., თბ., 1928 წ., გვ. 228.

2 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 271.

რომელშიაც შეაყოლებენ: „აბუშ კიბირი“ (აბოს კბილს), „კიზიშ ნოტეხეს“ (კოვზის ნატეხს).

უემურს ანდა სხვა ავ სულს ლაზურად „იხიქინკას“ ეძახიან. უემურს რომ არ აპყვეს ბავშვის პერანგზე წინდაწინ გაკეთებულ „ნუსქას“ მიაკერებენ. აკვანში ბალიშის ქვეშ შემოუღებენ საღვთო წიგნს „ყურანს“. ყურანის უქონლობის შემთხვევაში შეიძლება „ხამაილიც“ (ლოცვების წიგნია).

„მეორამ“ (მზის) ჩასვლის ხანს და შემდეგ მელოგინე ქალი „ოფუტეში“ (ეზოში) არ გავა. 40 დღის განმავლობაში ბავშვის ნაბან წყალს გარეთ არ გადაღვრიან; შეიძლება სახლის რომელიმე კუთხეში გადაღვარონ და მაშინ აუცილებელია უნდა თქვან „ბისმილაჰი“.¹

ბავშვის შესახვევ ნაქრებს და მის ტანისამოსს მზის ჩასვლის შემდეგ გარეთ არ დატოვებენ; თუ შემთხვევით დარჩათ, მაშინ მას „დაჩხირის“ (ცეცხლზე) შემოატარებენ და ამით დაწვავენ ავსულებს. გარდა ამისა, მზის ჩასვლის შემდეგ, ოჯახში შემსვლელი თუ ბავშვს დაიკავენ, ანდა ბავშვის ახლოს დაჯდება, ჯერ ცეცხლთან უნდა მივიდეს, დაიბერტყოს კალთა, რბთაც უნდა დასწვას ავი სულები. ეს აუცილებლად უნდა შეასრულოს ბავშვის მამამაც.

მზე ჩავა თუ არა, მელოგინის ოთახში შუქს აანთებენ, რომ „ჯაზები“ არ მოვიდნენ. (ლაზების რწმენით, „ჯაზი“ ჩვეულებრივი ადამიანია, მხოლოდ ღამლამობით ისხამს ფრთას და დაფრინავს; უფრო მეტად ნორჩ ბავშვებს აცლის გულს). ბავშვის დედა საღამოობით, დაწოლის ხანს, ბავშვს უკითხავს შემდეგ შელოცვას:

„კულეუზუბირებბი ნნასი, მელიქინნასი, ილაჰინნასი, მინშეირინ ვესვასილხენნასი, ელლეზიიუსფისუ ფისუდურინნასი, მინელჯინნეთი ვენნასი“.

ლაზების რწმენით, ამის წაკითხვის შემდეგ, ბავშვს არც ჭადო მიეკარება და არც ავი სული. ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის აკვანზე „მოსას“ (ბადეს) შემოახვევენ.

ბავშვს დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ სახელს არქმევენ. სახელის შერჩევაში უპირატესობა „ნანდიდის“ და პაპულის ეძლევა, თუ არ ჰყავს, მაშინ დედ-მამას. აუცილებელია წინაპრების — მამის, დედის, დის, ძმის, ბიძის სახელებიდან შერჩევა. თუ ვაჟი ბაირამის (რელიგიური დღესასწაული) დღეს დაიბადა, ბაირამ-ალის დაარქმევენ, შაბანის მთვარეზე დაბადებულს — შაბანს, რეჯების მთვა-

¹ ბისმილაჰი — არაბულია, ნიშნავს — სახელითა ღვთისა.

რეზე¹ — რეჯებს და სხვა. ბავშვებს ჩვეულებრივად მუსლიმანურ სახელებს არქმევენ, მაგრამ ლაზები ამ სახელებსაც თავისებურად გამოთქვამენ, მაგალითად, მამაკაცის სახელები: მუჰამედ — მამედი, მეჰმედ — მემეტი, აჰმედ — ახმატი, ალი — ალია; ქალის სახელები: ხატიჯე — ხაჯჯე (კაკიქე), აიშე — აშე (აჩე), ფადიმე — ფადე და სხვ.

ლაზები თურქულ გვარსაც თავისებურად ცვლიან. მაგალითად: თანთ-ოღლი — თანთუში, ჩებ-ოღლი — ჩებიში, კიტმირ-ოღლი — კიტმირიში, სოფ-ოღლი — სოფიში და სხვ.

დაბოლოება „ში“ ლაზურად ნიშნავს კუთვნილებას „მიშირე“ (ვისი ხარ). თანთუში ნიშნავს თანთუსი ვარო. „ში“ არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც.

30-40 წლის წინათ ლაზებში შემორჩენილი იყო ნამდვილი ლაზური გვარები: ნარაკია, ჟორდანია, პაპასკირი, წულეისკირი, ჩიქოვანი და სხვ. 1931 წლიდან თურქეთის ხელისუფლებამ ასეთი გვარების ტარება აკრძალა. 1935 წლიდან ლაზები ახალ გვარებს ატარებენ.

ბავშვს სახელის დარქმევისას „ეზანს“² უკითხავენ; ვინც ეზანს უკითხავს. ბავშვიც იმას დაემსგავსებაო. — ამიტომ ნიჭიერ, ზრდილობიან, კარგი ყოფაქცევის კაცს აარჩევენ, ანდა ხოჯა უნდა იყოს. მშობლები ბავშვს ორი წლის განმავლობაში შორს სოფლებში არ წაიყვანენ, რომ „თვალი არ ეცეს“ ან „ავი რამ არ შეემთხვეს“. თუ ვინიკობაა წაიყვანეს, მაშინ შუბლზე ნახშირს წაუსვამენ.

აჰმედის ქორწილი („ონწელიში ჰანდა“)

პირველი მშობიარობის შემთხვევაში აკვანს „ონწელს“ ქალის მშობლები ყიდულობენ. ისინი ბავშვის დაბადებისთანავე ცდილობენ, რაც შეიძლება ადრე მოაწყონ აკვნის ქორწილი („ონწელიშ ჰანდა“). იყიდიან აკვანს და გააგებინებენ სიძის ოჯახს, რომ ამა და ამ დღეს მოვდივართო. ამისათვის ამოირჩევენ ხუთშაბათს ან კვირა დღეს. ამ დღისათვის ქალის მშობლები თავიანთი სოფლის ნათესაებსა და მეზობლებს დაპატიჟებენ და აკვანს მოაწყობენ (საჭირო საბან-საგები, ბალიში და რამდენიმე შესახვევი ნაჭერი). ამასთან, ბავშვის ბებია ბავშვს ტანსაცმელს შეუკერავს; ტანსაცმელს უკერავენ აგრეთვე მისი ახლო ნათესაებიც; ასე მომზადებული მი-

1 შაბან, რეჯებ — თვეების სახელებია.

2 „ეზანის“ კითხვა სავალდებულო მონათვლას ნიშნავს.

დიან სიძის ოჯახში. მამაკაცები ამ ქორწილში მონაწილეობას არ იღებენ. აკვანი ვინმე დაქორწინებულ მამაკაცს მიაქვს. მიტანისას საჩუქარს მოითხოვს. მას ფულით ასაჩუქრებენ. აკვანს დაახლოებით 20-25 ქალი მიჰყვება. სტუმრებს კარგად უმასპინძლებიან. შემდეგ ბავშვს აკვანში აწვენენ (აკვანს წინასწარ მოაწყობს ბებიქალი). ის აკვანის მოწყობისათვის საჩუქარს ამოიღებს და დადებს აკვანზე. დანარჩენებიც მიბაძავენ მას და შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებენ ბავშვს. ყოველივე ამის შემდეგ ერთ-ერთი გოგონა, რომელსაც დედ-მამა ცოცხალი ჰყავს ბებიქალის ხელმძღვანელობით აწვენს ბავშვს აკვანში და ამბობს: „ნა ბაბათე ორდა დო აჩქვანერისთი ბიჭი გიონჯირათ“, ე. ი. დედ-მამით გაგეზარდოს და მეორეჯერაც ბიჭი ჩაგეწვინოს ამ აკვანშიო. დანარჩენი ქალები იტყვიან — „ამინ“.

ამ დღის შემდეგ ბებიქალი ბავშვს აღარ აბანავებს და ამით ამთავრებს თავის მოვალეობას. ბავშვის მშობლები მას საჩუქრად აძლევენ საპონს, ორ ლერ სანთელს, ერთ შეკვრა ასანთს და ფულს. სტუმრები თუ შორი სოფლიდან არიან, მეორე დღეს ბრუნდებიან, თუ არა და იმავე დღეს.

ბავშვის აღზრდა

ბავშვი ერთ წლამდე უშუალოდ დედის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. როცა ფეხზე დგომას დაიწყებს „ოგზალონს“ (ოკივარს) უკეთებენ. დაასობენ 4 სარს, სარებს შორის ბავშვის მხრის სიმაღლეზე. მიაკრავენ ორ პარალელურ ჯონს, რომელთა შორის ატარებენ ბავშვს და ასე ასწავლიან სიარულს.

ამ პერიოდის ბავშვის აღზრდასა და მოვლა-პატრონობაში დედას ეხმარებიან ბებია და ბაბუა.

2-3 წლის ბავშვი თამაშობას სიმინდის ნაგულასაგან სახლის („ობორის“) აშენებით იწყებს, აგრეთვე ქაღალდის ან ფიცრისაგან აკეთებს ნავს („ფელუკას“).¹ თუ კარგი ამინდია პატარა ბავშვები თავიანთი „ფელუკებით“ მიდიან წყლის პირას და მთელი დღე თამაშობენ.

ნავეებით ერთობიან მოზრდილებიც. ხშირად ისეთ ნავეებს გამოთლიან, რომ ერთ ფუთამდე ტვირთის აწვევაც შეუძლია (ანძითა და

¹ ნაწილი ლაზებისა-(არქაბი, ვიწეს მცხოვრებნი) ნავს „ნუშს“ უწოდებენ.

იალქნით გააწყობენ და დიდ ტბებსა და ზღვაშიც უშვებენ. როცა ლელვა არ არის).

5-6 წლის ასაკიდან მშობლები ბავშვის „დასასუნნეთებლად“ (წინადაცვეთა) ემზადებიან. ზოგი ამ წესს მონათვლასაც უწოდებს.

„სუნნეთს“ ასრულებენ დახელოვნებული პირები (არა ექიმები), რომლებიც წელიწადში ერთხელ (უმთავრესად გაზაფხულის თვეებში) სოფლებში სპეციალურად ჩამოივლიან, („სუნნეთჯისთან“ ერთად დადის კიდევ ორი კაცი). იმ ოჯახში, სადაც ბავშვი „დასასუნნეთებელია“ „სუნნეთჯი“ და მისი დამხმარენი ტკბილეულით შეიტყუებენ ბავშვს, ეფერებიან, შემდეგ თვალებზე დააფარებენ და შარვალს გახდიან; „სუნნეთჯი“ მიეპარება და სუნნეთავს; ამ ოპერაციის დროს იგი სამართებელს ხმარობს. წამალიც წინდაწინ აქვს გამზადებული. ბავშვს „დასუნნეთებისთანავე“ დააწვენენ და ნაოპერაციევზე წამალს აყრიან. თუ ბავშვი ტირის, ტკბილეულობას აძლევენ. დედა ან ბებია მოხარშულ კვერცხს მისცემს და ასე აწყნარებენ. ერთ ოჯახში ორი-სამი ბავშვი თუ არის, მაშინ ბავშვებს აქეზებენ, აბა, რომელია ყოჩალი და არ იტირებსო, რომელიც იტირებს ის „ლაბეშა“ (მტირალა) არისო.

ოჯახის პატრონი, თუ შეძლება აქვს, მეზობლებს დაჰპატოყებს. ბავშვი ერთი კვირის შემდეგ დგება. ასე იყო და ამჟამადაც ასე ხდება ბავშვის „დასუნნეთება“ ლაზებში.

7-8 წლიდან ბავშვს უკვე მკაცრად ზრდიან (მხოლოდ ბებია და ბაბუა ეფერებიან). ცელქობისათვის ბავშვებს მშობლები ასე ტუქსავენ: „ჯოხო გამაგიკოდას“ (სახელი ამოგიწყდეს), „ჯოხო მოგამაგიკოდას“ (სახელი არ ამოგიწყდეს), „ეურ თოლეფე დოგიდგითას“ (ორივე თვალეზი დაგიდგეს), „ეურ თოლეფე მო დოგიდგითას (ორივე თვალე არ დაგიდგეს) და სხვა.

როგორც ვხედავთ, უარყოფითი ნაწილაკი „მო“-ს ხმარებით მშობელს წყევლის ნაცვლად დალოცვა გამოუდის.

კარგი ყოფაქცევისათვის ასე ეალერსებიან: „გოგინთა“ დო „გოგადარა“ (შემოგველე), „ღორომთიქ დიდო დლა მეგრას“ (ღმერთმა ბევრი დლე მოგცეს) და სხვა.

ბავშვის სკოლაში შეყვანისათვის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ლაზებს) თავს არ იწუხებენ. სასკოლო ქსელი ისედაც ძალზე მცირეა (7-8 სოფელში ერთი დაწყებითი სკოლა); ამასთან არამშობლიურ ენაზე სწავლების გამო (სწავლება თურქულ ენაზეა) ბავშვი ვერ ძლევს საგნებს და ხშირად

რამდენიმე წელიწადს ერთსა და იმავე კლასში რჩება და ბოლოს სწავლას თავს ანებებს; გარდა ამისა, მოსახლეობის უმრავლესობაც განიცდის მატერიალურ სიღატაკს. შესაძლებლობა არ აქვთ ბავშვებისათვის შეიძინონ სასკოლო ნივთები, ამიტომ თურქეთის ლაზი მოსახლეობის უმრავლესობა უსწავლელია.

ლაზეთში ბავშვის შრომას 12-13 წლიდან იყენებენ. ჯერ კიდევ 9-10 წლის ბავშვი ეუფლება ნაოსნობას — ზღვაზე ცურვის ტექნიკას და შემდეგ ბადის ქსოვას, ნავის მართვას, შეკეთებას („კალაფატი“), ამინდისა და ზღვის ღელვის წინასწარ გამოცნობას, თოფის სროლას და სხვ.

უფრო მოზრდილ ასაკში იგი იწყებს ხელოსნობას და ხელს კიდებს სოფლის მეურნეობას.

ბართოზა-თამაშობანი

ლაზეთში გავრცელებულია სხვადასხვა სახის გართობა-თამაშობანი.

ბავშვები, როგორც კი წამოიზრდებიან და სირბილს ისწავლიან, მაშინვე იწყებენ გეგმიან თამაშს, რომელსაც ეწოდება „პანწყუმპალეში“ ანუ „გეტკობინეში“ (კუკუმალობანა).

ეს თამაში შემდეგნაირად იწყება: თამაშის მონაწილენი მიწაზე წრისებურად დააწყობენ მარცხენა ხელის ორ-ორ თითს, ერთი მათგანი დაწყობილ თითებს მაჩვენებელ თითს გააყოლებს და იტყვის:

ელელემ ბელელემ სოოზი,
სიმსი კატუ ტინკოზი,

აკკა დაკკა თუნალაი თუნანდალი,
ელინე კოკინე წიწილამ ბერე.

ტაების უკანასკნელი მარცვალი ვის თითზეც დამთავრდება, ის თვალს დახუჭავს, ხოლო დანარჩენები იმალებიან. ერთი დამალულთაგანი „კუკუს“ დაიძახებს, რის შემდეგაც „გეტკობინერი“ (თვალდახუჭული) თვალს გაახელს და იწყებს დამალულთა ძებნას; ამ ხანში ვინც დანიშნულ ადგილას (ე. ი. იქ, სადაც თვალდახუჭელი იდგა) პირველი მიიღბენს, ხელის დარტყმით იტყვის: „პანწყუმპალე“-ს ე. ი. „სტუკ-სტუკ“ — მოგასწარიო. ხოლო თუ ამ ადგილზე მძებარი (გემტკობინე) მიასწრებს, წაგებულია და მძებრად თვითონ ხდება არის შემთხვევა, როცა მძებარს ყველანი მიასწრებენ, ამ შემთხვევაში თვალს ისევ ის ხუჭავს.

„ქვაპაპულონი“ (კენჭობია). ზღვის პირას მოგროვილი ხუთი მრგვალი კენჭით თამაშობენ (ზღვიდან დაშორებულ სოფლებში ასეთ კენჭებს კრამიტის ნატეხებისაგან გამოთლიან).

ყოველ მეხუთე კენჭს პაერში აისვრიან, ძირს დაცემამდე დაწარჩენ კენჭს სათითაოდ გააძვრენენ მარცხენა ხელის ცერსა და მაჩვენებელი თითისაგან მიწაზე გაკეთებულ ნახევარწრისებურ არეში, იმ გაანგარიშებით, რომ ქვეები ერთმანეთს არ მოხვდნენ, ან ხელიდან არ გაუვარდეთ. თამაშში მოგებული რჩება ის. ვინც თამაშს ჩაათავებს შეუცდომლად.

მილოზია. ეს თამაში საინტერესოა როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილთათვისაც. იღებენ დაახლოებით 30 სანტიმეტრი სიგრძისა და ორი სანტიმეტრი დიამეტრის ორივე მხარეზე, ერთიმეორის საწინააღმდეგოდ, ირიბულად წათლილ მილს. რომლის ერთი გვერდი გასწორებულია მიწაზე დასაყენებლად და ჩვეულებრივი ჯოხის დარტყმით გაისვრიან სხვადასხვა მანძილზე იმ ანგარიშით, რომ საწყისი ადგილიდან მოწინააღმდეგეები ოთხი გრძელი ნაბიჯით ვერ უნდა მიწვდნენ (მოთამაშენი გაყოფილი არიან ორ ჯგუფად). თამაშის დაწყების პირველი რიგის უფლების მოსაპოვებლად ბრტყელ ქვას (უმთავრესად ზღვის ქვას) ცალ მხარეზე ნერწყვით დაასველებენ, მეორეს კი მშრალად ტოვებენ, ქვას პაერში ააგდებენ; ძირს დაცემისას ორთავე მხარეებმა უნდა დაიძახონ: „სველი“ ან „მშრალი“, ვისი თქმაც გამართლდება, ის მხარე იწყებს თამაშს.

პირველი დაწყების ფიგურას ეწოდება: „ე წ ა მ ა ლ უ“, ე. ი. ჯოხის ერთი ბოლოთი მიწაზე დადებულ მილის გაქნევა. მეორე ფიგურაა „გ ო წ ა ჩ ა მ უ“ — ჯოხს ჯერ მიწაზე დადებულ მილს დაარტყამენ და პაერში ააგდებენ (დარტყმის დროს შეცდომის შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია თავიდან დაიწყოს), თუ სამჯერ დარტყმით მილი შორს ვერ გაისროლა, მოთამაშე ჩაჭრილად ითვლება (ქონიკვათუ).

„ენამალუ“-სა და „გონაჩამუს“ შვიდჯერ განმეორების შემდეგ იწყება შემდეგი მოქმედება: იუ — ჯოხის ერთი მხარის ხელში დაჭერით, ხოლო მეორე მხარის მალა აწევით ხელზე დადებულ მილს ჯერ ააგდებენ პაერში და შემდეგ ჯოხის ძლიერი დარტყმით შორს გაიქნევენ.

ქანქა. ჯოხის ზედა მხარეზე ხელის მოკიდებით მეორე მხარეს ძირს დაუშვებენ, ხელზე დადებულ მილს ააგდებენ ჰაერში და ჯოხის მეორე მხარის დარტყმით გაისვრიან.

„ქანქას“ შემდეგ შეუცდომლად „გოწაჩამუს“ შესრულება ეს იმას ნიშნავს, რომ მოთამაშეთა ერთი მხარე მოგებულა, მაგრამ სანამ ერთი მოთამაშე კიდევ არ გააკეთებს სამჯერ „ეწამალუს“ და „გოწაჩამუს“, მანამდე მოგებულნი მხარის წევრები (გარდა შემსრულებლისა) ითვლებიან „ლაკოტებად“ (ლეკვებად), რომლებიც გამოღვიძების, ანუ როგორც იტყვიან, „თოლი გონწყიმუს“ შემდეგ ლებულობენ მორიგეობით თამაშის უფლებას.

მილის გასროლისთანავე ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მოწინააღმდეგემ ჰაერში არ დაიჭიროს, რადგან მილის ჰაერში ყოფნის დროს დაქერა შემსრულებელს ჩაპრის (მეკვთუ), ხოლო მილის მიწაზე დაცემის შემდეგ ინერციით ჰაერში ავარდნის დროს დაქერას მოელის „ოქირუ“ (გაცივება), რისთვისაც მილის დამჭერი სირბილით უნდა მივიდეს თამაშის საწყისთან და დაქერილი მილი ჩაფლოს მიწაში ისე, რომ მოთამაშემ ჯოხის სამჯერ დარტყმის შემდეგაც მილი ჰაერში ვერ ააგდოს (ეს ადგილი საწყისიდან არ უნდა დაშორდეს ოთხი დიდი ნაბიჯით).


მილობიაში მოგება აღინიშნება თავისებური ქულით — „კიკილით“. წაგებული მხარე ცდილობს „კიკილის“ მოხსნას.

სიმღერა-შაირები. სიმღერებსა და შაირებს ლაზები ქორწილში ასრულებენ, ნაღსა და სადღესასწაულო მნიშვნელობის შეკრებულობაში (გარდა რელიგიურისა). თავმოყრა პერიოდულად ეწყობა ჩვეულებრივ დღეებშიც. ქალები და კაცები იკრიბებიან უმთავრესად მუხის ძირში „ჰყონიშ ჯა“ (ასეთი ხე თითქმის ყველა სოფელშია). ერთ-ერთ ტოტზე ჩამოკიდებენ მსხვილი ბაწრის საქანელას „ოკანწურე“ და მორიგეობით ჯერ ქალები, ხოლო შემდეგ მამაკაცები ქანაობენ.

მამაკაცების ჯგუფი მოშორებით დგება და იწყებს სიმღერა-შაირებს. ქალებიც შაირითვე პასუხობენ. ხშირ შემთხვევაში საპასუხო კუბლეტებს იმავე მომენტში თხზავენ. შაირობაში ვლინდება ქალვაყის სიყვარული, რაც უმეტეს შემთხვევაში შეუღლებით მთავრდება.

ცაკეები. ლაზური ცეკვებიდან აღსანიშნავია „ხორუმი“, „ოთი-რთინონი“, „მენჯელიში“, „მხუჯიში“ და სხვ.

ცეკვა „მხუჯიში“ (მხარს) ლაზური ხორუმის მეორე სახეობაა. იგი ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ ილეთები ფეხის დაბლა სივლით კეთდება, რადგან თუ თეული მოცეკვავის მხარზე დგას მეორე მოცეკვავე. მხოლოე შემდგარნ ხელების ერთმანეთზე გადაბ-მით ცეკვენ წონასწორობას. ამვე დროს სხვა მოცეკვავეებს ერთგვა-რად სოჭავენ აოთმევენ ილეთების თავისუფლად შესრულების საშუალებას.



ლაზური ხორუმი.

ამიტომ ილეთიდან ილეთზე გადასვლა ხდება ტანის თანაბარი მოძრაობით.


ორივე სახის ხორუმი სრულდება კიპონზე „ქემენჩზე“ და დო-ლზე, ზოგჯერ უნისტრუმენტოდაც. ამ შემთხვევაში ერთი ან ორი მო-მღერალი ჩადგება მოცეკვავეთა წრეში (ან წრის გარეთ) და ნელი ხმით მღერის: „უჩაბიკი“ (შავო ბიჭო), „თოლიმონი“ (მძივის თვალე-ბიანო) და სხვ.

ლაზური ხორუმის ცალკეული ილეთი გამოხატავს ნაოსნობას, რასაც ლაზები ყველაზე უფრო მისდევენ. ხოლო სიმღერები სიყვა-რულსა და ამასთან დაკავშირებულ სევდას (აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნის შემდგომ პერიოდში ლაზ მამაკაცთა საგრძნობი ნაწილი

ეკონომიური სივიწროვის გამო ოჯახს ტოვებდა და სამუშაოდ აფხაზეთში ან რუსეთში მიდიოდა. ახალდაქორწინებულთა და შეყვარებულ წყვილთა დაშორებით გამოწვეული სევდაა სწორედ ჩაქსოვილი ამ ჰანგებში.)

ხალხურ საკრავ ინსტრუმენტებიდან აღსანიშნავია ჭიპონი, დოლი, ქემენჩე (ქამანჩა). „კავალი“ (სალამური), „ოსტეინალე“ (სტვირი) და სხვ.

სატყორცნი იარაღები: „ოტკომალე“¹ (შვილდისარი). სამი სანტიმეტრის სისქის ფიცარს გათლიან ისე, რომ ქონდეს თოფის ფორმა (სიგრძე დაახლოებით ერთი მეტრი). ოღონდ ბოლო ნაწილს მოუშრგვალენ ოთხკუთხედი ფორმის ხერელის ამოსაქრელად.




1. ოტკომალე; 2. კომბალი — კეტი.

¹ მე-18 საუკუნის ლაზეთის ეთნოგრაფია თითქმის არ განსხვავდება საქ-ს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიისაგან. აღსანიშნავია, მხოლოდ ზოგიერთი იარაღის (შვილდისარი, ქვაშურდული და სხვ.) ხმარება, რომლებიც უკანასკნელ ხანამდე ძალაშია.

წინასწარ გამზადებული ერთი მეტრის სიგრძის ქსელად მდუნადი წყავის ჯოხს გაუყრიან ამ ხვრელში ისე მკიდროდ, რომ არ ექანებოდეს. ჯოხის ორივე მხარეებს შეაერთებენ ბაწრით, სროლისათვის მოსამზადებლად ბაწრის შუა ნაწილს მოსწევენ და ყონდახთან მიქედნილ კაკვზე წამოაგებენ. ჯოხი მოიღუნება. სასროლი ფიცრის ზედა მხარეზე — არხისებურ ქრილზე დადებენ ისარს, დაუმიზნებენ და თითოთ გამოუშლიან ჩახმახს. ბაწრის გათავისუფლებისთანავე ისარს გაისერის დანიშნულებისამებრ. გასროლის მანძილი დამოკიდებულია წყავის ხისაგან გაკეთებულ ზამბარის სიმაგრეზე, ოტკომალეს ხმარობენ მხოლოდ ჩიტის მოსაკლავად.

ქვაშურდული: ასევე იწოდება ქართულად იმ განსხვავებით, რომ სიტყვა „ქვას“ არ ხმარობენ. ქვაშურდულს ლაზები ამზადებენ კანათისაგან. ჯერ ბაწარს დაგრეხენ და ერთ ბოლოში გაუკეთებენ „კითიმ მოდვალუ“-ს (თითის გასაყრელს), ხოლო ბაწრის მეორე ბოლოს თავისუფალს, ოდნავ მსხვილს დატოვებენ, „მეშქვინუში“ (გასაშვები) ბაწრის შუა ადგილზე კი ბუდის მსგავს „ოქვალეს“ (საქვე) მიაქსოვენ. ქვაშურდულისათვის ქვებს ზღვის პირას აგროვებენ. სასურველია იყოს მრგვალი, სისქით კაკლის ოდენა ან უფრო ნაკლები.



ქვაშურდული.

სატყორცნად მომზადება შემდეგნაირად ხდება: თითოთ დასაკავებელ ბოლოს შუა თითზე წამოიცვამენ, გასაშვებ ბოლოს კი ცერითა და საჩვენებელი თითებით დაიჭერენ, ქვის ჩადების შემდეგ ქვაშურდულს მარჯვენა ხელით ატრიალებენ და მოხერხებისთანავე გაისერიან, იმავე მომენტში გაუშვებენ გასაშვებ ბოლოს და ქვა 300-350 მეტრამდე გაიტყორცნება.

აღნიშნულ იარაღს ამჟამად იყენებენ სიმინდის ყანებში; („კალივიში“) კარავში მყოფი ღამით ყანას ქვის სროლით იცავს ნადირისაგან.

ტირილი და გლოვა

„ღურა დო მგარა“. ლაზებმა ხანგრძლივი გლოვა იციან. გლოვის ხასიათი დამოკიდებულია მიცვალებულის ასაკზე. თუ კაცი 70-80 წელს გადასცილდა და გარდაიცვალა, ლაზების წარმოდგენით მათ დღე გაუთავდათ და „ეზრაილმა“ (ანგელოზმა) წაიღო მისი სული. ახალგაზრდის სიკვდილი ოჯახში დიდ მწუხარებას იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დაქორწინებული არ იყო, ან ვინმეს ხელით იქნა მოკლული.

მკვლევლობის მიზეზი მრავალია. ზოგჯერ ხდება უცაბედი მკვლელობა — „კეზათე“ (მარცხი), ზოგჯერ კი განზრახ.

მძიმეა აგრეთვე სულით ავადმყოფის მდგომარეობაც. ხალხის წარმოდგენით, სულით ავადმყოფის სხეულში დასადგურებულია ავი სული, რომელსაც ლაზურად „ფერი“ ეწოდება. სულით ავადმყოფს რომ „ფერი“ მოშორდეს და ავადმყოფი ავი სულებისაგან გათავისუფლდეს, ამისათვის „ჭინჯს“ (მკითხავს) მიმართავენ; „ჭინჯი“ ავადმყოფს შეულოცავს, სცემს და ათქმევინებს, თუ სად იმყოფება მისი „ფერი“ (ცოლი) იმ წუთში; სულით ავადმყოფი თითს საითაც გაიშვერს, „ჭინჯი“ იმ ადგილს თოფს ესვრის და ვითომ მოჰკლავს „ფერს“. გარდა ამისა, სულით ავადმყოფს გახურებულ ჯაჭვში გაატარებენ, რის შემდეგ გახურებულ ჯაჭვს და ქვებს ცხელ წყალში ჩაყრიან და მის ორთქლს ასუნთქებენ სულით ავადმყოფს.¹ ასეთი „მკურნალობა“ უმეტესად ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება.

მომაკვდავ ადამიანს მოკეთებები და ახლო ნათესაეები ღამეს უთევენ. ეს იმიტომ, რომ თუ მარტო დატოვეს „ჯენაზე“ (ცხედარი), მასში ავი სული დაისადგურებსო. მიცვალებულს მაშინვე ხელებს აქეთ-იქით (გვერდებზე) გაუსწორებენ, ფეხებსაც გაუსწორებენ და შემდეგ ქალები წივილ-კივილს მორთავენ. კივილზე სოფელი გაიგებს, რომ ვიღაც გარდაიცვალა. ჰირისუფალთან მისვლისას სამძიმარს ეტყვიან.

მიცვალებულს 24 საათს გააჩერებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ვინმე ნათესავი შორიდანაა ამოსასვლელი, რამდენიმე საათით კიდევ დაუცდიან. მიცვალებული შუა ოთახში ტახტზე ასვენია, ზედ თეთრი ზეწარი აქვს გადაფარებული; თავთან მშობლები უსხედან, ირგვლივ — დები და ახლო ნათესაეები. შორიდან მოსული მომტირალ-

¹ სულით ავადმყოფის მკურნალობის ასეთივე წესია გავრცელებული აჭარაშიც (იხ. ჯ. ნოლაიძე, ეთნოგრ. ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან, გვ. 35).

ნი კვილით შევლენ ოჯახში და ჩაეხუტებიან კირისუფალს, შემდეგ კუბოს მიუხსნებიან და მოთქმით ტირიან.

მეზობლები ასეთ დროს ერთმანეთს ძალიან შევლიან: რამოდენიმე მამაკაცი „ლექთი“-ის (საფლავის ხეების) თლას დაიწყებს, სამკაცს საფლავის გასათხრელად გაგზავნიან, დურგალი კი კუბოს აკეთებს. მათ კირისუფალი აძლევს გასამრჩელოს. რამდენიც უნდა მისცენ. ვაქრობას არ დაიწყებენ; თუ მიცვალებულის ოჯახს შეძლება არა აქვს. მაშინ ფულს სულ არ გამოართმევენ. მიცვალებულს კუბოთი მარხავენ, კუბოს სახურავს არ უკეთებენ, „ლექთს“ (გათლილ ხეებს) დააფარებენ.

მესაფლავეები წესისამებრ აღებული ზომის სიგრძეზე ამოთხრიან მიწას, შიგ თაროსმაგვარად გამოთხრიან, კუბოს შესადგმელად.

მიცვალებულს თბილი წყლით დაბანენ ტანს (ხოჯა ბანს). დაბანის დროს მიცვალებულს თავი ქიაბესაკენ (ქ. მექა) უნდა ჰქონდეს. შემდეგ მოატანიებენ მიტკლისაგან შეკერილ „ქეფინს“, სუდარას, რომელსაც წინდაწინ კერავენ და კუბოს გააწყობენ. მიცვალებულს კუბოში ჩაასვენებენ და შუა ოთახში დაასვენებენ. აქ ქალები ისევ იწყებენ მოთქმით ტირილს. ბოლოს მომტირალ ქალებს ცხედარს მოაშორებენ და მიცვალებულს მამაკაცები სასაფლაოზე წაასვენებენ. საფლავში ჩაუშვებენ, ზედ „ლექთებს“ დააწყობენ და მიწას დააყრიან. მიწას არ დატკეპნიან. საფლავზე თითო მეტრის სიგრძის სარს დაასობენ თავთან და ფეხებთან. ხოჯა მარჯვენა მხრიდან შემოუვლის და უკითხავს ლოცვებს. მუსლიმანური რწმენით, მიწის დაყრის შემდეგ მიცვალებულს ერთი წამით „სული უბრუნდება“, თავს ასწევს და „ლექთებს“ რომ მიართყაშს მაშინ მიხვდება, რომ მკვდარია. ამის შემდეგ სული ისევ შორდება და ცაში გაფრინდება. ლოცვის გათავების შემდეგ. მკვდართან მოდიან „ანგელოზები“ და „ცოდვა-მადლს“ გამოჰკითხავენ. თუ აღმოჩნდა, რომ მადლი მეტი აქვს ცოდვაზე, მაშინ მიწა გაიწევა და „ჯენენთში“ (სამოთხეში) წავა მიცვალებული, თუ არა და „ჯეპენენთში“ (ჯოჯოხეთში) მოექცევა. ხალხის რწმენით, სულით ავადმყოფები „არასათში“ (არც სამოთხე, არც ჯოჯოხეთი) მიდიან.

რელიგიური რწმენით, მიცვალებულის სული ერთი წლის განმავლობაში ყოველ ხუთშაბათს (უბკისერის) საღამოს მოდის ოჯახში. გარდაცვალებიდან 52-ე დამეს მიცვალებულის ხორცი და ძვალი ერთმანეთს შორდება. ამიტომ მიცვალებულის ოჯახი ხოჯას მოიწვევს და „დუას“ აკეთებინებს (შეალოცვინებს). ამასთან ყოველწლიურად იხდის „ჯანაშს“ (ქელესს) შეძლებისდაგვარად. წესად არის შემოღებუ-

ლი, რომ ლაზი უსათუოდ თავისი გვარისა და თავისი სოფლის სასაფ-
ლაოზე უნდა დაიმარხოს, თუ სადმე შორს გარდაიცვალა, მაინც მო-
ასვენებენ ხოლმე ძირითად საცხოვრებელ ადგილზე.

გარდა ამისა, ქელესთან დაკავშირებით, გზებზე: და მიცვალებუ-
ლის საფლავთან ყუთს ჩამოჰკიდებენ, რომელშიც ტკბილეულობას
ჩააწყობენ (ამ ტკბილეულობას გამვლელ-გამომვლელი ქამს). მიცვა-
ლებულის ოჯახში 3-4 დღის განმავლობაში საქმელი არ კეთდება: მე-
ზობლები უკეთებენ. ერთ წლამდე მსიარულობა არ იქნება. ოჯახის
არც ერთი წევრი არ მონაწილეობს ცეკვა-თამაშში და სიმღერაში. თუ
ქორწილის დღეებში ვინმე გარდაიცვალა სოფელში, ქორწილს გადა-
დებენ. არის შემთხვევა, როცა გარდაცვალებულს მთელი სოფელი
გლოფობს. გარდაცვალებულის ტანსაცმელს ლარებებს ურიგებენ.

ცრურწმენები. ლაზეთში ისტორიულ წარსულში ორი საოწმუ-
ნობრივი მოძღვრება იბრძოდა: ქრისტიანობა და მუსლიმანობა. თი-
თოეულმა მათგანმა ღრმა კვალი დატოვა ლაზთა ზნე-ჩვეულებებში.
მავნე გადმონაშთები დღესაც შემორჩენილია ცრუმორწმუნეობის სა-
ხით. ზედმეტი არ იქნება მოკლედ შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

„წანაღანი“¹ (ახალი წელი). ახალი წლის წინა დღით მეზობლები
შეთანხმდებიან, რომ ერთმანეთის სახლებში მისალოცად (მეკვლედ)
გაგზავნონ ლამაზად მორთული გოგონები. ახალი წლის დილას ახალ
ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები დილაადრიან მივლენ მეზობ-
ლის ოჯახში და მიულოცავენ ახალ წელიწადს. დიასახლისი მათ ტკბი-
ლეულობით უმასპინძლდება.

ზოგჯერ ასეთ მეკვლედ დიასახლისი თავისი ოჯახის წევრს აირ-
ჩევს, რომელიც დილით ადრე ადგება, ფანჯრიდან გადავა, შეჰდგ
კარებიდან შემოვა და ოჯახს მიულოცავს ახალ წელიწადს; მასაც
ტკბილეულით უმასპინძლდებიან.

მეკვლე გოგონას თეთრი ტანისამოსი უნდა ეცვას — ოჯახში
რწყილი არ იქნებაო. თუ ამ სუფთად გამოწყობილსაც სხვამ, ბინძუ-
რად ჩაძულმა მოასწრო და შემოვიდა ოჯახში, მაშინ არაფერს მის-
ცემენ, რადგანაც ეს იმის ნიშანია, რომ იმ წელიწადს ოჯახში ბევრი
რწყილი იქნება.

ახალ წელიწადს ლაზები ოჯახიდან არაფერს გასცემენ, რადგა-
ნაც მათი რწმენით „ბერეკეთი“ (ხვაფი, ბარაქა) გაჰყვებაო. ყველა
ცდილობს ამ დღეს რაიმე ახალი შეიტანოს ოჯახში. გარდა ამისა, ახა-
ლი წლის დილით ოჯახში ხბოს ან თხას შემოიყვანენ და ღომის მარ-

¹ ახალი წლის („წანაღანის“) დასაწყისად ლაზები სთვლიან იანვარს. მაშინ
როდესაც მუსლიმანური სარწმუნოებით ახალი წელი მარტიდან იწყება.

ცვალს დააყრიან, — ასე გამრავლდესო. ამ დღეს თუ ვინმეს გველი შეხვდა და მოკლა, ეს იმის ნიშანია, რომ ოჯახი იმ წლის განმავლობაში მტერზე ყოველთვის გამარჯვებული იქნება. ახალ წელს ნაგავს გარეთ არ გაიტანენ.

„მწკირიშ ოყვარუ“. ახალი წლის დილით ოჯახის დიასახლისი „მწკირიშ ოყვარუ“-ს შეუდგება. ამას ასე ასრულებენ: დიასახლისი ცოცხს აიღებს და ქერში ავა, მეორე კი დაბლა დარჩება. დიასახლისი ქერის დაგვას დაიწყებს. დაბლა მდგომი შეეკითხება. „ექ მუ იქით?“ (მანდ რას აკეთებ?) ის უპასუხებს: „მწკირი ბყვარუე“ (ოწყილს ვასა-ქურისებ). ასე გაიმეორებენ სამჯერ. ქერის გასუფთავების შემდეგ დიასახლისი დაბლა ჩამოვა. რწყილის „ოყვარუ“ გაზაფხულის პირას აპარაში იცოდნენ. რწყილს რომ არ ემრავლა, აპარელი გლეხი მართის პირველ რიცხვებში ასრულებდა¹ რწყილის გადალოცვასაც და დაყვერვასაც. საყურადღებოა, რომ სამეგრელოშიც არსებობდა ანალოგიური წესი, რომელსაც „წყირიში ჰოფუა“ ეწოდებოდა.²

გრიგალის მოჭრა („ზიფოზიში მეჭკირუ“). შეატყობს თუ არა ლაზი „ზიფოზის“ (გრიგალის) ზღვაზე მოძრაობას. მამინვე აცნობებს მისი მოჭრის მცოდნეს. მომჭრელი დანას ამოიღებს. ხელში დაიქერს და სამჯერ შეულოცავს, მერე დანას გაიქნევს და იტყვის: „იარებში ქესმექებენდენ რას გეთურმექ სენდენ“, მათი რწმენით, ამგვარად გრიგალი იკარგება.

გვალვის წინააღმდეგ ლაზები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. მაგალითად, ლაზეთის სოფელ აზლალაში არის ერთი მთა, რომელსაც „ოხვამე“ (სალოცავი) ეწოდება. აქ მადლიანი პირები ადიან და ლოცულობენ, — ამით წვიმა მოვაო. ამ ხერხს მიმართავენ სხვა სოფლებიც. იციან აგრეთვე მარმარილოს ქვის ნატეხის ჩაგდება წყალში.

ლაზობა („ხცალა“) 30 ივლისიდან იწყება და 8 აგვისტომდე (ძველი სტილით 18 ივლისიდან 21 ივლისამდე) გრძელდება. ამ რიცხვებში ტანისამოსს არ გარეცხავენ — დალპებო, არ იბანენ ტანს ზღვაში — კაცი აჭრელდებაო. არც ბოსტანში გადიან, თუ წინდაწინ სპილენძის ჭურჭელი არ არის დადებული. ამიტომ „ხცალას“ მოახლოებასთან ერთად, ყანასა და ბოსტანში სპილენძის ჭურჭლებს დადებენ. ხალხის რწმენით, ამ რიცხვებში ერთგვარი თბილი ქარი ვაივლის

1 ქ. ნოღაძე დ. ლი, ეთნოგრაფიული ნარკვევა აჭარელთა ყოფაცხოვერებიდან, 1935 წ. 83. 41.

2 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 313.

ერთი წუთის განმავლობაში, მაგრამ დანამდვილებით არ იციან, თუ რომელ დღესა და რომელ საათში მოხდება ეს.

ნადირის დაკოჭვა. დარჩება თუ არა საქონელი გარეთ, ლაზი მაშინვე დაიწყებს მის ძებნას. თუ ვერ იპოვის, „ჯინჯთან“ გაიქცევა და ნადირისათვის „შეაკვრევენებს პირს“, რომ მისი საქონელი არ შექამოს. ნადირის პირის შეკვრა შემდეგნაირად ხდება: ამოიღებენ შავტარიან დანას ბუდიდან და დაიწყებენ „ვეშემსუს“¹ (შელოცვას), რის შემდეგ დანას უკულმა ჩასდებენ ბუდეში. ნადირი იმ საღამოს საქონელს ვერ შექამსო.²

ნადირის პირის შეკვრა კიდევ იმისათვის ხდება, რომ გლეხს ყანაში ჭყინტი სიმიინდი არ შეუქამოს. „ჯინჯი“ — ამ წესით მხოლოდ თავისი ყანისათვის შეუკრავს პირს. საკმელად სხვისი (მეზობლის) ყანა უნდა უჩვენოს. ზღვის კენჭებზე წერენ სხვადასხვა შელოცვას და ამ კენჭებს ყანის ოთხსავე კუთხეში დამალავენ, — ნადირი ყანას არ მიეკარებაო.

კრუმორწმუნე ლაზები კვირის დღეებს სამეურნეო საქმიანობისათვისაც განასხვავებენ.

მაგალითად, კვირას თვლიან ღვთის დღედ, ხის დარგვისა და სახლის მშენებლობისათვის კარგ დღედ; ორშაბათი — მგზავრობისათვის, მუშაობისათვის, ბარაქის დღეა; სამშაბათი — არეულობისა და ომის დღეა; ოთხშაბათი — უმნიშვნელო დღეა; ხუთშაბათი — ნივთის გაცემისა და პატივისცემის დღე არ არის, ხოლო რაიმე საქმის დაწყებისათვის მიღებული დღეა; პარასკევი — ლოცვის დღეა; ჭრა-კერვა არ შეიძლება; შაბათი კი — მუშაობისათვის კარგი დღეა.

დღეების დასახელება

ქართული

კვირა
ორშაბათი
სამშაბათი
ოთხშაბათი
ხუთშაბათი
პარასკევი
შაბათი

ლაზური

მეორაჩხა-მეაჩა (მზის დღე)
თუთაჩხა (მთვარის დღე)
იკი-ნაჩხა (ნაკიანი დღე)
ჯუმაჩხა (ძმობის დღე)
უმკისერი (მოკლე ღამე)
პარასკე
საპატონი

მეგრული

ჯაშხა
თუთაშხა
თახაშხა
ჯუმაშხა
ცაშხა (ცის დღე)
ობიშხა
საპატონი

1 ვეშემსუს — არაბული ლოცვის თავი.

2 საყურადღებოა, რომ ნადირის დაკოჭვის ასეთი წესი გავრცელებული იყო მთელს საქართველოში.

მარილიანი კვერი („ჰიქიკერი“).¹ შეიყრება რამდენიმე გასათხოვარი ქალიშვილი (მათი რიცხვი კენტი უნდა იყოს), ერთ მათგანს დაევალება შვიდ სხედასხვა ოჯახში მოიპაროს მარილი. ამ მარილით მჭადის ფქვილს მოზელენ, სათითაოდ გამოაცხობენ კვერს (კვარი), შექამენ და დაიძინებენ. სიზმარში თუ წყალი თავისი ხელით დალია ან ვაჟმა მიაწოდა, ცუდი ნიშანია, ხოლო თუ წყალი უცხო ყმაწვილმა მიაწოდა, ის იქნება მისი ბედი (საქმრო), თუ ვაჟი მეზობელი სოფლიდან არის, ქალთა შეეცდება მასზე გათხოვდეს, ხოლო თუ ვაჟი უცნობია, მაშინ ქალი სხვა (შორეული) სოფლიდან ელოდება საქმროს. ასეთივე ე. წ. „ბედის კვერის“ გამოცხობა გავრცელებული იყო მთელს საქართველოში, როგორც ბარში, ისე მთიან რაიონებში.

ამავე მიზნით აკეთებენ „მარქვალს ქვერის“. ქალიშვილები შეიკრიბებიან, კვერცხებს დათქვეფენ, მარილს დააყრიან. შეწვავენ, გზაჯვარედინზე წაიღებენ, ჩუმად შექამენ, შინ დაბრუნდებიან და დაიძინებენ. ძილის წინ ღმერთს შეევედრებიან: ღმერთო, საქმრო მაჩვენეო.

ჭინკა — ფერიის მოკვლა. ლაზებს სწამთ ჭინკებისა და ფერიების არსებობა. მათი წარმოდგენით, ისინი წყლის პირას (სასაფლაოს მახლობლად) ბინადრობენ. ვისაც ჭინკა ან ფერია მოელანდება ავად ხდება.

შეშინებულის მოსარჩენად ასეთ საშუალებას მიმართავენ: გაგზავნიან მამაკაცებს, რომლებსაც მოაქვთ შვიდი წისქვილის ბორბლიდან ამოღებული შვიდი ჭიქა წყალი. ამ წყალს გახურებული კერიის თავზე (ქვაზე) დაასხამენ. ავადმყოფმა მისი ორთქლი უნდა შეისუნთქოს („მენკომუ“). ამავე დროს კერიიდან მოხსნიან დაკიდულ ჭაქვს („კრემულს“) და ირგვლივ შემოატარებენ შეშინებულს, ე. ი. წრისებურად გამართავენ იატაკზე და შუაში ავადმყოფს ჩააყენებენ.²

თუ ამან ვერ უშველა, მაშინ მკითხავს ან ხოჯას მიმართავენ. ხოჯა ცდილობს „ნუსხის“ წესით უმკურნალოს ავადმყოფს; „ფერიის მოკვლის“ მიზნით იგი ზოგჯერ სანადირო თოფს აიღებს და გაისვრის, აგრეთვე დანასაც იქნევს ავადმყოფის დასანახავად და სხვ.

კაბის „გამოკოჭვა“. გაზაფხულზე. მარტისა და აპრილში. მოულოდნელად ამოვარდება ხოლმე სამხრეთ-დასავლეთის ქარი, რომელსაც ლაზები „ლოდოზს“ ეძახიან („ლოდოზიშ ობარე“). მეთევ-

¹ ჩვეულებრივად კვერს ლაზები „კვარს“ უწოდებენ. ხოლო ამ შემთხვევაში ამბობენ „ჰიქიკერს“.

² გახურებული ჭაქვით აქარლები მკურნალობდნენ „გოგოთი“ დაავადებულებს (იხ. ჯ. ნოღაიდელო, ეთნოგრაფიული ნარკვევ. გვ. 11-12).

ზეებისათვის ყველაზე საშიშია ეს ქარი, რომელიც მათ დიდ ზიანს აყენებს. ამიტომ როდესაც ეს ქარი ამოვარდება და მეთევზეები ზღვაში იმყოფებიან, მათი ცოლები ან ნათესავები ასეთ საშუალებას მიმართავენ: დედ-მამის პირველ ქალიშვილს (მიუხედავად ასაკისა) ავალებენ თავისი კაბის ერთი ბოლო „გამოკოჭოს“, ე. ი. გამოკვანძოს და თან სამჯერ თქვას: „ლო რ მო თ ი, ბ ა რ ვ ა ქ ა მ ე კ ვ ა თ ი“ (ღმერთო, ქარი შეწყვიტე).

ცრუმორწმუნე ადამიანს ლაზეთში დაცდილი ქონდა ამა თუ იმ მოვლენის აკარგიანობა და ამის მიხედვით იგი წინასწარმეტყველებდა. ჩვენ მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს:

ძაღლის ტირილისებური ყმუილი („ჯოლორიშ ომგარუ“). თუ ძაღლმა გაბმული ყმუილი დაიწყო, პირველ შემთხვევაში გაუჩავრდებიან, მეორე და მესამე შემთხვევაში მოკლავენ, რადგანაც მათი რწმენით ძაღლის ყმუილი ცუდის მომასწავებელია, ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილის მოახლოებას ნიშნავსო.

მამალმა ტურამ („ლაპარდე“) თუ იჩხავლა, ცეცხლზე მარილს დააყრიან, რომ ამით ოჯახს ადამიანის სიკვდილი ააცდინონ.

კოდალა („კიდი“) თუ დამარცვლით დაიძახებს „ტიკ-ტიკ-ტიკს“, მაშინ იტყვიან: „თისქანიშენ მო გამახთას“ (თავიდან ნუ აგცდებო) და თუ ჩქარ-ჩქარა დაიძახა, მაშინ ეტყვიან: „პიჯისქანის შექერი“ (შენს პირს შექარიო).

მამალმა თუ ნასადილევს (საღამომდე ორი საათი რომ დარჩება) ან და შუალამეზე იყივლა, იტყვიან, ომი იქნებო.

დედალმა თუ ყივილი დაიწყო, დაკლავენ და სამჯერ გადაისვრიან სახლის სახურავიდან; მერე შეუძლიათ ჭამონ.

მთვარის დაბნელებას მზესთან ჩხუბით ხსნიან და ლოცვას დაიწყებენ, რომ ჩრდილი მოშორდეს მთვარეს.

თუ კაცი ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა, იმას იმ ღამეს არ დააძინებენ, მის სახლში დიღამდე ცეკვა-თამაში გაიმართება; იგივე მეორდება მეორმოცე დღესაც, ამის შემდეგ იგი აღარ გაცოფდებაო.

პოტის ძახილზე, თუ იგი წვრილი ხმით იძახის, იტყვიან: — ორსულ ქალს „ბიჭი ეყოლება“.

ბუს („ოლოლის“) დაძახებაზე, თუ იგი გრძლად დაიძახებს — „ეუუუ“, იტყვიან ვიღაც მოკვდებაო, ხოლო თუ მოკლედ დაიძახებს „კუ“, — ვინმე ავად გახდებაო.

2. ხაღხური სიტყვიერება

ლაზური ხაღხური ზეპირსიტყვიერება დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. ენათმეცნიერებმა მხოლოდ 1910 წლიდან, ზანური ენის შესწავლასთან დაკავშირებით. დაიწყეს ლაზური სიტყვიერების ტექსტების ჩაწერა; ამ ტექსტების ნაწილი გამოქვეყნდა.¹ ტექსტები ლაზურად არის დაბეჭდილი.

ჩვენი მიზანია ქართველ მკითხველს გავაცნოთ ლაზური ხაღხური სიტყვიერების ნიმუშები — არაკები, ანდაზები, გამოცანები, შიორები და სხვ., ლაზურადაც და ქართულადაც.

ა რ ა კ მ ბ ი²

„ბაბაში ნენა“ (მამის სიტყვა)

ერთი კაცი რომ კვდებოდა, შვილს მიმართა: სამი სიტყვა უნდა ვითხრა და ის არ გააკეთო. ერთი, — ახალნახულს ფული არ გამოართვა. მეორე — მთავრობის კაცთან მოყვრობა არ გააბა, მესამე — ქალს საიდუმლოს ნუ გაანდობო.

შვილმა დაუჯერა. მამა მოკვდა.

შვილმა თქვა: ერთი უნდა ვცადო მამის სიტყვა. ვნახო რა იქნებაო.

წავიდა ტყეში, ერთი თხა დაკლა, ტომარაში ჩააგდო და ჩამოიტანა. ცოლმა კითხა:

— ეს რა არისო?

— ერთი კაცი შემომაკვდა და აქ უნდა დავმარხოო.

სახლის ქვეშ დავმარხოთო — უთხრა ცოლმა.

ამოთხარეს ორმო და ჩამარხეს. ეს კაცი მერე მთავრობის კაცს დაუპეგობრდა; ახალ ნახულსაც ფული გამოართვა. ცული რამ არც ერთისაგან არ შემთხვევია. მამაჩემმა ეს სიტყვები ტყუილად მითხრა. ცოლს საიდუმლო საქმე გავანდე და არაფერი ცული ამ საქმეებით არ მინახავს. მოდი ერთი, ვცდი, ცოლს გულს მოვავყვანიებ, ვნახოთ რას იზამსო.

ერთ დღეს ცოლი გალახა. ცოლი კვილით გაიქცა ხოჯასთან და უთხრა: ჩემმა ქმარმა კაცი მოკლა და სახლის ქვეშ დამარხაო. ხოჯამ „ზაფთირეს“ (პოლიციელს), რომელთანაც ის კაცი მეგობრობდა უბ-

1 ქანური ტექსტები, თბ., 1929 წ., ს. 129-130, ქანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938 წ.

2 ჩაწერილია სარაფში.

რძანა: ხელები მაგრად შეუჯარი თოკით და წაიყვანეო. კაცმა შეეხვეწა: შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ, ცოტა მოუშვი თოკსო. პოლიციელი გაუჩავრდა: ჰაი, შე ღორო, შენა, მოსაკლავი ხარო!

გზაზე ის კაცი შეხვდა, რომელსაც ფული გამოართვა. დაინახა თუ არა ხელებშეკრული ეცა:

— სად მიღიხარ, შენ ციხეში მიხვალ და მე ფული დამეკარგება. ჩქარა ჩემი ფული მომეცი და მერე წადიო. ამან უთხრა: ახლა ფული არა მაქვს, ყაღდაწი მივდივარ და რომ დავბრუნდები, მოგცემო.

— არა, არ შეიძლებაო, — უპასუხა მევალემ და თვითონაც წაჰყვა.

მივიდნენ ყაღდაწი: კაცი რად მოჰკალიო ჰკითხა. არ მომიკლავსო უპასუხა მან. როგორ თუ არ მოგიკლავს, შენმა ცოლმა თქვაო. კაცმა უამბო: მამაჩემმა ანდერძად სამი სიტყვა დამიტოვა. ამის გამოსაცდელად თხა დავკალი, ტომრით ჩამოვიტანე, დავმარხე. მთავრობის კაცთან იმიტომ გავხდი მეგობარი და ახალნახულსაც ფული იმიტომ გამოვადრთვი. ცოლი განგებ გავლახე, აბა თუ იტყვის საიდუმლოდ განდობილო საქმეს-მეთქი, და მართლაც თქვა. ზაფთირემ დოსტობა სულ დაივიწყა, ხელზე ისე მომიჭირა, რომ ახლაც მტკივა. ახალნახული კი ფულის გულისათვის მომდევს, აგერ არის. იმას ეგონა, რომ ციხეში მივდიოდი. ახლა კი დავრწმუნდი რომ მამიჩემის ანდერძი ბრძნული ყოფილაო.

ყადი ადგა და ამ კაცის სახლში წავიდა; ამოთხარეს ის ორმო და ნახეს, რომ მართლაც თხა იყო დამარხული.

— აფერუმ² ბაბაშენსა, რა მართალი უთქვამს. აწი მაინც არ უღალატო და შეასრულე მამის სიტყვები. განსოვდეს და არასდროს არ დაივიწყოო, — უთხრა ყადიმ.

„პატი ჩილი“ (ცუდი ცოლი)

ჩილიქ (ცოლმა) თავის „ქიმოლის“ (ქმარს) უთხრა:

კაცს გლახა ცოლი ნუ შეხვდება, თორემ ბევრ რაშე ცუდს დამართებსო.

— ეჰ, რა შეუძლია ქალს ისეთიო, — უთხრა ქმარმა.

— კაცო, ჯერ შენ არ იციო.

ქალმა იფიქრა, ამას ერთი რაიმე ოინი უნდა გავუკეთოო.

1 ყადი — სასულიერო პირი — მოსამართლე.

2 აფერუმ — ყოჩაღ (თურქულია).

მეორე დღეს ყანაში რომ წავიდნენ სამუშაოდ, ქალმა ქმარს უთხრა: აგერ კუთხეში მივალ, საქმე მაქვსო.

— ვოოჰაო, და ხარები გააჩერა.

ქალი მივიდა ღელესთან, რამდენიმე თევზი დაიჭირა და კალათში შეინახა და ქმარს უთხრა: აბა, დავიწყეთ მუშაობაო. დავიწყეს ხენა. ცოლმა კვალში თევზები ჩაყარა. ბოლოში რომ გავიდნენ. კაცმა ხარები მოაბრუნა და გაირეკა. ცოტა რომ წინ წაიწიეს, კაცმა დაინახა თევზები. აკრიფა და ქალს უთხრა: წადი, შეწვი და ვკამოთო.

ქალი წავიდა. თევზები დაამარილა და შეინახა. ცოტა ხნის შემდეგ კაციც მივიდა. სუფრა გაშალეს. კაცმა თევზი მოითხოვა. ქალმა უთხრა: გადაირიე თუ? თევზი სად იყოო. კაცს გაუკვირდა: როგორ თუ სად იყო, ყანას რომ ვხნავდით, ხომ ვნახეთო? მე არ ვიცი თევზი სად იყოო. — მიუგო ქალმა.

კაცმა ცოლს ცემა დაუწყო, — სად წაიღე თევზიო. ქალმა კვილი მორთო. მოვიდა „მუხთარი“ (სოფლის უფროსი). ქალმა მას შესჩივლა: ეს კაცი მეუბნება, ყანაში „ჩხომი“ (თევზი) მოვაგროვე, სად წაიღეო და მცემს.

„მუხთარმა“ იფიქრა, ეს კაცი გადარეულაო, დაუძახა ქანდარმს და წაიყვანა.

გამომძიებელმა ჰკითხა: რა მოგივიდაო? კაცმა უპასუხა: ყანაში თევზი მოვაგროვე, ცოლს მივეცი შესაწვავად, მერე რომ მოვთხოვე, სად არის თევზი-მეთქი, ასე მითხრა: სად იყო თევზიო? ამაზე ჩხუბი მოგვივიდა და დამიჭირესო.

„მუსთენდიკმა“ (გამომძიებელმა) თქვა: ეს კაცი გადარეულა, წაიყვანეთ და 30 ბიგა (ჯოხი) დაარტყითო. ასეც ქნეს.

ერთი საათის შემდეგ კიდევ მოიყვანეს გამომძიებელთან. კიდევ ჰკითხა რა მოგივიდაო. ამ კაცმა ისეთივე პასუხი გასცა, როგორც წინათ. გამომძიებელმა ბრძანა: წაიყვანეთ და ციხეში დაამწყვდიდეთო.

წაიყვანეს. პატიმრებს გაუკვირდათ ეს კაცი ჰკვიანია და გადარეულად რად სთვლიანო?!

ერთმა მათგანმა ჰკითხა: რა მოგივიდაო? ამ კაცმა იმასაც ისე უთხრა.

— კი მაგრამ ვერ უთხარი, ყანაში კი არა ღელეში დავიჭირეო? კიდევ რომ გამოიძახეს ეს კაცი, გამომძიებელს უთხრა: თევზები ღელეში დავიჭირეო.

ჰოო, ახლა მოჰკვიანებულა, გაუშვითო, — თქვა „მუსთენდიკმა“ და გაუშვეს.

ბავშვმა გზაზე მომავალი მამა რომ დაინახა, გამოიქცა და დედას

შეატყობინა. დედამისმაც სუფრა გაშალა, თევზიც შეწვა და სუფრაზე დადო.

მოვიდა შინ კაცი და სუფრაზე რომ თევზი ნახა, თქვა: ამან, 30 ჯოხი მაჭამა, წაიღეთ, ამას არასდროს არ შეეკამო.

— ხომ ხედავ, ქალმა თუ მოინდომა, რის გაკეთება შესძლებიარ — უთხრა ცოლმა.

„ხოჯა ნუსრედინის ბაბა ღულუჩუ“ (გოლა ნუსრედინს მამა მოუკვდა)

ერთ დღეს ხოჯა ნუსრედინი საყავეში („კავეშა“) შევიდა. მას უთხრეს:

ხოჯა, ხოჯა! აბა მოუფიქრებლად ტყუილი სთქვიო. ხოჯამ თქვა: თქვენ მასხრობთ და მე კი თავზე ცეცხლი მეკიდებარო. მამა მომიკვდა და რა უნდა ვქნა არ ვიციო, დასაკრძალავი ფული არ მაქვსო.

ხოჯას უთხრეს: გეხუმრეთ, ჩვენ არ ვიცოდით, გვაპატიეთო.

ყველამ თითო ლირა აჩუქა და ხოჯას 15 ლირამდე შეუგროვდა.

ხოჯამ ამ ფულით თავის მამას პალტო უყიდა, ჩააცვა და საყავე-

ში წაიყვანა.

კაცებმა უთხრეს: მამაშენი არ მომკვდარა და ტყუილი რატომ თქვიო?

ხოჯამ უპასუხა: რომ არ მოიფიქრებ და ტყუილს იტყვი, ასე იქნებარო.

„ჯუჯუ ღოთასუ“ (მარილი დათესა)

წინათ ნოღედში¹ ერთი კაცი ყოფილა, სახელად დიდი ხუსეინი. მან თურმე მარილი დათესა. არ ამოვიდა. სხვებმა უთხრეს: რალაცა სჭამს და იმიტომ არ ამოდის მარილიო.

„ტოფელი“ (თოფი) აიღეს და წავიდნენ. ნახეს, რომ „კოლი“ (კალია) დახტის. დაედევნენ. ერთი კალია აფრინდა და ერთს თავზე დააჯდა. ამან დაუსტვინა და თითით ანიშნა, თავზე მტერი მაზისო. მისმა ძმამა თოფი დაუმიზნა კალიას და ესროლა. ძმა მოკვდა და კალია გაფრინდა.

უკუუბამ ასე იცის.

¹ ნოღედი — სოფელი.

„იალი ოსომინაუს“ (კარაქს ახმობს)

ერთ აპარელს ცხენით „იალი“ (კარაქი) მიჰქონდა ბათუმში გასაყიდად. თურმე გზაში ძალიან ცხელოდა და „იალი“ გამდნარა. აპარელმა გუდა გაშალა, გავახმობო. ცხენიც იქვე დააბა და თვითონ სალოცავად წავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა და ნახა, რომ „იალი“ აღარ არის. სულ დამდნარა და დაღვრილა: მივიდა ცხენთან და ჰკითხა: ჩემი იალი შენ შექამე?

ცხენს თურმე ცხვირთან „მჭაჭები“ (ბუზები) ასხდნენ და თავი დეუქნია. აპარელი გაჯავრდა: იალი შემიქამე და თავსაც მიქნევო. ესროლა თოფი და მოკლა ცხენი. ორივე მხრივ ზარალი ნახა.

„შეითანი დო ლაზი“ (ეზმაკი და ლაზი)

შეითანმა ვისაც არ ეჩხუბა, ყველას აჯობა. ლაზმა უთხრა: მოდი ერთი, ჩემთანაც იჩხუბე, ვინც დამარცხდება ქალამანი უკუღმა ჩაიცივასო.

შეითანი დათანხმდა და ლაზს უთხრა: ჯოხები მოიტანეო. ლაზი წავიდა და ერთი გრძელი და ერთი მოკლე ჯოხი მოიტანა.

შეითანი ბედელში იყო. ერთი ჯოხი მე მომეცი, მოდი და აქ ვიჩხუბოთო, — უთხრა ლაზს.

ლაზმა გრძელი ჯოხი მისცა. დაიწყეს ჩხუბი. შეითანმა გრძელი ჯოხი ვერ მოატრიალა, ლაზმა კარგად ატრიალა მოკლე ჯოხი და შეითანი გალახა.

შეითანმა თქვა: ქვეყანაზე ყველაფერი წყვილია, და ჩვენც ორჯერ უნდა ვიჩხუბოთო, მხოლოდ ჯოხები შევცვალათო.

ლაზი დათანხმდა, მოკლე ჯოხი მისცა შეითანს და გრძელი გამოართვა. გამოვიდნენ გარეთ. ლაზი გრძელი ჯოხით მოერია შეითანს, იქაც გალჯხა და უკუღმა ჩააცვა ქალამანი.

შეითანმა თქვა: ჩემი თავი. შეითანი მეგონა, მაგრამ ლაზი შეითანზე უფრო შეითანი ყოფილაო.

„ამო ყვალნი მუშენი მომჩაჟან“ (ამდენ ყველს რატომ მაძლევინ?)

თაგვს უთხრეს: შენი სოროდან გამოდი, მეორეში შედი და ერთ გუდა „ყვალის“ (ყველს) მოგცემთო.

თავგამა იფიქრა: აქ გამოვიდე, იქ შევიდე ეს ნამეტანი პატარა ადგილია და ამაში ერთი გუდა ყველს რაზე მაძლევენო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა სოროდან სულ აღარ გამოსულიყო.

„ეშუმლიშ ნენა იჯერს“ (ვირის სიტყვა სჯარა)

ერთ ღღეს ხოჯასთან „მანძაგერე“ (მეზობელი) მივიდა და ვირი სთხოვა.

ხოჯამ უთხრა: ჩემი ვირი „ეშუმელი დოღურუო“ (მოკვდაო).

მეზობელმა წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს ვირმა დაიყროყინა. მეზობელი ხოჯასთან დაბრუნდა და უთხრა: ტყუილი რად მითხარი, შენი ვირი არ მომკვდარაო.

ხოჯამ უპასუხა: „სი მუფერ კოჩი რე ეშუმელიშ ნენა იჯერდო ჩქი-ში ნენა ვარ იჯერი“. (რა კაცი ყოფილხარ, რომ ვირის სიტყვა გჯერა და ჩემი არაო).

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი¹

1. იულუნ გიულუნ ცას ახვამენ — „ონჩამორე“.
(ადის, ჩამოდის ცას ევედრება — საცეხველი).
2. ხეშ გურის ირდენ (ხელის გულში იზრდება — მურგი).
3. ნეკნაკალა თი უძინ, ღუნიაშ არდის კუდელი.
(კართან თავი აქვს, ქვეყნის ბოლოს კუდი — გზა).
4. უჩა იმხორს ზოი დიმღორს — „ტოფელი“.
(შავსა სკამს, ხმამაღლა ბღავის — თოფი).
5. კუდელ ხაშარი თი მანგანა.
(კუდი სარს უგავს, თავი უროს — ცხენი).
6. ათხო კოჩიქ არ კუის წკარი დოღობუბს — „ფუჯიშ ბუძი“.
(ოთხი კაცი ერთ ორმოში წყალს ასხამს — ძროხის ძუძუ).
7. უჩა ფუჯის მჭითა გენი იწუხენ — „დაჩხირი“.
(შავ ძროხას წითელი ხბო უზის დაბლა — ცეცხლი).
8. გაღე თასი, დოღოხე ატლასი — „მარქვალი“.
(გარეთ თასი, შიგნით ატლასი — კვერცხი).
9. არ თხა მიყორუნ, ირიქ იჯერს მუში ნენა — „ოკა“.
(ერთი თხა მყავს, ყველა მას უჯერებს — სასწორი).

¹ ჩაწერილია სოფ. სარფში.

10. გერმაშა ულუნ ლალუფს, ლალუფს, მულუნ ოხორიშა დო ქოდინჯირს — „არგუნია“.
(ტყეში მიდის ყეფს, ყეფს, წამოვა სახლში და დაწვება — ნაჯახი).
11. ალთუნიში არაბა, გიუმშიში დარაბა, თერაზითენ ვარ იწინენ, ბაზარის გამიჩენ — საათი.
(ოქროს ურემი, ვერცხლის კედელი, სასწორით არ იწონება, ბაზარში იყიდება — საათი).
12. თოფურიშენ ლოყა, შექერიშენ ლოყა, თერაზითე ვარ იწინენ ბაზარის ვარ გამიჩენ — „ნჯირი“.
(თაფლზე ტბილი. შაქარზე ტბილი, სასწორით არ იწონება, ბაზარშიც არ იყიდება — ძილი).
13. ქვამენ რენ, ჯამენ რენ, ნა იმხორს ცომი რენ, დუნია ალემი იძღენ, მუქ ვარ იძღენ — „მსქიბუ“.
(ქვისაა, ხისაა, რომ სკამს ცომია, მთელი ქვეყანა ძღება, თვითონ კი არა — წისქვილი).
14. თოკი გუინზდენ, გენი ირდენ — „ყოყორე“.
(თოკი გრძელდება, ხბო იზრდება — გოგრა).
15. არ იეშილი სანდული რენ, სანდულიშ დოლოხე კუთი რენ, კუთიშ დოლოხე მუქთი რენ — („კაკალი კოპერითე“).
(ერთი მწვანე ზანდუკია, ზანდუკს შიგნით კოლოფია, კოლოფში თვითონ არის — წენგოიანი კაკალი).
16. მიშენ რენ, ჩქიმდენ რენ, იეშილი გვეიდვი, მქითა გამახთუ მუთენ რენ? — „კენია“.
(ვისგან არის — ჩემგან არის, მწვანე დავეიდვი, წითელი გამოვიდა, რისგან არის? — ინა).
17. ულუნ, მულუნ ნოკუჩხენითე, შქვით შილია მურუცხითე, ალოსმანის მუარებე ულუნ, კუდელის ნიშანი იღუნ — „ლეშში“.
(მიდის, მოდის კვალი აქვს, შევილიათასი ვარსკვლავით, „ალოსმანს (ოსმალეთს) ომი აქვს, კუდში ნიშანი აქვს — ნემსი).
18. ულუნ, მულუნ, ნოკუჩხენი ვარ ულუნ, უკუნიწკენ თოლი ვარ ულუნ, მუ რენ? — „ფელუკა“.
(მიდის, მოდის, კვალი არა აქვს, მოიხედავს, თვალი არა აქვს რა არის? — ნავი).
19. თი ოცხოჯისთერი, კუდელი ნამგალისთერი მურენ? — „მამული“.
(თავი სავარცხელივითა, კუდი ნამგალივითა. რა არის? — მამალი).

20. ნოკირაში გულუნ ნუწკაში ინჯირს.
 (რომ დააბამ დადის, ავუშვებ დაწვება — ქალამანი).
 21. სერი ჯანს, დღალერი გოწობუნ — „კორაკი“.
 (ღამე სძინავს, დღისით ჰკილია — კარის რაზა).

შ ა ი რ მ ბ ი

(ქალ-ვაჟის შაირები)

ლაზებს განსაკუთრებით უყვართ შაირსიტყვაობა; არ შეიძლება ერთი სოფლის მოშაირე ლაზი მეორე სოფლის მოშაირეს შეხედეს და მათ შორის არ გაიმართოს შაირობა. ვაი, იმას, ვისაც რაიმე ნაკლი აქვს, ანდა ცხოვრებაში რაიმე ცუდი ჩაუდენია. ასეთ შემთხვევაში შაირების საშუალებით ყველაფერი გამომქლავნდება.

კარგი მოშაირეებით განთქმულია სოფ. ნოღედი (მაკრიალი).

აკად. ნ. მარის თქმით, ლექსაობა განსაკუთრებით ქალებს ეხერხებათ და ლაზი ქალებიდან საუკეთესო პოეტები გამოდიან.¹

კ უ ლ ა ნ ი
 რაკანის შოთ გელადგირ
 ლიმქიში ხვალა-ხვალა.

ბ ი ჰ ი

მოხთი, მენდა-გიყონა,
 მულუნა, ჩქიმიკალა.

კ უ ლ ა ნ ი

ვარ მე გოჯან, ებიჰი
 ვარ მალენ სქანიკალა.

ბ ი ჰ ი

ნუნკუ დიდო, ხჩე გილუნ,
 ვარშა გისუტას კალა?

კ უ ლ ა ნ ი

კალა კორიქ ისუმეს
 ფუჯეფეს ჩაფან ჩალა.

ბ ი ჰ ი

ობას მუმოლაგიძინ
 მუქო მზოლამ ქვანქალა?

კ უ ლ ა ნ ი

მთელ დადეფე აქ რენან,
 ჩქვა ეშო ვარ ბარბალა.

ბ ი ჰ ი

მა შქურინა ვარ მილუნ.
 მეტკოჩი ვინჯუბალა.

გ ო გ ო

მალლობზე რატომ დგახარ
 საღამოხანს-მარტოდ მარტო.

ბ ი ჰ ი

მოდი, ცოლად წაგიყვანო,
 თუ წამოხვალ ჩემთან ერთად.

გ ო გ ო

ვერ გენდობი, შენ, ბიჰო,
 ვერ წამოვალ შენთან ერთად.

ბ ი ჰ ი

სახე მეტად თეთრი გაქვს.
 ხომ არ წაგისვამს პუდრი?

გ ო გ ო

პუდრს კი კაცი წაისვამს
 ძროხებს აქმევენ ჩალასა.

ბ ი ჰ ი

მითხარ, რა გაქვს უბეში.
 ზღვის კენჭების მაგვარი?

გ ო გ ო

აქ არიან დეიდები,
 მეტი მასე არ იბოდვო.

ბ ი ჰ ი

მე შიში არ მაწუხებს,
 გადმომოგდე ხელსა ვტაცებ.

1 Н. Марр, Из повздки в турецкий Лаанстан, стр. 629.

ლიმანურაფში ღო ქიოფრიჯულაფში შაირობა
(ლიმანელებისა და ქიოფრიჯელების შაირობა)

შაირი იმართება ბრინჯის მარგვლის დროს ქალიშვილებს შორის:

ლიმანურაფე
ნაკადის ქოგილიბლეს
ზარანაშ-ოღლიშ მთხალაფე.

ქიოფრიჯულაფე
გური ვარ ქომუჩქვინათ,
მეგობრათან ხამეფე.

ლიმანი
ჩქიმა მუჰო ნახეცეს,
გამაჩა-მუშ მალეფეს.

ქიოფრიჯი
ულვანდო სოხუმიშა
ოჯვინათან ლეჭეფე.

ლიმანი
კოლონიქ ქაეშოდეს
ვარ იაწკენან თოლეფე.

ქიოფრიჯი
ბიჭეფე, ქაიეჰოფით,
გამიჩენან ბოზოფე.

ლიმანი
დიდო ფახალი ვორეთ,
ვარ გილუნან ფარაფე.

ქიოფრიჯი
ნაკადის ქელობდერეთ
სუაქიში ყვილეფე.

ლიმანი
ყვილეფე თქვან მეგიშქვით,
ქოჰკომით ჟოლორეფე.

ქიოფრიჯი
ლიმანური ბოზოფე
გვერდი ხოლო შირაფე!

ლიმანი
ჩქინ შირაფე ვარ ვორეთ,
კურბეთჟიშ ხანუმეფე.

ქიოფრიჯი
ბიჭეფე მეგიჩქუმეთ,
ლოგიკალან ანგეფე.

ლიმანელები
ნაკადზედა დაყრილან
ზარანაშ-ოღლის თხებიო.

ქიოფრიჯელები
გული არ მოაყვანინოთ,
ჩაგასობენ დანებსა.

ლიმანი
ჩვენ როგორ დაგვასობენ,
გასაყიდი საქონელი ვართ.

ქიოფრიჯი
მიდიან და სოხუმში
ამოვებენ ღორებსა.

ლიმანი
კოლომ თვალი ამოუდო,
ვერ ახელენ თვალებსა.

ქიოფრიჯი
შეისყიდეთ, ბიჭებო,
იყიდებიან გოგოები.

ლიმანი
ძვირები ვართ ძალიან,
თქვენ არა გაქვთ ფულები.

ქიოფრიჯი
ნაკადზე დაგიყრიათ
კამბულისა ძვლები.

ლიმანი
ეს ძვლები თქვენ დაგიტოვეთ,
თქვენ შექვამეთ, ძალებო.

ქიოფრიჯი
ლიმანელი ქალიშვილები
ნახევრად ხართ ქვრივები!

ლიმანი
ჩვენ ქვრივები კი არა ვართ,
ხანუმები კურბეთჯისა.

ქიოფრიჯი
ბიჭებს გამოგინაენით,
მოგიკალონ ქურქლები.

1 ნაკადი — ბრინჯის საყანე ადგილის კიდეები.

2 კურბეთჯი — კაცი, რომელიც ფულის საშოვნელად დროებით წასულა სხვაგან.

ლიმანი
ჩქინდა მუ ახვენენან
ჩოლისთანიშ ბიქეფეს.

ქიოფრიჭი
საღლამის რეთ მუ იყვენ,
მთელი მშქირონერეფე.

ლიმანი
ლიმანი მზოლა პიჯი,
ვარ მალენ გერმალეფე.¹

ქიოფრიჭი
გვერდი ოკა ნჩხვარიშა
თქვან მომჩაფრით გრასთაფე²

ლიმანი
კოლონიქ ქეშოგოლეს
თოლოში კაკალაფე.

ქიოფრიჭი
ლიმანი სირთეფუნა
მწკომი გეგაფერეფე.

ლიმანი
ქიოფრიჭი გერმალეფუნა,
მთელი მტყური კოჩეფე.

ქიოფრიჭი
ლიმანის დიდო რენან
მომქკომური მთხალეფე.

ლიმანი
მომქკომურინა ვორეთ,
მიყოუნან ბოჩეფე.

ქიოფრიჭი
მეგტკოჩეს დო იგზალეს,
სუმ დლერი ნისალეფე.

ლიმანელმა პასუხი ვერ გასცა
მარაგი. იქვე ქიოფრიჭელი ამბობს:

სერსი მოთ ვარ გამულენ,
თქვან ნენა ჩოდერეფე.
ლიმანის მითი ვარენ,
მეგიჩქუმერთი ბიქეფე.

ლიმანი
ჩვენ ვერას დაგვაკლებენ
კაობელი ბიქები.

ქიოფრიჭი
პაერი რას გიშველით,
მშიერები ხართ ყველანი.

ლიმანი
ზღვის პირია ლიმანი,
ტყის კაცები ვერ მოვლენ.

ქიოფრიჭი
ნახევეარ ოყა მარცვალში
თქვენ გვაძლევდით გრასთასა.

ლიმანი
კოლოებმა ამოგთხარეს
თვალეზისა კაკლები.

ქიოფრიჭი
ლიმანი მთაგორიანი
წყაეის მიჩეულები.

ლიმანი
ქიოფრიჭი ტყიანია,
გარეული კაცებით.

ქიოფრიჭი
ბევრი არის ლიმანში
დედალ-დედალი თხები.

ლიმანი
თუ დედალი თხები ვართ,
გეყვანან კიდეც ვაცები.

ქიოფრიჭი
დაგტოვეს და წაიღენენ,
სამი დლის პატარძლები

მოშაირეს, შემოეღია სიტყვის

ხმა რატომ არ გამოდის,
სიტყვადალელელებო.
ლიმანში არავინ გყავთ
მოგიგზავნით ბიქეზსა.³

1 გერმალეფე — ტყის კაცები.

2 გრასთა — კეცია.

3 მთქმელი ჰენიფე თანდილავა.

შაირობა სარფული ღო ნოღედაი შაირჯეფეში
(შაირობა სარფისა და ნოღედის—მაკრიალის მოშაირებისა)

ფორიაზიში სარფში განთქმული მოშაირე იყო. ერთხელ ნოღედი-
ში შეხვდა მთელს ლაზეთში განთქმულ მოშაირეს ქიბარ-ოღლის (ქი-
ბარ-ოღლიმ რამდენჯერმე გამოიცვალა ცოლი. უკანასკნელად მას
ცოლად ყავდა სარფელი კარალიშის მიერ მიტოვე-
ბული ქალი). ქიბარ-ოღლიმ მოსვლისთანავე მიახალა ფორია-
ზიშის:

ფორიაზ-ოღლი, ქომოფთი
შაირჯეფეში ელჩი.

ფორიაზიში
ქიბარ-ოღლინა, მოხთი
სელამი მოთ ვარ მომჩი?

ქიბარ-ოღლი
სარფული სიჭა ვორე
შექერლეფეფე ქომჩი.

ფორიაზიში
იდი ღო მინჯი კეომი,
პემშილეფეში ბეჭი.

ქიბარ-ოღლი
თქვანი სიჭანა ვიყავი,
ბახნიში მოთვარ მომჩი?

ფორიაზიში
ქიბარ-ოღლი, მუ მოხთი
ნოღედაი დილენჩი.

ქიბარ-ოღლი
მოფთი აქ ღო პეტელაფ
ხარბაშ ოფუტეში ბოჩი.

ფორიაზ-ოღლი, მოვედი,
მოშაირეთა მაშვალი.

ფორიაზიში
ქიბარ-ოღლი, რომ მოხველ
რატომ არ მომესალმე?

ქიბარ-ოღლი
სარფელი სიძე გახლავარ,
ნამცხვრების მოყვარული ვარ.

ფორიაზიში
წადი და ნადული ქამე,
ხეშვილები მწყემსი ხარ.

ქიბარ-ოღლი
თქვენი სიძე რომ გახვდი,
საჩუქარი რათ არ მომეცი?

ფორიაზიში
ქიბარ-ოღლი, რად მოსულხარ,
ნოღედელი მათხოვარი.

ქიბარ-ოღლი
მოვედი აქ და ვეკანებ
როგორც ხარბაშელი ვატი.²

ბიჭი ღო ძულანიშ შაირაფე
(ქალ-ვაჟის შაირები)

ბიჭი
ამსერი მეფთამინონ
მა ოხორი სქანიშა.

კულანი
ბოლაქი ქომოხთატი
ნანა ბაბაშ ტკობაშა.

ბიჭი
ამალამ უნდა მოვიღე
მე შენს სახლში.

გოგო
ნეტაეი შენ წამოდი
ღედ-მამისა ჩუმაღა.

1 ხარბაშ-ოფუტე — ადგილის სახელია, პატარა სოფელია. რომელიც მაკრი-
ალს ეკუთვნის.

2 მტკმელი ოსმან თანდილავა, სოფ. სარფი.

ბ ი კ ი

ბოში შემალეტუი
სევგიული დამთირეშა.

კ უ ლ ა ნ ი

ლაი მუთუ ნილეტუ,
ენა მულუ ტკობაშა.

ბ ი კ ი

ფენჯერე ქაგომინწკი
ჩქიში მეხთიმაფაშა.

კ უ ლ ა ნ ი

ზათი გონწეიმერი რენ,
სი ენა მეგშევენტაშა.

ბ ი კ ი

მანა გელაგიმჩინა,
სი ქელახთი მსქიბუშა.

კ უ ლ ა ნ ი

სკანკალა მენდაეულუ
ვით საათიში გზაშა.

ბ ი კ ი

მსქიბუ კალა ვისთერათ,
იარი ჩქიში ტკობაშა!

კ უ ლ ა ნ ი

გალე გზას მუ ვისთერათ.
მიუონი ოხორიშა.

ბ ი კ ი

სი მციქა საბრი დოყვი,
მარტი მოხთიმაფაშა.

კ უ ლ ა ნ ი

პიჯი ვარ მოშამალენ
მთირი დო დამთირეშა.

ბ ი კ ი

ყოროფელი, გომაშინერ
ნა ვისთერტიტ ტკობაშა.

კ უ ლ ა ნ ი

ია ვარ გომოქკონდუნ
შური იეხთიმაფაშა.

ბ ი კ ი

ემანეთი მოგიმერ,
მეულუ ბათუმშიშა.

კ უ ლ ა ნ ი

ბრილიანტი დო საათი
ქორტას არ ხუთ შილიაშა.

ბ ი კ ი

სინა ხუთ შილია მიწვი,
იებქოფუფ ვით შილიაშა.

ბ ი კ ი

ცარიელი ვერ მოვალ
ჩემს საყვარელ სიდედრთან.

გ ო გ ო

განა რამე მიიტანება,
რადგან მოდიხარ ჩუმად.

ბ ი კ ი

ფანჯარა გამიღე
ჩემს მოსულამდე.

გ ო გ ო

ის უოეელთვის ღიაა,
როცა შენ გელოდები.

ბ ი კ ი

მე რომ შემოგიტეალო,
შენ ამოდი წისკვილთან,

გ ო გ ო

შენთან ერთად გავივლი,
ათი საათის გზასა!

ბ ი კ ი

ვითამაშოთ წისკვილთან,
ვარდო ჩემო ჩუმადა.

გ ო გ ო

გარე გზად რად ვითამაშოთ,
წამიყვანე სახლშია.

ბ ი კ ი

მოითმინე შენ ცოტა,
ელოდე მარტის მოსვლას.

გ ო გ ო

სახეს ვერ გამოვჩინე,
დედამთილ-მამამთილთან.

ბ ი კ ი

საყვარელო, მაგონდები,
რომ ვთამაშობდით ჩუმადა.

გ ო გ ო

ის არ დამავიწყდება
ამოსულამდე სულისა.

ბ ი კ ი

ამანათსა მოგიტან,
მე მიეღივარ ბათუმში.

გ ო გ ო

ბრილიანტი და საათი
იყოს ხუთი ათასის.

ბ ი კ ი

შენ რომ ხუთი მითხარო
ვხარჯავ ათ ათასამდე.

კულანი
აშო კაეფე მიწვი,
ირი სქანი ვორტაშა .

ბიკი

გიული, ქაელახთარი
არჩქვა, ჩქინი იერიშა.

კულანი

მა ზათი მეგოყუფჩქვა,
სინა იდა იაერიშა.

ბიკი

სევეგიული სი ჩქიმირე,
ვარ მამეტე მითიშა.

კულანი

ზათი სქანი ვორტიჩქვა,
მა ვარ ეულუ მითიშა.

ბიკი

მუფე თიშა მომიხთუ.
სი მა ვარ მყოროპტიშა.

კულანი

ემ ვახთის ბერე ვორტი,
აწი მოფთი ნოსიშა.

გოგო

ასე კარგები მოთხარი,
სანამ შენი ექენები.

ბიკი

საყვარელო ამოსულიყავი
ერთხელ ჩვენსა ადგილას.

გოგო

მე ყოველთვის წაყვებები
იქ, სადაც შენ წახვალ.

ბიკი

შეყვარებულს შენ ჩემი ხარ,
ვერ გიმეტებ სხვაზელა.

გოგო

მე ხომ მაინც შენი ვიყავი
არ წაყვებები არავისა.

ბიკი

რაები თავზე გადამხდა
სანამ შენ შემყვარებდი.

გოგო

მაშინ ბაჟევი ვიყავი,
ახლა ქუაზე მოვედი.¹

ობირუ ბიკი დო კულანიშო (ქალ-ვაჟის სიმღერა)

ბიკი

ჩაკანის ქეშახთერენ
თუთა მაროშინაში.

კულანი

ია თუთა მუ ღოღად
სი ვარ მეგოთანაში?

ბიკი

მარ მციქა ქომომჩი
მარქვალეფე ობაში.

კულანი

სი მარქვალი მულოდაფ.
ქკომი ლუყუ ხარხაში.

ბიკი

მა გური დომიტრუხუნ
პატი ნენა მიწვაში.

ვაჟი

გორაკზე ამოსულა
მთვარე აგვისტოსია.

გოგო

ის მთვარე შენ რათ გინდა
თუ კი არ მოგანათებს.

ვაჟი

აბა, ცოტა მომეცი
კვერცი რომ გაქვს უბეში.

გოგო

შენ რად გინდა კვერცხები,
ქამე ფხალი ხარხაში.²

ვაჟი

მე გული გამიტყდება,
ცული სიტყვებს რომ მტყვევი.

1 მთქმელი კაკიჯე და სანიე თანდილაეები, სოფ. სარფი.

2 დაუკეპავი მოხარშული ფხალი.

კ უ ლ ა ნ ი
სი მკუდიში მოთ ლალუფ,
კენური ჭას ვარტაში.

ბ ი კ ი
ბოზოფე ვარ მოყუფან,
ორა მეკამილაში.

კ უ ლ ა ნ ი
ვ ბიკი, სი ბერე რე,
შურა გალუფს ფაფაში

ბ ი კ ი
ჩქვა ოთქუში ვარ გაყვენ,
შციქანქვა დოვირდაში.

კ უ ლ ა ნ ი
მა იარი ქომიყონუნ,
წორი მეგოგნათაში.

ბ ი კ ი
სქანდა ჭოხო მის გიადვენ,
დუნიას მა ქოეორტაში

კ უ ლ ა ნ ი
ჩხოში ოქოფუშენი
იარი დილილუ ფაში

ბ ი კ ი
ია იარი გილურას,
მა გაყვა არქადაში

კ უ ლ ა ნ ი
დოლოქუნუ მომიშერს,
ქოდოვანდვი კუმაში.

ბ ი კ ი
ბრილიანტეფე მოგიმერ,
ჩქიმდა რაზი დიყვაში

კ უ ლ ა ნ ი
კობქა დო ბოლა — კისტე
მომიშერს არ ეურ დლაში.

ბ ი კ ი
მა დუნიას მუ იებჩქინდრ
მთვლი ბიკეფემ, ბაში.

კ უ ლ ა ნ ი
სი ეკო მო იმევაფურ,
ტოტი მკულე ჩოხაში.

ბ ი კ ი
ჩოხა მკულეს მო მოწყერ
ჩინსი მილუნ ალაში..

კ უ ლ ა ნ ი
გინონ შაპიშ ბიკიტა
სი ვარ მეგობტაში.

გ ო გ ო
ტყუილად ნუ იყეფები,
კვერნა ხეზე რომ არ იქნება.

ვ ა ე ი
გოგოები არ წამომყეებიან,
როცა შევალ ხანში.

გ ო გ ო
ბიკო, შენ ჭერ ბავშვი ხარ,
სუნი გილის ფაფასი.

ვ ა ე ი
მეტი სათქმელი არ გექნება,
ცოტაც რომ გავიზრდები.

გ ო გ ო
მე მყავს შეყვარებული, —
სწორი რომ გაგავებინო.

ვ ა ე ი
შენ სახელს ვინ დაგარქმევს,
ქვეყანაზე მე რომ ვიქნები!

გ ო გ ო
თევზის დასაქერადა
შეყვარებულმა ჩაიარა ფაში

ვ ა ე ი
მოგიკედეს ის მიჭური,
მე კი გეყოლო მეგობარი.

გ ო გ ო
ტანსაცმელს ჩამომიტანს,
დავაბარე აბრეშუმისა.

ვ ა ე ი
ბრილიანტებსაც მოგიტან,
ჩემზე თანახმა რომ გახდები.

გ ო გ ო
ფოლაქებს და ძვირფას მძივებს
ამ ორ დღეში მომიტანს.

ვ ა ე ი
ქვეყანაზე მე რა გავჩნდი,
ყველა ბიკებზე უკეთესი.

გ ო გ ო
შენ იმდენს ნუ ტრაბახობ,
მოკლე სახელოიანი ჩოხითა.

ვ ა ე ი
ქოკლე ჩოხას ნუ უყურებ,
ქოდგმა მაქვს თავადისა..

გ ო გ ო
გინდა შაპის შვილი იყო,
კაცად რომ არ ეარჯიხარ.

ბიკი *

ჟურ ღვასთი ქოგაჯუნდევ,

ჟალის ხე მოგიღვამი

კულანი

გინონ ხოლო მუთუ თქვი,

ნოსი ვარ გიღურაში

ბიკი

გიუნახი ვარ გაყენი,

მა აშო მომგარაში?

კულანი

გიუნახი ქოდოვობლად

ქანდას ბზორონბტაში.

ბიკი

ჯოლბი მუქო მეჩად

ემ ღუნიაშა იღაში?

კულანი

ტკობაშა მეკავილად

კარაული ვარტაში.

ბიკი

პეტრაშა იტერენან

მსქვა ბოზოფე ღურანში,

კულანი

მა დაჰა ვარ იებჭოფი

ხაეცობა ღუნიაში.

ბიკი

შქაშა ქაგეგისთერენ

თხოზერეფე სირმაში.

კულანი

ღუნია მითანასინონ

იარი ჩქიმი მოხთაში

ბიკი

სერი ემ ორას თანუნ,

მამულიქ დიყირაში.

კულანი

ბიკი, მუ გუინზდერე,

მუქო წიწი დობაში?

ბიკი

ვიქიფ ნიშანი სქანი

წანალანი მოხთაში.

კულანი

გინძე ნენაში მუკულე

იარი ეორე მა ჩქვაში.

ვაჟი

ორთაე ლოყას დაგიოცნი,

ყელზე ხელსაც რომ მოგხვეუ.

გოგო

გინდა უარესიც თქვი,

ქკუა თუ არ გექნება!

ვაჟი

შენ ცოდვაში არ ჩავარდებო

მე რომ ასე მატირებ?

გოგო

ამ ცოდვებსა გადაყერი,

როცა ქორწილში ვიკეყებ.

ვაჟი

როგორ გასცემ პასუხსა

იმ ქვეყანაში რომ წახვალ?

გოგო

ჩუმად გავიპარები

გუშაგის არ ყოფნისას

ვაჟი

თურმე პეტრას მიდიან

ლამაზი გოგოები რომ კვდებიან.

გოგო

მე ჭერაც არ მიგრძენია

სიხარული ქვეყნისა.

ვაჟი

წელამდე ჩამოგვლია,

დაწილი თმა სირმისა.

გოგო

გამითენდება ქვეყანა

საყვარელი რომ მოვა.

ვაჟი

ლამე მაშინ თენდება,

მამალი რომ იყივლებს.

გოგო

ბიკო, როგორ გაგრძელებულხარ

როგოც კია აედრისა.

ვაჟი

შენს ნიშნობას ბოვაწყობ

ასალი წლის მოსვლისას.

გოგო

გრძელი სიტყვისა მოკლე,

შეყვარებული ვარ სხვისა.²

1 პეტრა — ციხისძირი.

2 მთქმელი ფადიმე თანდილაეა, სოფ. სარჯის მცხოვრები.

სატრფიალო ლექსები

ბიჭიშ მოხირუ (ვაჟის სიმღერა)

კელანი, ჩინქუ-ჩინქუ,
მუქო ლუყუში მორჩი,
კაპულას მოგიკიდაფ,
მონკატა ვარნა ჩორჩი.
ყურ კატრიშ გომალუ
სქანიშენი მებტკოჩი
დიდო ხელეზას ეორე
ქუდი ცაშა იებტკოჩი.
სქანდა რაზის ვარ ტესში
ნანა-ბაბა მებტკოჩი,
ე-ნაზობა სქანითე
მა ნოსის მეჟამტკოჩი.
ჩქვაფეს ნუსიშინი დო
მა მუშენი მებტკოჩი
სინა ჭოხო გეგოდუ
ნამურენ ია კოჩი?
პია ია ქორენნა
მუქო მთხალეფეშ ბოჩი,
მითის ვარ ნუსიშინა
ია რენ პატი კოჩი.
ფეი ვარ ქაგუწულა-
მეგჩას თინა ნუტკოჩი,
ფენჯერეშენ გამახთი
ბოხნა მა მემიტკოჩი.

გოგოე, ნორჩო და ქორფაე,
როგორც ულორტი ფხალისა,
ზურგზე მოგიკიდეშ,
გინდ მშიმე იყაე გინდ მჩატე.
მეორე თოხნა სიშინდის
შენი გულისთვის გაეაგდე.
ძლიერ განარებული ვარ,
ქუდი ცამდე აეისროლე,
შენზე თანახმა რომ არ იყვენ
დედ-შამაც კი მიეატოვე.
შენი სინაზის გამო
პკუაზეც კი შევიშალე.
სხეებსა დაუჭერე და
მე რატომ მილაღატე,
შენ რომ სახელი დაგარქვა
ეინ არის ის კაცი?
ვეფირობ, იგი თუ არის,
როგორც თხებისა ვაცი,
არავის არ დაუჭერო,
იგი არის ცუდი კაცი.
არაფერი არ გამოართვა,
რომე მოგეცეს გადაუგდე,
ფანჯრიდან ჩამოდი და
გადმომიგდე ბოლჩა მე.!

მ ბ ი რ უ ბ ი ჰ ი შ ი

(ვაჟის სიმღერა)

მოსა ქოგოლაგიდგი
გინძე გზაფე გილუნ
ფუთი ფუთიში ირდე
ეკო ომქუშ მოთ გილუნ
ისელი დო ქოგძირა
მუფერი ტანი გილუნ,
ნე გინძე. დო ნე მკულე
სი ორთა ტანი გილუნ.
თოლეფე ფილიჩანი
მუფუერ ოფიდი გილუნ.
ბოზო ოხორისქანის

გზაზე ბაღე გაგიშალე,
გრძელი გზები შენა გაქეს,
ფუთ-ფუთობით იზრდები და
ტრაბახობაც კი გიყვარს.
ადექი, და დაგინახო,
როგორი სიმაღლე გაქეს,
არც მაღალი, არც დაბალი,
საშუალო სიმაღლე გაქეს.
ფინჯანივით თვალებია,
როგორი წარბები გაქეს,
ქალიშვილო, შენს სახლშია

1 მთქმელი ფადიმე თანდილაეა.

სიკაშ კისმეთი მიღუნ
ნანა ბაბა სქანიშენ
მუთუ ხეირი ვარგიღუნ
ბოზო მენდამაყონი
სი ჩქიმღუნ ხეირი გიღუნ
ჩქიმინა იყვაგინონ
იზმოჯეფე ქომიღუნ.

სიძეობის ბელი მაქეს.
ღელისა და მამისაგან
არაფერი ხეირი გაქეს.
ქალიშვილო წამომყევი
შენ ჩემგან გაქეს ხეირი.
ჩემი რომ უნდა გახლდე,
სიზმრებიც კი ისე მაქეს.¹

ბ ი ზ ი შ ო ბ ი რ უ ე ა ე ის ს ი მ ლ ე რ ა

ვაქს ქალიშვილი უყვარს, მაგრამ ქალიშვილი და მისი მშობლები თანახმა არ არიან.

მეშიუჭით ნა გიოოქყარე მგარას
ნა ოვანსენ ირიქ ხოლო იმგარას
გიული ჩქომიქ ქოდომუხუნუ მგარას,
ორდო მოხთი სი გჩუმერ იარი ჩქიმი,
ღერღონი რე ბქარუფ ღესთანე სქანი
ვარ გამულუნ გურის ყოროთა სქანი.
ღერღი მოზღიფ სი ჩქომი დო მა სქანი.
ორდო მოხთი სიგჩუმერ იარი ჩქიმი
გზაშ ელე რენ დიდი ოხორისქანი
მიქ გეგოდუ აშო მსკვა ჯოხოორსქანი
ნოსის ვარენ ე-ღეჭი ნანასქანი
ორდო მოხთი სი გჩუმერ იარი ჩქიმი
მორკუს ბელა დო მაყუ დაღისქანი
დომაყონი მო გონღრნაფ თისქანი,
ჯას ვარ ნაწყი მეგორტრუხას ხესქანი
ორდო მოხთი სი ქჩუმერ იარი ჩქიმი.
ღავრაშ ოფუტეს ონტულესქანი
ქომაწირი მო იმფულუფ თისქანი,
მა რაზი დოვიქიფ ე-ნანასქანი
სი ვარ გინტაში დულია ვარ იყვენენ.
ქემ დოსთი ვორეთ, დო ქემ კოჩისქანი,
ეურათი არ რენ ჩინსი ჩქიმი დო
სქანი
ჩქვას მონუსიშინ, ვარ უნონან
თისქანი.
რაზი დიყვი სევეგიული იარი ჩქიმი
ბეშლული ნამსქვანენ ე გინძე
ყალისქანის

მომისმინეთ, რომ დავიწყო ტირილი,
რომ გაიგონ ყველამ ერთად იტიროს,
ჩემმა ვარდმა ასე დამსვა სატირლად,
მალე მოდი შენ გიცდი საყვარელო,
დარდიანი ხარ, ვწერ შენზე ლექსებსა
არ გამოდის საყვარული გულიდან.
ნუ იღარღებ, შენ ჩემი ხარ მე შენი.
მალე მოდი, შენ გიცდი საყვარელო.
შენი სახლი ამ გზის ზევით არის
ვინ დავარქვა ძვირფასო შენ სახელი.
ქვეაზე არ არის ის ღორი ღეღაშენი,
მალე მოდი შენ გიცდი საყვარელო,
მოტაცებაში შემიშალა ღეღაშენმა
ხელია,
ღამეთანხმე, ნუ ღაკარგაე შენს თავსა
ხეს არ მოშორდი მოგტყდეს შენი
ხელები,
მალე მოდი, შენ გიცდი საყვარელო,
ღავრას! ეზოში არის შენი ბოსტანი
შემახლდე, ნუ ღაფარე თავია.
მე კი გავხლდი ღეღაშენსა თანახმას,
შენ თუ არ გინდა, საქმე არ
გაკეთდება.
თან მოყვარე ვართ, თან ნათესაევი.
სულ ერთია, ჩემი ჯიში და შენი
სხვას ნუ უსმენ. არ უნდათ შენი თავი
საყვარელო ამხანაგო, მერწმუნე.
ღამეშენდება შენს გრძელ ყელსა
ბეშლული.²
მე მიმზერენ შენი შავი თვალები
ვის უნახაე შენს გრძელ თმასა
ნეტავი?

1 ღავრა — ადგილის სახელია თურქეთის სარაშში.
2 ბეშლული — 5 ოქროს ღირა.

ჩემ დეველე რენ უჩა თოლეფესქანი
პია მის შუნახეფ. გინძე თომფასქენი
რაზი დიევი სევეგიული იარი. ჩქიმი
ჩქეშა იღინა ეთი ონჯლორე სქანი
ბლურტანა გომპინენ თისქანი
მორკუ მინონ ბელა რენ ნოსასქანი
რაზი დიევი სევეგიული იარი ჩქიმი.

დამეთანხმე, საყვარელო, კეთილო
სხეასთან წავალ, სირცხვილია
ეს შენთვის.
რომ ვკვდებოდე, გავისხენებ შენს
თავსა,
მოტაცებას რძალი შენი მიშლისა,
დამეთანხმე ძვირფასო საყვარელო.

ქალი, რომელსაც შემპარაბული ჰქავს და „თუნაში“ (ღუნაი) ¹ იხმოვება

ზენის² ვორტა თუნაშა ნიტიშულე
იანო, იანო გელიტი ონდღერშულე,
მამგარინუ ნენა ვარ მომჩიშულე,
მით მემტკომერ ნა შური-მიშინარე
ისფარ-ოლი დიეუ დორენ თუნაჯი,
მოყონტუშა ვარ მაძირე ილაჯი³
ბაბაშ მალი მთელი ქოგებობარჯი.
მოხთი, მოხთი ნაშური-მიშინარე.
მთხირი შენ მებლი სალი, ხე, მეტახერი
გზაფეს ვიწკერ თოლეფე მოტახერი
მა აქ ვორე, სი თუნას ელახერი,
მით მემტკომერ, ნა შურიმ იშინარე.

ზენში ვიყავ თუნაში მიდიოდი
გვიან, გვიან ნასადილეს მოდიოდი;
მე ავტირდი, შენ ხმა რომ არ გამეცი
რატომ მტოვებ, მე შენ გენაცვალედი-
ისფარ-ოლი ღუნაის მკვიდრი გახდა-
მოსაყვანად საშუალება ვერ ვნახე.
მამისეული ქონება სულ დაეხარჯე.
მოდი, მოდი მე შენ გენაცვალე.
თხილის ხიდან ჩამოვეარდი,
მოვიტეხე მარჯვენა,
გზებს ვუყურებ თვალბგამტერებულთ
მე აქა ვარ, შენ კი თუნაში ზიხარ,
რატომ მტოვებ, მე შენ გენაცვალე.

ვაჟი საძოვრიდან (მთიდან) სიმღერით ჩამოდის და ცხენით მი-
დის სოფელში; გზაზე მას ხედება ქალების ნალი, რომელშიაც იმყო-
ვება მისი შეყვარებულიც.

ცხენიქ ყილენდო იწკერს,
მუთხანი გურის ულუნ,
ანწი სუმ წანა იყვენ
მენდილი მუში მილუნ.
ნოლედის დო ლიმანის
ოთხო ოხორი მილუნ,
ე-ბოზო გიჩქიტანა,
გურის მურაფე მილუნ.
ისელი დო ქოგძირა,
მუფერი ტანი გილუნ,
გულიწკედი, გიძირა,
მუქო ოფიდი გილუნ.
ირი შეცხაზირა,

ცხენი ზევით იცქირება,
მას გულში აქვს რალაცა;
სამი წელი შემისრულდა,
მაქვს მისი მანდილიცა.
ლიმანში და მაკრიალში
ოთხ ადგილს მაქვს სახლი.
ქალიშვილო, რომ იცოდე,
გულში რალაცები მაქვს.
ადექი და დაგინახო,
თუ როგორი ტანი გაქვს.
მოიხედე, დაგინახო,
როგორი წარბები გაქვს.
ყველაფერი მზადა მაქვს,

1 თუნა — ქალაქია.

2 ზენი — სოფელი, სადაც ლაზები ცხოვრობენ.

3 ილაჯი — წამალი. ამ შემთხვევაში საშუალება

იაზმა ხეალა ვარ მილუნ.
 ქემერი მეგამსქვენენ,
 მუფერ მქიფე შქა გილუნ,
 ბოზო ვარ მყაონინა.
 მორკაფუ გურის მილუნ,
 პატი რენ მოგიჩქიტას,
 ალაში სოი მილუნ.
 ფუშლული ვარ მოლოდა,
 სქანი ომუდი მილუნ,
 მა არ ქომევაგნატი,
 პია გურის მუ გილუნ
 ბოზო, აბტი ოხვენუ,
 მქაჩხა დლას გურის მილუნ,
 ირი შეი მამეტენ,
 დიდო ყოროფა მილუნ.
 ხანუმი დოგოხუნაფ,
 ზენგინობათი მილუნ,
 ე, ბოზო, ნანა სქანის
 სინჯაშ ილბალი ულუნ.

არ მაქეს მხოლოდ მანდილი.
 ქაპარი დაგშენდება,
 ოპ, რა წერილი წელი გაქეს.
 ქალიშვილო, თუ არ წამყვები,
 მოტაცება გულში მაქეს.
 გლახაკი არ გეგონო,
 აზნაურის მოდგმა მაქეს.
 იცოდე, არ მილატრო,
 მე იმედი შენზე მაქეს.
 ნეტავ გამაგებინა,
 ნეტავ გულში შენ რა გაქეს.
 ქალიშვილო, ნიშნობა
 ამ კვირაში გულში მაქეს.
 ყველაფერი მემეტება,
 შენი სიყვარული მაქეს.
 დაგაჯენ ქალბატონად,
 რამდენი სიმდიდრე მაქეს,
 ქალიშვილო, დედაშენსა
 სიძის ილბალიცა აქეს.¹

ლეჰსი მიწინოს დასაჯვარად მიკაბალი ვაჟისა

იაზი მულუნ ბილარე სიფთერიშია,
 ხოლო მომინჯლონი ვიარი ტკობაშა.
 გოგალარა არ ქომოხთი ხოფაშა,
 ეოი, ვოი ნა შური მიშინარე,
 ეინ, ეინ გოხთი კინჩიში მსვა ნიჩანი,
 მიშ იელელის მიში კოპკა გიოჩანი.
 მა ვარ მომჩი სიმის მეჩი კოჩანიშ
 ქოი, ვოი ნა შური მიშინარე
 გელაბილი ბალიშ ტიშკარიკალა,
 ხოლო ქორტუ ფუქირი სქანიკალა,
 გიული სორე მიკალა რე მიკალა.
 ვარგძიროფ დო მუპა ე გიულიჩქიმი
 პია სორენ ნანა დო ბაბასქანი.
 მუტო იყვასინონ აღდულია ჩქინი,
 ნანასქანიქ ჭოლორი მემიტალუ,
 მუთუ ბთქეიში ქვა დო ჭა გემიტალუ

ზაფხული მოდის, მეც წავალ
 მიწინოს დასაქვარადა,
 გამომიგზავნე კიდეც
 საქმელი ჩუმადა.
 გენაცვალე, ერთი მესტუმრე ხოფაში,
 ვაი, ვაი შენ შემოგველე.
 ზევით ზევით იარე, ჩიტის ფრთები
 შეისხი
 ვის ეილეტზე ვისი კოპკა დააკერე?
 მე არ მომეც. ვის მიეცი პირობა,
 ვაი, ვაი შემოგველე.
 ჩავიარე ბალის კიშკართანაო,
 კიდეც იყო იქ ყვავილი შენთანა,
 ჩემო ვარდო, სადა ხარ შენ სადა ხარ.
 ვერ გხედავ და რა ექნა მე. საყვარელო
 ნეტავ სად არის ახლა შენი დედ-მამა?

1 მთქმელი ფადიმე თანდილაეა, სოფ. სარფი.

2 კოპკა — ლილი. 1

3 კოჩანი — საბუთი, ამ შემთხვევაში პირობა.

მიღარღალუ თის ნოსი ომინტალუ
აშო ოხორჯა რენ გიული ჩქომი.

როგორ უნდა გაკეთდეს ჩენი საქმე?
დედაშენმა ძალი დამისისინა,
სიტყვა რომ ვთქვი, თავზე ქვა
დამიშინა.
სიტყვა მითხრა ლამის კვირიდან
შემშალა.
ასეთი, ქალი არის ჩემო ვარდო!

ნარევი სიმღერები (არქაბული კილოკავი)

„უჩა ბიჭი“

ხორომიში

დაჩხურითე ხენერი ჰო იარ, ჰო იარ
უჩა თოლეფე სკანი,
უჩა ბიჭი, უჩა თოლეფე სკანი.
აღნე ჩოხა-ძიქვითე ჰო იარ, ჰო იარ,
ხორონამ მანი, მანი,
უჩა ბიჭი ხორონამ მანი, მანი,
ფირალი რე ნიგნაფენ, ჰო იარ,
ჰო იარ,

ოთანაფ იაღდან-ლული,
უჩა ბიჭი ოთანაფ იაღდანლული.
მეტკოჩი მონკა გაეუ ჰო იარ, ჰო იარ,
მეშინიშ ტა-ვარჯული
უჩა ბიჭი მეშინიშ ტა-ვარჯული.
სი ეკო მოთ მეგომსქუნ
ჰო იარ, ჰო იარ,
ჰე სირმონი ბაშლული
უჩა ბიჭი ჰე სირმონი ბაშლული.
ჰო თქვი დო დოვიგურა ჰო იარ,
ჰო იარ,

ებიჭი ჭოხო სკანი,
უჩა ბიჭი, ჰო მიწვი ჭოხო სკანი.
ნამუქ ლაზი გიჯოხომს ჰო იარ,
ჰო იარ,

ნამუქთი ხოლო კანი
უჩა ბიჭი ნამუქთი ხოლო კანი.

„შაში ბიჭი“

სახორუმო

ეცხლისაგან შექმნილი ჰო იარ,
ჰო იარ,
შავთვალე,
შავო ბიჭო, შავთვალე!
ახალ ჩოხა-ძიქვითა, ჰო იარ, ჰო იარ!
შენ ცეკვავ ჩქარა-ჩქარა.

შავო ბიჭო, შენ ცეკვავ ჩქარა-ჩქარა!
ფირალი ხარ, გეტუობა, ჰო იარ,
ჰო იარ,

ბრწყინავს ქამარ-კაზმული,
შავო ბიჭო, ბრწყინავს ქამარ-კაზმული-
გააგდე, დაგამძიმებს, ჰო იარ, ჰო იარ,
რომ გკიღია ტყავუღა.

შავო ბიჭო,
ტყავის გუდა გკიღია!
როგორ გშენის ამდენად ჰო იარ,
ჰო იარ,

სირმიანი კაბალახი
შავო ბიჭო, სირმიანი კაბალახი.
მეც მითხარი, ვიცოდე, ჰო იარ,
ჰო იარ,

ბიჭო შენი სახელი
შავო ბიჭო, მითხარ შენი სახელი
ზოგნი ლაზსა გეძახის ჰო, იარ, ჰო იარ,
ზოგიერთი კი კანსა.
შავო ბიჭო, ზოგნი გეძახის კანსა.²

1 მთქმელი ბაირმალი ხირალოდლი, ჩაწერილია სოფ სარფში.

2 ჩაწერილია ქ. ბათუმში, 1950 წ., მთქმელი ხ. კელიძეში.

მაცრული ობირაჲ

„ჰელე მანიშა“¹

ქილიმი დომირჩით გებდგითათ შარას
 დადე ქომეხთი ნოლა მისაშა,
 უმქვით მაყარუფე მქიმა ვარ მოხთას
 ჰელე, ჰელე, ჰელე მანიშა.
 ნოლამისას მოთვით მეტაქსიმ ქოლგა
 ნუნქუსთიქელოწკით „ართიმ“ ტკობაშა
 დადე ქოდიქაჩი ჩიძირიმ ბიგა
 ჰელე, ჰელე, ჰელე მანიშა.
 სიჯა-ნოლამისაშ ხელა-კაობა
 ნატერა ჩქინირენ იხაშუნ-ცაშა,
 ენთეფეთქი ძირან ირი კაობა
 ჰელე, ჰელე, ჰელე მანიშა.
 ნოლამეშ ოხორი, სირთიმ ოკაჩხე
 დოვინქელათ მამულეფემ ყირაშა,
 ნოლამისას მუღვას სიჯაქ მუში ხე
 ჰელე, ჰელე, ჰელე მანიშა.
 გონთხერი სუფრას გედგინ ბურელი
 ვარ დომიქირან, ვიდათ მანიშა
 ჭირბულის გობერი ხე ფუჯიმ იალ
 ჰელე, ჰელე, ჰელე მანიშა.

ჰელესსა

(არქაბული კილოკავი)

ჩქენი დუზეფეს ნოდერი
 თუთაშ თესთი ივენ სეირი
 ბოზო გოგოს-თუ ქემერი
 ჰელესსა იალესსა
 ჰეიამოლი იასსა-ისა ჰოი...
 ჰელესსა დო იალესსა
 აღნე ოხორიმ ნუსა
 ეურ თუთერი ნოლამისა
 ჰელესსა იალესსა
 ჰეიამოლი იასსა-ისა ჰოი...
 ჰელესსა დო იალესსა
 არ დომიწვატი მისა
 ივარეი ჩქენი ნუსა
 ჰელესსა იალესსა
 ჰეიამოლი იასსა-ისა ჰოი...

მაცრული სიმღერა

(„აბა, მელე“)

დაგეგეთ ნოხი, დაუდაგეთ გზასა,
 დადე მივიდეს დედოფალთანა.
 ჩქარა, მაყარებო, წვიმის მოსელამდე,
 აბა, ჰე, აბა ჩქარა და ჩქარა
 მხართვით ქოლგა აბრეშუმისა
 პატარძლის სახე არავინ ნახოს!
 დადე, გეკიროს ხელში ბზრის ჭოხი,
 აბა, ჰე, აბა ჩქარა და ჩქარა!
 ნეფე-დედოფლის ბედნიერება
 ნატერა ჩენი მიწიდან ცამდე,
 მით დაეულოოთ კეთილდღეობა,
 აბა, ჰე, აბა ჩქარა და ჩქარა!
 სიძის სახლი დვას იმ მთის უჯანა,
 ვიჩქაროთ მამლის დაყვილებამდე
 და პატარძალი შევეყაროთ სიძეს.
 აბა, ჰე, აბა ჩქარა და ჩქარა
 გაშლილ სუფრაზე დადგმულა თეფში,
 გაცივებამდე მივესწროთ, მალე,
 ამშვენებს ერბო თეთრი ძროხისა,
 აბა, ჰე, აბა ჩქარა და ჩქარა!

ჰელესსა² (სიმღერა)

ჩვენს მინდვრებში ნადი არის
 და სეირი მთვარიან ღამეში
 გოგოვ, ქამარი გივარდება!
 ჰელესსა-იალესსა
 ჰეიამოლი იასსა, ისა ჰოი...
 ჰელესსა და იალესსა
 ახადი ხარ პატარძლო,
 ორი თვისა დედოფალო,
 ჰელესსა-იალესსა
 ჰეიამოლი იასსა, ისა ჰოი...
 ჰელესსა და იალესსა
 ერთი მართალი მითხარ,
 თუ გახდები ჩენი რძალი.
 ჰელესსა-იალესსა
 ჰეიამოლი იასსა, ისა ჰოი...

1 დაწერილია მ. ვანლიშის მიერ.

2 მუშაობის დროს მღერიან (ნადში ან ნაყის ზღვიდან ამოყვანისას).

სი მა გური დომიტახი
 სო ილარე ჩქიმ გიუნახი
 გოგინჩხვასენ ჩქიმი ახი.
 ჰელესსა იალესსა
 ჰეიამოლი იასსა-ისა ჰოი...
 ენა გეგატას ქვადო ჟა
 სოთი ნენა ჩქეას ვარ მეჩა
 მა ბივარე აღნე სიჯა.
 ჰელესსა იალესსა
 ჰეიამოლი იასსა-ისა ჰოი...

შენ მე გული გამიტეხე.
 სად წაიღებ ჩემს ცოდვასა.
 ბოლოს გელის სინანული.
 ჰელესსა-იალესსა
 ჰეიამოლი იასსა, ისა ჰოი...
 დავატყდება თავს ქვა-მიწა
 არავის მისცე პირობა,
 ბედმა მარგუნა სიძობა.
 ჰელესსა-იალესსა
 ჰეიამოლი იასსა, ისა ჰოი.

ს ი მ ლ ე რ ა
 (ხალხური)

ბუტა ნუსა

ლიმჩინერ მეორას თერი
 ჰუტა ნუსა სოულუ ჰუტა-ჰუტა?
 მოდვალუ გიქაფარე
 ჰუტა ნუსა კუჩხე გილონ
 ჰუ-ჰუტა.
 დიდო წანა ვარ გილუნ
 ჰუტა ნუსა ჰუ-ჰუტარე,
 ჰუ-ჰუტა.
 სი მა დომჰევი დომხალი
 ჰუტა ნუსა პაშოთე მა სო ბიდა.
 ჩქეაშ ბეშლული ხჩე ყალის
 ჰუტა ნუსა ვარ შა ქოდილიკიდა
 ფეჩეშენ მოშათანურ
 ჰუტა ნუსა მუქო აღანი თუთა.
 ომას ქო მე შამიხთი
 ჰუტა ნუსა მუქო-კეინჩიში მოთა
 მე გოყუფ, ვარ მეგტომერ
 ჰუტა ნუსა სოთხანი შა სი იდა.

პატარძალი

სალამოს მზის შესადარო,
 სად მიდიხარ, პატარძალო?
 ფეხსაცმელს მე ვაქერიწებ,
 ფეხები გაქვს პაწაწინა.
 წლოვანებაჲ პატარა გაქვს,
 პატარა ხარ, პატარძალო.
 შენ მე დამწვი და დამდაგე,
 სად წავიდე, პატარძალო?
 სხვის ოქროსა შენს თეთრ ყელზე
 ნუ იკიდებ. პატარძალო.
 ლეჩაქიდან მთვარის მსგავსი
 სახე გიჩანს, პატარძალო!
 უბეში შეგინახავ
 ბარტყივითა პატარძალო,
 სადაც წახვალ, თან გაგყვები,
 არ დატოვებ, პატარძალო.²

ხალხური სიმღერები
 (არქაბული კილოკავი)

წულუ ბოზო

წულუ ბოზო სონირე
 დიდო ჰეიარ, დიდო ოროფონირე

ქალწულო

ქალწულო, სადაური ხარ.
 ძალზე საყვარელი ხარ,

1 ჩაწერილია ქ. ბათუმში. მთქმელი ნ. დოლანია.
 2 მთქმელი ხ. ხელიმიში.

თოღეფენშენ ნინგნათენ,
 ირიშე, იარ ირიშენ ნოსერი რე.
 გური-გურიში ზერის
 ვარენ ჰეიარ, ვარენ ხალალისქანი
 ბაზი გძირა მუ ივენ
 მოხთი ჰეიარ, მოხთი დო მანიმანი.
 ელაბარუ კალაში
 იარი ჰეიარ, იარი დილილუ ფაში.
 ნოსის ვულუ-მოულუ,
 იარი ჰეიარ, იარი გომაშინაში.
 სი მელე დო მა მოლე
 სოლე ჰეიარ, მასოლე ბიდა, სოლე,
 წკარიშ კუქუმა ეზდი
 მოხთი ჰეიარ, კომოხთი ლალიკელე.

თვალეზშიც კი გეტყობა,
 ყველაზე ჰეიანი ხარ.
 გულო გულს ადგილზე
 არ არის, გენაცუალე!
 რა უქირს, გნაბო ხშირად,
 მოდი, ჰეიარ, ჩემთან მალე!
 ნიავმა წამოიქროლა,
 ტურფა, გასცილდა ფოთსაო,
 ჰეიანიც კი შევიშლები,
 ჰეიარ, როცა გამახსენდება
 შენ გაღმა ხარ, მე გამოღმა,
 ჰეიარ, სადღა წაყიდე ახლა,
 ხელში აიღე თუნგი და
 ლელესთან მოდი მალე!

ჩ შ ე ი ა ნ ა

ხალხური გუნდური სიმღერა

ხოლო ქომოხთუ იაზი ჰეიანა,
 ჰე იანა, ბოზოფეში მარაზი.
 სი ეკო მოთ მეგომსქენ ჰე იანა,
 ჰე იანა, თის ნა გოგოთუნ კაზი.
 მუსაფირი ემზდიფი. ჰე იანა,
 ჰეიანა მეფეთანა ბაზი-ბაზი
 მუ მსქვა გურჯიბი გილენ ჰეიანა,
 ჰე იანა, ოფიდეფეთი ნაზი.
 ყალის ნა დოლო გობუნ ჰე იანა,
 ჰე იანა ბეშლული რენი ლაზი.
 მოხთი მენდაგიყონა ჰე იანა
 ჰე იანა, ეკო მოთ იქიდ ნაზი.

ისევ მოვიდა ზაფხული. ჰე იანა,
 ჰე იანა, ქალიშვილების ქირი.
 შენ ისე როგორ გშეენის ჰეიანა,
 თავზე, რომ გხურავს ლაზლი.
 თუ მიმიღებ სტუმრადა ჰე იანა,
 ჰე იანა, რომ მოვიდე ხანდისხან.
 ლამაზი გულმკერდი გაქვს, ჰე იანა,
 ჰე იანა. წარბებიც კი გაქვს ნაზი.
 კისერზე, რომ პრიალებს ჰე იანა,
 ჰე იანა, ოქროს ხეთიანია?
 მოდი და წაგიყვანო, ჰე იანა
 ჰე იანა, ამდენს რას ინაზები.2

ობირუ კულანი ლურჯუბში

(სიმღერა მომავლადეი ქალიშვილისა)

ლექსის შინაარსი ასეთია: ერთ ბიჭს უყვარდა ქალიშვილი სახელად აიშე, რო-
 მელიც ცოლად უნდა შეერთო ამ ბიჭის უფროს ძმას, ისმაილს. დადგა საყითხი
 -ისმაილზე აიშეს ვათხოვებისა. აიშემ უარი განაცხადა, მაგრამ რძალი შეუჩნდა და
 დაიყოლია. დანიშნეს ისმაილზე. ქორწილის დღეს უმცროსმა ძმამ ეს ამბავი ვერ
 აიტანა, გზაზე თოფით ჩაუსაფრდა და მოჰკლა აიშე. ცხედარი ბიძის სახლში მოას-
 ვენეს: აიშე ექიმს ემუდარება განკურნოს, მაგრამ ვედარაფერი უშველეს. ეს ლექ-
 სი ინტერესს იწვევს საბჭოთა სარფის ლაზებშიც.

ისმაილის ვარ ვოყუფტი,
 მა ქამომოღერდინეს,
 მოხთეს მავარაფე დო

ისმაილს არ გავყვებოდი,
 მაგრამ მე მომბატყუეს,
 მაცირონი მოვიდა და

1 ჩაწერილია 1950 წ., მთქმელი ხ. პელიშიში,
 2 მთქმელი შ ქელერჯიში

მა გზას ქოგემოდგინეს.
ობრასქირიქ ტოფელი
გვერდი გზას მემოღირეს
ჯუმალიშ ობორიშ ნეენას
ჯენაზე მემოდგინეს.
დიცხირითენ დიდაფუ
ნისალობაშ ანთერი
ჩქარ გურის ვარ მემიქვეს
აშო ჩქიმი გენჯლული
დიცხირონი ანთერი
ქომეჩით ნანაჩქიმის,
ირი დლას გემამგარას
აია გენჯლული ჩქიმის.
გვერდი შური გემდღიტუ
მოხთუ ჩქიმდა დობთორი,
პია სინთი გიწვესი
ა — იარაჩქიმიშ ზორი.
კოჩინა მუშლეთინაფ
დობთორი შური მომჩარე,
მიწვი მომიშლეთინი
იარაჩქიმიში ჩარე.
გვერდი საათოშკულე
ჟურ ჯანდარმა ქომოხთუ
ნობეთი მუშენ ჩუმერო
ობრასქირიქ გემოქტუ.
ჟურ საათიში ეკულე
ისმაილი ქომოხთუ
ემუქთი მა მკითხუფტუ
კურშუმი სოლე მოხთუ?
ტოფელი მასთოლუ დო
ობრასქირიქ დომპილუ
აია მჯეეშ აღეთეფექ
მა მუქო ქამემპილუ

ი ს მ ა ი ლ ი

ნოსის გამაფთამინონ
შური მოხთუ ყალიშა,
სი მუქო ლეტას მეგჩაფ
მა ჟუმა ვარ პილაშა.

ა ი შ ე

ამან სოთი ვარ ყვილა
ემუშ ჰაქქი მემილუნ,
ერზაელი ქომოხთუ
ჩქვათი შური ვარ მილუნ.2

მე გზაზე დამაყენეს.
მაზლმა ნახეეარ გზაზედა
თოფი ჩვენ დაგვიმიზნა,
ბიძის სახლის კარებზედა
მიმაყენეს ცხედარი,
და სისხლითა შეიღება
საპატარძლო ანთერი.
სრულიად არ შეიბრალებს
ჩემი ახალგაზრდობა,
ანთერი სისხლიანი
დედაჩემსა მიეცით,
რომ ყოველდღე იტიროს
ჩემი ახალგაზრდობა.
ნახეეარად რომ სული მეღება,
მომიყვანეს ექიმი,
ნეტაეი შენ თუ გიამბებს
ამ კრილობის მიზეზი?
ექიმო, ავადმყოფს არჩენ,
მაცოცხლებულო კაცისა.
გადამარჩინე მითხარი
ჩემი კრილობის საშველი.
ნახეეარ საათის მერე
მოვიდა ორი ჟანდარი
აბა, რატომ მყარაულობთ,
მე ხომ მაზლმა წამაქცია!
ორი საათის შემდეგ
ისმაილიც მოვიდა.
ისიც მე მეკითხებოდა,
ტყვია საიდან მოვიდა?
მაზლმა თოფი მესროლა,
წამაქცია და მომკლა.
ამ ძველმა ადათებმა,
მე როგორ დამაქცია?

ი ს მ ა ი ლ ი

ქკუაზე უნდა შევიშალო,
სული ყელში მომადგა!
შენ მიწას არ მიგაბარებ,
მე სანამ ძმას არ მოვეკლავ.

ა ი შ ე

ბიჭო იმას ნუ მოკლავ
მისი ცოდვა თან მიმაქეს,
სულთამხუთავი მოვიფა
სული აღარ მიღვია.

1 ანთერი — ქალის ზედა ხალათი.
2 მთქმელი ალი ზორაეა, სოფ. სარფის მცხოვრები

აღანი ჰელესსა

ობირუ

არ ქოკოვიანთ ბიქეფე
ძიქვა. მჩოხა უძიროთე,
ლაზური ბირათა დოფთქვათ,
ჰელესსა იალესსა
ჰეიამოლი იასსა... ისსაჰე...
ააბჟოეთიმ დიხას ვორეთ,
დიდო შენი დო ხელერი
გემინჯლონუნან პარტია,
ჰელესსა იალესსა
ჰეიამოლი იასსა... ისსაჰე.
ელოვოყონათ კუჩხეფე
მსქვა კულანეფე-ბიქეფე
სიჯა დო აღნე ნისაფე,
ჰელესსა იალესსა
ჰეიამოლი იასსა... ისსა ჰე.
ჩქინ ხელერი დლა მილუნან
მუთუშ დარდი ვარ მილუნან
ეილე-წალე ხორონაფან,
ჰელესსა იალესსა
ჰეიამოლი იასსა... ისსა ჰე.
არჩქვა გოვიქთათ ბიქეფე
კუჩხეფე ელოვოყონათ
ოთირთინით გურ პიჭეფე,
ჰელესსა იალესსა
ჰეიამოლი იასსა... ისსა ჰე.

არ არ იზმოჯე

მა იზმოჯე არ წალონას
მუჰო ვორტიით ვარ მიჩქინ,
ონდლერი რენ დო ვოწყერ ცას,
მეორაში თე მენდრაშე ჩქინ.
ექ ქორენან ჩქიმი ნენამ
მალარალე კონეფე,
პოლიციაჲ ვარშა ოგნას
კრძალერი რენ ენთეფე.
გომიკვირდუ, მუ იყვასენ.
მა აქ მუჰოში ვორტა,
მჩხურის — მხთაშ თი გიოჩანათან,
ორდო დულიას გევანა.
არ ოფუტეში ლოჯეფე

ახალი ჰელესსა

(სიმღერა)

ხელი მოვიკდოთ ერთმანეთს
ძიქვა, ჩოხა, უძიროთი.
ვთქვათ ლაზური სიმღერები.
ჰელესსა, იალესსა
ჰეიამოლი იასსა, ისა ჰეი...
ვართ საბჟოთა ქვეყანაში,
ქვეყანა ბედნიერია
წინ ხომ მიგვიძღვის პარტია.
ჰელესსა, იალესსა
ჰეიამოლი იასსა, ისა ჰეი...
აეაულოთ სიმღერის ხმა
გოგო-ბიჭებ ლამაზებმა,
სიძებმა — პატარძლებმა.
ჰელესსა, იალესსა
ჰეიამოლი იასსა, ისა ჰეი...
ბედნიერი დღეები გვაქვს,
არ გვაწუხებს არაფერი,
ყველგან ცეკვა-სიმღერა გვაქვს.
ჰელესსა, იალესსა
ჰეიამოლი იასსა, ისა ჰეი...
ერთხელ კიდევ დაეტრიალდეთ
და ფეხები აეაულოთ,
აფათროლოთ გულმკერდიც...
ჰელესსა, იალესსა
ჰეიამოლი იასსა, ისა ჰეი.1

მართი სიზმარი

დამეისიზმრა: ვარ სხვა ქვეყნად,
კი არ ვიცი, როგორ მოვხვდი,
შუა დღეა და ცას ვუცქერი,
მზის სინათლეს ჩამოვშორდი.
იქაც იყვნენ ჩემს ენაზე
ბევრი მოლაპარაკენი.
ამ ენას კი უკრძალავდნენ
პოლიციის მოხელენი.
გამიკვირდა, თუ რა მოხდა.
მე აქ ველარ გაეჩერდებო.
ცხვარს თხის თავი მოაბეს,
ალბათ, კარგად დაფიქრდები...
ერთი სოფლის ეზოებიც

1 მღერიან საბჟოთა სარფში.

მეკვირელი მოთ რენ პია.
ჩირდილონაში სხიეფეჟი,
მოთ ვარ იოფეშუ მჭვეში იარა.

რატომ არის გადაქრილი.
ჩრდილოეთით სხივი მოჩანს,
რათ არ აესებს დიდ ქრილობას.

თანამედრომე ლაზური შაირები¹

ბ ი კ ი

მანდრათიში პლანტაციას
ანწი დიდო ფუქირი რენ,

ბ ი კ ი

ნიში მზოლნაშა მენდახთუ
მურუნაში ანკესითე,

ბ ი კ ი

არ კულანის ვაჟორიფი
მსკვა ოფიდეფე ულუტუ

ბ ი კ ი

გურია დო კახეთიშენ
ლომან მოხთეს სტუმარეფე,

ბ ი კ ი

ზუგდიდიშა ვიდეტი
უუსი მინი მეგრელეფეს.

ბ ი კ ი

ქორთოლონა ჩქინი დიხა
ირ დიხაშენ უჯგინიჩენ,

ბ ი კ ი

ლაზური შაირეფე ბთქვით
კულანეფე თქვანი კალა.

კ უ ლ ა ნ ი

გურ-პიჯის შქითა ნა ჩხატუნ
ჩქინი გმირი ნაზიკო რენ.

კ უ ლ ა ნ ი

ე ბიკი მა ვარ ქომკოფა
მეზგითიში მოსაფეთე.

კ უ ლ ა ნ ი

ოქარუ-ოკითხუშ გალე
არ კუნხე მკულე ულუტუ,

კ უ ლ ა ნ ი

მანთი თოლიქ მუმოძირუ
ეკო კაი მსკვა ბიქეფე.

კ უ ლ ა ნ ი

„აშო მორთი ჩქიმი სკუა“,
დო ლაზურთ ღალაღტეს.

კ უ ლ ა ნ ი

ლენინი დო საბჭოეთიშ
მეორაშ თე-თე თანერი რენ.

კ უ ლ ა ნ ი

ონჯლორე მუქო ვარ გაყუ
ნა მაქუნდი ღალიკალა.

თ ა რ გ მ ა ნ ი

ბ ი კ ი

მანდარათის პლანტაციაში.²
წელს ბევრი ყვაილია,

ბ ი კ ი

ნაეი ზღვისკენ გაეშურა
ზუთხის საქერ ანკესებით,

ბ ი კ ი

ერთი გოგო შემეყვარდა
წამწამები ამშვენებდა,

ბ ი კ ი

გურია და კახეთიდან
გუშინ მოვიდნენ სტუმრები

გ ო გ ო

გულმკერდზე რომ წითლად
უბრწყინავს

ჩვენი გმირი ნაზიკოა.

გ ო გ ო

ბიკო ჩემსკენ არ მოხვიდე
სათევზაო ბადეებით.

გ ო გ ო

არც წერა-კითხვა იცის და
ერთი ფეხიუ მოკლე ქონდა.

გ ო გ ო

დედავ თვალებმა რა ნახა
კობტა-ლაშაზი ბიკები.

¹ ტექსტი მ. ვანლიშის.

² მანდარათი — სოფ. სარფში ციტრუსის ბაღია.

ბ ი კ ი

მე, რომ ზუგდიდში ვიყავი,
მოდსმინე მეგრულებსა.

ბ ი კ ი

საქართველო ჩვენი მკვიდრი
ყველა მხარეს, მირჩვენია.

ბ ი კ ი

ლაზური შაირები ვსთქვით
გოგოებო თქვენთან ერთად.

გ ო გ ო

„აშო შორთი ჩქიმი სკუა“
უძახოდნენ ლაზურადა.

გ ო გ ო

ლენინის და საბჭოთა მზით
მხარე განათებულია.

გ ო გ ო

ბიკო როგორ არ გრცხვენია,
რომ მაკოცე ღელეს პირად.¹

ქვა ომხაზე²

ოლუმჯორა რენ მზოლაპიჯის ქელავინჯირი,
დო ფალი ჰავას მოვოშვაჯინი ჩქიმი ფიკირი.
ქვა ომხაზე რენ, ენა გოლაჯანს მუქო ჯამუში,
დიდი, ვებერთა, თოლი ვარ გიტკენ უჩა დო მჯეუმი.

მის უჩქინ, მუკო წანაფე დოჩუ დო ხოლო ჩუმერს,
მუში ნოძირე დო შიგნაფერი სოთი ვარ თქუმერს,
მზოლაში ტალღას ვარ დეაშქურინენ, ირის ნუხონდუნ
სტუმარეფეთი უჩა ქოთუმეშ სური უყორუნ.

მა სი გოხვეწაფე დომიამბაეი ეი ქვა ომხაზე.
ელატკოჩუი ღალის შქვიდერი მითიშ ჯენაზე?
ვარნა ტკობესი სკანი ოკაჩხე ბიკიკი — კულანი?
მუშენ ვარ თქუმერ მა ხო ვარ ვორე სკანი დუშმანი.

შილია წანაფეჟ ვარ გობადაფან, ვარ გეგოკორდუნ,
კიტა ვორტიში სკანდენ ბცხონტურტი ვარ გომოკონდუნ,
სარგანაშენი ვიტოხუთ ბერეჟ კინო ისთომერს
სთეელი მოხთაში მზოლაშ ბარაჟა ოხორის ნუმერს.

თუთა გეხთაში სკანი აკრაშა ფელუკა ნულუნ,
თოკის გეკნერი ჟურ მაჩხოშალე გალე გამულუნ
ოშ ხოლი გინძე პარაპატიფე ულუნ მზოლაშა,
კუკუნის იფუნ „ანჩოსიში“ ჯოხონა ქაფშა.

1 დაწერილია სოფ. სარფში მ. ვანლიშის მიერ, 1956 წ.

2 დაწერილია მ. ვანლიშის მიერ 1950 წ. ქ. ბათუმში.

ქვა ომხაზე¹

სალამო ღროა. წამოეწევი ზღვის ნაპირასა,
სუფთა ქაერზე დაეასვენე ჩემი ფეხრები.
ჩემს წინ ჰყუდია ქვა ომხაზე, როგორც კამეჩი,
თვალს ვერ შეივლებ ვეებერთელას შავსა და ძველსა.

ვინ უწყის, რამდენი გაატარა წელიწადები,
არსად არ ამბობს მისგან ნახულს და გაგონილსა.
ველარ აშინებს ზღვის ტალღები, ყველას კი უძლებს,
ლამითაც მასთან შავი ქათმების² გუნდნი სტუმრობენ.

ერთი მიამბე, ძალიან გთხოვ, ქვა ომხაზე!
თუ გამორიყა ზღვის ტალღებმა ვისიმე გვამი?
ან თუ დამალე შენს წიაღში ბიჭი და გოგო?
რატომ არ ამბობ, ხომ არა ვარ მე შენი მტერი?

რას მოგახუცებს ასი წელი ან რას დაგაკლებს!
ირ მავიწყდება: ბავშვობისას შენგან ვხტებოდი
თხუმთმეტი ბეგში სარგანისთვის³ კინოს⁴ ვიქნევდი,
შემოდგომაზე ზღვის ბარაქა სახლში მიგვეკონდა.

მთვარე რომ ჩავა, შენს მახლობლად ნაეები დადის,
თოკებით ხელში ნაპირზე გადის ორი მეთევე,
ასმხარი სიგრძის პარაპატსა⁵, ჩაპყრიან ზღვაში
„ინჩოუს“ ჯიშის ქაფშიები ავსებს კუკუნსა.⁶

1 ქვა ომხაზე — დიდი ქვა სოფ. სარფში, რომლის ირგვლივ ზღვაა.

2 შავი ქათამი — იგულისხმება ყორანი.

3 სარგანა — თევზია.

4 კინო — სარგანა თევზის საჭერია.

5 პარაპატი — გრძელი ბადე (ვოლოკუშკა).

6 კუკუნი — ბადის შუა ნაწილი, სადაც გროვდება დაჭერილი თევზი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
ავტორებისაგან	4
ისტორიული მიმოხილვა	
1. ლაზეთის სამეფოს წარმოშობა	5
2. ლაზეთის სამეფოს დაშლა	26
3. ლაზეთი ბიზანტიის (საბერძნეთის) მფლობელობაში	30
4. ლაზეთი ოსმალეთის მფლობელობაში	37
ლაზეთის ეთნოგრაფია	71
1. მეურნეობა და მატერიალური კულტურა	77
2. ხალხური სიტყვიერება	143

М. Ванилиши, А. Тандилава

ЛАЗЕТИ

Историко-этнографический очерк

(на грузинском языке)

Издательство

„Сაბჭოთა საქართველო“

Тбилиси—1964

საზოგადოებრივი რედაქტორი პროფ. ს. შაკალათია
გამომცემლობის რედაქტორი დ. გეგენავა
ტექნორედაქტორი ვ. გობრონიძე
კორექტორები: პ. ლელუვა, გ. კუჭუღია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-64 წ. ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆. ნაბეჭდი
თაბახი 10,75. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,32. საავტორო თაბახი 9,88.
უე00317. ტირ. 1000. შეკვ. № 6287.

ფასი 11 კაპ.

070 *Handwritten signature*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის
სტამბა-ლითოგრაფია (ლუქსემბურგის, 22)